

ენათმეცნიერების საკითხები

ISSN 1512-0473



2024

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

ენათმეცნიერების საკითხები

ISSUES OF LINGUISTICS

2024



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

სარედაქციო საბჭო:

ნ. გაფრინდაშვილი, ი. გიპერტი, დ. თვალთვაძე,
ბ. უტიე, პ. ფენრიხი, მ. შანიძე, ა. ჰარისი

EDITORIAL COUNCIL:

H. Fähnrich, N. Gaprindashvili, J. Gippert,
A. Harris, B. Outtier, M. Shanidze, D. Tvaltvadze

სარედაქციო კოლეგია:

რ. ასათიანი, ზ. ბარათაშვილი, თ. ბოლქვაძე, მ. ივანიშვილი,
ი. ლეჟავა (რედაქტორი), დ. მელიქიშვილი, ე. სოსელია,
ლ. ქეცბა-ხუნდაძე, რ. ქურდაძე, მ. ჯიქია

EDITORIAL BOARD:

R. Asatiani, Z. Baratashvili, T. Bolkvadze, M. Jikia,
M. Ivanishvili, L. Ketsba-Khundadze, R. Kurdadze,
I. Lezhava (Editor), D. Melikishvili, E. Soselia

*ჟურნალი დაარსებულია 1999 წელს თამაზ გამყრელიძისა და
ზურაბ სარჯველაძის მიერ*

*The journal was founded in 1999 by Thomas V. Gamkrelidze
and Zurab Sarjveladze*

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

Published by the decision of Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing Board

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა, 2025

© Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2025

ISSN 1512-0473

შინაარსი

<i>მაია ანდრონიკაშვილი, ძირეული და დამხმარე მორფების სპეციფიკა და არაბული მორფოლოგიის სტრუქტურული ტიპი</i>	<i>5</i>
<i>Maia Andronikashvili, The Specificity of Root and Auxiliary Morphs and the Structural Type of Arabic Morphology</i>	<i>9</i>
<i>რუსუდან ასათიანი, მარინე ივანიშვილი, იაკობ გოგებაშვილის ღედაენა: ტიპოლოგიური ანალიზი</i>	<i>11</i>
<i>Rusudan Asatiani, Marine Ivanishvili, Iakob Gogebashvili's Dedaena: Typological Analysis</i>	<i>17</i>
<i>ციური ახვლედიანი, მარია ბურჩაკ-აბრამოვიჩი, ფრანგული საგაზეთო ტექსტის კომპარატიული ფრაზეოლოგიური ერთეულები</i>	<i>19</i>
<i>Tsiuri Akhvlediani, Maria Burchak-Abramovich, Comparative Phraseological Units in French Journalistic Texts</i>	<i>21</i>
<i>ზურაბ ბარათაშვილი, ივანე ლეჟავა, რუსულიდან ქართულში ნასესხები სიტყვების ფონეტიკური ანალიზი</i>	<i>22</i>
<i>Zurab Baratashvili, Ivane Lezhava, The Phonetic Analysis of Borrowings from Russian into Georgian</i>	<i>26</i>
<i>რუსუდან ზეკალაშვილი, რამაზ ქურდაძე, ეპოქა და იდეოლოგიის გავლენა ლექსიკონებზე</i>	<i>28</i>
<i>Rusudan Zekalashvili, Ramaz Kurdadze, The Epoch and the Influence of the Ideology on Dictionaries</i>	<i>48</i>
<i>გია კვაშილავა, A კლასის საზოგადოებრივი წარწერების ამოკითხვა საერთოქართველურ ენაზე: QA-PA₃ – „ჭურჭლის“ აღმნიშვნელი სახელი</i>	<i>50</i>
<i>Gia Kvashilava, On the Decipherment of the Inscriptions of Linear A in the Common Kartvelian Language: QA-PA₃ – A Vessel for Liquid</i>	<i>61</i>
<i>ივანე ლეჟავა, ქართული სალიტერატურო წარმოთქმის ინტონაციური თავისებურებანი</i>	<i>62</i>
<i>Ivane Lezhava, Intonational Features of Georgian Literary Pronunciation</i>	<i>70</i>
<i>თამარ მახარობლიძე, ფესტური ენების მორფოლოგიის შესახებ</i>	<i>71</i>
<i>Tamar Makharoblidze, On the Morphology of Sign Languages</i>	<i>76</i>
<i>მარიამ ნანობაშვილი, „ეფესელ ყრმათა წამების“ კიმენური რედაქციის ქართული თარგმანის ენობრივი თავისებურებანი</i>	<i>77</i>
<i>Mariam Nanobashvili, Linguistic Peculiarities of the Georgian Translation of the Kimen Redaction of "The Martyrdom of the Youths of Ephesus"</i>	<i>86</i>

<i>ირმა რუსაძე, კონცეპტები, როგორც ლინგვოკულტურული მთლიანობა</i>	87
<i>Irma Rusadze, Concepts as Linguocultural Unity</i>	90
<i>ნანა საგანელიძე, პირის ნიშანთა კომბინაციისათვის ქართულში</i>	91
<i>Nana Saganelidze, For the Combinations of Person Markers in Georgian</i>	97
<i>ეთერ სოსელია, სემანტიკური რეკონსტრუქციები: *ც₁ხო^მ- ძირთან დაკავშირებული ფუძეები</i>	98
<i>Ether Soselia, Semantic Reconstructions: Some Stems Related to the Root *c₁xow-</i>	102
<i>ნატო შავრეშიანი, მედეა საღლიანი, ოჯახი, როგორც ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტი სვანურ ანდაზებში</i>	103
<i>Nato Shavreshiani, Medea Saghlani, Family as Linguoculturological Concept in Svan Proverbs</i>	112
<i>Kristina Tsertsvadze, The Sound Symbolism of the /x/ Sound in the Georgian Language</i>	113
<i>ქრისტინა ცერცვაძე, /ხ/ ბგერის სიმბოლიზში ქართულ ენაში</i>	122
<i>მარიკა ჯიქია, ქართული მასალა თურქული ფონოტაქტიკის ჭრილში</i>	123
<i>Marika Jikia, Georgian Material in Terms of Turkish Phonotactics</i>	128
თარგმანები	
<i>მაიკლ პერკინზი, სარა ჰაუარდი, კლინიკური ლინგვისტიკა (თარგმნა ზურაბ ბარათაშვილმა)</i>	129
რეცენზიები	
<i>რუსუდან ასათიანი, ქართული როგორც მეორე ენა, საზოგადოებრივი გამოცემლობა სა.გა., თბილისი 2023 (მარინე ივანიშვილი)</i>	150
<i>ანტუან მეიე, წერილები ტიფლისიდან და სომხეთიდან, წიგნი ფრანგულიდან თარგმნა ნანა მირაშვილმა, გამოცემლობა „აკადემიური წიგნი“, თბილისი 2023 (ანა ჩუტკერაშვილი)</i>	151
<i>გიორგი ლომთათიძე, გამდიდრებისათვის ქართულისა ჩემისა, „ქართული ენა“, თბილისი 1999 (ნიკოლოზ ოთინაშვილი)</i>	151

ძირული და დამხმარე მორფების სემანტიკა და არაბული მორფოლოგიის სტრუქტურული ტიპი

ენათა ტიპოლოგიური დახასიათებისთვის თანამედროვე ლინგვისტიკა უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიიჩნევს მათში სიტყვაფორმათა განსაზღვრებას იზოლაციის ან სინთეტიზმის თვალსაზრისით. ამდენად, ამ ცნებების ჩამოყალიბებას უდიდესი სიზუსტე სჭირდება. „სინთეზურია ენები, რომლებშიც სიტყვა ორ-სამ მორფს შეიცავს. პოლისინთეზურია ენები, რომელთა სიტყვები საშუალოდ სამზე მეტი მორფისგან შედგება“ (გამყრელიძე 2003:411). ვფიქრობთ, იგულისხმება როგორც ძირული, ასევე დამხმარე მორფი.

“Синтетика типологическая черта языковой структуры, состоящая в объединении в пределах одного слова нескольких морфем: лексических, словообразовательных, словоизменительных” (ЛЭС 1999:451). ზოგი მკვლევარი სინთეტიზმს უპირისპირებს აგლუტინაციას მასში ზოგ ერთეულთა უფრო დაბალი დონის ელემენტებად დაყოფის შეუძლებლობის გამო (Greenberg 1974).

ჯ. გრინბერგის მიერ შემუშავებული სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურის სირთულის დამახასიათებელი სინთეზურობის ინდექსი (M/W, M – მორფემათა რაოდენობა, W – სიტყვათა რიცხვი განსაზღვრული მოცულობის ტექსტში) არაბულ ტექსტში უდრის დაახლოებით სამს და მორფოლოგიურ სტრუქტურას ახასიათებს როგორც სინთეზურს (Greenberg 1978).

კომპოზიციის ინდექსმა (ძირული მორფების რაოდენობა სიტყვაში) არაბულში ტრანსფორმაცია განიცადა XX და XXI საუკუნეებში. მანამდე ეს ინდექსი ძალზე დაბალი იყო. აღნიშნულ ეპოქაში კი ევროპული ენებიდან არაბულად თარგმანების რაოდენობის ზრდამ გამოიწვია არსებული სიტუაციის ცვლილება გაზრდილ ტერმინოლოგიურ შემოქმედებასთან ერთად.

ქართული სემანტიკოლოგიური სკოლის დამაარსებელ გ. წერეთლის აზრით, „ენათა გენეტიკური ნათესაობა არ გულისხმობს ტიპოლოგიურ მსგავსებას“ (წერეთელი 1968:8). თანამედროვე ლინგვისტიკა მთლიანად იზიარებს ამ მოსაზრებას. ამასთან, „სავალდებულოა მკაცრად დადგენილი ტიპების განმსაზღვრელი სტრუქტურული ნიშნები“ (გამყრელიძე და სხვ. 2003:410), აქედან გამომდინარე, რელევანტურია ენის მორფოლოგიური ინვენტარის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური დახასიათება. არაბული ენისათვის ეს მით უფრო აუცილებელია, რაკი სალიტერატურო არაბული სტრუქტურულ სხვაობას ავლენს არა მარტო სემანტიკურ ენებთან, არამედ საკუთარ დიალექტებთანაც კი.

ამ მხრივ აღსანიშნავია ეგვიპტური დიალექტი, რომელშიც სიტყვათა საზღვრების გაერთიანება წარმოთქმასა და გრაფიკაში თითქმის ინკორპორაციული ენისთვის დამახასიათებელ სახეს იღებს (მაგ., majūḥalleḥs „არაფერს ტოვებს, უშვილო“, maqalhāḥ „არაფერი უთქვამს მისთვის“). ამ პროცესის დასაწყისი შეინიშნება უკვე სალიტერატურო არაბულშიც (ანდრონიკაშვილი 2017:21-35).

ამერიკელი ლინგვისტი ე. სეპირი არაბულის მორფოლოგიურ ტიპს ფლექსიურ-ფუზიურად მიიჩნევდა, რაც მართებულია მხოლოდ არაბული მორფოლოგიის გარკვეული ნაწილის მიმართ.

ალ. ლეკიაშვილის მიხედვით, არაბულ მორფოლოგიაში აგლუტინაციის წილი ფლექსიურს შეეფარდება როგორც 8:4 (ლეკიაშვილი 1977:19-20). ასეთი დასკვნა მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტრანსფიქსს (ე.წ. შინაგან ვოკალიზმს) არ განვიხილავთ ადრე აბლაუტად წოდებულ (ი. გრიმი) შინაგან ფლექსიად. დღესდღეობით ტრანსფიქსი თანხმოვნური შემადგენლობის მქონე ძირის გამხლენ, მხოლოდ ვოკალებისგან შემდგარ დამხმარე მორფადაა აღიარებული. ამგვარად, აგლუტინაციის წილი სალიტერატურო არაბულის მორფოლოგიაში კიდევ უფრო დიდია, ლეკიაშვილისეულ მონაცემებთან შედარებით. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, რელევანტურად გვეჩვენება ციტატა მ. მეფარიშვილის ნაშრომიდან: „სემიტური ძირის სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე იგულისხმება ის, რომ ძირის სემანტიკას განსაზღვრავენ თანხმოვანი ფონემები, ხოლო ხმოვნები, როგორც რელაციური ელემენტები, აზუსტებენ ძირისა თუ ფუძის მნიშვნელობას, ან კიდევ დამოუკიდებლად თუ თანხმოვნურ (არამხოლოდ (მ.ა.)) აფიქსთან ერთად გრამატიკულ კატეგორიებს გადმოსცემენ, მაგ., ḥarīf „შემოდგომა“ : ḥarīf „ბატკანი“ და სხვ. (მეფარიშვილი 2024:281).

სემიტურ ძირში ხმოვანთა მონაწილეობა საყოველთაოდ აღიარებული არ არის. იმ მკვლევართა შორის, ვინც ეთანხმება ამ მოსაზრებას, აღვნიშნავთ ი. დიაკონოვს, რომელსაც მოჰყავს ზოგადსემიტური ფორმები, რომელთა ძირში ხმოვნის არსებობაში მას ეჭვი არ ეპარება. ესენია: 'ard „მიწა“, ḡamal „აქლემი“, taḥm „საზღვარი“, ka's „ჭიქა“, šams „მზე“, 'uḍn „ყური“, 'arnab „კურდღელი“, 'akrab „მორიელი“, ḥams „ხუთი“, 'ašr „ათი“ და სხვ. (Дьяконов 1963:27). ეს მაგალითები არ უნდა განიხილებოდეს ერთ სიბრტყეზე იმ მიზეზის გამო, რომ მათ ნაწილს არ გააჩნია ვოკალიზმით დაპირისპირებული სხვა ფორმები. ასეთებია: 'arnab, 'akrab და ka's. აქ ხმოვანი ფონემების ფუნქცია პირველადი, წარმოთქმის გაადვილების, დანიშნულებით შემოიფარგლება, ან ტრანსფიქსი ცარიელ მორფად შეიძლება ჩავთვალოთ. დანარჩენ დასახელებულ არსებობებს აქვთ მხოლოდ ვოკალიზმით დაპირისპირებული, სემანტიკურად ოპოზიციური ფორმები: 'ard „მიწა“ : 'arad „ხის მატლი, ტერმითი; ḡamal „აქლემი“ : ḡamīl „ლამაზი“; šams „მზე“ : šamas „თავხელი“ 'uḍn „ყური“ : 'idn „ნებართვა“. ერთდროულად დაპირისპირებული წყვილის ზოგიერთ წევრში ტრანსფიქსი ბიფუნქციურია – აქვს როგორც ძირეული მორფის სემანტის, ასევე დამხმარე მორფის ფუნქცია (მაგ.: ზედსართავ სახელში ḡamīl „ლამაზი“ და სხვ.).

რაც შეეხება რიცხვით სახელებს, რომლებიც ჩამოთვლილია ი. დიაკონოვის მიერ, მათთან ყველა შემთხვევაში ტრანსფიქსის ხარჯზე იქმნება მორფოლოგიურად (დერივაციულად) დაპირისპირებული სამეული: რაოდენობითი, რიგობითი და წილადი რიცხვითი სახელები. მაგ.: ḥams „ხუთი“ : ḥāmis „მეხუთე“ : ḥums „მეხუთედი“; ‘ašr „ათი“: ‘āšir „მეათე“ : ‘ušr „მეათედი“ და ა.შ. იმავედროულად, ერთ შემთხვევაში ტრანსფიქსული ოპოზიცია ძირეული მორფიცაა (‘ašīr: ‘šīr „ამხანაგი“).

I თემის ზმნათა უმეტესობაში ტრანსფიქსს მხოლოდ დამხმარე მორფის ფუნქცია აქვს. იგი ერთდროულად რამდენიმე კატეგორიის რეპრეზენტანტია (ასპექტი, გვარი, დრო და ა.შ.), მისი სეგმენტი, R2-ს მომდევნო ხმოვანი (a ან i) ტრანზიტის, ხოლო -u ინტრანზიტის გამოხატავს. ზმნების მცირე ჯგუფში (დაახლ. ოთხი ათეული) R2-ის ხმოვანი ზემოთ ჩამოთვლილ ფუნქციებთან ერთად ითავსებს ძირეული მორფის სეგმენტის ფუნქციასაც და ამ ხმოვანთა სხვადასხვა ხარისხით განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობის გადმოცემას ემსახურება. საერთო ძირეული თანხმოვნების პირობებში, მაგ.: ḥasaba „ითვლიდა“, კრედიტში ან დებეტში ჩაწერა“ : ḥasuba „იყო წარჩინებული“; bašara „კანი გააცალა“ : bašira „უხაროდა“ და სხვ. ფლექსიურ-ფუზიური ენებისთვის დამახასიათებელ ნიშანთაგან სალიტერატურო არაბულის მორფოლოგიურ სისტემაში აღსანიშნავია დამხმარე მორფთა სინთეტოსემია – ერთი დამხმარე მორფის მიერ რამდენიმე მორფოლოგიური კატეგორიის გრამემის რეპრეზენტანტია ამ მორფის სეგმენტების სახით. მაგ.: სუფიქსი -ūna სახელებსა და ზმნათა იმპერფექტივში გადმოსცემს მრავლობითი რიცხვის, მამრობითი სქესის და თხრობითი კილოს გრამემებს. დამხმარე მორფების სეგმენტები, ჩვეულებრივ, მორფების შემადგენლობაში, ოღონდ სხვა ოპოზიციებში გვხვდება. ისინი მეტყველების სხვადასხვა ნაწილში, ომონიმურ მორფში, სხვადასხვა გრამემას წარმოადგენენ. მაგ.: სეგმენტი -na სახელებში – განუსაზღვრელ სტატუსს, ხოლო ზმნებში თხრობით კილოს წარმოადგენს.

ზმირად ვხვდებით რომელიმე მორფოლოგიური კატეგორიის გრამემის გადმოცემას რამდენიმე სახის დამხმარე მორფით ერთ ფორმაში. მაგ.: ე.წ. მსხვრეულ მრავლობითს სიტყვაში ‘aṣḍiqā’-u „მეგობრები“ გამოხატავს ცირკუმფიქსი ‘a – ā’ და ტრანსფიქსი -ī-; ასეთსავე მრავლობითში qawārib-u „ნავეები“ გვაქვს ტრანსფიქსი -a-ā-i- ინფიქს -w-სთან ერთად; მსხვრ. მრ.-ში ‘aqārub-u „ახლობლები. ნათესავები“ ტრანსფიქსთან (-ā-u) ერთად მონაწილეობს პრეფიქსი ‘a-; სიტყვაში rasā’ilu „წერილები“ -a-ā-i- ტრანსფიქსთან ერთად მონაწილეობს ინფიქსი -n- მრავლობითში fitjān-un „ემაწვილები“ -i- ტრანსფიქსს ახლავს -ān სუფიქსი. შესაძლოა, მრავლობითის ფორმაში -at სუფიქსიც გაჩნდეს, რომელიც სათანადო მხოლობითში წარმოდგენილი არ იყო. მაგ.: fitjatun „ბიჭები“.

ჩვეულებრივია ტრანსფიქსის პარალელურად მრავლობითის აღსანიშნავად ძირეული კონსონანტის გემინაციის მოხმობაც. მაგ.: ṭallābun „სტუდენტები“.

წარმოების ზემოაღნიშნული ტიპი გამოიყენება სქესის კატეგორიის გრამემის გადმოსაცემად. მაგ.: ელატივის ფორმებში პრეფიქსი 'a- და ტრანსფიქსი -a- მამრ. სქესის ფორმაში მდებრობითში უპირისპირდება ინფიქს -u-სა და სუფიქს -ā-ს. ფერისა და ფიზიკური ნაკლის აღმნიშვნელ ზედსართავებში გვაქვს შემდეგი ოპოზიცია: მამრობითში პრეფიქსი 'a- და ტრანსფიქსი -a-, მდებრობითში კი – ტრანსფიქსი -a- და სუფიქსი -ā' (მამრ. 'aswadu. მდ. sawdā'-u).

აღსანიშნავია, რომ როგორც ტრანსფიქსის, ისევე სხვა აფიქსების სეგმენტები გამოიყენებიან სხვადასხვა ოპოზიციაში და ეს ფუნქცია აქვს არაბული ფონემური სისტემის მხოლოდ ერთ მეოთხედს.

მნიშვნელოვანი მოვლენაა არაბულ მორფოლოგიაში ფუზია, როგორც სრული, ასევე ნაწილობრივი. ის გვხვდება ყველა იმ ფორმაში, რომელიც ნაწარმოებია ე.წ. სუსტი (w, j) ან ჰამზის (') შემცველი ძირიდან. ფუზია ართულებს სეგმენტაციას, მისი სრული სახეობა (მაგ.: ra „შეხედე, ნახე“) საერთოდ შეუძლებელს ხდის მას, რაც ახასიათებთ ფლექსიურ ენებს. აქვე უნდა აღინიშნოს არაბულში რეგრესული ასიმილაციის არსებობა, რომელიც დამახასიათებელია ფლექსიურ-ფუზიური ენებისათვის. ამ მოვლენის ნიმუშია 'al არტიკლის მრავალრიცხოვანი ალომორფი, რომელიც მიღებულია რეგრესული ასიმილაციის შედეგად. არაბულში გვხვდება აგრეთვე პროგრესული ასიმილაცია, როგორც სრული, ასევე ნაწილობრივი (VII თემის ინფიქსი). არაბულში დასტურდება აგრეთვე აგლუტინაციური ენებისთვის დამახასიათებელი სინჰარმონიზმიც, როგორც პროგრესული (St.c.-ში: fi bajtihimi – l – ġadīdi), ასევე რეგრესულიც (ბრძანებითში: 'uktub; 'iġlis), რომელიც წარმოშობით რეგრესული უმლაუტია და ფუზიურ ენებს ახასიათებთ (ანდრონიკაშვილი 2017: 18). თანამედროვე სასაუბრო არაბულში (ე.წ. შუალედურ ენაში) გვაქვს ტენდენცია ანალიტიკურობისკენ ზმნის რამდენიმე პირისთვის ერთი ფორმის გამოყენებაში (sawejt ['ana, 'anta, 'anti] “сделал” [я] сделал(a) [ты], сделал(a)[он, она]).

არაბული მორფოლოგიის შერეული, მრავალფეროვანი ტიპის სტრუქტურა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ არ არსებობს „წმინდა“ ენა.

კვლევის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ წინამდებარე სტატიაში გამოყენებულ ორივე სახის მორფების სეგმენტაციას მაღალ შეფასებას აძლევს ფ. პარკერი, რადგან „ოპოზიციური ბინარულობა ზუსტად განსაზღვრავს შესაძლო დისტინქციურ მახასიათებლებს“ (პარკერი 1976:44).

ლიტერატურა

ანდრონიკაშვილი 2017: მ. ანდრონიკაშვილი, *არაბული მორფოლოგიის სტრუქტურული ტიპოლოგიური მახასიათებლები და კატეგორიების თავისებურებები*, გამომცემლობა „აკადემიური წიგნი“, თბილისი.

გამყრელიძე და სხვ. 2003: თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შაღური, ნ. შენგელაია, *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი.

- ლექიაშვილი 1977:** ალ. ლექიაშვილი, *არაბული ენა*, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი.
- მეფარიშვილი 2024:** მ. მეფარიშვილი, სემიტური ოთხთანხმოვნიანი რედუპლიცირებული ზმნური ძირების ანალიზი, *ტიპოლოგიური ძიებანი VII*, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი.
- წერეთელი 1968:** Г. Церетели, О языковом родстве и языковых союзах, *ВЯ*, №3, Москва.
- გრინბერგი 1974:** J. H. Greenberg, *Language Typology: A Historical and Analytic Overview*, Mouton, The Hague.
- გრინბერგი 1978:** J. H. Greenberg, Typology and Cross-Linguistic Generalizations. Diachrony, synchrony, and language universals, in: *Universals of Human Language*, Vol. I, J. H. Greenberg, C. A. Ferguson & E. Moravcsik (eds), pp. 33-59, Stanford University Press, Stanford.
- პარკერი 1976:** F. Parker, Refining the Notion of Distinctive Feature, „*Linguas*“, vol. 38.
- LaSor 1985:** W. LaSor, The Sequence of Phonemes in Semitic Roots (Based on Evidence from Arabic), *Hebrew Studies* 26 (1), 71-80, <http://www.istor.org/stable/44898446>.
- Дьяконов 1963:** И. Дьяконов, *Языки древней передней Азии*, Издательство “Наука”, Москва.
- Милитарёв 1973:** А. Милитарёв, Чередуемость и комбинируемость согласных в триконсонантном арабском корне, *сборник статей по восточному языкознанию*, С. 42-62, Москва.
- ЛЭС 1990:** *Лингвистический энциклопедический словарь*, Издательство “Советская энциклопедия”, Москва.

Maia Andronikashvili

The Specificity of Root and Auxiliary Morphs and the Structural Type of Arabic Morphology

Summary

The article discusses the issue of vocalism at the root of the Arabic word. A hypothesis about the participation of vocalism in certain parts of Arabic word roots has been made regarding this problem. In addition, the bifunctional nature of the transfix is noted, on the one hand, as an auxiliary morph and, on the other, as a root morph or its segment.

Cases of partial and complete fusion in this system are also highlighted. They depend on the composition of the consonantal part of the root. The same forms are opposed by non-fusion forms. Their segmentation is possible because they are of agglutination production. Synthetosemy of affixes is considered one of the important features of Arabic morphology as an inflectional type. Its essence lies in the fact that auxiliary morpheme segments in different oppositions, that is, in different groups of parts of speech, are representatives of different categories of grammemes, e.g., -ūna. It is used in both verbs and nouns. In verbs, these

categories are number, gender, and grammatical mood; and in nouns, they are number, case, and status.

Also noteworthy is the tendency to combine words in Arabic regional dialects in pronunciation and graphics. This indicates a shift towards polysyntheticity. On the other hand, the analyticity shown in the verb forms is also significant.

Arabic morphology is also characterized by the simultaneous use of several types of auxiliary morphs to represent any grammeme of one category, e.g., transfix and suffix, or transfix and circumfix, or transfix and prefix. At the same time, in the same form we find the use of consonant gemination to contrast with another form. All of the above point to a complex type of Arabic morphology, which is supported by the presence of such combinatorial sound changes that characterize both agglutinative and inflectional languages.

Also significant is the tendency to combine word boundaries common in Arabic territorial dialects both in pronunciation and writing. All this indicates a certain deviation towards polysyntheticity. On the other hand, certain analyticity in verb forms is also evident.

იაკობ გოგებაშვილის დედაენა: ტიპოლოგიური ანალიზი

ეძღვნება პროფ. ვინფრიდ ბოდერის ხსოვნას

იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მნიშვნელობის წარმოსაჩენად ეფექტურია მისი განხილვა ანბანის შესასწავლად შედგენილი, მსოფლიოში არსებული ნიმუშების ტიპოლოგიური განხილვის ფონზე.

წერა-კითხვის შესასწავლად შექმნილი პირველი ტაბულები (Hornbooks) ევროპაში XV საუკუნიდან ჩნდება. თანამედროვე სახელმძღვანელოების წინამორბედი საკითხავები წარმოადგენდნენ ხის ჩარჩოზე გადაკრულ, საქონლის რქოვანი მასალით დაფარულ თხელ ფირფიტებს, რომლებზეც დატანილი იყო რელიგიური ხასიათის მოკლე ტექსტი, ძირითადად, *მამო ჩვენოს* ლოცვა, თანდართული ასონიშნებით. მოგვიანებით მასალა იცვლებოდა და გამოიყენებოდა: პერგამენტი, მეტალი, ვერცხლი, სპილოს ძვალი და სხვ.

XVIII საუკუნის შუა წლებიდან ჩნდება და XIX საუკუნიდან განსაკუთრებულ პოპულარობას იძენს ე.წ. *კოლანებზე*, მაქმანებზე (Battledores), გამოსახული ანბანის ნიშნები. ამ დროიდან მოყოლებული თანდათან რელიგიური ხასიათის ტექსტები იცვლება საყოფაცხოვრებო სცენების ამსახველი ისტორიებით, ჩნდება ილუსტრაციები; იცვლება მასალაც, ძირითადად იყენებენ მუყაოს – თავდაპირველად სამად გაკეცილი ფლაერის ტიპისას, შემდგომში რამდენიმე ფურცლისგან აკინძულს, რაც სულ უფრო და უფრო ემსგავსება წიგნს.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩნდება ბავშვებისთვის ანბანის შესასწავლად შედგენილი თანამედროვე ტიპის უკვე ბეჭდური სახელმძღვანელოები.

ამ ფონზე, ქართული „საკითხავი წიგნების“ განვითარების მოკლე ისტორიული ექსკურსისათვის ქვემოთ წარმოვადგენთ შემდეგ დადასტურებულ ნიმუშებს:

- 1629 – პირველი სასწავლო დანიშნულების საანბანო გამოცემა, ქართული ანბანი *ლოცვებითურთ*, დაბეჭდილია რომში, „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბაში, იტალიელი მისიონერების მიერ, მხედრული შრიფტით. წიგნი მოიცავს 32 გვერდს. პირველ შვიდ გვერდზე ქართული მხედრული ანბანია დაბეჭდილი, მომდევნო გვერდებზე – ლოცვები, მრწამსი, ათი მცნება და ღვთისმშობლის საგალობელი. ტექსტები წარმოდგენილია ქართულად და ლათინურად. ქართული ტექსტები მოამზადა მეფე თეიმურაზ I-ის ელჩმა, „წმინდა ბასილის ორდენის“ ბერმა, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა – ნიკიფორე ირბანმა. წიგნის ორიგინალი ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასლი – საქართველოს

პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (თამარაშვილი 1902; კაკაბაძე 1929; კეკელიძე 1945; აკოფაშვილი 1977; საითიძე 2011; კეკელიძე 2014).

- 1737 – ქრისტეფორე გურამიშვილი, *რუსულ-ქართული ანბანი*, დაბეჭდილია პეტერბურგში, სამეცნიერო აკადემიის სტამბაში, ახლავს ლათინური ტრანსკრიფციები და შენიშვნები გერმანულ ენაზე. ბერი ქრისტეფორე გურამიშვილი, დავით გურამიშვილის უფროსი ძმა, 1734 წელს სინოდის მიერ მოსკოვიდან პეტერბურგში გაწვეულ იოსებ სამებელს (წილკნის ეპისკოპოსს) გაჰყვა. აქედან იწყება მისი მესტამბეობა. შემდგომში ის მოსკოვში განახლებული სტამბის თვალსაჩინო მოღვაწე გახდა. 1737 წელს ქრისტეფორეს, იოსებ სამებელის სახელით, განცხადება შეაქვს მეცნიერებათა აკადემიაში რუსულ-ქართული ანბანის გამოცემის თაობაზე. თხოვნა დაკმაყოფილდა. ქრისტეფორეს დახმარებით ჩამოასხეს ქართული ნუსხახუცური ანბანის შრიფტი და 32-გვერდიანი სასწავლო მასალა (უთავფურცლო), დაიბეჭდა 500 ეგზემპლარად. გამოცემა დაცულია რუსეთის აკადემიის ბიბლიოთეკაში (კასრაძე 1997; კეკელიძე 2014).
- 1739 – თეოფანე პროკოპოვიჩი, *პირველი სასწავლო ყრმათა*, დაბეჭდილია მოსკოვში, ბაქარ მეფის სურვილით, იოსებ სამებელის ხარჯითა და ქრისტეფორე გურამიშვილის რედაქტორობით. წიგნში მოცემულია *ანბანი, საღვთო რჯულის მცირე განმარტება, ათი მცნება, უფლის სვედრებელი, მრწამსი და ცხრა ნეტარება*. ეს 169-გვერდიანი სასწავლო მასალა, რომელიც დარეჯან ბატონიშვილის მოღარეთუხუცესის, გაბრიელ ჩხეიძის მიერ რუსულიდან არის თარგმნილი, დაბეჭდილია ნუსხახუცურით. გამოცემის მომზადებაში მონაწილეობდა გერმანე ბერი, რომელმაც თარგმანი ქართულ ენაზე გამართა. წიგნი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა, აღრიცხული იყო რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ამ გამოცემის მეორე, უთავფურცლო ეგზემპლარი, რომელიც საქართველოში 1937 წელს ჩამოიტანა ქშშკ საზოგადოებამ, ინახება ეროვნულ ბიბლიოთეკაში. აღწერაში მოხსენიებულია როგორც „შჯული ღმრთისა“. საგამომცემლო მონაცემები მითითებული არ არის (კეკელიძე 2014).
- 1741 – არსებობს ცნობა (წყაროზე მითითების გარეშე), რომ ტრიფილე მწიგნობარ-არქიმანდრიტმა თბილისში გამოსცა *ქართული ანბანი ლოცვებითა და სხვა საეკლესიო კითხვა-მიგებითი ფრაზებით* (კეკელიძე 2014).
- 1743 – იოჰან ფრიდრიხ ფრიტცი, *საანბანო წიგნი*, დაბეჭდილია ლაიფციგში, კრისტიან კესნერის გამომცემლობაში. წიგნში 100 ენის ანბანია წარმოდგენილი. 97-ე გვერდზე მოცემულია ქართული ანბანი ასომთავრული და ნუსხური შრიფტით.
- 1797 – მოზდოკში, გაიოზ არქიმანდრიტის მიერ დაარსებულ ქართულ სტამბაში დაიბეჭდა ქართული *საანბანო* სასწავლო მასალა: *ანბანი, ლოცვანი, მოკლე საქრისტიანო სწავლა*. გამოცემა 16-გვერდიანია. წარმოდგენილია ქართული დამწერლობის სამივე სახეობა – ასომთავრული, ნუსხური და მხედრული. შრიფტი დაამზადა რომანოზ რაზმაძე-ზუბაშვილმა. დაიბეჭდა 600 ერთეულზე

მეტი. წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. დაცულია მხოლოდ პეტერბურგში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში (კეკელიძე 2014).

დამოუკიდებელი საანბანო სახელმძღვანელოების გარდა, ქართული ანბანის ნიმუშები ჩართულია სხვა ძველნაბეჭდ გამოცემებშიც.

რაც შეეხება იაკობ გოგებაშვილის პირველ სასწავლო სახელმძღვანელოს – „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის შედგენილი“ – პირველად გამოიცა 1865 წელს, როცა გოგებაშვილი 25 წლის იყო. წიგნი მეორედ გამოიცა 1867 წელს, მესამედ – 1868 წელს, მეოთხედ – 1869 წელს. წიგნის პირველი გამოცემის ორიგინალი, რომელიც დაცული იყო ეროვნულ ბიბლიოთეკაში, სამწუხაროდ, დაკარგულია. აღნიშნული სახელმძღვანელოს გამოცემა არსებითი ცვლილებების გარეშე გრძელდებოდა 1876 წლამდე. ი. გოგებაშვილის „დედაენა“, დაწყებული „აი ია“-თი, მზად იყო 1875 წელს, მაგრამ გამოიცა 1876 წელს.

ამ პერიოდში ისეთი სახელმძღვანელო, როგორიც არის ი. გოგებაშვილის „დედაენა“, რუსულ ენაზე არ იძებნება. რუსეთი, ძირითადად, მიჰყვებოდა დასავლეთის ვითარებას. პირველ თვალსაჩინოებად ითვლება 1574 წელს შედგენილი ივანე ფიოდოროვის ე.წ. „ლვოვის“ ანბანი. 1634 წელს მოსკოველი მბეჭდავის, ბურცოვის, მიერ პირველად იბეჭდება *Азбука*, რომელიც ხელმეორედ გამოდის 1637 წელს – ე.წ. „ანბანები ფურცელზე“ (8-განაკვეთიანი); თანამედროვე ტიპის სახელმძღვანელოს ავტორია კ. უშინსკი (1864 წელი).

რაც შეეხება ევროპულ ენებს, ი. გოგებაშვილი „დედაენის“ გამოსვლიდან მხოლოდ 4 წლის შემდეგ გასცნობია გერმანიაში გამოცემულ სახელმძღვანელოებს (ი. გოგებაშვილი, „ივერია“, 1881).

„დედაენის“ შექმნის დროს ერთად მოქმედებდნენ ჩემი ქართული გონება და ჩემი ქართული გენიო – წერს ი. გოგებაშვილი. ამ „გონება-გენის“ ამოსაცნობად აუცილებელია „დედაენის“ სტრუქტურული ანალიზი სხვა მსგავსი ნიმუშების ტიპოლოგიური ანალიზის კრილში: რით არის განსხვავებული და გამორჩეული გოგებაშვილის „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის შედგენილი“ (1865), რომელიც მოგვიანებით „დედაენის“ საფუძველი გახდა?

უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვკვეთოთ გოგებაშვილის „დედაენის“ შედგენის პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ მის სტრუქტურას:

- (1) რელიგიური თემებიდან საყოფაცხოვრებო თემებზე გადასვლა;
- (2) ილუსტრაციების უხვი გამოყენება თვალსაჩინოებისათვის;
- (3) ნაცნობიდან უცნობზე, ადვილიდან ძნელზე, მარტივიდან რთულზე თანდათანობითი გადასვლა;
- (4) *წერა – კითხვის* ხერხის ნაცვლად *კითხვა – წერის* ხერხის გამოყენება;
- (5) ანალიზური პრინციპის წინ წამოწევა და სინთეზურთან კომბინირება:

ფრაზა სიტყვა მარცვალი ბგერა (ანალიზი)

ბგერა მარცვალი სიტყვა ფრაზა (სინთეზი)

(6) აკროფონიული (resp. ასო-ბგერის იდეოგრაფიული გაიგივება სიტყვის საწყის ბგერასთან) პრინციპისგან თანდათანობითი გათავისუფლება და მნემონიკურ (resp. ადვილად დასამახსოვრებელ) ხერხებზე ნაწილობრივი უარის თქმა.

ეს პრინციპები მთლიანობაში ასახავს „საკითხავი წიგნების“ შედგენის პრაქტიკის დახვეწა-განვითარების ტიპოლოგიურად მსგავს პროცესებს. რაც შეეხება მე-(4), მე-(5) და მე-(6) პრინციპებს, ისინი საკუთრივ გოგებაშვილის უმნიშვნელოვანეს მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს, რაც „დედაენას“ საკითხავი წიგნების შედგენის გამორჩეულ პრაქტიკად აქცევს. ეს თავისებურება, თავის მხრივ, განპირობებულია ქართული დამწერლობის მკაცრად ფონოლოგიური ხასიათით. კერძოდ, კითხვისას მეოთხე და მეხუთე პრინციპების ამოქმედება შესაძლებელია მხოლოდ ისეთ წერით სისტემებში, სადაც ანბანები შედგენილია ფონოლოგიური პრინციპით, ანუ მიმართება გრაფება $\longleftrightarrow$ ფონება ცალსახაა, და გართულებულია ისეთი სისტემების დასასწავლად, სადაც ეს ცალსახობა, დიაქრონიული პროცესებისა თუ სტრუქტურული თავისებურების გამო, დარღვეულია. მაგალითად, ინგლისური ენის სიტყვის she სწორი ამოკითხვა შეუძლებელია, თუ წინასწარ არ ვიცით, რომ გრაფმათა მიმდევრობა s-h ინგლისურში იკითხება როგორც *ჰ*. ასეთი წერითი სისტემების შემთხვევაში, *კითხვის* პრაქტიკას ვერ განვავითარებთ, თუ წინასწარ *წერის* პრაქტიკა არ დავენერგეთ. ეს კი უფრო რთული პროცესია, რამდენადაც, როგორც ფსიქოლოგიური კვლევები მოწმობს, კითხვისას უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სემანტიკური პრინციპი: როგორც წესი, სიტყვის საწყისი ასო-ნიშნების ამოკითხვის შემდეგ ჩვენ, ჩვენი ცოდნა-გამოცდილებიდან და კონტექსტიდან გამომდინარე, წინსწრებით „ამოვიკითხავთ“ ხოლმე მთლიან სიტყვას, რაც, ბუნებრივია, კითხვის და ასო-ნიშნების დამახსოვრება-დასწავლის პროცესს აჩქარებს.

ასევე, ანბანის ათვისებისათვის უადრესად მნიშვნელოვანია სახელმძღვანელოში მე-(6) პრინციპის ამოქმედება, რამდენადაც მოსწავლე თანდათანობით ეჩვევა იმ ფაქტს, რომ ანბანის გრაფიკული გამოსახულება პირობითად და არა იდეოგრაფიულად მიემართება იმ ფონემას, რომელსაც ის აღნიშნავს. ამ ფაქტის გასათვალისწინებლად უმნიშვნელოვანესია აკროფონიული და მნემონიკური ხერხებისგან, ანუ ხატოვან პრინციპზე მიჯაჭვულობისგან, თანდათანობითი გათავისუფლება, რომლებიც საწყის ეტაპზე კი ამარტივებენ ასო-ნიშნების დამახსოვრების პროცესს, თუმცა, საბოლოოდ, აბრკოლებენ ანბანის ასო-ნიშნების პირობითი ხასიათის გააზრებას, რაც მთლიანი პროცესის მუხრუჭადაც კი იქცევა.

ი. გოგებაშვილის *დედაენის* ანალიზისას ეფექტური ჩანს ზოგად ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული თეორიების ფარგლებში შემუშავებული ორი დებულების აქტუალიზება: 1. წერითი პრაქტიკა არის დამწერლობის სემიოტიკურ სისტემაზე დაფუძნებული გამოცდილება; 2. კაცობრიობის ენობრივი შემეცნების ფილოგენეტიკური განვითარების ეტაპები, როგორც წესი, აისახება ბავშვის ონტოგენეტიკურ ენობრივ განვითარებაში.

საზოგადოდ, წერა ენობრივი გამონათქვამების გრაფიკული კოდირებაა ვიზუალური ნიშნებით (resp. გრაფემებით). გრაფემებს შორის გარკვეული მიმართებები არსებობს, რაც ქმნის დამწერლობის სემიოტიკურ სისტემას, სადაც გრაფიკულ ნიშანს (resp. გრაფემას) აქვს თავისი შინაარსისა და გამოხატულების პლანები.

შინაარსის პლანის მიხედვით, გამოიყოფა დამწერლობათა ორი ძირითადი ტიპი: სემიოგრაფიული და ფონოგრაფიული. პირველი გულისხმობს მთელი სიტუაციების ან ცალკეული ცნებების კოდირებას, ხოლო მეორე – ენის ბგერითი მხარის (სიტყვათა ჟღერადობის, მარცვლების, ბგერების) კოდირებას.


გამოხატულების პლანის მიხედვით, გრაფიკული ნიშანი შეიძლება იყოს: (1) იკონური, ანუ გრაფემა გრაფიკულად „ჰგავდეს“, იყოს ვიზუალური „ხატი“, ანაბეჭდი აღსანიშნავი ცნების შესატყვისი რეალური ობიექტისა (resp. პიქტოგრაფია); ან (2) პირობითი, ანუ გრაფემის ვიზუალური სახე (resp. აღმნიშვნელი) პირობითად იყოს დაკავშირებული სათანადო ცნებით კატეგორიასა (resp. იდეოგრაფია) თუ ბგერით სუბსტანციასთან (resp. ფონოგრაფია).

დამწერლობის ისტორიული განვითარება შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც ევოლუციურ-რევოლუციური პროცესი, რომლის დროსაც წერითი სისტემები თანმიმდევრულად გაივლიან რამდენიმე ეტაპს:

პიქტოგრაფიული → იდეოგრაფიული → ფონოგრაფიული
(resp. ლოგოგრაფიული → სილაბოგრაფიული → სილაბურ-კონსონანტური → ანბანური).

ეს ეტაპები ასახავენ დამწერლობის განვითარებას ორი ურთიერთგადამკვეთი მიმართულებით: ერთი მხრივ, მთლიანი ინფორმაციის, ტექსტის აღნიშვნიდან ინფორმაციის დანაწევრების მეშვეობით ბგერა-ფონემამდე; და, მეორე მხრივ, ხატოვანი პრინციპიდან პირობით გრაფიკულ გამოსახულებაზე გადასვლამდე. სქემატურად ეს პროცესი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ფიგურების სახით:

პიქტოგრამა → იდეოგრამა → ლოგოგრამა → სილაბოგრამა → სილ./კონს.



თუ „დედაენის“ გაკვეთილების სტრუქტურას დამწერლობის განვითარების ზემოთ წარმოდგენილ საფეხურებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ, ფაქტობრივად, სახეზეა დამწერლობის ისტორიული განვითარების ეტაპების იზომორფული გარდასახვა მოზარდთა მიერ დამწერლობის ათვისების პროცესზე: „დედაენის“ შემქმნელი, იაკობ გოგებაშვილი, ყოველი ახალი ასო-ბგერის შემოტანისას გასაოცარი ინტუიციის წყალობით მიჰყვება წერით სისტემათა ცვლილებების ზემოთ ჩამოთვლილ ეტაპებს.

კერძოდ, კითხვის სწავლებისას იაკობ გოგებაშვილი ყოველ გაკვეთილში ყმაწვილებს თავდაპირველად სთავაზობს ნიშნის იკონურ გამოსახულებას, ნახატს, მაგალითად, „თითის გამოსახულებას“ (= პიქტოგრაფია).

შემდეგ იძლევა ერთიანად დაწერილ სიტყვას „თითი“, რაც, ფაქტობრივად, იდეოგრაფიული დამწერლობის მეორე ეტაპის პირობით გრაფიკულ გამოსახულებას წარმოადგენს და ბავშვისთვის თანდათან ლოგოგრამის შინაარსს იძენს (=იდეოგრაფია → ლოგოგრაფია): როგორც წესი, მოსწავლეები ერთიანად დაწერილ სიტყვას „კითხულობენ“ როგორც ლოგოგრამას, იმის შესაბამისად, თუ ნახატზე მოცემული საგნის დასახელების რა ცოდნა-გამოცდილება აქვთ, რაც გარკვეულ შემთხვევებში აცდენილია სასწავლო მასალით ნავარაუდები დასახელებისგან.

ამის შემდეგ მოცემულია სილაბური წაკითხვა, ანუ სიტყვა დამარცვლილია: „თი - თი“ (=სილაბური დამწერლობა).

კითხვისას, განსაკუთრებით მოზარდებში, თავს იჩენს ე.წ. სილაბურ-კონსონანტური ეტაპიც: მოსწავლეებს უჭირთ ხოლმე „თი“, „თა“ მარცვლოვანი გრაფიკული ნიშნების ხმოვნების მიხედვით დიფერენცირება და ხშირად ურევნენ ერთმანეთში ამ მარცვალთა არა თანხმოვნით, არამედ ხმოვნით ნაწილს (=სილაბურ-კონსონანტური დამწერლობა).

და ბოლოს, ი. გოგებაშვილი ნიშნის გამოხატულების პლანის შემდგომი დანაწევრებით იძლევა შესაბამისი სიტყვის ბგერით (ფონემურ) ღონეზე დიფერენცირებას, რაც გრაფიკულად გამოცალკევებული ასო-ნიშნებით მიეწოდება ბავშვებს: „თ - ი - თ - ი“. ამ დროს ყოველი გრაფემა ცალკეულ ფონემას შეესაბამება (=ანბანური დამწერლობა).

მთელი ეს პროცესი აადვილებს ნიშნის აღქმის, გააზრებისა და დამახსოვრების პროცესს მოზარდებში.

შეიძლება ითქვას, რომ, იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ სტრუქტურის მიხედვით, ბავშვის მიერ დამწერლობის ათვისების პროცესი, გარკვეული აზრით, ასახავს ისტორიულად დადასტურებულ დამწერლობათა განვითარების ძირითად ხაზს.

ეს მოკლედ წარმოდგენილი დაკვირვებები შეიძლება შევაჯამოთ ზოგადი დასკვნით:

ი. გოგებაშვილის „დედაენას“ სხვა, იმ დროს არსებული სახელმძღვანელოებისგან გამოარჩევს მისი შედგენის პრინციპები და სტრუქტურა, რაც, თავის მხრივ, ქართული დამწერლობის სპეციფიკით, მისი მკაცრი ფონოლოგიურობით არის განპირობებული

და ასახავს ბავშვის მიერ დამწერლობის ათვისების ონტოგენეტური ეტაპების იზომორფულ მიმართებას ზოგადად დამწერლობის ისტორიული განვითარების ფილოგენეტურ საფეხურებთან; ეს კი იაკობ გოგებაშვილის არა მხოლოდ ქართულ „გონება-გენზე“, არამედ მის შინაგან ალლო-ინტუიციამზე მეტყველებს.

ლიტერატურა

- აკოფაშვილი 1977:** გ. აკოფაშვილი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი – ნიკიფორე ირბახი (XVII), თბილისი.
- თამარაშვილი 1902:** მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი.
- გამყრელიძე 1988:** თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თსუ, თბილისი.
- გოგებაშვილი 1881:** ი. გოგებაშვილი, დედაენა, „ივერია“, თბილისი.
- კაკაბაძე 1929:** ს. კაკაბაძე, ქართული წიგნის ბეჭდვის 300 წლის იუბილესთვის, ქართული მწერლობა, N 8-9, თბილისი.
- კასრაძე 1997:** ო. კასრაძე, ქართული წიგნის ბეჭდვა-გამოცემის ძველი ოსტატები: ქრისტეფორე გურამიშვილი, ნარკვევები ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან, თბილისი, 333-335.
- კეკელიძე 2014:** გ. კეკელიძე, როგორ მივედით დედა ენამდე XVII-XVIII სს., ლიბერალი, 29 ოქტომბერი, 58-61.
- კეკელიძე 1945:** კ. კეკელიძე, ნიკიფორე ირბახი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი.
- კიკნაძე 1990:** ზ. კიკნაძე, იაკობ გოგებაშვილის დედაენა, იაკობის სამრეკლო, „განათლება“, თბილისი: 183-204.
- რამიშვილი 1990:** ვ. რამიშვილი, იაკობ გოგებაშვილის დედანი ქართული წერისა, იაკობის სამრეკლო, „განათლება“, თბილისი, 224-255.
- საითიძე 2011:** გ. საითიძე, „ღირსი ყოვლისა სიკეთისა“ (ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი – ნიკიფორე ირბახი), დიდნი საქმენი, თბილისი, 300-304.
- უთურგაიძე 1999:** თ. უთურგაიძე, ქართული ენის შესწავლის ისტორია, ნაწილი I, „ქართული ენა“, თბილისი.

Rusudan Asatiani, Marine Ivanishvili

Iakob Gogebashvili's Dedaena: Typological Analysis

Summary

The first tables for studying reading and writing (Hornbooks) appeared in Europe in the 15th century. The predecessors of modern ABC books were thin plates covered with cow horn material on a wooden frame, to which letters and signs were attached by a short text of a religious nature, mainly the Our Father prayer. Later, the material was changed to parchment, metal, and ivory.

The alphabet symbols displayed on the so-called Volans (Battledores) appeared in the middle of the 18th century. From the 19th century, they gained popularity. From this time onwards, religious texts were gradually replaced by stories depicting domestic themes illustrated by paintings. The material also changed, and mainly cardboard was used – initially in the form of a trifold flyer, it was bound from several sheets, which more and more resembled a book.

From the 80s of the 19th century, printed textbooks of a modern type have been created for children to learn the alphabet.

Iakob Gogebashvili first published “Georgian Alphabet and the First Reading Book Compiled for Students” in 1865, when he was 25 years old. The book was published for the second time in 1867, and for the third time in 1868, and the fourth time in 1869. The first edition of the book is unfortunately lost. The publication of the mentioned manual continued until 1876 without significant changes. Gogebashvili’s “Dedaena” starting with the minimalist sentence “Ai ia.” (Here is a violet.) was ready in 1875, but it was published in 1876.

The structural analysis of the “Dedaena” is based on the theories established in general linguistics: 1. Writing is a graphic coding of the language, and it is a semiotic system, where a graphic sign (resp. grapheme) is a symbiotic whole of content and expression; and 2. The stages of the phylogenetic development of human language cognition are reflected in the ontogenetic language development of the child.

Gogebashvili’s “Dedaena” is distinguished from other textbooks available at that time by the principles and structure of its compilation, which, in turn, is determined by the specificity of the phonological character of the Georgian alphabet and reflects the isomorphic relationship between the ontogenetic stages of a child’s acquisition of a script and the phylogenetic stages of the historical development of a writing system in general, which shows Gogebashvili’s inner intuition.

ფრანგული საგაზეთო ტექსტის კომპარატიული ფრაზეოლოგიური ერთეულები

ნაშრომის მიზანია ფრანგული საგაზეთო ტექსტის ხშირ კომპარატიულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა გამოვლენა და ანალიზი. კვლევის მასალად გამოყენებულია 1200 კომპარატიული ფრაზეოლოგიური ერთეული, საფრანგეთის თანამედროვე პერიოდული პრესიდან (2000–2015 წლები): *L'Express*, *La Libération*, *Le Monde*, *Le Nouvel Observateur*, *Le Point*. ხშირი კომპარატიული ფრაზეოლოგიური ერთეულებიდან ყველაზე მეტად გვხვდება შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულები: **croire dur comme fer** – ‘რკინასავით მძიმედ მიჩნევა’ (45 შემთხვევა), **comme un fou** – ‘გიჟივით, სულელივით’ (40 შემთხვევა), **pousser comme des champignons** – ‘სოკოსავით იზრდება’ (28 შემთხვევა), **se vendre comme des petits pains** – ‘ადვილად გასაყიდი საგნები’ (27 შემთხვევა), **se réduire comme une peau de chagrin** – ‘მცირდება როგორც შაგრენის ტყავი’ (24 შემთხვევა), **aller comme un gant** – ‘კარგად მორგება’ (23 შემთხვევა), **être comme un poisson dans l'eau** – ‘ისე ყოფნა, როგორც თევზი წყალში’ (22 შემთხვევა), **comme un seul homme** – ‘როგორც მართლმადიდებელი კაცი’ (22 შემთხვევა), **connaître comme sa poche** – ‘თავის ჯიბესავით იცნობს’ (18 შემთხვევა), **comme un diable** – ‘ემშაკივით’ (18 შემთხვევა).

საგაზეთო ტექსტში ამ კომპარატიულ ფრაზეოლოგიზმთა გამოყენების მაღალი სიხშირე შეიძლება აიხსნას შემდეგი ფაქტორებით:

1. კომპარატიული ფრაზეოლოგიური ერთეულის სიგნიფიკატორული მნიშვნელობის სიფართოვე. კვლევამ აჩვენა, რომ მაღალი სიხშირის კომპარატიული ფრაზეოლოგიური ერთეულები შეიძლება ჩაერთოს ნებისმიერი თემატიკის ტექსტში: პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, სპორტი;

2. კომპარატიულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ფართო დისტრიბუცია. კომპარატიულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა უმეტესობას შეუძლია დაახასიათოს როგორც კონკრეტული საგნები, ასევე აბსტრაქტული ცნებებიც, როგორც სულიერი, ასევე არასულიერი საგნებიც;

3. კომპარატიული ფრაზეოლოგიური ერთეულების რეალიზაციის შესაძლებლობა ოკაზიონალურ ფრაზეოლოგიურ კონფიგურაციაში. კონტექსტუალური გარემოცვის გავლენით, კომპარატიულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს შეუძლია გააძლიეროს გამონათქვამის ექსპრესიულობა, შეფასება და ემოციურობა. ოკაზიონალური აქტუალიზაცია გვაუწყებს ახალ აზრებს, აძლიერებს საგაზეთო ტექსტის პრაგმატიკულ მიზანდასახულობას. ტრადიციულ სამეცნიერო კლიშეებში კომპარატიული

ფრაზეოლოგიური ერთეულები კონტექსტის ზემოქმედებით ახალისებს შინაგან ფორმას, რაც ქმნის განსაზღვრულ სტილისტიკურ ეფექტს (კალამბური, იუმორი, ირონია და ა.შ.);

4. **სიტუაციური შეფასებები.** კომპარატიულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა უმეტესობას შეუძლია მოიპოვოს საკუთარი კონოტაციური შემფასებელი მნიშვნელობა (დადებითი ან უარყოფითი) კონტექსტში;

5. **გრამატიკული სტრუქტურა.** ყველა ორკომპონენტიანი კომპარატიული ფრაზეოლოგიური ერთეული ვერბალურია, ერთკომპონენტიანები კი, უმეტესად, ზმნური შედარებითი კონსტრუქციის ნაწილს შეადგენენ. ეს ტენდენცია აიხსნება იმით, რომ საგაზეთო ტექსტის პრაგმატიკული თავისებურებანი მიმართულია მკითხველის ინფორმირებისაკენ. ვერბალური კომპარატიული ფრაზეოლოგიური ერთეულები გამოიყენებიან მოვლენის გადასაცემად, ადიექტიურები კი მათ აღწერენ და აფასებენ.

განვიხილოთ, როგორ მუშაობს ეს ფაქტორები კონკრეტული მაგალითებით ხშირი კომპარატიული ფრაზეოლოგიური ერთეულების გამოყენების დროს. კომპარატიული ფრაზეოლოგიური ერთეულები სიტუაციური შემფასებელი კონოტაციური მნიშვნელობით – **pousser comme des champignons** – ‘სოკოებივით გაზრდა, საფუარივით გაზრდა’ – გამოიყენება მშენებლობის ტემპების მიმართ (*s’accroître, se développer, en parlant de villes, de constructions* – გაზრდა, გაფართოება, განვითარება ქალაქებისა და მშენებლობებისა). უმეტეს შემთხვევაში, რომლებშიც წარმოდგენილია ეს კომპარატიული ფრაზეოლოგიური ერთეული, დაკავშირებულია მშენებლობასთან (ახალი ტერიტორიების ათვისება, ბიზნესის სფეროს გაფართოება და ა.შ.). მაგალითად, ტურისტული ბიზნესის უჩვეულოდ სწრაფი ტემპების ზრდა გაერთიანებულ არაბულ ემირატებში, სადაც ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის სწრაფად ააშენეს მაღაზიები, გასართობი ცენტრები და ა.შ.: *Ce paradis pour architectes est en effet passé à la vitesse supérieure ces deux dernières années. Car, en misant sur le tourisme, Dubaï n’a pas fait les choses à moitié. Pour accueillir les vacanciers, la ville s’est immédiatement lancée dans l’édification de résorts, gigantesques complexes de loisirs et de shopping, qui poussent comme des champignons. Aujourd’hui, une centaine de projets y prennent forme, dont 25 hôtels cinq étoiles, qui s’ajouteront aux 265 établissements déjà existants (L’Express international, 2003).* კომპარატიული ფრაზეოლოგიური ერთეულის დახმარებით, **pousser comme des champignons**, ასევე მეტაფორითა და ჰიპერბოლით (**ce paradis pour architectes, à la vitesse supérieure, miser sur le tourisme, se lancer immédiatement, gigantesques complexes**) ჟურნალისტი ქმნის დადებით ხატს, რომ ღუბაიში დინამიკურად იფურჩქნება ტურიზმი და აქცენტს აკეთებს მშენებლობის რეკორდულ ტემპებსა და მშენებლობაზე. თანამედროვე პრესაში კომპარატიული ფრაზეოლოგიური ერთეული **pousser comme des champignons** ‘სწრაფად წარმოჩენა/გაჩენა’ უფრო ფართო გამოყენებისაა და უკავშირდება მშენებლობასა და

ბიზნესს. მაგალითად: Les Britanniques n'ont pas besoin de courir les plateaux de télé pour être filmés... Ils le sont en moyenne plus de 500 fois par semaine, un record mondial! A Londres, les caméras poussent dans les rues, les métros ou les bus, comme des champignons. Et les récents attentats contre intérêts britanniques à l'étranger ne devraient pas contribuer à inverser cette tendance (L'Express international, 2003). სახუმარო-ირონიული მანერით ჟურნალისტი ჰყვება იმ უსაფრთხოების ზომებზე, რომლებსაც ითვალისწინებენ ლონდონში, ტერორისტულ აქტთა აცილების მიზნით. სტატიაში გამოყენებულია მეტაფორა და ჰიპერბოლა (ne pas avoir besoin de courir les plateaux de télé pour être filmés, plus de 500 fois par semaine, un record mondial), რომლებიც ეხმარებიან მშვიდობიან მოსახლეობას დაძაბულობის მოხსნაში.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ხშირი კომპარატიული ფრაზეოლოგიური ერთეულები წარმოადგენენ რეპროდუქციულ ექსპრესიულ ენობრივ საშუალებებს თანამედროვე ფრანგულ საგაზეთო ტექსტში. მოცემულ კომპარატიულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ფუნქციონირება, მათი პრაგმატული მნიშვნელობის აქტუალიზაცია ურთიერთგანპირობებულია.

ლიტერატურა

Dictionnaire des expressions et locutions, Sous la direction de A. Rey, Paris 2002.

Le Petit Robert: Dictionnaire alphabétique et analogique de la langue française, Sous la direction de A. Rey, Paris 2017.

Tsiuri Akhvlediani, Maria Burchak-Abramovichi

Comparative Phraseological Units in French Journalistic Texts

Summary

The research describes the structural-semantic particularities of frequent comparative phraseologies in French journalistic texts. The analysis of statistical data showed that the most used comparative phraseological units express certain similar characteristics: wide significant value, wide distribution, the possibility of realization of comparative phraseological units in occasional phraseological configuration, evaluative situational meaning, common grammatical structure. Frequent comparative phraseological units belong to the reproductive-expressive means of contemporary journalistic texts.

ზურაბ პარათიშვილი, ივანე ლეშავა

რუსულიდან ქართულში ნასმესები სიტყვების ფონეტიკური ანალიზი¹

ახალ ქართულში სესხების ძირითადი წყარო უკანასკნელ დრომდე რუსული ენა იყო. ნასესხობები რუსულიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან რუსული ყრუ ხშულ-მსკდომი არ არის არც მკვეთრი (resp. გლოტალიზებული) და არც ფშვინვიერი, ამიტომ ქართულთან მათი შეთანადება საინტერესოა ქართული ხშულ-მსკდომი თანხმოვნების მახასიათებლების გარკვევისათვის.

ქართულ ფონეტიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „რუსული **კ-ტ-ძ**-ს ჩვეულებრივი მოადგილე ქართულში არის **ქ-თ-ფ**“ (ახვლედიანი 1999:370) და „რუსული ყრუ ხშული თანხმოვნები უფრო ახლოს დგანან ქართულის ფშვინვიერ თანხმოვნებთან, ვიდრე ქართულის აბრუპტივებთან“ (იქვე:162). მაგალითები: *ლაქია* (*лакей*), *დურაქი* (*дурак*), *ლაქი* (*лак*), *პლატუქი* (*платок*), *სალფეთქი* (*салфетка*), *სტაქანი* (*стакан*), *ტალერქი* (*тарелка*), *ქართოფილი* (*картофель*), *ქაში* (*каша*), *ქუჩერი* (*кучер*), *ქუხნა* (*кухня*), *ჩოთქი* (*щётка*), *ჩულქი* (*чулки*); *ბოთლი* (*бутыл*), *თოთა* (*тётя*), *თულუფი* (*тулуп*), *სალდათი* (*солдат*); *ფეჩი* (*печь*), *ფარიზი* (*Париж*), *ფოფოღია* (*попадня*), *ლაფათქა* / *ლაფატქა* (*лопатка*), *ლამფა* (*лампа*), *აკოფი* (*окош*), *სუფი* (*суп*), *ფოშტა* (*почта*), *ფუთი* (*пуд*) (იქვე: 366-369).

ქართულის დიალექტებში რუსული ყრუების გადმოცემის მაგალითები:

კახურ-ქიზიყური – *რეიკა* (*рейка*), *პრიკაზი* (*приказ*), *ნინუტი* (*минута*), *სტოლბა* (*столб*), *კალხოზი* (*колхоз*), *ზაპასი* (*запас*), *პეტრუშკა* (*петрушка*), *ატკაზი* (*отказ*), *აკოშკა* (*окошко*), *რამკა* (*рамка*), *პადვალი* (*подвал*), *ტაჭკა* (*тачка*), *პლატოკი/პლატუკი* (*платок*), *პოლი* (*пол*), *გაპოლილი*; **ქართლური** – *სალდათი* (*солдат*), *ტაჩკა* (*тачка*), *ზაპასი* (*запас*), *ბოჩკა/ბოჭკა* (*бочка*), *დოხტური* (*доктор*), *სტაქანი* (*стакан*), *იაშიკი* (*ящик*), *კარანტინი* (*карантин* „კარანტინი“), *პერო* (*перо*), *პეტრუშკა* (*петрушка*), *სტოლი* (*стол*), *პოვერი* (*повар* „მზარეული“), *ლილეინკა* (*линейка* „გრძელი ეტლი“), *ლენტა* (*лента*); **გურული** – *აკოშკა* (*окошко*), *ქუხნა* (*кухня*), *სტოლი* (*стол*); **იმერული** – *ხლაფორთი* (*хлопоты*), *სტრაფილი* (*стропило* „სახურავის ძელი“), *კაჭკა* (*тачка*), *ბოჭკა* (*бочка*), *ფეჩი* (*печь*),

¹ წაკითხულია მოხსენებად ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე, 12 აპრილი, 2024, თსუ, თბილისი.

კასრული (кастрюля); ლენსუმური – ოტკა (водка), პიტონიკი (питомник „სანაშენე“), გაკრასკული (краска „საღებავი“), ფეჩი (печь); აჭარული – ოტკა (водка), კანცალაია (канцелярия), პიჭკა (спичка), ტოლგი (торг „ვაჭრობა“); მთიულური – სენოტი (сенат „მოსამართლეები“), ტარელკები/ტალერკები (тарелка), ტაროსტა/ტარასტა (староста); გუდამაყრული – დაბრაკეს (брак „წუნი“); ხევსურული – პრაგოჭიკი (переводчик „ქომაგი“), პრაკული (прокурор „პროკურორი“), პრისტავი (пристав); მოხური – კალაჩი (калач), ყურიანი პურის კვერი, კარტოხაი (картошка „კარტოფილი“); თუმური – პლაში (плащ), ატკაზდაკვრა (отказ „უარი“); ფშაური – პრიჭკაი (спичка), კარტობილი (картофель); ჯავახური – მინუთი (минута), საფუკი (сапог), ფეჩატი (печать), კრუშკა (крушка); მესხური – ატკაზი (отказ), კუკლა (кукла), სფიჩქა (спичка); რაჭული – კრასკა (краска), კასრული (кастрюля), ფიჩკა (спичка), ჩლუქი (чудки).

საინტერესოა, რომ აფხაზურსა (ლომთათიძე 1954:22) და ადიღურში (Шагиров 1962:157-175) რუსული ყრუები, როგორც წესი, ფშვინვიერებით არის გადმოცემული, ხოლო ყაბარდოულში (Шагиров 1962:57-175) ისინი გადმოიცემა მკვეთრებით, რაც შეიძლება აიხსნას ყაბარდოული მკვეთრების გლოტალიზაციის დაბალი ხარისხითა და/ან ფშვინვიერთა ძლიერი ასპირაციით.

აღსანიშნავია, რომ სასაუბრო ქართულში ჯერ კიდევ ძალიან ბევრი (დაახლოებით ათასამდე) რუსული ბარბარიზმია; ეს, ძირითადად, საყოფაცხოვრებო ნივთების, ტექნიკური ტერმინებისა და იარაღების ლექსემებია – კრანი, კუსაჩკა, მაიკა, ბაროკი... (ბარბარიზმების ლექსიკონი <https://barbarisms.ge/>).

რუსული ყრუების ქართული მკვეთრებით გადმოტანის მრავალი მაგალითია მოცემული ოთარ მიქიაშვილის მონოგრაფიულ გამოკვლევაში „ახალი ქართული ენის ჩამოყალიბების ისტორიისათვის (რუსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობათა ასპექტები)“ (მიქიაშვილი 2005).

სოჭის ქართველთა მეტყველებაში უფრო ხშირად რუსული ყრუები მკვეთრებით გადმოღის: ჩორნაპუზი, იოლკა, კაზიონი, პაჩინიონი, პლიონკა, კლუჩი, კრუჩოკი, შეკლურე („ჩართე“), კუხნა, დესეტინა, ტრიაპკა, ტილივიზორი, პიხოტა, კრასნი, ჟოლტი, აკრუჟენია, აკაჩეებენ (качают), ტუმბურკა, ჟეშტი, კავკასკი გრანიცა, მიკამანდროს, პუდოვოი გირა, დვაცატი შკოლაში, ფჩოლნი მაღაკო, გრაჟდანსკი, ვეჩნი პასელენია, სანკები, პრაგულკაზე, კალხოზი, სტოლბა, ატაჟი (этаж), გაგაზამსკე, პრობა, ვოდკა, დაპაჩინება, პადვალი, პალატკა, ისოვეტეს; თუმცა არის შემთხვევები, როდესაც რუსული ყრუები ფშვინვიერებით გადმოღის: ქშილევსკი, ქირქიზები (киргизы), დაქუმენტი, უზბეკები, კაზაქები, ქაბარდინსკი, ბათალიონი, ბათინკები, თურეცკი, რემათიზმი, კამფოტი („კომპოტი“), ცეფი (цепь), პრითსიდატელი, ქურერი. ამრიგად, სოჭის მეტყველებაში საკმაოა ფშვინვიერებით გადმოცემული ფორმები, მაგრამ მკვეთრებით გადმოცემა გაცილებით სჭარბობს. (მიქიაშვილი 2005:186-195).

ასე რომ, ქართულში რუსულიდან შემოსულ სიტყვებში (განსაკუთრებით დიალექტურსა და ტექნიკურ ლექსიკაში) რუსული ყრუ მსკდომი თანხმოვნების მკვეთრებით გადმოცემის (როგორც წერილობით ისე წარმოთქმით) შემთხვევები განუზომლად ბევრია. ამ თავისებურების ასახსნელად გ. ახვლედიანის მიერ დასახელებულია ოთხი ფაქტორი:

1. ისტორიული – ბგერათა სისტემის თანდათანობითი ცვლილება რუსულის გავლენით. გ. ახვლედიანი თვლის, რომ ქართველი ინტელიგენციისათვის რუსული ენის სასაუბრო ენად ქცევამ გავლენა მოახდინა ქართული ბგერების წარმოთქმაზე: მისი დაკვირვებით, „ქართულმა **კ-ტ-პ**-მ თავისი მკვეთრი ხასიათი თანდათან იცვალა მათ წარმოთქმაში და რუსულის **К-Т-П**-ს დაემსგავსა. ამიტომ ხდებოდა, ჩვენი აზრით, რომ რუსული **К-Т-П** ქართულში ჩვეულებრივ **კ-ტ-პ**-ს სახით გადმოდიოდა; უწინ კი, როცა ქართულ მკვეთრთა ბუნება დაცული იყო, **კ-ტ-პ** არ უდგებოდა რუსულ **К-Т-П**-ს და ამიტომ **ქ-თ-ფ**-ს სახით გადმოდიოდა. ხალხში ნამდვილი მკვეთრებია შემონახული; ამიტომ, თუ თვით ხალხი (რუსულის ნაკლებმცოდნე) ისესხებს **К-Т-П**-ს მქონე სიტყვებს, უმეტესად წარმოთქვამს მათში **ქ-თ-ფ**-ს“ (ახვლედიანი 1999:366).

მამასადამე, გ. ახვლედიანის აზრით, რუსული ყრუების ქართული ფშვინვიერებით გადმოტანა უფრო ადრინდელი უნდა იყოს რუსული ენის არმცოდნეთა მიერ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რუსული ყრუ თანხმოვნების ქართულში ფშვინვიერებით გადმოტანა მხოლოდ გლოტალიზაციის ხარისხზე რომ იყოს დამოკიდებული, მაშინ მთის დიალექტებში მკვეთრებით გადმოცემის შემთხვევები არ უნდა გვქონოდა, არადა, როგორც წესი, პირიქით არის. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ, თუ ქართულში, როგორც წესი, ფშვინვიერი აფრიკატი ან ყრუ ნაპრალოვანი „ფშვინვიერებს“ რუსულ ყრუ მსკდომს, მოხეურსა და თუშურში ასეთი შემთხვევებიც კი არ გვაქვს (მაგ., *კალაჩი* (калач) „ყურიანი პურის კვერი“, *პლაში* (плащ);

2. **გრაფიკული** – რუსულ და ქართულ ანბანებში **П-პ, Т-ტ, К-კ** გრაფემების რიგი ემთხვევა ერთმანეთს (პარადიგმატული მსგავსება);

3. **მორფოლოგიური** – დერივაციულ სუფიქსთა ანალოგია სიტყვის ბოლოში. **К**-ს **კ**-სთან იდენტიფიკაციის საფუძვლად გიორგი ახვლედიანი მიიჩნევს დერივაციულ ანალოგიას: ქართულში გვაქვს ბოლოკიდურში **-აკ** და **-იკო** სუფიქსები: *წიგნაკი, ცხენუკა, დედიკო*; შდრ. *უჩენიკი, ბოთლიკა, ზაბოუნკი*. ამ პოზიციაში **/კ/**-ს დამკვიდრებას, მისი აზრით, ქართულ სუფიქსებთან ანალოგიამ შეუწყო ხელი.

4. **ფონეტიკური** – ქართულში **/სტ/** კომპლექსის დიდი სიხშირე და ზოგადი ფონეტიკური კანონზომიერებები: ნაპრალოვნის მომდევნო პოზიციაში ყრუ ფშვინვიერების ასპირაციის ხარისხის კლება და **პ**-ს შედარებით სუსტი სიმკვეთრე (იქვე: 367-369).

რუსული მაგარი და ქართული ყრუ მსკდომების აკუსტიკური ანალიზის მონაცემების შედარებით გამოვლინდა მსგავსებები და განსხვავებები:

- ა) ქართულ მკვეთრებს შორის სუსტი გლოტალიზაცია ახასიათებს ლაბიალურ თანხმოვანს;
- ბ) ქართული მკვეთრები ზოგჯერ ე.წ. უბგერო ინტერვალის გარეშე წარმოითქმის;
- გ) ასპირაციის ინტენსივობა და ჩქამის გრძლივობა ქართული ფშვინვიერი მსკდომებისთვის მეტია რუსულთან შედარებით, ორივე ენის ლაბიალური, დენტალური და ველარული ყრუ თანხმოვნების საშუალო გრძლივობები სკდომიდან ხმოვნის დაწყებამდე ასეთია: (პ, ტ, კ) – 25 მს, (პ, ტ, კ) – 27 მს, (ფ, თ, ქ) – 48 მს; მამასადამე, გრძლივობის მიხედვით, მკვეთრი მსკდომები რუსულ ყრუებთან არიან ახლოს და არა ფშვინვიერებთან.
- დ) რუსულ მაგარ ყრუ მსკდომებში ინტენსივობითა და ჩქამის გრძლივობით გამორჩევა ველარული თანხმოვანი.

დასკვნა

რუსული ყრუ მსკდომების ქართული ფშვინვიერებით გადმოცემა უმრავლეს შემთხვევაში განპირობებულია სიტყვაში ყრუ ნაპრალოვანსა და აფრიკატთან ასიმილაციით (მაგ., *ქუხნა ფეჩი, ჩოთქი, ქაში, ჩლუქი/ჩულქი*) ან ბოლოკიდური რუსული ყრუს პოზიციურად მომატებული ასპირაციით (მაგალითად, *ღურაქი дурак, პლატუქი ПЛАТОК, სალდათი СОЛДАТ*); აგრეთვე დასაშვებია შინაარსობრივად მსგავსი სიტყვების ანალოგიაც: *ლაფათქა – ლაფერი/ა* – „ხის დიდი ბრტყელი კოვზი“ (ქეგლ-ი).

თუმცა ისეთი მაგალითებიც არის, რომლებშიც ფშვინვიერი თანხმოვნის არსებობის ახსნა ძნელია (მაგალითად, სიტყვაში *ფოფოლია – ПОПАДЬЯ*, ამასთანავე, გაურკვეველია რატომ გადმოიცემა რუსული ხმოვნები ქართული *ო* ხმოვნით, წარმოთქმის მიხედვით უნდა ყოფილიყო *ფაფაღია*, ხოლო დაწერილობით – *ფოფაღია*;

საეჭვოა, რომ *ბოთლი* რუსულიდან იყოს შემოსული, რადგან რუსულის მახვილიანი *Ы* ხმოვნის რედუქცია ფონეტიკურად გაუმართლებელია (*ბУТЫЛЬ*); უფრო სავარაუდოა, ინგლისურის გავლენა იყოს, რადგან მეცხრამეტე საუკუნის ნაწერებში ეს სიტყვა არ ჩანს (გიგინეიშვილი 2016:56);

სათუთა, აგრეთვე, სიტყვაფორმა *ფარიზი*, რომელიც ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანთან გვხვდება ორი ფორმით – *ფარიზი/ფარისი* (საბა 1940:4, 28, 162) და უფრო სავარაუდოა, სხვა ენიდან (თურქულიდან ან სპარსულიდან?) იყოს ნასესხები, რადგან რუსულიდან უნდა გადმოსულიყო *ფარიჟი (Париж)* ფორმით. ამ სიტყვებსა და კიდევ რამდენიმეში – *ლაქია (лакей)*, *ფუთი (пуд)* *ლაძვა (лампа)*, *თოთა (тётя)*, *თაფორი (топор)* – არ არის გამორიცხული ჩრდილორუსული დიალექტისთვის დამახასიათებელი ყრუ თანხმოვნების ფშვინვიერი წარმოთქმის გავლენა.

ლიტერატურა

- ახვლედიანი 1999:** გიორგი ახვლედიანი, *ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები*, ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა 1, პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- გივინეიშვილი 2016:** ბაქარ გივინეიშვილი, *ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამომცემისა და „ქართული ენის თეზაურუსის“ კომპილეთი, თბილისი.
- ლეჟავა 2021-2022:** ივანე ლეჟავა, ქართულ მჟღერ მსკდომ თანხმოვანთა წარმოთქმის თავისებურებები, *ენათმეცნიერების საკითხები 2021-2022*, ISSN 1512-0473, გვ. 142-174, თსუ გამომცემლობა, თბილისი,
- ლომთათიძე 1954:** ქეთევან ლომთათიძე, *აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის*, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი
- მელიქიშვილი და სხვ. 2011:** ირინე მელიქიშვილი, ნანა გამყრელიძე, ივანე ლეჟავა, ლუიზა ლორთქიფანიძე, იზაბელა ქობალავა, ქეთევან მარგიანი, *გლოტალიზაცია ქართველურ ენებში აკუსტიკური და ფუნქციონალური თვალსაზრისით*, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
- მიქიაშვილი 2005:** ოთარ მიქიაშვილი, *ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების ისტორიისათვის* (რუსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობათა ასპექტები), გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი.
- საბა 1940:** სულხან-საბა ორბელიანი, *მოგზაურობა ევროპაში*, სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით, ტფილისი.
- Petrova et al 2006:** O. Petrova, R. Plapp, C. Ringen, S. Szentgyorgyi, Voice and aspiration: evidence from Russian, Hungarian, German, Swedish, and Turkish, *The Linguistic Review* 23, pp. 1-35.
- Шагиров 1962:** А. К. Шагиров, *Очерки по сравнительной лексикологии Адыгских языков*, Кабардино-балкарское книжное издательство. Нальчик.

წყაროები

ბარბარიზმების ლექსიკონი <https://barbarisms.ge/>).

Zurab Baratashvili, Ivane Lezhava

The Phonetic Analysis of Borrowings from Russian into Georgian

Summary

In Georgian phonetic literature, the opinion is held “that the usual equivalent of the Russian к-т-п (k-t-p) in Georgian is ქ-თ-ფ (k^h-t^h-p^h)” (Akhvlediani, G., Basics of General Phonetics, Tbilisi, 1999, p. 370) and “the Russian voiceless plosive consonants are closer to the aspirated consonants of Georgian than to the ejectives of Georgian” (ibid.: 162). Examples: *Lak^hia* – лакей, *durak^hi* – дурак, *plat^huk^h* – платок, *salp^het^hk^hi* – салфетка,

st'ak^hani – стакан, *k^hart^hop^hili* – картофель, *k^hafi* – каша, *bot^hli* – бутылъ, *t^hot^ha* – тѣтя, *saldat^hi* – солдат; *p^hetfi* – печь, *p^harizi* – Париж, *p^hop^hodia* – попадья, *lap^hat^hk^ha* / *lap^hat^h'k'a* – лопатка, *lamp^ha* – лампа, *ak^hop^hi* – окон, *sup^hi* – суп, *p^hut^hi* – пуд (ibid.: 366-369). If the transfer of voiceless consonants from Russian into Georgian depended only on the degree of glottalisation, then there should be no cases of transfer with ejectives in the mountain dialects. In Georgian, there are immeasurably many cases of transfer of Russian voiceless consonants with ejectives (both in writing and in pronunciation) in words borrowed from Russian (especially in dialectal and technical vocabulary). In order to explain these peculiarities, the following four factors are mentioned: 1. historical; 2. graphical; 3. morphological; 4. general phonetic regularities (ibid.: 367-369).

A comparison of the data from the acoustic analysis of Russian hard and Georgian voiceless plosives revealed similarities and differences:

- (a) the labial consonant characterises slack glottalisation among the Georgian ejectives;
- (b) Georgian ejectives are sometimes pronounced without a post burst silent interval;
- (c) the intensity of aspiration and the duration of the noise is greater in Georgian than in Russian;
- (d) the average duration of labial, dental and velar voiceless consonants of both languages from burst to vowel onset (VOT) are as follows:
(p' -ʒ, t' -ʃ, k' -ʒ) – 25 ms, (p-п, t-т, k-к) – 27 ms, (p^h-ʒ, t^h-ʃ, k^h-ʒ) – 48 ms;
- (e) among the hard voiceless plosives of Russian, the velar consonant differs by its intensity and the duration of the noise.

Depending on the duration of the VOT, the ejective sounds are therefore close to the voiceless Russian sounds, not to the aspirated ones.

The transfer of Russian voiceless plosives to Georgian aspirated consonants is in most cases due to assimilation with the voiceless fricatives and affricates (e.g., *tfo^hk^hi*, *k^hafi*, *plat'uk^hi*) or final Russian voiceless with a positionally raised aspiration (e.g., *дурак*, *латок*); the analogy of words with similar content is also permitted: *lap^hat^hk^ha* – *lap^heri/a* – “a large flat wooden spoon” (Explanatory Dictionary of the Georgian Language). The influence of the aspirated pronunciation of voiceless consonants, which is characteristic of the northern Russian dialect, cannot be ruled out either.

მაოქა და იდეოლოგიის გავლენა ლექსიკონებზე¹

ენის ლექსიკური ფონდი მუდმივად იცვლება და ასახავს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ და სხვა სფეროში მიმდინარე ცვლილებებს. განსაკუთრებით ცვალებადია ლექსიკა, რომელშიც რეალობთან ერთად შემოდის ახალი სიტყვები, იქმნება ამა თუ იმ დარგის ტერმინები, ძველები და თანდათან ხმარებიდან გამოდის ზოგი ლექსიკური ერთეული, ზოგიც სემანტიკურად გადაიზრება: მნიშვნელობა იწვრთვება, ფართოვდება ან სრულიად იცვლება.

1. იდეოლოგია და ენა

ენასა და ლექსიკაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. მათგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ქვეყანაში გაბატონებული იდეოლოგია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება. თავისუფალ საზოგადოებაში ენისა და ლექსიკის ცვლილება არაა განპირობებული პოლიტიკური ზეწოლით.

1.1. იდეოლოგია ბერძნული სიტყვაა ($\text{ιδεολογία} < \text{ιδεα} - \text{„იდეა“}; \text{λογος} - \text{„სიტყვა“}, \text{„მოძღვრება“}$) და ნიშნავს „იდეების, შეხედულებების ერთობლიობას, რომელიც ადამიანების გარკვეულ ჯგუფში (მაგალითად, სახელმწიფოში) მიღებულ ნორმად, სახელმძღვანელო იდეებად არის აღიარებული, ან შეიძლება იყოს აღიარებული“, ის არის „გარკვეული კლასის, პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი ჯგუფის და ა.შ. იდეათა, შეხედულებათა სისტემა, რომელიც ვლინდება საზოგადოებრივი ცნობიერების სხვადასხვა ფორმაში – ფილოსოფიაში, პოლიტიკაში, სამართალში, ხელოვნებაში და ა.შ.“ (ვიკიპედია 1; ვიკიპედია 2).

1.2. იდეოლოგია ყველგან და ყველგან

იდეოლოგია მსჭვალავს საზოგადოების მთელ ცხოვრებას: პოლიტიკას, კულტურას, რწმენას, მეცნიერებას... ის ზემოქმედებას ახდენს ადამიანების ყოფა-ცხოვრების ყველა სფეროზე და განსაზღვრავს კიდევ მას. სახელმწიფოს მთელი სისტემა გაბატონებულ იდეოლოგიას ემსახურება და წარმოადგენს პროპაგანდის მძლავრ მანქანას, რომელშიც ყველაფერი პრივილეგირებული კლასების სამსახურ-

¹ სტატიის ძირითადი დებულებები წაკითხულია მოხსენებად, იხ. რ. ზეჟალაშვილი, რ. ქურდაძე, ეპოქა, იდეოლოგია და ლექსიკონები, სამეცნიერო სესია, მიძღვნილი აკადემიკოს ვარლამ თოფურაძის ხსოვნისადმი, მასალები, თბ., 8 იანვარი, 2024, გვ. 20-26, თსუ გამომცემლობა.

ში დგას. მაგალითად, **საბჭოთა ეპოქაში** ქვეყანა **იდეოლოგიის** სამსახურში აყენებდა ყველა პროპაგანდისტულ საშუალებას: მედიას, მოწოდებებს, ლოზუნგებს, პლაკატებს, სიმბოლოებს და ხალხის მასებზე გათვლილ უამრავ სიცრუეს, თუმცა ძალიან მცირე ნაწილი ალაგ-ალაგ იყო სიმართლის ამსახველი ლოზუნგი თუ მოწოდება, მაგალითად: „ცოდნა სინათლეა!“ და სხვ. „ყველაფერი განმსჭვალული იყო **კომუნისტური იდეოლოგიით**, საბჭოთა სიმბოლიკით, მარქსიზმის კლასიკოსთა ციტატებითა და პორტრეტებით. იშვიათი იყო ისეთი წიგნი თუ ფილმი, ისეთი წარმოდგენა, ოპერა თუ კონცერტი, სადაც არ შეგვხდებოდა „იდურად გამართული“ პასაჟები“ (მინდაძე 2014:1).

საბჭოთა კავშირის ოფიციალური პოლიტიკური იდეოლოგია 1920 წლიდან მარქსიზმ-ლენინიზმი იყო. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, ყველას თვალში უნდა წარმოჩენილიყო როგორც რესპუბლიკათა ძლიერი და უძლეველი კავშირი...

ტოტალიტარულ სისტემას ძალიან უყვარს სიმბოლიკა. საბჭოთა ეპოქას ბევრი ასეთი სიმბოლო ჰქონდა: მაგალითად, ნამგალი და ურო – მშრომელი მასების (გლეხებისა და მუშების) ერთობის განსახიერება. ის გამოსახული იყო საბჭოთა კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკებისა და, რა თქმა უნდა, საქართველოს სსრ-ის გერბზეც. „ენა განმარტავს სიმბოლოს, აძლევს მას დამატებით დატვირთვას, ამიტომ „საგანი-ნიშნები“ მეორეული რიგის სიმბოლოებია, ისინი ვერბალური ქმედების შედეგად წარმოიშობიან და ვერბალურ განმარტებებს საჭიროებენ“ (მინდაძე 2014:2). ხშირად ენა პროპაგანდისტულ მიზნებს ემსახურებოდა. სიმბოლური იყო კომუნისტების ლოზუნგიც: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ის ყველგან ეწერა: წიგნებში, გაზეთებში, პლაკატებზე, დროშებზე...

საბჭოთა რეჟიმს ჰყავდა სიმბოლური პიროვნებებიც, უპირველეს ყოვლისა, **დიდი ბელადი** ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. იმ ეპოქის მრავალი თაობა (მათ შორის – ჩვენიც!) აღიზარდა მოწოდებით: **“Ленин жил, Ленин жив, Ленин будет жить!”** („ლენინი ცხოვრობდა, ლენინი ცოცხალია, ლენინი იცოცხლებს!“). არ შერყეულა კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის ავტორიტეტი და სახელი. მეორე დიდი ბელადის, იოსებ ბესარიონის ძე სტალინის, დიდება საკმაოდ დიდხანს ყველა სხვა ბელადის სახელზე უპირატესი იყო. ჩვეულებრივად იქცა მოწოდება: „დიდება მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის დიად, უძლეველ დროშას!“ ბელადების განსადიდებლად იწერებოდა საგაზეთო სტატიები, წიგნები, ესეები, სიმღერები, პროზაული თუ პოეტური ნაწარმოებები...

1.3. ტოტალიტარული იდეოლოგიისა და რეჟიმის კრიტიკა ლიტერატურაში

თავისუფალი სამყაროს მწერლებს არ გამოჰპარვიათ ტოტალიტარიზმის მოსალოდნელი საფრთხე მთელი საზოგადოების ფსიქიკაზე. მხატვრულ ლიტერატურაში აშკარად თუ ფარულად გამოთქვამდნენ პროტესტს ხალხის გამოსაფხიზლებლად.

გამოჩენილმა ინგლისელმა მწერალმა **ჯორჯ ორუელმა** (ერიკ ართურ ბლერი) თავის დისტოპიურ რომანში „1984“ აღწერა ტოტალიტარული საზოგადოების სისასტიკე და დაუნდობლობა. ესაა პოლიტიკურ თემაზე შექმნილი ფანტასტიკური ჟანრის ნაწარმოები. მასში პირქუშ ფერებშია დახატული მსოფლიოს მომავალი, მისი დაყოფა სამ დიდ ზესახელმწიფოდ, მათ შორის ერთ-ერთი არის „ევრაზია“, რომელიც განასახიერებს რუსეთის მიერ ჩაყლაპულ ევროპას. აქ დახატულია ქალებისა და ბავშვების მხეცური განადგურების სურათი ომის დროს.

ფიქტიური უზარმაზარი იმპერია **ოკეანია** ერთპიროვნული გაბატონებული პარტიის სისტემაა, რომელშიც აღარაა თავისუფლება. აბსურდული და ალოგიკურობაზე დამყარებული მოწოდებები ძალიან გვაგონებს ტოტალიტარული სახელმწიფოების პროპაგანდისტულ სიტყუებს, რომლის ზემოქმედება მასებზე დიდი იყო. გაბატონდა უაზრო და ლოგიკას მოკლებული მოწოდებები: „ომი მშვიდობაა! თავისუფლება მონობაა! უმეცრება ძალაა“. ტოტალიტარულ კონტროლს განასახიერებს სიტყვები: „**უფროსი ძმა** ყველგან გისმენს და გხედავს!“ ორუელი წერდა, რომ ენა სოციალური ზემოქმედებისა და მანიპულაციის იარაღია, მან იწინასწარმეტყველა ასეთი სახელმწიფოსგან მომავალი საფრთხე.

სალომე ოშიაძე იმოწმებს შემდეგ ციტატას ჯორჯ ორუელის 1941 წელს დაწერილი ესეიდან „ლიტერატურა და ტოტალიტარიზმი“: „ტოტალიტარული სახელმწიფო აუცილებლად ცდილობს, აკონტროლოს თავის ქვეშევრდომთა აზრები და გრძნობები, ყოველ შემთხვევაში, ისე ქმედითად მაინც, როგორც აკონტროლებს მათ ქცევებს“ (Оруэлл 1992:151)... შემდეგ მეცნიერი რომან „1984“-ზე საინტერესოდ წერს: „ორუელმა მოიგონა ტოტალიტარული საზოგადოების წარმოსახვითი ენა Newspeak (ახალი ენა), რომლის სტრუქტურა გამორიცხავს მოცემული საზოგადოების შესახებ კრიტიკული გამონათქვამების აგებას; იგი იმისთვის იყო შექმნილი, რათა ამოეძირკვა ნებისმიერი არაორთოდოქსული იდეა, განედევნა ის სიტყვები, რომლებიც ამ იდეის მატარებელთ შეიძლება გამოსდგომოდა. სიტყვები ასეთ ენაში საკუთარივე რეფერენტები ხდებიან. ეს რომანი იყო ერთგვარი გაფრთხილება ტოტალიტარიზმისა და რეპრესიების მსოფლიო საშიშროების წინაშე, მოწოდება კაცობრიობისადმი: „აღადმიანებო, იყავით ფრთხილად!“ ტოტალიტარიზმი ნიშნავს დედამიწის აღსასრულს!“ (ოშიაძე 2009:171).

ქართული ლიტერატურიდან შეიძლება გავიხსენოთ რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „ლარა“, რომელშიც საბჭოთა უკუღმართი ეპოქის წარმომადგენელი, ოდესღაც „დიდი კაცი“, შემდეგ დიდხანს ციხეში გამომწყვდეული ბოლოს განთავისუფლებული, ავადმყოფობისაგან დაუძლურებული მამა, როგორ აპირებდა, დაესმინა მასზე გადაყოლილი, მზრუნველი ქალიშვილი და შვილიშვილი, მათთვის უცხოეთის აგენტობაც კი დაუწამებინა მთავრობისთვის ერთგულების დასამტკიცებლად...

შეიძლება დავასახელოთ ჭაბუა ამირეჯიბის რომანი „დათა თუთაშნია“ – არქივო სეთურის ეპიზოდი, სადაც ავტორი ალეგორიული ფორმით მიგვანიშნებს, თუ რა გავლენას ახდენს ადამიანთა ფსიქიკაზე ამა თუ იმ პიროვნების განდიდება, როგორ აქცევს მათ მონებად, რომლებიც აქებენ და ადიდებენ „ბელადს“ – არქიფოს, და ბრმად ემორჩილებიან მას. ასევე საინტერესოა ქუჯი თორიას მონათხრობი კაციჭამია ვირთხების გამოზრდაზე, რაც გადაგვარებულ და მოძალადე ადამიანთა საზოგადოებას განასახიერებს.

შეიძლება კიდევ სხვა ლიტერატურული ნაწარმოებების დასახელება, რომელთა ავტორები პირდაპირ თუ ალეგორიულად აკრიტიკებდნენ ტოტალიტარიზმს და ამით აფხიზლებდნენ თავისუფლებადაკარგულ თაობებს.

სამწუხაროდ, სოციალისტური ყოფა ადამიანებს უნერგავდა ცრუ ღირებულებებს, მცდარ შეხედულებებს, ურჩხულად ხატავდა კაპიტალისტურ სამყაროსა და მის რეჟიმს. იმის გასააზრებლად, როგორ ზეგავლენას ახდენს ადამიანთა ფსიქიკაზე იდეოლოგია, შეიძლება მოვიყვანოთ წარმოშობით ჩეხი მწერლის, მილან კუნდერას, რომანი „ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე“, რომელშიც მოთხრობილი ამბები პრაღის 1968 წლის პოლიტიკური ტრაგედიის ფონზე ვითარდება. რომანში ოთხი მთავარი მოქმედი პირია: ტომაში, ტერეზა, საბინა და ფრანცი. მწერალი წერს, რომ საბინასა და ფრანცს ხშირად ერთმანეთის არ ესმოდათ. საბინა ჩეხოსლოვაკიაში გაიზარდა, 1968 წლის ამბების შემდეგ გააღწია ქვეყნიდან და შეხვდა შვეიცარიელ მამაკაცს, ფრანცს. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, ზოგიერთ საკითხში შეყვარებულები ისედაც ვერ უგებდნენ ერთმანეთს, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, როგორ ახასიათებს სიტყვა **დემონსტრაცია**ს მწერალი, რას წარმოადგენს ის საბინასათვის და რას – ფრანცისათვის, მაშინ გასაგები გახდება, რომ სწორედ იდეოლოგიური განსხვავების გამო აღიქვამენ ისინი ამ სიტყვასა და თავად მოვლენას სხვადასხვაგვარად: საბინასათვის **დემონსტრაცია** არის ყალბი ზეიმის ამსახველი სიტყვა წინასწარი დამლული და მომქანცველი მარშირების შემდეგ, ხოლო ფრანცისათვის ის ნიშნავს არსებულის მიმართ პროტესტის გამოხატვას ქუჩაში გამოსვლით. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი არ გახაზავს სიტყვათა და ტერმინთა პოლიტიზების საკითხს, ვფიქრობთ, მილან კუნდერას რომანის ეს მონაკვეთი ამგვარი კუთხითაც შეიძლება იქნეს განხილული, ანუ იდეოლოგიზებული დატვირთვაც ხშირად განაპირობებს შეყვარებულ წყვილს შორის ერთგვარ გაუგებრობას (იხ. კუნდერა 2012). წიგნის ერთ-ერთ თავს ასეც ჰქვია: „გაუგებარ სიტყვათა ლექსიკონი“ და საზგასმულია სიტყვების მნიშვნელობის განსხვავებული აღქმა ადამიანთა მიერ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამგვარი ლიტერატურული მაგალითები შესაძლებელია სხვაც დაიძებნოს. ბუნებრივია, ასეთი ვითარება ყოფითი ურთიერთობების დროსაც დასტურდება, როდესაც სხვადასხვა პოლიტიკურ-იდეოლოგიური სისტემის წარმომადგენლები ხვდებიან ერთმანეთს.

1.4. ტოტალიტარული ქვეყანა და ენა

ენას, რელიგიას, ისტორიას, წყობასა და ხელისუფლებას თინათინ ბოლქვაძემ უწოდა „იდეოლოგიზებული ღირებულებები“ და აღნიშნა, რომ „სწორედ ესენი განაპირობებენ სახელმწიფოში მოქალაქეთა ინტეგრაციას“ (ბოლქვაძე 2005:15)¹.

მართლაც, ენა არასოდეს არაა განზე მდგომი, მასზე ისტორია ყოველთვის ტოვებს კვალს: „ენა რომ ხალხის ისტორიის თანამგზავრია, თანმხლები მისი აღორძინების, გავრცელების, აყვავებისა და დაცემისა, ეს უდავოა და ამ მხრივ გამონაკლისი მსოფლიო ისტორიამ თითქმის არ იცის. საკითხი იმას ეხება, თუ რა ბუნებისაა მათი კავშირი. კავშირი თავისებურია: ენა აქ გაგებულია უფრო როგორც ისტორიის თანმხლები ან ისტორიის სარკე, ისტორიულ ცვლილებათა რეგისტრატორი“ (რამიშვილი, 2000:152-153).

მაგალითად, ვიქტორ კლემპერერის (1881-1960), გერმანელი ფილოლოგის, მწერლისა და ჟურნალისტის, ერთ-ერთ წიგნში დიდი დაკვირვებითაა აღწერილი მესამე რაიხის ენის თავისებურებები. ავტორი, ებრაელი რაბინის ვაჟი, იკვლევდა ნაცისტური გერმანიის ენასა და ტოტალიტარულ აზროვნებას. მან ზედმიწევნით იცოდა, რას ნიშნავდა იმ რეჟიმის ტანჯვა-წამება და იდეოლოგიური წნეხი. ნაცისტური რეჟიმის დამყარებისთანავე დაიწყო ვ. კლემპერერმა დღიურების წერა, ყოველდღე აკვირდებოდა ცვლილებებს ენაში და ინიშნავდა. ამ ჩანაწერებში გამოვლინდა მისი დამკვირვებლობის უნარი და ნატიფი ფილოლოგიური ალღო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დაკვირვება თანამემამულეთა ენის ცვლილებაზე, ლექსიკასა და ინტონაციაზე, ქუჩის განცხადებების ენაზეც კი. 1947 წელს მან გამოაქვეყნა წიგნი „LTI მესამე რაიხის ენა“ და ამ „ახალმეტყველებას“ უწოდა LTI, ლათინურად: *Lingua Tertii Imperii* (Klemperer 1968; *წიგნი* 1989). 1980-1990-იან წლებში წიგნი იქცა მსოფლიო სენსაციად, ითარგმნა ბევრ ენაზე და დღეს მიაჩნიათ „ჰოლოკოსტის ლიტერატურის“ ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და საუკეთესო ნიმუშად. 2003 წელს წიგნის მოტივებზე გადაიღეს დოკუმენტური ფილმიც, სახელწოდებით – „ენა არ იტყუება“ (გერმ. *Die Sprache lügt nicht*). „გერმანიის რადიომაუწყებლობის“ ჟურნალისტმა ჩაიწერა ინტერვიუში კლემპერერის სიტყვები: „ნაციზმი იჭრებოდა მასების სისხლსა და ხორცში ცალკეული სიტყვებით, გამოთქმებით, წინადადებათა კონსტრუქციებით, რომლებსაც ბრბოს თავში უჭედადგნენ მილიონობით გამეორების მეშვეობით და ისიც მას მექანიკურად და გაუცნობიერებლად შთანთქავდა; მაგრამ ენა არა მარტო ქმნის და ფიქრობს ჩემ მაგივრად, ის მართავს ჩემს გრძნობებსაც, ხელმძღვანელობს მთელ ჩემს სუ-

¹ თ. ბოლქვაძემ დაასახელა ამერიკელი მეცნიერის, ჯოშუა ა. ფიშმანის, ტერმინი „დიდი ტრადიცია“, რომელშიც გაერთიანებულია სწორედ ენა, რელიგია, ისტორია, წყობა და ხელისუფლება

ლიერ სუბსტანციას, და მით უფრო ძლიერად, რაც უფრო მორჩილად და გაუცნობიერებლად ვემორჩილები მას; და თუ წარმოქმნილი ენა შხამიანი ელემენტებისგან არის შექმნილი ან შხამიანი ნივთიერებების გადამტანია, მაშინ სიტყვები შეიძლება დაემსგავსოს დარიშხანის უმცირეს დოზებს: მას ყლაპავენ თავისდა შეუმჩნეველად, და თითქოს არავითარ ზემოქმედებას არ ახდენს, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ აღმოჩნდება, რომ ადამიანი მოწამლულია“ (ინტერვიუ კლემპერერთან 2024).

2. ორი გერმანია და მათი იდეოლოგია

ამიტომაც უაღრესად მნიშვნელოვანია ენის, როგორც იდეოლოგიური ზემოქმედების იარაღის, კვლევა. ამან განაპირობა, რომ მე-20 საუკუნის გერმანიის ენობრივი გარემო ენათმეცნიერთა განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა. ჯერ იყო და ნაციონალურ-სოციალისტურმა პარტიამ გაიმარჯვა გერმანიაში, გაბატონდა ფაშიზმი და ნაციზმი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი ქვეყანა გაიყო ორად: დემოკრატიულ და ფედერაციულ რესპუბლიკებად. დროთა განმავლობაში თვალნათლივ გამოჩნდა, რა სხვაობა იყო ორ პოლიტიკურ წყობასა და იდეოლოგიას შორის, როგორ ზემოქმედებდა ეს ორად გახლეჩილი ერის ადამიანთა აზროვნებაზე.

2.1. ენის ლექსიკური ცვლილებები გერმანიის ორ ქვეყანაში

მნიშვნელოვანი ნაშრომები იწერებოდა გდრ-ის ენობრივი თავისებურებების შესახებაც. ერთ-ერთში ლაპარაკია რუსული ენის გავლენაზე ლექსიკაზე, სიტყვაწარმოებაზე, ენის სტილზეც კი. ნათქვამია, რომ გახშირდა სპეციფიკური სიტყვების კალკები, ახალი ლექსემები ან სიტყვათშეხამებები, პოლიტიკურ-იდეოლოგიური და შემფასებლური ხასიათის ნეოლოგიზმები, ოფიციალური დაწესებულებების სახელწოდებები...

ორი გერმანიის მაგალითზე კარგად ჩანდა ორი სამყარო – **კაპიტალისტური და სოციალისტური**, მათ შორის არსებული განსხვავებები. ეს ორი ქვეყანა თანაარსებობდა: გდრ-ზე დიდი გავლენა ჰქონდა საბჭოთა კავშირს, ენობრივადაც კი. ლექსიკაში მომრავლდა **სოვეტიზმები**¹, ნასესხობები რუსული ენიდან (*Sputnik* „სპუტნიკ“, *Natschalnik* „ნაჩალნიკ“, *Subbotnik* „სუბოტნიკ“...) ან კალკირებით თარგმნილი სიტყვები და შესიტყვებები (*Fünfjahresplan* – ხუთწლიანი გეგმა ან ხუთწლელი, *Wandzeitung* – კედლის გაზეთი, *Volkshaus* – ხალხის სახლი, *Held der Arbeit* – შრომის გმირი, *Kulturhaus* – კულტურის სახლი), ჰიბრიდული სიტყვები (*Pionierleiter* – პიონერხელმძღვანელი, *Jugendbrigade* – ახალგაზრდული ბრიგადა, *Kollektivprämie* – კოლექტიური პრემია...). (იხ. ვიკიპედია 3). ყოველივე ამის წყარო კი იყო **სოციალისტურ-კომუნისტური იდეოლოგია**.

¹ გდრ-ის მეტყველების შესახებ იხ. ვიკიპედია 3 და იქ მითითებული ლიტერატურა; ახლავს მოკლე ლექსიკონიც.

პარტიულ და მედიაენაში პროპაგანდისტვის გამოყენებული იყო დამახასიათებელი ლექსიკა. მეცნიერები ლაპარაკობდნენ „ყოველმხრივ განათლებული სოციალისტური პიროვნების“ აღზრდაზე¹, რომელიც ექვემდებარებოდა გაცნობიერებულ კონტროლს. ენის ამგვარ გამოყენებას, ძირითადად, ვხვდებით გაზეთების მოწინავე სტატიებში, პარტიული ორგანოების კომენტარებში.

2.2. ენით მანიპულირება თანამედროვე ტოტალიტარულ სახელმწიფოებში

ჯორჯ ორუელის რომანის აბსურდულ სიტყვათა თამაშს გვაგონებს ტოტალიტარული ქვეყნის პროპაგანდისტული მანქანა, რომ, სამწუხაროდ, რეალობა არ იყოს და მხოლოდ ფურცელზე არსებობდეს: დაპყრობით ომს და სხვა ქვეყანაზე თავდასხმას უწოდებენ *ჰუმანიტარულ მისიას* ან *სპეცოპერაციას* ვითომდა სხვა ეთნოსის გადასარჩენად, თავისი *მოქალაქეების დაცვას* და სხვა ქვეყნის აგრესიაზე პასუხს, თითქოსდა ის იძულებული გახდა, „სამშვიდობო მისია“ შეესრულებინა, „კეთილშობილური მიზნები ამოძრავებდა, რათა დაეცვა მოძმე ხალხის მშვიდობა“.

დღესაც ხშირად იმეორებს ამას პროპაგანდა და აჯერებს მილიონობით ადამიანს. მიზანიც მშვენივრადაა თითქოს ჩამოყალიბებული: ქვეყნის დემილიტარიზაცია და დენაციფიკაცია!

უცხოეთში ასეთ „ჰუმანურ“ ჯარისკაცებს ეძახიან *ორკებს*, როგორც უწოდა ინგლისელმა მწერალმა *ჯონ ტოლკინმა* თავისი რომანის („ბეჭდების მბრძანებელი“) საშინო პერსონაჟებს (ტოლკინი 2015), თითქმის რობოტებად ქცეულ, განცალკევებით მცხოვრებ, დაბალი ინტელექტის, ბნელ, ბინძურ და ბოროტ არსებებს, ურჩხულებს (ამბობენ, რომ სიტყვა ძველი ინგლისურიდან მოდის, რომელშიც ორკები – Orcs – ბოროტი სულები იყვნენ).

3. იდეოლოგია და ლექსიკოგრაფია

ენა, როგორც კულტურისა და ადამიანური ყოფის განუყოფელი ნაწილი, ვერასოდეს იქნება გულგრილი და უემოციო. ლექსიკაში აისახება საზოგადოებაში მიმდინარე ყოველგვარი ცვლილება, რაც შემდგომ აღიწერება სხვადასხვა ტიპის ლექსიკონში. ამ თვალსაზრისით, ერთენოვანი ლექსიკონები განსაკუთრებით საინტერესოა კვლევებისთვის, რადგან ის აღწერს არა მარტო ენის ლექსიკურ ფონდს, არამედ ეპოქასაც: იდეოლოგიას, პოლიტიკას, ფილოსოფიას, გარკვეულწილად, ეკონომიკასაც კი. ცხადია, თითოეული ლექსიკონი ეკუთვნის რომელიმე ისტორიულ პერიოდს, ამიტომაც იქ აირეკლება ეპოქის სული, ამიტომაც უწოდებენ ლექსიკონს დროის სარკეს. რაინერ კოლმაიერი წერდა გერმანული ენის განმარტებითი ლექსიკონების შესახებ: „თუკი მათ წარმოვიდგენთ, როგორც სახლებს, რომელთა ფანჯრებიდან შეიძლება შევიხედოთ ენასა და კულტურაში, მათში და-

¹ ამაზე მსჯელობა მუდამ იყო საბჭოთა კავშირის პედაგოგიკაში.

ვინახავთ თავმოყრილი სიტყვებისა და აზრების თამაშს, გრძნობათა და მოქმედებათა ნამსხვრევებს, როგორც კოლექტიური დისკურსის ფრაგმენტებს“ (კოლმაიერი 1997:1).

განმარტებითი ლექსიკონი ერთენოვანი ლინგვისტური ლექსიკონია, რომელშიც ახსნილია სიტყვათა მნიშვნელობები, მოცემულია მათი გრამატიკული, სტილისტიკური თუ ემოციური დახასიათება. ის რეალურად ასახავს ენის ლექსიკურ შედგენილობას მისი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე. „ყოველი განმარტებითი ლექსიკონი ასახავს შესაბამის დროს. გარკვეული ეპოქის ენის ლექსიკური მარაგის აღწერით ლექსიკონები არეკლავენ ფილოსოფიას, იდეოლოგიას, ეთიკური ღირებულებების ერთობას, რომლებიც დამახასიათებელია ამ ენაზე მოსაუბრეთათვის ლექსიკონის შექმნის ეპოქაში“ (Шмелькова 2010:54).

3.1.1. საბჭოთა ეპოქის ლექსიკოგრაფია

როგორც აღვნიშნეთ, ენის ლექსიკაზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს **იდეოლოგია** და, შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკა. ლექსიკურ ფონდში იმკვიდრებს ადგილს ახალი სიტყვები, ზოგჯერ ძველი, ოღონდ სემანტიკურად გადააზრებული. ყველაფერი კი აღიწერება ლექსიკონებში. მართალია, ლექსიკოგრაფია ყოველთვის ვერ ახერხებს ფეხდაფეხ მიჰყვეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას, მაგრამ დროთა განმავლობაში მასში ყველა ცვლილება მაინც აისახება, განსაკუთრებით – განმარტებით ლექსიკონში. იდეოლოგია და მისი მკაცრი მოთხოვნები ზეგავლენას ახდენს ლექსიკოგრაფიაზეც, რომელიც სხვა დარგების მსგავსად იძულებული იყო, ნაწილობრივ მაინც დამორჩილებოდა ზემდგომი ორგანოების მოთხოვნებს. გერმანელმა მეცნიერმა რუდი კელერმა ამ ზემოქმედებას უწოდა „უხილავი ხელის“ ფენომენი ენაში (*გერმ. Unsichtbare Hand in der Sprache; ინგლ. the invisible hand in language*) (იხ. Keller 1990).

3.1.2. ქართული ლექსიკოგრაფია და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ცხადია, ამ შემთხვევაში საქართველო გამონაკლისს არ წარმოადგენდა, მსგავსი ვითარება დასტურდებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებსა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებშიც. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ტოტალიტარული რეჟიმის დროს შექმნილი ერთენოვანი ლექსიკონები. სახელმწიფოს მართვის ორგანოებისა და იდეოლოგიის ზეწოლა ვლინდებოდა ლექსიკოგრაფიაში, ცხადია, ქართულ სინამდვილეშიც.

ენათმეცნიერ-ლექსიკოგრაფი იძულებული ხდებოდა, გაეწია ანგარიში პარტიული ნომენკლატურისა და იდეოლოგიური სამსახურებისთვის, გაეთვალისწინებინა ცენზურის მოთხოვნები და მხოლოდ დადებითი მხრიდან წარმოეჩინა ქვეყნის პოლიტიკური კურსი, უფრო მეტიც, ამ იდეოლოგიის უნებური პოპულარიზატორიც კი გამხდარიყო.

მაგალითად, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული შესაძლებლობას გვაძლევს, შევიხედოთ იმ პერიოდის ქართულ ენასა და კულტურაში, გავიცნოთ ხალხის აზრები და გრძნობები. ლექსიკონის შესავალში მართებულიადაა ხაზგასმული, რომ „განმარტებითი ლექსიკონი უკუფენს ენისა და – ენის მეშვეობით – კულტურის მდგომარეობას“ (ქეგლი 1950, 007).

ჩვენ ვეთანხმებით სალომე ოშიაძის მოსაზრებას, რომ აღნიშნული ლექსიკონი ფასდაუდებელი საგანძურია ქართული ეროვნული კულტურის შესასწავლად: „ეთნიკური სპეციფიკით ნიშანდებული კულტურული კონცეპტები, როგორც სემანტიკურ ერთეულთა სიმრავლე, სისტემატიზებული ქეგლში, ენის მატარებელთა მსოფლალქმის კულტურულ თავისებურებას ასახავს და ქმნის კონცეპტურ სფეროს, რომელიც მსოფლხედვის საშუალებაა. ამდენად, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული სამყაროს ენობრივი სურათის აგებისა და წვდომის სწორუპოვარი წყაროა“ (ოშიაძე, 2005; მისივე, 2006:77). მართლაც, ლექსიკონი იმიტომაცაა საინტერესო, რომ ასახავს იდეოლოგიის გავლენით შექმნილ, ეპოქისთვის დამახასიათებელ ენობრივ სურათს. ამის გარეშე ლექსიკონი ვერ იქნებოდა სრულყოფილი.

ქართული ენის განმარტებითი აკადემიური ლექსიკონის რვატომეული გამოცემა 1950–1964 წლებში. მასზე მუშაობდა 150-ამდე მეცნიერი, მთავარი რედაქტორი გახლდათ აკად. **არნოლდ ჩიქობავა**. ენათმეცნიერთა გარდა, მონაწილეობდნენ მწერლები და სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. ლექსიკონზე მუშაობა დაიწყო 1945 წელს (თუმცა მოსამზადებელი სამუშაოები გაცილებით ადრე იყო დაწყებული). მასში ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაში პირველადაა მოცემული სისტემატური დოკუმენტაცია. ლექსიკონისათვის შეიქმნა მდიდარი სადოკუმენტაციო ფონდი – XIX საუკუნისა და თანამედროვე ქართველი მწერლების თხზულებებიდან ამოწერილი სიტყვების კარტოთეკა, რომელიც განუწყვეტლივ ივსებოდა. ქეგლის ძველ რედაქციაში განმარტებულია 112.949 სიტყვა.

1971 წელს სათანადოდ დაფასდა ლექსიკონზე მომუშავე მეცნიერთა დიდი ღვაწლი: სახელმწიფო პრემიით დააჯილდოვეს მთავარი რედაქტორი (და იმავდროულად I ტომის რედაქტორი) **არნოლდ ჩიქობავა**, ქეგლის სარედაქციო კოლეგია და ცალკეულ ტომთა რედაქტორები: პოლიევქტ გაჩეჩილაძე, ივანე გიგინეიშვილი, სიმონ ვაჩნაძე, ვარლამ თოფურია, ოტია კახაძე, ქეთევან ლომთათიძე, სტეფანე მენთეშაშვილი, მერი მესხიშვილი, ბიძინა ფოჩხუა, თინათინ შარაძენიძე, გიორგი წერეთელი და მიხეილ ჭაბაშვილი.

3.2. იდეოლოგიების საშუალებები ლექსიკონში

ქეგლში თვალში საცემია საილუსტრაციო მაგალითებად მოყვანილი ციტატები სტალინის ნაშრომებიდან (მარქსიზმ-ლენინიზმისა და კლასთა ბრძოლის შესახებ), ნაწყვეტები კომუნისტური პარტიის ისტორიიდან. საბჭოთა პერიოდმა თავისი და-

ლი მაინც დაასვა ლექსიკონს (რაც მოსალოდნელიც და აუცილებელიც კი იყო!). სალექსიკონო ერთეულების განმარტებათა მცირე ნაწილი პოლიტიზებულია და მათში აშკარად ვლინდება საბჭოთა იდეოლოგიის, ეპოქის მოთხოვნების გავლენა, პოლიტიკური წნეხის კვალი. ეს ვლინდება რამდენიმე ასპექტში:

1. იდეოლოგიური შინაარსის სიტყვების დიდი რაოდენობა ლექსიკური ერთეულების შერჩევისას;
2. პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ფილოსოფიური და რელიგიური თემატიკის სალექსიკონო ერთეულთა განმარტებების პოლიტიზებული შეფერილობა, სოციალისტური და კაპიტალისტური იდეოლოგიის შესაბამისად.
3. ათეიზმის პროპაგანდა და საეკლესიო თემატიკის სიტყვათა ერთგვარად ტენდენციური (ათეისტური) დეფინიცია;
4. რუსული ენიდან კალკირებული, საბჭოთა ეპოქისთვის დამახასიათებელი ნეოლოგიზმების, აბრევიატურებისა და შესიტყვებების (კოლოკაციების) სიმრავლე;
5. პოლიტიკური ლიტერატურის გამოყენება საილუსტრაციო წყაროებად (პროლეტარიატის ბელადთა შრომები, იმდროინდელი პრესა, სკკპ ისტორია და ყრილობის დადგენილებები...).

განვიხილოთ ზოგიერთი პუნქტი უფრო დაწვრილებით.

3.2.1. იდეოლოგიზებული ლექსიკური ერთეულები და მათი განმარტებები

სიტყვა „იდეოლოგიის“ საილუსტრაციოდ ქეგლში მოყვანილია ციტატები სტალინის ნაშრომიდან და პარტიის ისტორიის წიგნებიდან, ასევე გაზ. „კომუნისტიდან“: „საბჭოთა საზოგადოებაში განმტკიცდა და განუყოფლად გაბატონებული გახდა ყველაზე პროგრესული, ყველაზე მოწინავე იდეოლოგია – მარქსიზმ-ლენინიზმი“.

გამოყოფილია **კომუნისტი**ს ორი მნიშვნელობა: 1. საზოგადოებრივი წყობილების უმაღლესი ფორმა, რომელიც ცვლის კაპიტალისტურ წყობილებას პროლეტარული რევოლუციის მოხდენითა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების გზით; ამ წყობილების დროს არ არის ექსპლუატაცია ადამიანისა ადამიანისაგან, წარმოების საშუალებები წარმოადგენს საზოგადოებრივ საკუთრებას, წარმოებითი ურთიერთობა სრულ თანხმობაშია საწარმოო ძალების მდგომარეობასთან... 2. მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრება საზოგადოებრივი წყობილების უმაღლესი ფორმის – უკლასო კომუნისტური საზოგადოებრივი წყობილების განხორციელების შესახებ.¹

ბელადი ასეა განმარტებული: 1. წინამძღოლი, მეთაური... 2. საყოველთაოდ აღიარებული ხელმძღვანელი საზოგადოებრივი მოძრაობისა, მიმდინარეობისა, პარტიისა, ხალხისა. სიტყვის მნიშვნელობა დადასტურებულია ს. შანშიაშვილის, გ. ლეონიძის, ვ. გაფრინდაშვილის, ა. აბაშელის, ი. გრიშაშვილის, კ. კალაძის, გ. კაჭა-

¹ ხაზი უნდა გაესვას, რომ ეს ერთ-ერთი ვრცელი სალექსიკონო სტატიაა.

ხიდის, შ. აფხაზავას. გ. აბაშიძის მადიდებელი სტრიქონებით. მაგ.: „მუდამ გიმღერ გამარჯვებას, შენ, ბელადო სტალინი!“ (ს. შანშ.).

ბუნებრივია, იმდროინდელი გაგებით, ეს სიტყვა სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელსა და მის შემდგომ ლიდერს გულისხმობდა, რასაც ადასტურებს კიდევ წარმოდგენილი საილუსტრაციო მაგალითი. საგულისხმოა, რომ ქეგლის ახალ რედაქციაში, მიუხედავად იმისა, რომ ამ სიტყვის პირველი და მეორე მნიშვნელობა თითქმის არაა შეცვლილი, მესამე მნიშვნელობასაც ვხვდებით: *ანაქრ. იგულისხმება საბჭოთა იდეოლოგიური მეთაური.*

იმ დროისათვის **დამკვერელი** ნეოლოგიზმი იყო: 1. *აბ.* სოციალისტური შეჯიბრების მონაწილე მომუშავე, მოწინავე როგორც გეგმებისა და გამომუშავების ნორმების გადაჭარბებით შესრულებაში, ისე ტექნიკის დაუფლებასა, საწარმოო დისციპლინის ამაღლებასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში, – დაკრითი წესით მომუშავე. აქვე დასახელებულია შესიტყვებაც: **დამკვერელი მუშა.**

ხუთწლილი: 1. ხუთი წლის შემცველი პერიოდი. 2. სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა (სსრ კავშირში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში).

აშკარად ვლინდება უარყოფითი დამოკიდებულება სიტყვა **კულაკის** განმარტებისას: სხვისი შრომით, სხვისი ყვლეფით გამდიდრებული გლეხი, – სოფლის წურბელა, ბობოლა. მოყვანილია ციტატა საბჭოთა კავშირის ისტორიიდან: „კულაკი ხელავდა, რომ კოლმეურნეობების შექმნით მისი აღსასრული დგებოდა, და, გაცოფებული, წინააღმდეგობას უწევდა კოლმეურნეობების მოწყობას“ (საბჭ. კავშ. ისტ.).

გმირთან დასახელებულია **სოციალისტური შრომის გმირი** შემდეგი განმარტებით: წოდება, რომელიც საბჭოთა კავშირში ენიჭებათ განსაკუთრებული მამაცობისა და გმირობისათვის. „უხვი მოსავლის მიღებისათვის სოფლის მეურნეობის 784 მუშაკს – კოლმეურნეებსა და სპეციალისტებს – მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება“ (გაზ. „კომუნისტი“).

ცენზურა: 1. სახელმწიფოს მეთვალყურეობა ბეჭდვით სიტყვაზე ან საჯარო გამოსვლებზე. „მეფის სასტიკი ცენზურა... გზას უხშობდა ქართული წიგნის განვითარებას“ (გაზ. „სახ. განათლება“). 2. სახელმწიფო ორგანო, რომელიც მეთვალყურეობას უწევს ბეჭდვით სიტყვასა და საჯარო გამოსვლებს. „მე მიუებრუნდი [მოხუცს] და დიდის ბოდიშით მოვახსენე: მშვენიერი, საუცხოო ლექსებია, მაგრამ ის შეჩვენებული ცენზურა არ გაუშვებს-მეთქი!“ (აკაკი).

ამ განმარტებისა და ციტირების მიხედვით ისე ჩანს, თითქოს ცენზურის სიმკაცრე და მიკერძოებულობა მხოლოდ რევოლუციამდელ საქართველოში იყო სასტიკი.

პროლეტარიატი: კაპიტალისტურ საზოგადოებაში – ექსპლოატირებული კლასი, რომელიც მოკლებულია საწარმოო საშუალებებს და რომელიც იძულებულია, მიჰყიდოს თავისი სამუშაო ძალა ბურჟუაზიას.

სიტყვის განმარტება ილუსტრირებულია ციტატებით ლენინისა და სტალინის შრომებიდან: „სოციალიზმზე გადასვლის დროს გარდუვალია პროლეტარიატის დიქტატურა“ (ლენინი). „საფრანგეთში რევოლუციას ბურჟუაზია მეთაურობდა, რუსეთში კი – პროლეტარიატი“ (სტალინი).

ყრილობა: 1. დიდი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელთა კრება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა...

რაც შეეხება სიტყვებს – *დევალვაცია*, *ინფლაცია* და *კორუფცია* – დასავლეთის კაპიტალისტური ქვეყნების მაგალითებით განიმარტა ისე, თითქოს ასეთი რამ სსრკ-სა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში არ ხდებოდა:

დევალვაცია: *გეორ.* ფულის რეფორმა – სახელმწიფოს მიერ გაუფასურებული ქაღალდის ფულის შესატყვისობის დამყარება მის ლითონურ საფუძველთან; ქაღალდის ფულის კურსის შემცირება ლითონისასთან შედარებით. „საფრანგეთის მთავრობამ, რომელიც სამრეწველო-საფინანსო კაპიტალის ინტერესების წარმომადგენელია, რამდენჯერმე მოახდინა ფრანკის დევალვაცია“ (გაზ. „კომ.“).

ინფლაცია: *ფინ.* სახელმწიფოში ქაღალდის ფულის რაოდენობის დიდი ზრდა, რაც იწვევს ამ ფულის გაუფასურებას. „საფრანგეთში ძლიერდება ინფლაცია“ (გაზ. „კომ.“). „ამერიკის შეერთებული შტატებს ინფლაციის საფრთხე დაემუქრა“ (გაზ. „კომ.“).

კორუფცია: *წიგნ.* მექრთამეობა, მოსყიდულობა თანამდებობის პირთა. „კაპიტალისტურ ქვეყნებში კორუფცია ფართოდაა გავრცელებული“.

ზოგჯერ საილუსტრაციო მასალას არც ახლავს წყაროზე მითითება მაშინ, როცა ასეთი მასალა წარმოდგენილია იმდროინდელი ზოგადი სოციალისტური შეხედულების მიხედვით. ამისი ნათელი მაგალითია ზემოთ სიტყვა **კორუფციის** საილუსტრაციო ნიმუში. რეალურად საქმე სხვაგვარად იყო: სწორედ დევალვაციის, ინფლაციისა და კორუფციის მაღალმა დონემ, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობა საბოლოოდ სსრკ-ისა და სოციალისტური სისტემის ნგრევა.

რასაკვირველია, ქველში არის სიტყვები, რომლებიც არ განიმარტება სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების შეპირისპირების საფუძველზე, მაგრამ მაინც, განსაკუთრებით უარყოფითი მნიშვნელობის სიტყვების განმარტებისას ან კაპიტალისტური ქვეყნების ცხოვრების შესახებ საილუსტრაციო მაგალითების დასახელებისას მათი ქვეტექსტი იყო, რომ ამგვარი ნეგატიური მოვლენები სსრკ-სა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში არ ხდება და, შესაბამისად, მაგალითებიც მოყვანილია „ლპობადი მომაკვდავი კაპიტალიზმის“ ქვეყნებიდან. რა თქმა უნდა, ესეც ხაზს უსვამდა სსრკ-ისა და სოციალისტური სისტემის ქვეყნების უპირატესობას კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით.

იდეოლოგიის გავლენა ვლინდებოდა ზოგჯერ სრულიად უწყინარი სიტყვების საილუსტრაციო მასალაშიც კი. დავასახელებთ რამდენიმე სიტყვის განმარტებას,

რომელთა დასამოწმებლად ციტატაში ან ფრაზაში იდეოლოგიური შეფერილობა ჩანს:

ასობით: ჯერზე ასი; ას-ასი; მრავლად. მოყვანილია ნაწყვეტი: „მის (=ქარხნის პატრონის) წინ ყოველდღე ხელგაშვერილად უმუშევრები ასობით დგანან“ (ა. მირცხ.). ამით ისე ჩანს, თითქოს უმუშევრები მხოლოდ კაპიტალისტურ ქვეყანაში იყვნენ!

დაადასტურებს: დასტურს დასცემს, – დაამტკიცებს, დაამოწმებს. ციტირებაში ნახსენებია სტალინი, თუმცა ამის საჭიროება ნამდვილად არ იყო: „მოვლენათა... მსვლელობამ დაადასტურა სტალინის წინასწარგანჭვრეტა“ (გაზ. „კომუნისტი“).

ითვისებს ზმნის განმარტებისას საილუსტრაციო მასალა იდეოლოგიზებულია: 1. რაიმე არაკეთილსინდისიერი გზით თავისად აქცევს (სხვის საკუთრებას), – ისაკუთრებს, იტაცებს... „წერილში აღნიშნული იყო, რომ ზემოხსენებული პირები ითვისებდნენ კოლმეურნეობის ქონებას“ (გაზ. „კომუნისტი“)... 2. სწავლობს, ეუფლება. „ლენინი პირდაპირ ამბობს, რომ მარტო მუშათა პარტია კი არა, მთელი „მუშათა კლასი ითვისებს სოციალიზმსო“ (სტალინი). „პროლეტარიატის პირობებს სოციალისტური შეგნება შეეფერება. ამიტომ პროლეტარიატი იღებს ამ შეგნებას, ითვისებს მას და გაორკეცებული ძალით ებრძვის კაპიტალისტურ წესწყობილებას“ (სტალინი)...

3.2.2. საბჭოური სტერეოტიპები შესიტყვებებში

ცხადია, დასახელებულია საბჭოური შესიტყვებები (სტერეოტიპები), ერთგვარად იდეოლოგიზებული, როგორიცაა: დიდი ტერორი, ხალხის მტრები, კლასობრივი მტრები, მალული მტრები,

შემდეგი პროპაგანდისტული **მოწოდებები** სსრკ-ის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო და, ცხადია, ლექსიკონშიც შეტანილია: *სიკვდილი ბურჟუაზიასა და მის ლაქიებს! გაუმარჯოს წითელ ტერორს! ჩვენ შევასრულებთ ხუთწლედის გეგმას 4 წელიწადში! ჩვენ ვიმარჯვებთ შრომაში! დიდება დიად ოქტომბერს!* და ა.შ.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში უშუალოდ სიტყვებთან მითითებულია მისი სტატუსი, მაგალითად, *არქაულია* თუ *ახალი (ნეოლოგიზმი)*. ზოგჯერ კი საბჭოთა ეპოქამდე გამოყენებულ სიტყვებთან წერია არა ძველი, არამედ *რევოლუციამდელი (ე.ი. ოქტომბრის დიდ სოციალისტურ რევოლუციამდე)*, ხოლო შემდგომდროინდელთან – *საბჭოური* (იხ. ქველი, ტ. I, 1950, 095). ეს მითითებები არაა უბრალო ქრონოლოგიური აღნიშვნა, არამედ მიანიშნებს პოლიტიზებას და წარმოაჩენს სოციალისტურ-საბჭოური ცხოვრების წესის უპირატესობას.

საინტერესოა სიტყვა **დემონსტრაციის** განმარტება: 1. მასობრივი მსვლელობა (მიტინგი და მისთ.) საზოგადოებრივი განწყობილების გამოსახატავად. საპირველმაისო დემონსტრაცია. „სსრ კავშირის ყველა მოქალაქისათვის უზრუნველყოფილია სიტყვის, პრესის, კრებისა და ქუჩაში დემონსტრაციის თავისუფლება“ (საბჭ.

კავშ. ისტ.). 2. კაპიტალისტურ ქვეყნებში მოთხოვნილებების, უკმაყოფილების, არსებული წყობილების წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვა მასების ქუჩაში გამოსვლით, მიტინგებითა და სხვა. საბჭოთა კავშირში მშრომელთა დემონსტრაცია გამოხატავს სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებას. „მუშები აწყობდნენ გაფიცვებს, გამოდიოდნენ დემონსტრაციებზე“ (საბჭ. კავშ. ისტ.).

ზოგჯერ არც ჩანს, რას ემსახურება სიტყვის მნიშვნელობის განმარტებისას სოციალისტური, საბჭოური და კაპიტალისტური ყოფის დაპირისპირება. მაგალითად, სიტყვა **გვარდიის** განმარტება: 1. ახ. საბჭ. საბჭოთა არმიის რჩეული შენაერთები, რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით სამშობლოს თავდაცვისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში... **წითელი გვარდია** – მუშათა შეიარაღებული რაზმები რევოლუციის დროს. „მთელ ღამეს სმოლნისთან მოდიოდნენ რევოლუციური სამხედრო ნაწილები და წითელი გვარდიის რაზმები“ (პარტ. ისტ.).

საბჭოთა-სოციალისტური ცხოვრების წესის უპირატესობის წარმოჩენა კაპიტალისტურ-ბურჟუაზიულ ქვეყნებთან შედარებით ყველა შესაძლებელ შემთხვევაში ხაზგასმული იყო. უარყოფითი კონტრასტის რომელიმე სიტყვა და შესაბამისი ობიექტი თითქოს დაკავშირებული იყო მხოლოდ კაპიტალისტურ ქვეყნებთან, ანდა ასახავდა ძველი ცხოვრების წესს, რადგან ახალ საბჭოთა სოციალისტურ ცხოვრებაში ასეთი რამ არ ხდებოდა. ამისი ნათელი მაგალითია სიტყვა „საროსკიპო“, რაც, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა ყოფილიყო საბჭოთა ადამიანების ყოფაში. ამიტომაც ასეა განმარტებული:

საროსკიპო ძე. და კაპიტალისტ. ქვეყნებში როსკიპთა სახლი. „[იერემია] ყოველ ღამეს საროსკიპოში ედო“ (გ. წერეთ.). „ეგნატე ნინოშვილი მთელ იმ გზას გვირვენებს, რომელსაც ახალგაზრდა, საყვარლის მიერ მიტოვებული ქალი გლეხის ქონიდან ქალაქის საროსკიპოში მიჰყავს“ (გ. ქიქ.).

ასეთი განმარტება ამ ტიპის დაწესებულებას ძველი ცხოვრებისა და კაპიტალისტური ქვეყნებისათვის დამახასიათებლად აცხადებდა. იმას როგორ დაუშვებდნენ, რომ საბჭოთა კავშირში შესაძლებელი იყო საროსკიპოს არსებობა და ამიტომ სიტყვა მიჩნეული იყო მოძველებულად, კაპიტალისტური ცხოვრების წესისათვის დამახასიათებლად (ამ დაწესებულების ფრანგული წარმოშობის საერთაშორისო სახელი *ბორდელი* არაა შეტანილი ქეგლის არც ძველ და არც ახალ რედაქციებში).

ცხადია, ქეგლი ისევე, როგორც ყველა ოფიციალური გამოცემა საქ. სსრ-სა და მთლიანად სსრკ-ში, იძულებული იყო, მიეჩქმალა ან შეეღამაზებინა ის სამწუხარო რეალობა, რომელიც საბჭოთა კავშირსა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში იყო გაბატონებული. ეს მაშინდელი სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი იყო და, რასაკვირველია, გამიზნულად ხდებოდა. ვფიქრობთ, ამის ერთგვარი გამოვლინებაა სიტყვა **ვეტოს** განმარტებაც: ისტ. ძველად დიდ ქალაქებში ებრაელთა განსაკუთრებული უბნები, რომლის გარეთაც ებრაელებს არა ჰქონდათ დასახლების

უფლება. ამჟამად გეტო შერჩენილია ზოგიერთ კაპიტალისტურ და კოლონიურ ქვეყანაში, როგორც ებრაელთა მასების ჩაგვრის საშუალება.

ამრიგად, აქ ნათქვამია, რომ **გეტო** არის ებრაელთათვის გამოყოფილი უბანი რომელიმე ქალაქში, რომლის გარეთაც მათ არ ჰქონდათ დასახლების უფლება, თითქოს ის მხოლოდ ზოგიერთ კაპიტალისტურ და კოლონიურ ქვეყანაში შემორჩა. ჩვენთან (ანუ სსრკ-ში!) არ არსებობდა, რადგან ებრაელებს აქ არ ჩაგრავენ და არ ამცირებდნენ, მაშინ ხომ სსრკ-ის ყველა ერისა და ეროვნების თავისუფალი არსებობა იყო გარანტირებული (ყოველ შემთხვევაში, ქალაქებში მაცნა!).

სინამდვილეში ებრაელებთან და, კერძოდ, ტერმინ *გეტოსთან*, დაკავშირებით სსრკ-ში სიტუაცია სხვაგვარად იყო. მაშინაც და დღესაც რუსეთში არსებობს ებრაელთა ავტონომიური ოლქი ადმინისტრაციული ცენტრით – ბირობიჯანი. რას წარმოადგენდა ეს ოლქი სსრკ-ში და რა არის ის პოლიტიკურ-იდეოლოგიური თვალსაზრისით დღეს?

ეს იყო იმის დემონსტრირება, რომ სსრკ-ში საბჭოთა მთავრობა არცერთ ეროვნებას არ ჩაგრავს და არ შეურაცხყოფს, მათ შორის არც ამ უძველეს ხალხს – ებრაელებს და ამიტომაც მათთვისაც შეიქმნა სპეციალური ოლქი. მაგრამ სად? შორეულ აღმოსავლეთში (მდ. ამურის, ხაბაროვსკისა და ჩინეთის მოსაზღვრედ), რომელთანაც არანაირი ისტორიული კავშირი არ ჰქონია ებრაელობას. შექმნის დღიდან (1934წ.) ეს იყო სსრკ-ის ულატაკესი რეგიონი, რომელშიც იძულებით გადასახლეს ებრაელობა, რადგან იქ საკუთარი ნებით არავინ წავიდოდა. ფაქტობრივად, ეს ერთგვარი გეტო იყო.

ქვეყნის თანამედროვე რედაქციაში ამგვარი ნიუანსობრივი მინიშნებებისგან თავისუფალია ეს სიტყვა: „შუა საუკუნეების ევროპაში, აგრეთვე ზოგიერთი თანამედროვე კაპიტალისტური ქვეყნის დიდ ქალაქებში საგანგებოდ გამოყოფილი უბანი, სადაც იძულებით არის დასახლებული ადამიანთა გარკვეული რასობრივი ან რელიგიური ჯგუფი“ (ქველი, ახ. რედაქცია).

3.2.3. საბჭოური აბრევიატურები და შესიტყვებები

ა. აბრევიატურები

საბჭოთა კავშირში ყოველდღიურად იქმნებოდა უამრავი აბრევიატურა და ლექსიკონშიც უნდა ასახულიყო. მაგალითად: **მუშგლეხკორები** მუშკორები და გლეხკორები (იგივე მუშათა და გლეხთა კორესპონდენტები): „დიდი მნიშვნელობა აქვს... რედაქციის გარეშე აქტივის, მუშგლეხკორების ფართოდ გამოყენებას“ (გაზ. „კომუნისტი“).

მუშკოები: ისტ. მუშათა კოოპერატივი.

მუშსოფლკორები: მუშკორები და სოფლკორები.

კომპარტია: პოლიტ. კომუნისტური პარტია. საინტერესოა ამ აბრევიატურის საილუსტრაციო მასალა: „უდიდესი როლი შეასრულა ამხანაგ სტალინის მოხსენე-

ბამ საქართველოს კომპარტიის... საერთო კრებაზე“ (გაზ. „კომუნისტი“); „ბოლშე-
ვიკების პარტიისაგან სწავლობენ მოძმე კომპარტიები სოციალიზმისათვის მასების
ბრძოლის ხელმძღვანელობას“ (გაზ. „კომუნისტი“); „საქართველოს კომპარტიის
XIV ყრილობამ პარტიულ ორგანიზაციებს ერთ-ერთ ძირითად ამოცანად დაუსახა
უახლოეს 7-8 წელიწადში აღმოსავლეთ საქართველოს და იმერეთის რაიონების
მთელი ვაკე მიწების მორწყვის უზრუნველყოფა“ (გაზ. „კომუნისტი“); „გერმანიის
კომპარტია წარმოიშვა პირველი მსოფლიო ომის წინააღმდეგ ბრძოლაში“ (გაზ.
„კომუნისტი“).

პარტბილეთი: პარტიული ბილეთი, – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარ-
ტიის წევრის ბილეთი.

პარტბიურო: პარტიული ორგანიზაციის ბიურო. „პარტბიუროს სხდომაზე...
განხილულ იქნა კლუბსა და საამქროებში თვალსაჩინო აგიტაციის მდგომარეობის
საკითხი“ (გაზ. „კომუნისტი“).

პარტდისციპლინა: პარტიული დისციპლინა.

პარტკოლეგია: პარტიული კონტროლის კომისიასთან არსებული კოლეგია.

პარტკოლექტივი: პარტიული კოლექტივი, – პირველადი პარტიული ორგანი-
ზაცია.

პარტკომი: პარტიული კომიტეტი.

პარტკონფერენცია: პარტიული კონფერენცია.

პარტკრება: პარტიული კრება.

პარტმინიმუმი: პარტიის ყოველი წევრისათვის აუცილებლად საჭირო პოლი-
ტიკური ცოდნის მინიმუმი.

პარტმუშაკი: პარტიული მუშაკი.

პარტორგი: პარტიული ორგანიზატორი, – პარტჯგუფის ხელმძღვანელი.

პარტორგანიზაცია: პარტიული ორგანიზაცია.

პარტორგანო: პარტიული ორგანო. პარტორგანოს არჩევნები.

პარტრაიკომი: პარტიის რაიონული კომიტეტი. პარტრაიკომის მდივანი.

პარტსამუშაო: პარტიული სამუშაო.

პარტსასჯელი: სასჯელი, რომელიც ედება კომუნისტს პარტიული ორგანიზა-
ციის მიერ.

პარტსკოლა: პარტიული სკოლა.

პარტსტაჟი: პარტიულობის სტაჟი, პარტიის რიგებში ყოფნის დრო.

პარტუჯრედი: პარტიული უჯრედი, – პირველადი პარტიული ორგანიზაციის
სახელწოდება პარტიის XVII ყრილობამდე.

პარტყრილობა: პარტიის ყრილობა.

ბ. შესიტყვებები

პარტიასთან მითითებულია შესიტყვებები: პოლიტიკური პარტია და საბჭოთა
კავშირის კომუნისტური პარტია.

პარტიულთან: პარტიული დისციპლინა; პარტიული პოლიტიკა; პარტიული განათლება; პარტიული ორგანოები; პარტიული ბილეთი.

სოციალისტურთან: სოციალისტური საკუთრება, სოციალისტური რევოლუცია, სოციალისტური სისტემა, სოციალისტური იდეოლოგია, სოციალისტური მოძრაობა, სოციალისტური შეჯიბრება და ა.შ.

3.2.4. საეკლესიო ტერმინები

ლექსიკის ეს ფენა საკმაოდ მწირადაა წარმოდგენილი ქველის პირველ რედაქციაში. რიტუალების ან რელიგიური დღესასწაულების სახელებთან ხშირად მიითებული, რომ მომველებული სიტყვებია ან განმარტება ისეა ჩამოყალიბებული, რომ მაინც იგრძნობა ათეისტური დამოკიდებულება:

აღდგომა: ძვ. რელიგ. ქრისტეს ვითომც¹ მკვდრეთით ადგომის, გაცოცხლების დღესასწაული (ისტორიულად მომდინარეობს გაზაფხულის დღესასწაულისაგან).

შობა: 2. ძვ. რელიგიური დღესასწაული ქრისტეს დაბადების აღსანიშნავად (25 დეკემბერი ძვ. სტილით).

კურთხევა: 1. ეკლ. სასულიერო პირის (მღვდლის და მისთ.) მიერ დალოცვა (ადამიანისა, ხალხისა) ჯვრის გადასახვით... 2. ეკლ. სასულიერო პირის მიერ (სათნადო წესით) დალოცვა (წყლისა, ახალი შენობისა, სუფრისა და მისთ.)... 4. ეკლ. საეკლესიო წესების შესრულებით დამტკიცება (მაგ., მღვდლად, მეფედ...)... **კურთხევას ჩამოართმევს** ძვ. კურთხევას მიიღებს მღვდლისაგან...

ზიარება: რელიგ. ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი წესი – ე.წ. ნაკურთხი ღვინისა და სეფისკვერის ნაწილის მიღება (შესმა-შეჭმა)... ის ღვინო და სეფისკვერის ნაწილი, რომელიც ამ წესის შესრულებისას მიიღება ხოლმე.

ღვთისმსახურება: ძვ. კულტის მსახურთა მიერ რელიგიური წესების შესრულება.

წირვა: ეკლ. მთავარი ქრისტიანული მღვდელმსახურება, რომელიც დღისით სრულდებოდა.

აღსარება: 1. ძვ. მიმდევრობა (რაიმე მოძღვრებისა, სარწმუნოებისა)... 2. ეკლ. ზიარების წინ მღვდლისათვის ცოდვების განდობა და სხვ.

3.2.5. განმარტებითი ლექსიკონის საილუსტრაციო მასალა

განსაკუთრებით გამოვყოფთ საილუსტრაციო წყაროებს. ხშირად ვხვდებით დიდი ბეჭდების (მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის) თხზულებებს, ასევე საბჭოთა კავშირის ისტორიასა და კომუნისტური პარტიის ისტორიას. გაზეთები და ჟურნალები, რომელთა უძრავლესობა კომუნისტური იდეოლოგიას ემსახურებოდა: „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „სტალინის დროშა“, „ნორჩი ლენინელი“ და სხვ.

¹ ეს „ვითომც“ უკვე აღდგომის არსს აუქმებს.

მე-20 საუკუნის ციტირებული მწერლებისა და პოეტების ერთი ნაწილი აშკარად უჭერდა მხარს ან ხოტბას ასხამდა საბჭოთა წყობას (ა. მირცხულავა, ს. შანშიაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ხ. ბერულავა და სხვ.).

კიდევ შეიძლება მაგალითების მოყვანა იმის დასადასტურებლად, რომ ქეგლის ძველ რედაქციაში ალაგ-ალაგ მაინც იგრძნობა ტოტალიტარული სახელმწიფოს ოფიციალური იდეოლოგიის კვალი. ბუნებრივია, კიდევ მეტად პოლიტიზებული იყო საბჭოთა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში გამოცემული სხვა სახის ლექსიკონები (განსაკუთრებით – პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური...). მაშინ ასეთი რამ თითქოს ბუნებრივი ჩანდა და ვერავინ გაექცეოდა (არადა, საბჭოურ-სოციალისტური ცხოვრების წესს თან ახლდა დაუნდობელი რეპრესიები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში), წინააღმდეგ შემთხვევაში თავად ლექსიკოგრაფიული საქმე დაზარალდებოდა.

ახლა, პოსტსაბჭოთა პერიოდში, შეუძლებელია ამ საკითხთან დაკავშირებით იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის დადგენა გამოკითხვა-ანკეტირების გზით. მით უმეტეს, შეუძლებელი იყო საბჭოთა პერიოდში, რადგან ის ვერ იქნებოდა ობიექტური. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მაღავედა საკუთარ აზრს, რადგან უფროსოდა საბჭოთა სახელმწიფო ორგანოებს, თუმცა საბჭოთა ანდა სოციალისტური ბანაკის მცხოვრებთა დამოკიდებულება ზოგიერთ სიტყვასა და მოვლენასთან აშკარად ნეგატიური იყო, ხოლო რეალური ვითარება – ერთგვარად შენიღბული.

ავთანდილ არაბული ერთ-ერთ ინტერვიუში ქეგლის შესახებ ამბობდა: „ძირითადად პოლიტიკური მიზეზით რვატომეულის მიღმა დარჩნენ მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, პოლიკარპე კაკაბაძე... „ (არაბული 2011).

სტალინის გარდაცვალების (1953 წლის 5 მარტი) შემდეგ, 1956 წლის თებერვალში, ჩატარდა სკკპ-ის XX ყრილობა, რომელზეც დაისვა პიროვნების კულტის საკითხი. სკკპ-ს ცკ-ის გენერალურმა მდივანმა ნიკიტა ხრუშჩოვმა დააყენა საკითხი „პიროვნების კულტის“ ზეგავლენის მავნე შედეგების შესახებ და დაგმო ის. ამდენად, ლექსიკონის მე-7 ტომიდან (1962 წ.) გაქრა ციტირებები სტალინის ნაწარმოებებიდან, მაგრამ დაემატა საილუსტრაციო მასალა ადრე „ხალხის მტრებად“ შერაცხულ, რეპრესირებულ და რეაბილიტირებულ მწერალთა თუ პოეტთა ნაწარმოებებიდან (მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი...)

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ლინგვისტ-ლექსიკოგრაფები, არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით იყვნენ ნამდვილი გმირები, რომლებმაც შეძლეს ტოტალიტარულ საბჭოთა სახელმწიფოში შეედგინათ მრავლისმომცველი და მაღალი სამეცნიერო დონის განმარტებითი ლექსიკონი. ნამდვილად, „ენობრივი მდგომარეობა, რომელიც განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულშია ასახული, ერთი საუკუნის წინანდელი ენობრივი მდგომარეობაა“ (არაბული 2011).

ჩვენთვის ეს ლექსიკონი, გარდა იმისა, რომ ნამდვილად ლექსიკოგრაფიული საგანძურია და უდიდესი მნიშვნელობა აქვს, საინტერესოა იმიტომაც, რომ ეპოქის სულს გამოხატავს და გარკვეულწილად იმ პერიოდის იდეოლოგიასაც ასახავს.

4. განმარტებითი ლექსიკონის ახალი რედაქციის გამოცემის საჭიროება

ენათმეცნიერ-ლექსიკოგრაფები დიდხანს მუშაობდნენ და მუშაობენ ქეგლის ახალ გამოცემაზე. მართლაც, „პირველი რიგის ამოცანა ქართველოლოგიაში და საზოგადოდ, ყველა ქვეყნის ჰუმანიტარულ სფეროში, არის განმარტებითი ლექსიკონის შექმნა. ლექსიკას თავი უნდა მოეყაროს და მთლიანობაში იქნეს დანახული, რა ვითარებაა სალიტერატურო ენის განვითარებაში. რა შემოდის, რა არის ძველი ლექსიკა, რა სიახლეებია, რომელი ჭარბობს და ა.შ.“ (არაბული 2011). საზგასმუღლია სხვა ენობრივი პრობლემებიც: „თანამედროვე ენა ბარბარიზმებით გაივსო. ძალიან მოჭარბება ამგვარი ლექსიკური ერთეულებისა, რომლებიც არ დაკანონებულა და ისე არის ენაში შემოჭრილი, ხარისხობრივად უქადის საფრთხეს ჩვეულებრივ სალიტერატურო ენას. დაეტყო კიდევაც ეს ჩვენს სინამდვილეს... ლექსიკონის ახალ რედაქციაში მართო დამატებული ლექსიკური ერთეულები კი არ არის, არამედ ყოველი [სალექსიკონო] სტატია თითქმის 50 პროცენტითაა შეცვლილი. იმიტომ, რომ შემოდის ახალი ილუსტრაციები, ახალი მნიშვნელობები. განმარტებები და კვალიფიკაციები იცვლება და ა. შ. ეს სრულიად განახლებული რედაქციაა... განმარტებითი ლექსიკონი მოიცავს ენის ფუნქციონირების ყველა სფეროს“ (იქვე 2011).

მაშასადამე, გადაუმავლებელი ახალი რედაქციის გამოცემის აუცილებლობა გააპირობა რამდენიმე ფაქტორმა:

- დიდი დროის გასვლა ძველი გამოცემის შემდეგ;
- საგრძნობი ლექსიკური ცვლილებები დროთა განმავლობაში;
- ახალწარმონაქმნების (ნეოლოგიზმების) შემოსვლა ენაში;
- ნასესხები ლექსიკისა და სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინების მომრავლება;
- განმარტებათა განახლების საჭიროება;
- ახალი საილუსტრაციო მასალის გამოყენების აუცილებლობა.

უკვე გამოიცა ქეგლის ახალი რედაქციის პირველი ტომები. ეს ლექსიკონი, ცხადია, თავისუფალია იდეოლოგიური წინეხისგან, მაგრამ კიდევ უფრო დასაფასებელია საბჭოთა რეპრესიული პოლიტიკის დროს მოღვაწე ლინგვისტ-ლექსიკოგრაფთა თავგანწირული შრომა და დიდი ეროვნული საქმის პირნათლად შესრულება. რვატომეული ნამდვილად იყო და არის ეპოქის სულის გამომხატველი და იმ პერიოდის ქართული ენის ლექსიკის უტყუარად ამსახველი.

ლიტერატურა

არაბული 2011: ნ. როდონაია, ინტერვიუ ა. არაბულთან: *რატომ არის აქტუალური ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალი რედაქციის გამოცემა?* რადიო „თავისუფლება“, 2011, 18 თებერვალი.

<https://www.radiotavisupleba.ge/a/2313555.html> (ბოლოს ნანახია 14.02.2025)

ბოლქვაძე 2005: თ. ბოლქვაძე, *იდეოლოგიზებული ღირებულებები*, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ზექლაშვილი 2019: რ. ზექლაშვილი, იდეოლოგია და საბჭოთა პერიოდის ქართული ლექსიკოგრაფია: *საერთაშორისო კონფერენცია, მიძღვნილი რასმუს რასკისადმი, იდეოლოგია და ლინგვისტური იდეები*, პროგრამა და თეზისები, თბილისი, გვ. 36-37.

ინტერვიუ კლემპერთან 2024: Victor Klemperer, *LTIst "Nie wieder!" wirklich jetzt?* <https://www.deutschlandfunk.de/ist-nie-wieder-wirklich-jetzt-100.html> (ბოლოს ნანახია 14.02.2025)

მინდაძე 2014: ი. მინდაძე, *ენა და იდეოლოგია*. <https://iwaminda.wordpress.com> (ბოლოს ნანახია 14.02.2025)

ომიაძე 2005: ს. ომიაძე, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რეატიომეული – ლინგვოკულტუროლოგიურ კვლევათა ფუნდამენტური წყარო: *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები*, ტ. IX, თბილისი, გვ. 210-219.

ომიაძე 2006: ს. ომიაძე, *ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა-სემანტიკა და ფუნქციონირება*, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.

ომიაძე 2009: ს. ომიაძე, *ქართული დისკურსის კულტუროლოგიური პარადიგმა*, თბილისი.

რამიშვილი 2002: გ. რამიშვილი, *დედაენის თეორია*, ქრონოგრაფი, თბილისი.

ჭურდაძე 2001: რ. ჭურდაძე, ქართული ლექსიკოლოგიის ზოგიერთი საკითხი (პოლიტიზირებულ ტერმინთა განმარტების დაზუსტებისათვის): *ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია*, მოხსენებათა მასალები, თბილისი, გვ. 57-58.

ჭურდაძე 2015: რ. ჭურდაძე, იდეოლოგიზირებული ცხოვრება და იდეოლოგიზირებული ლექსიკონები: *საერთაშორისო კონფერენცია „იდეოლოგია და ლინგვისტური იდეები“*, პროგრამა და თეზისები, თბილისი, გვ. 53-54.

Keller 1990: R. Keller, *Sprachwandel: von der unsichtbaren Hand in der Sprache*, 1 Auflage, Francke, Tübingen.

Kohlmayer 1997: R. Kohlmayer, "Ideologie im Wörterbuch. Die sieben Auflagen des DUDEN-Stilwörterbuchs von 1934 bis 1988", in: Horst W. Drescher (Hrsg.): *Transfer. Übersetzen – Dolmetschen – Interkulturalität. 50 Jahre Fachbereich Angewandte Sprach- und Kulturwissenschaft*. Frankfurt am Main: Peter Lang, S. 473-486. https://www.rainer-kohlmayer.de/downloads/files/ideo_wb.pdf (ბოლოს ნანახია 14.02.2025)

Шмелькова 2010: Шмелькова В. В., Языковая динамика в русской лексикографии XX века: *Вестник РУДН, Серия: Вопросы образования, Языки и специальность*, Выпуск №10, стр. 54-58.

<https://api.semanticscholar.org/CorpusID:131881734> (ბოლოს ნანახია 14.02.2025)

ვიკიპედია 1:

<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90> (ბოლოს ნანახია 14.02.2025)

ვიკიპედია 2:

<https://de.wikipedia.org/wiki/Ideologie> (ბოლოს ნანახია 14.02.2025)

ვიკიპედია 3:

https://de.wikipedia.org/wiki/Sprachgebrauch_in_der_DDR (ბოლოს ნანახია 14.02.2025)

ტექსტები

ორუელი 2006: ჯ. ორუელი, 1984 (ინგლისურიდან თარგმნა დავით აკრიანმა), სიესტა, თბილისი.

Klemperer 1968: V. Klemperer, *Lingua Tertii Imperii (Notizbuch eines Philologen)*. Verlag: Philipp Reclam jun.–Leipzig: Reclams Universal-Bibliothek – Band: 278, Reclam.

Клемперер 1998: В. Клемперер, *ЛТИ. Язык Третьего рейха: Записная книжка филолога* /пер. с нем. А. Б. Григорьева, Прогресс-Традиция, М.

კუნდერა 2012: მ. კუნდერა, *ყოფის აუტანელი სიმსუბუქე*, ჩეხურიდან თარგმნა სულხან მუხიგულაშვილმა, დიოგენე, თბილისი.

Оруэлл 1992: Дж. Оруэлл, *Эссе, статьи, рецензии, т. 2*, Издательский дом: КАПИК, М.

ტოლკინი 2015: ჯ. რ. ტოლკინი, *ბეჭდების მბრძანებელი* (ინგლისურიდან თარგმნა ნიკა სამუშიამ), პალიტრა, თბილისი.

ლექსიკონები

უსლ 1989: უცხო სიტყვათა ლექსიკონი, მე-3 გამოცემა, თბილისი.

ქეკელი 1950-1964: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (მთ. რედაქტორი არნ. ჩიქობავა), ტ. I – VIII, 1950-1964 (I, ა-ბ, 1950; II, გ, 1951; III, დ-ე, 1953; IV, ვ-ლ, 1955; V, მ-ნ, 1958; VI, ო-უ, 1960; VII, ფ-შ, 1962; VIII, ზ-პ, 1964.

ქეკელი 2008-2019: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი გამოცემა: I, მერიდიანი, თბილისი, ა-ბ, 2008; II, გ, 2010; III, დ, 2015; IV, ე-ვ-ზ, 2019 (მთ. რედაქტორი ავთანდილ არაბული).

Rusudan Zekalashvili, Ramaz Kurdadze

The Epoch and the Influence of Ideology on Dictionaries

Summary

Many factors influence changes in the vocabulary of any language, among them in a totalitarian state. The dominant ideology has the strongest impact.

This issue has not gone unnoticed in literature, with many works depicting the influence of ideology on individuals and collective consciousness (e.g., Victor Klemperer’s “LTI – The Language of the Third Reich: A Philologist’s Notebook”; Milan Kundera’s “The Unbearable Lightness of Being”; in Georgian literature: R. Inanishvili’s “Lara”, Chabua Amirejibi’s “Data Tutashkhia”, especially in the allegorical episodes of Arkipo Seturi and Kuji Thoria and so on).

In the 20th century, linguistics became interested in studying the effects of fascist ideology on human speech. Professor Rudi Keller referred to this phenomenon as the “Invisible Hand.” The study of lexical and grammatical features of speech in East and West Germany (GDR and FRG) is particularly significant for the analysis of ideological influence among other cases.

Lexical changes are usually reflected in explanatory dictionaries. They are interesting in terms of the influence of political ideology on the vocabulary of the Georgian language, in this regard the eight-volume Georgian Explanatory Dictionary (1950–1964, editor in chief Arnold Chikobava) is of great interest. Despite great ideological pressure and the difficult years after World War II, compiling this dictionary was an act of heroism. The comprehensive lexical database gathered by lexicographers at that time captured the full extent of the vocabulary of the Georgian language, which naturally included Soviet ideology. From this point of view, we distinguish several aspects:

1. The presence of a certain amount of ideologically charged words while selecting lexical units;
2. The ideological coloring of political, social, economic, philosophical, and religious terms, with differing definitions according to the perspectives of socialist or capitalist states;
3. The propagation of atheism and a somewhat biased definition of ecclesiastical terms;
4. The abundance of neologisms, abbreviations, and collocations borrowed from Russian, which are characteristic of the Soviet epoch;
5. The use of political literature as illustrative sources (e.g., works by proletarian leaders, contemporary press, the history of the Communist Party, and congress resolutions).

These definitions aimed at emphasizing the superiority of the socialist world and communist ideology, highlighting the “high moral character” of the “free” Soviet individual while underscoring the moral and political vices of capitalist states.

Nevertheless, the first edition of the Explanatory Dictionary of the Georgian Language remains a rich and valuable source of culturological information. It reflects both the dominant ideology of its time and the contradictions of the Soviet epoch, which was expected.

ბია კვაშილავა

**A კლასის ხაზოვანი წარწერების ამოკითხვა
სამართოქართველურ ენაზე: QA-PA₃ –
„ჭურჭლის“ აღმნიშვნელი სახელი**

*ექვნება ღვაწლმოსილი მეცნიერის,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის,
ნელი მაზარაძის ნათელ ხსოვნას*

შესავალი

წინამდებარე შრომაში წარმოდგენილია A კლასის ხაზოვანი (=LA) დამწერლობით შესრულებული HT 31 (HM 19) თიხის ფირფიტის წარწერა, რომელიც აღმოჩენილ იქნა კუნძულ კრეტაზე, ჰაგია ტრიადაში და დათარიღდა LM IB პერიოდით (GORILA 1976, I:XXI; GORILA 1985, V:84; Raison and Pope 1994:64), ანუ ძვ.წ. 1500-1450 წწ-ით.

1. ამ წარწერაში დასტურდება „ჭურჭლის“ აღმნიშვნელი სახელი – qa-pa₃ მიმდევრობა. ქვემოთ მოცემულია ამ ნიშანთა გრაფიკული მოხაზულობა, ფონეტიკური მნიშვნელობები, ამოკითხვა ტიპოლოგიური პარალელებითა და კომენტარითურთ.


2. შრომაში, ძირითადად, წარმოდგენილია სამხრეთკავკასიური – საერთოქართველური ენობრივი მასალის, მისგან ცალკეული ქართველური ენების განვითარების, ამ ენათა ძირეულ, ისე აფიქსალურ მორფემათა შორის არსებული რეგულარული ფონემური კანონზომიერი შესატყვისობების და შედარებითი ენათმეცნიერული ანალიზის შესახებ.

3. qa-pa₃ მიმდევრობა განიხილება როგორც საერთოქართველური არქეტიპი, „ჭურჭლის“ აღმნიშვნელი სახელი, რომელიც რეგულარული ფონოლოგიური და სემანტიკური მიმართებითაა შესაბამის ქართველურ მასალასთან.

4. შეკრებილია qap- ფუძის შემცველი „ჭურჭლის“ აღმნიშვნელი სახელები, რომლებიც აღდგენილია მსოფლიოს ენათა სხვადასხვა ოჯახისთვის.

1. qa-pa₃ ნიშანთა მიმდევრობის ამოკითხვა

HT 31 (HM 19) თიხის ფირფიტის A კლასის ხაზოვანი წარწერის მე-2 სტრიქონში „ჭურჭლის“ აღმნიშვნელი ▯ LA402^{VAS} იდეოგრამის ზემოთ წერია: **ϕ** LA016, **⸎** LA056 და **—** LA10110 ნიშანთა მიმდევრობა (იხ. სურ. 1). ბოლო ნიშანი აღნიშნავს ნატურალურ რიცხვს, რომლის მნიშვნელობაა 10 (Kvashilava 2017:857, ცხრ. 1).



სურ. 1. HT 31 (HM 19) თიხის ფირფიტის წარწერა GORILA 1976, I:58-ის მიხედვით

ამ წარწერაში **𐎧𐎺** LA016+LA056 ნიშანთა მიმდევრობა ამოიკითხება როგორც qa და pa₃ მარცვლები, რაც ემთხვევა მიკენური ხანის B კლასის (LB) ხაზოვანი დამწერლობის **𐎧** LB016 და **𐎺** LB056 სილაბოგრამების qa და pa₃ მნიშვნელობებს¹ (შდრ. Ventris and Cahdwick 1973:385, სურ. 27). ეს ნიშნები და მათი ფონეტიკური მნიშვნელობები I ცხრილშია წარმოდგენილი.

LA	𐎧 𐎧𐎺 𐎧𐎺𐎠 𐎧𐎺𐎠𐎵 𐎧𐎺𐎠𐎵𐎶 𐎧𐎺𐎠𐎵𐎶𐎵 𐎧𐎺𐎠𐎵𐎶𐎵𐎶 𐎧𐎺𐎠𐎵𐎶𐎵𐎶𐎵	qa / *kwa
LB	𐎧𐎺𐎠𐎵 𐎧𐎺𐎠𐎵𐎶 𐎧𐎺𐎠𐎵𐎶𐎵 𐎧𐎺𐎠𐎵𐎶𐎵𐎶 𐎧𐎺𐎠𐎵𐎶𐎵𐎶𐎵 𐎧𐎺𐎠𐎵𐎶𐎵𐎶𐎵𐎶	qa
	შდრ. ძველი ბერძნული დამწერლობის ნიშანი	𐎧 q / k
	შდრ. ძველი ქართული ანბანის ასოები:	𐎧 q 𐎧 k
LA	𐎧𐎺𐎠𐎵 𐎧𐎺𐎠𐎵𐎶	pa ₃ / *paj
LB	𐎧𐎺𐎠𐎵 𐎧𐎺𐎠𐎵𐎶 𐎧𐎺𐎠𐎵𐎶𐎵 𐎧𐎺𐎠𐎵𐎶𐎵𐎶 𐎧𐎺𐎠𐎵𐎶𐎵𐎶𐎵 𐎧𐎺𐎠𐎵𐎶𐎵𐎶𐎵𐎶	pa ₃

I ცხრ. LA016 და LA056 ნიშნების ვარიანტები GORILA 1985, V:XXX, XXXVII-ისა და Bennett 1966:298, 299, 304, 305-ის მიხედვით

¹ რ. შმიტ-ბრანდტის (Schmitt-Brandt 2003:191) მიხედვით, ჩანს, რომ **𐎧** LA016 ნიშანი „ყვავილის“ აღმნიშვნელია და მის ფონეტიკურ მნიშვნელობას qa მარცვალს ძველი ქართული ყუ-ავ-ილ-ი [q̥w-av-il-i] – „ყვავილი“ სიტყვის ყუ-ა- [q̥w-a-] ელემენტი შეესაბამება. მეტიც, თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის (1965:201) თეორიის თანახმად, საერთოქართველურ დონეზე ყუ [q̥w] კომპლექსი ფუძის მორფოფონოლოგიური სტრუქტურის თვალსაზრისით ყ /q̥/ ფონემას უტოლდება.

მ. ვენტრისისა და ჯ. ჩედვიკის (Ventris and Chadwick 1973:81, 77, 527) მიხედვით, LB ხაზოვან ტექსტებში დასტურდება შემდეგი ფონეტიკური მნიშვნელობები: $q=[*kw]$ (ლაბიოველარი) და $a_3=[*aj]$ (დიფთონგი). ამ მონაცემების თანახმად, A კლასის ხაზოვანი დამწერლობის 𐀓 LA016 და 𐀕 LA056 ნიშანთა შესაბამისი მნიშვნელობები qa და pa₃ აღდება როგორც $[*kwa]$ და $[*paj]$ მარცვლები.

ამდენად, 𐀓𐀕 LA016+LA056 ნიშანთა მიმდევრობა qa-pa₃ ამოიკითხება როგორც $[*kwa-paj]$ არქეტიპი.

სამეცნიერო ლიტერატურაში (Ventris and Chadwick 1973:323; Gordon 1958:247; Pope 1958:21; Packard 1974:27; Best and Woudhuizen 1989:1-2, 5-6; და სხვა) გამოთქმულია მოსაზრება, რომ 𐀓𐀕 qa-pa₃ მიმდევრობა „ჭურჭლის“ აღმნიშვნელი სახელია („pot“ ან „cup“).

𐀓𐀓𐀕 LA402^{VAS} qa-pa₃ / $[*kwa-paj]$ მიმდევრობას ვუკავშირებ საერთოქართველურ *კუბა-ბ $[*kwap-a]$ / *კუბა-ბ $[*kwap^h-a]$ არქეტიპს, რომელიც „ჭურჭლის“ აღმნიშვნელი სახელია. სპეციალურ ლიტერატურაში (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965; Gamkrelidze 1966) მოყვანილი ლინგვისტური მასალის გათვალისწინებით, ქვემოთ წარმოდგენილია საერთოქართველურ ფუძეენაზე არქეტიპის ამ სახით აღდგენა.

2. საერთოქართველური *კუბა-ბ $[*kwap-a]$ / *კუბა-ბ $[*kwap^h-a]$ მიმდევრობისა და მისი ალომორფების აღდგენა

როგორც ცნობილია, საერთოქართველური ფუძეენის განვითარების ბოლო პერიოდში ჩამოყალიბდა ლინგვისტურად დადასტურებული ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ენობრივი ერთეულები. ამ ენათა ლინგვისტურ-შედარებითი ანალიზისთვის ქვემოთ ნიშნულად წარმოდგენილია ქართვ. კობ- $[kɔp-]$ / კოფ- $[kɔp^h-]$ / კობ- $[kɔp-]$ ფუძის ურთიერთშეპირისპირება (იხ. II ცხრ.), რათა აღდგეს შესატყვისი *კუბა-ბ $[*kwap-a]$ / *კუბა-ბ $[*kwap^h-a]$ მიმდევრობა და მისი ალომორფები საერთოქართველურ დონეზე (ენობრივი სისტემის იერარქიული დონეების შესახებ იხ. Palmer 1957-1958:225 შმდ.).

ქართ. კობ- $[kɔp-]$, კოფ- $[kɔp^h-]$ ¹	კობ-ე $[kɔp-e]$ – „საღვინე არს ათის თუხტის დამტვენელი“; „ათ თუხტისანი საღვინე“; „ღვინის ა(ღ)მოსაღები(ა), მცირე ჭურჭელი-ა“ (ორბელიანი 1991, I:383 შმდ.);
--	---

¹ პ/ფ/ბ $[p/p^h/b]$ და კ/გ/ხ/წ $[k/g/x/q^h]$ თანხმუნების მონაცვლეობა, შესაბამისად, დასტურდება შემდეგ ქართულ ფორმებში: კობ-ინ-ა $[kɔp-in-a]$ (მესხ.) – წყლის სასმელი ხისა (ლლონტი 1984:302); კოფ-ი-ო $[kɔp^h-i-o]$ (რაჭ.) – საწყაო (ქეგლი 1955 IV:1352); გობ-ი $[gob-i]$ – „ზე ამოთლილი ჭურჭლად“ (ორბელიანი 1991, I:164); ქართ. ხობ-ე $[xɔp-e]$ (ლეჩხ.) – ხილის საკრეფი გრძელტარაიანი ჭურჭელი, რომელიც დამზადებულია აყიროსგან (ქეგლი 1964, VIII:1488) და სხვა. შდრ.: ხოფ-ი $[xɔp^h-i]$ / ჯოფ-ი $[q^hɔp^h-i]$ (მოხევ.) – ჩაღრმავებული ადგილი, ორმო (ლლონტი 1984:761, 771); ხობ-ი-ა $[xɔp-i-a]$ (ლეჩხ.) – ჩაღრმავებული; ღარიანი (მაგ. კრამიტი) (ქეგლი 1964, VIII:1488); ხობ-ი-ო საინ-ი $[xɔp-i-o sain-i]$ (იმერ.) – ღრმა თევში, მათლაფა (ლლონტი 1984:759); ხობ-ო-ა-ბ/ე-ბ $[xɔb-ɔk-aj-ej]$ (იმერ.) – მაგარკანიანი კვახი (ლლონტი 1984:758).

	კობ-ე [kɔp̩-e] – “scoop (for wine)” (Klimov 1998:99); “Weinschöpfkelle” (Fähnrich 2007:251); კობ-ე [kɔp̩-e] (გურ., აჭარ.) – ქვევრიდან ღვინის ამოსაღები, გრძელტარიანი ჭურჭელი, რომელიც დამზადებულია აყიროსგან [ლათ. Lagenaria vulgaris Ser.]; ორშიმო (შდრ. ქეგლი, 1955, IV:1336); კოფ-ა [kɔp̩^h-a] (იმერ., რაჭ.) – საწყაო (შდრ. ქეგლი 1955, IV:1352); (ხევს.) ხის ჭურჭელი (შდრ. ღლონტი, 1984:306, 292).
მეგრ. კობ- [kɔp̩-]¹	კობ-ა [kɔp̩-a] – ქვევრიდან ღვინის (ან წყლის) ამოსაღები ჭურჭელი, რომელსაც აკეთებენ აყიროსგან (შდრ. ქაჯაია 2002, II:157); კობ-ა [kɔp̩-a] – “Weinschöpfkelle” (Fähnrich 2007:251); კობ-ი [kɔp̩-i] – ხის სასმისი, რომელსაც სახელური მოკლე აქვს (შდრ.: ქაჯაია 2002, II:157; ქობალია 2010:372).
ლაზ. კობ- [kɔp̩-]²	კობ-ა [kɔp̩-a] (ვიწ., ხოფ.) – “«пѣнникъ», ложка для спиманія пѣнки”; (ხოფ.) “большая ложка” (Маррѣ 1910:157); “big spoon” (Klimov 1998:99); “großer Schöpföffel” (Fähnrich 2007:251).
სვან. კობ [kɔp̩], კობ- [kɔp̩-]³	კობ [kɔp̩] (ლენტ.), კობ [kɔp̩] (ლაშხ.) – „ხის სახელურიანი ჯამი, ხის დიდი კოვზი, ჩაშა“; „ხის სასმისი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 763); “große Holzschale mit Henkel, großer Löffel” (Fähnrich 2007: 251).

**II ცხრ. კობ- [kɔp̩-] / კოფ- [kɔp̩^h-] / კობ- [kɔp̩-] ფუძის
კანონზომიერი შესატყვისები**

- ¹ პ/ფ/ბ [p̩/p̩^h/b] და კ/ხ [k̩/x] თანხმოვნების მონაცვლეობა, შესაბამისად, დასტურდება შემდეგ მეგრულ ფორმებში: კობ-ა [kɔp̩-a] – ხაპი, გოგრა [ლათ. Cucurbita] (ქაჯაია 2009, IV:282); კობ-ე [kɔb-e] – კვახი, გოგრა (ქობალია 2010:371); კობ-ემ-ი-ა [kɔp̩-eš-i-a]; კობ-ემ-ი-ა [kɔb-eš-i-a] – გოგრა, კვახი (ქაჯაია 2002, II:157, 153); კობ-ემ-ი [kɔb-eš-i] – სასმისი, რომელიც დამზადებულია კვახისგან (ქობალია 2010:371); კობ-იტ-ა [kɔp̩-it̩-a]; კობ-იტ-ა [kɔb-it̩-a]; კობ-იტ-ე [kɔp̩-it̩-e]; კობ-იტ-ი-ა [kɔp̩-it̩-i-a] – ხის ჯამი (ქაჯაია 2002, II:157, 154); შდრ.: ხობ-ო [xɔp̩-o] / ხობ-ო [xob-o] – თავის ქლა; ხობ-ა [xɔp̩-a] – ხაპი; ჩაღრმავება (ქობალია 2010:729, 730); ხოფ-ა [xɔp̩^h-a] – ჩაღრმავებული ადგილი (ქობალია 2010:731).
- ² პ/ბ [p̩/b] თანხმოვნების მონაცვლეობა დასტურდება შემდეგ ლაზურ ფორმებში: კობ-იტ-ი [kɔ p̩ -it̩-i]; კობ-იდ-ი [kɔb-id-i] – ყავრისათვის დამზადებული კუნძი (თანდილაძე 2013:381).
- ³ პ/ბ [p̩/b] თანხმოვნების მონაცვლეობა დასტურდება შემდეგ სვანურ ფორმებში: კობ [kɔp̩] (ლენტ.) > კობ [kɔb] (ლენტ., ბალსქვემ.) – ხის სასმისი; “large cup” (შდრ. Wardrop 1911:600); კობ [kɔp̩] (ლაშხ.) > კობ [kɔb] (ბალსზემ.) – ხის ჯამი (შდრ. თოფურია, ქალდანი 2000:763); შდრ.: კობ-ემ-ი-ა [kɔp̩-eš-i-a] (ბალსქვემ.); კობ-ემ-ი-ა [kɔb-eš-i-a] (ბეჩ.) – გოგრა, კვახი (შდრ. თოფურია, ქალდანი 2000:767).

ზემოთ წარმოდგენილი ქართვ. კოპ- [kɔp̥-] / კოფ- [kɔpʰ-] სახელური ფუძის, რომელიც გახმოვანების მოკლესმოვნიან საფეხურზეა, შესაბამისად, შეერთება -ე [-e] / -ა [-a] სუფიქსთან გვიჩვენებს აბლაუტის ნორმების მოშლას, რაც ქართველურ ენათა ფონოლოგიური და მორფოლოგიური სისტემებისთვის დამახასიათებელია. ეს გვაძლევს საფუძველს, რომ ვთქვათ, აღნიშნულ სახელურ ფორმაში „ფუძის მონოვოკალურობის პრინციპის“ რღვევა შესაძლოა საერთოქართველურ დონეზეც დაიწყო, რომელიც წინ უსწრებს ლინგვისტურად დადასტურებულ ქართველურ ენათა ჩამოყალიბების პროცესებს (შდრ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:281-282, 301).

ქართვ. კოპ- [kɔp̥-] / კოფ- [kɔpʰ-] სახელური ფორმის შედარებითი შესწავლის საფუძველზე ხერხდება საერთოქართველურისთვის „ჭურჭლის“ აღმნიშვნელი შესატყვისი სახელური არქეტიპის აღდგენა, რომელიც გახმოვანების მოკლესმოვნიან საფეხურზეა წარმოდგენილი (შდრ.: Klimov 1998:99; Fähnrich 2007:251; ჩუხუა 2017:241). მეტიც, ამ არქეტიპისთვის გრძელხმოვნიანი საფეხურის არსებობაც მოსალოდნელია, რასაც გვაფიქრებინებს შესატყვისი სვან. კოპ- [kɔp̥-] (ლაშხ.) / კობ [kɔb] (ბალსხემ.) სახელური ფორმა, რომელიც გახმოვანების გრძელხმოვნიან საფეხურზეა (შდრ.: Vogt 1939:133-134; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:302).

თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის (1965:366-367) საერთოქართველური თეორიის მიხედვით, ქართვ. კოპ- [kɔp̥-] / კოფ- [kɔpʰ-] / კოპ- [kɔp̥-] ფუძის შედარებითი და შინაგანი რეკონსტრუქციის გზით, შესაბამისად, აღდგება საერთოქართველური ფუძისეული მორფემა გახმოვანების მოკლესმოვნიანი/ გრძელხმოვნიან საფეხურზე:

{*კუ̯ეპ- [*k̥wep̥-] / *კუ̯აპ- [*k̥wap̥-] / *კუ̯ეფ- [*k̥wepʰ-] / *კუ̯აფ- [*k̥wapʰ-] / *კუ̯ეპ- [*k̥wēp̥-] / *კუ̯აპ- [*k̥wāp̥-]}.

ამ მორფემაში მარცვალს ქმნის *ე [*e] / *ა [*a] / *ე̯ [*ē] / *ა̯ [*ā] ხმოვანი¹; ლაბიალური *უ̯ / *w/ სონანტის უმარცვლო *უ̯ [*w] ალოფონი, რომელიც დასტურდება #C-V პოზიციაში, მჭიდროდ ეკვრის წინმავალ მარტივ *კ [*k] თანხმოვანს და მასთან ერთად ქმნის ქართველურ სტრუქტურაში ყველაზე უფრო ხშირ და უაღრესად ბუნებრივ *კ+უ̯ [*k̥+w] კომპლექსს (შდრ.: გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:198, 306, 368; Gamkrelidze 1966:80, 3.3).

თუ საერთოქართვ. {*კუ̯ეპ- [*k̥wep̥-] / *კუ̯აპ- [*k̥wap̥-] / *კუ̯ეფ- [*k̥wepʰ-] / *კუ̯აფ- [*k̥wapʰ-] / *კუ̯ეპ- [*k̥wēp̥-] / *კუ̯აპ- [*k̥wāp̥-]} ფუძისეული მორფემა, შესაბამისად, შეერთდება საერთოქართვ. {*-ედ [-ej] / *-ად [-aj]} სუფიქსურ მორფემასთან, მაშინ, III ცხრილის თანახმად, საერთოქართვ. *კუ̯ეპ-ედ [*k̥wep̥-ej] / *კუ̯აპ-ედ [*k̥wap̥-ej] / *კუ̯ეფ-ად [*k̥wepʰ-aj] / *კუ̯აფ-ად [*k̥wapʰ-aj] / *კუ̯ეპ-

¹ საერთოქართველური ფუძეების დონეზე პოსტულირებულია *ე [*e] / *ა [*a] ხმოვანთა თავისუფალი მონაცვლეობა (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:159, 368; Gamkrelidze 1966:80; შდრ. Saussure 1879:135).

ეგ [*ɬwēp-ej] / *კუბ-ეგ [*ɬwāp-ej] არქეტიპს, შესაბამისად, კანონზომიერად შეესატყვისება ლინგვისტურად დამოწმებული შემდეგი ქართველური ფორმები:

- ქართ. კობ-ე [kɔp-e], კოფ-ა [kɔp^h-a] (იმერ., რაჭ., ხევს.),
- მეგრ. კობ-ა [kɔp-a], კობ-ი [kɔp-i],
- ლაზ. კობ-ა [kɔp-a] (ვიწ., ზოფ.),
- სვან. კობ [kɔp] (ლენტ.), კობ [kɔp] (ლაშხ.).

საერთოქართველური	საერთოქართულ-ზანური	ქართული	ზანური	მეგრული	ლაზური	სვანური
-უბ- [-wa-] / *-უე- [*-we-] ¹	*-ო- [*-o-]	-ო- [-o-]	*-ო- [*-o-]	-ო- [-o-]	-ო- [-o-]	-ო- [-o-]
-უბ- [-wā-] / *-უე- [*-wē-]	*-ო- [*-ō-] ²					-ო- [-ō-]
-ეგ [-ej]	-ეგ [-ej]	-ეგ [-ej] > -ეθ [-eθ] > -ე [-e] ³	*-აგ [*-aj]	-აθ [-aθ] > -ა [-a]	-აθ [-aθ] > -ა [-a] ⁴	
-ეგ [-ej] > *-ი [*-i] ⁵	*-ი [*-i]	-ი [-i]	*-ი [*-i]	-ი [-i]	-ი [-i]	*-ი [*-i] > -ი ⁶
-აგ [-aj]		*-აგ [*-aj] > -აθ [-aθ] > -ა [-a]				

III ცხრ. ქართველური ფონეტიკური შესატყვისობები

- ¹ თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის (1965:366 შმდ., 146, 307 შმდ.; Gamkrelidze, 1966:80) თეორიის მიხედვით, საერთოქართუ.*ა [*a] და *ე [*e] ხმოვნების ხმარების სვედრიითი წონა დიდია *ო [*o] ხმოვანთან შედარებით, რომელიც საერთოქართველური წარმომავლობის აფიქსურ მორფემებში არ დასტურდება და ფუძისეულ მორფემებში ძალზე იშვიათია. ავტორები (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:367, 43, 232; Gamkrelidze 1966:77) ფიქრობენ, რომ *ო /*o/ ფონემა საერთოქართველურ ფონოლოგიურ სისტემაში შედარებით გვიანდელი პერიოდის წარმონაქმნია და *ო [*o] ხმოვანი შემთხვევათა უმრავლესობაში *უბა [*wa] / *უე [*we] კომპლექსიდანაა მიღებული.
- ² *უბ [*wā] / *უე [*wē] > ო [ō] პროცესი უნდა ყოფილიყო ქართულ-ზანურის ერთიანობის პერიოდშიც (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:275, 335).
- ³ ძველ ქართულში ო [j] სეგმენტი V-# პოზიციაში სახელთა ფორმებში დასტურდება. ახალ ქართულში უმარცვლო ო [j] სეგმენტს ამ პოზიციაში შეენაცვლა Ø – ნულოვანი ფონემა (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:69, 67).
- ⁴ მეგრულსა და ლაზურში უმარცვლო *გ [*j] სეგმენტი აუსლაუტში დაიკარგა ა [a] ხმოვნის შემდეგ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:70, 71).
- ⁵ *-ეგ [*-ej] > -ი [-i] პროცესი დამახასიათებელია მრავალი ენისთვის (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:228).
- ⁶ სვანურში ხდება სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში *-ი [-i] ხმოვნის დასუსტება და მოკვეცა (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:230, 153, 33, 331).

ამდენად, ზემოთ წარმოდგენილი ქართველური მასალის შედარებითი და შინაგანი რეკონსტრუქციის გზით, აღდგება საერთოქართვ. *კუაპ-აჲ/-ეჲ [ʔkwap-aj/-ej] / *კუეპ-აჲ/-ეჲ [ʔkwep-aj/-ej] / *კუაფ-აჲ/-ეჲ [ʔkwapʰ-aj/-ej] / *კუეფ-აჲ/-ეჲ [ʔkwepʰ-aj/-ej] / *კუაპ-აჲ/-ეჲ [ʔkwap-aj/-ej] / *კუეპ-აჲ/-ეჲ [ʔkwep-aj/-ej] მიმდევრობა,¹ რომლის მნიშვნელობაა „სასმისი, ჯამი, ჭურჭელი (ღვინის, წყლის, მარცვლეულისა და სხვათა ამოსაღებად)“.

საერთოქართვ. *კუაპ- [ʔkwap-] / *კუეპ- [ʔkwep-] / *კუაფ- [ʔkwapʰ-] / *კუეფ- [ʔkwepʰ-] / *კუაპ- [ʔkwap-] / *კუეპ- [ʔkwep-] ფუძისეული და {-ეჲ [ʔ-aj] / {-აჲ [ʔ-aj]} სუფიქსური მორფემები, შესაბამისად, განეკუთვნებიან CVC- და -VS სტრუქტურულ ტიპებს,² რომლებიც საერთოქართველურ მორფემათა ძირითად კანონიკურ ფორმებს წარმოადგენენ (შდრ.: გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:304, 318, 368; Gamkrelidze 1966:77).

3. დანართი

საერთოქართველური ფუძეების დონეზე აღდგენილი *კუაპ- [ʔkwap-] / *კუეპ- [ʔkwep-] / *კუაფ- [ʔkwapʰ-] / *კუეფ- [ʔkwepʰ-] ფუძე, მორფონოლოგიური სტრუქტურის თვალსაზრისით, ფუნქციურად დაიყვანება „ჭურჭლის“ აღმნიშვნელი სახელის *კაპ- [ʔkap-] / *კეპ- [ʔkep-] / *კაფ- [ʔkapʰ-] / *კეფ- [ʔkepʰ-] ფუძემდე (შდრ.: გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:198, 306, 368; Gamkrelidze 1966:80, 3.3). ეს ფუძე პ/ბ [p/b] და კ/ქ/ხ [k/kʰ/x] თანხმოვნების მონაცვლეობით, შესაბამისად, დასტურდება შემდეგ ფორმებში:

► ქართ. კაპ-იწ-ი [kap-iç-i] (გურ., ზემოაჭარ., ქიზიყ.) – „ოვალური კასრი, რომელშიც რძის პროდუქტს ინახავენ“ (ლონონტი 1984:272); კაპ-ჭ-ან-ა/ე-ი [kap-č-an-a/e-i] (გურ.) – პატარა ჭვავი (შდრ. ქეგლი 1955, IV:1067); კაპ-იწ-ი [kap-iç-i]; ქაბ-იწ-ი [kʰab-iç-i]; კაბ-იჭ-ი [kab-iç-i] – საწყაო (შდრ.: ორბელიანი 1991, I:345; ქეგლი 1955, IV:1006; ქეგლი 1962, VII:237); ხაპ-ი [xap-i] – გოგრა, აყირო (ორბელიანი 1991, I:81; ორბელიანი 1993, II:416); (გურ., აჭარ.)

¹ მეტიც, თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის (1965:370-372) მიხედვით, საერთოქართველური ერთიანობის უფრო ადრინდელი პერიოდის *კუეპ-გჲ [ʔkwep-aj] / *კუეფ-გჲ [ʔkwepʰ-aj] არქეტიპი შესაძლოა აღდგეს, რომელშიც ვოკალური *ე [ʔe] / ელემენტიდან გვიანდელ საერთოქართველურ საფეხურზე დამოუკიდებელი *ე [ʔe] და *ა [ʔa] ალოფონები ჩამოყალიბდა. შდრ. საერთოქართვ. *კუაპ-აჲ [ʔkwap-aj]: სინოკავკას. *qwāpā – “vessel” (Starostin 2004-2005:167); პროტო-ჩრდილოკავკას. qwāpā – “pot, vessel” (Nikolayev and Starostin 1994:899); შდრ. ადრინდელი საერთოქართვ. *კუეპ-გჲ [ʔkwep-aj] არქეტიპი: საერთოსინდური (აფხაზურ-ადიღური, ჩრდილოკავკასიური ენა) *კუეპ-ი [ʔkwep-i] – „კათხა, ჯამი“ (შდრ. ჩუხუა 2017:241).

² აქ C სიმბოლო აღნიშნავს მარტივ თანხმოვანს (+ ლაბიალური ჟ /w/ ფონემა); V – ხმოვან ფონემას; S – ნებისმიერ უმარცვლო სონანტს (შდრ.: Hockett 1958:284-285; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:304, 306).

ორშიმო, კვახი; (რაჭ.) საწნახელი (შდრ. ქეგლი 1964, VIII:1336); (იმერ., რაჭ.) ჯოხზე დამაგრებული ფართობრიანი ხრიკის მსგავსი ხელსაწყო, რომელსაც იყენებენ ქვევრიდან ღვინის ამოსაღებად (ლლონტი 1984:739); ხაპ-ირ-ი [xap-ir-i] (ქართლ., ინგილ., ქსნის ხეობა) – ხის ტარზე დამაგრებული ხისავე ან ლითონის ჯამი, რომელსაც იყენებენ ქვევრიდან ღვინის ამოსაღებად; ხის კოვზი (შდრ. ლლონტი 1984:739); ხაპ-ერ-ა-ი [xap-er-a-i] (გურ., აჭარ.) – სქელკანიანი კოვრა, რომელსაც ჭურჭლად იყენებენ; შდრ. ხაპ-ერ-ი/-ა [xap-er-i/-a] (აჭარ.) – თავის ქლა (ლლონტი 1984:739);

► მეგრ. კაპ-ეტ-ი [kap-et-i]; კაბ-ეტ-ი [kab-et-i]; კაპ-ან-ი [kap-an-i] – საწყო (ქობალია 2010:354, 351);

► ლაზ. კაპ-იწ-ი [kap-ič-i] – ზომის ერთეული; ხისგან გამოთლილი ჭიქს (თანდილავა 2013:359); კაპ-ჭ-ან-ა [kap-č-an-a] – სპილენძის ჭურჭელი რძისთვის (თანდილავა 2013:359); ხაპ-იჭ-ი [xap-ič-i] – თევზის სახეობა; ხაპ-ერ-ა [xap-er-a] – ღამის ქოთან; ხაპ-ერ-ა [xap-er-a] – შავი კვახი; შდრ. ხაპ-ერ-ი [xap-er-i] – თავის ქლა (თანდილავა 2013:873).

ქვემოთ წარმოდგენილია საერთოქართვ. *კაპ-/*კეპ-/*კაფ-/*კეფ-ად [*kap-/ *kep-/ *kap^h-/*kep^h-aj] „ჭურჭლის“ აღმნიშვნელი სახელის ტიპოლოგიური პარალელები მსოფლიოს ენათა სვადასხვა ოჯახისთვის:

► პროტო-ნოსტრ. *k^hap^h-a – “bowl, cup, jar, container; skull” (Bomhard 2018, II:490, №420);

► პროტო-აფროაზ. *kap- – “bowl, cup, jar, container” (Bomhard 2018, II:490); ქამიტ.-სემიტ. *kab-/kib- – “(gourd) vessel” (Orel and Stolbova 1995:307, №1407); ქამიტ.-სემიტ. *kab- – “goblet” (Orel and Stolbova 1995:332, №1526) > κάρδος – “measure of grain” (შდრ. Beekes 2010, I:612); აქად. kappu(m) – “(small) bowl, of wood, gold, silver”¹ (Black, George, and Postgate 2000:147); საშუალო ეგვიპტ. ꜥꜣꜣꜣ [kby] – “jar for beer”; შდრ. საშუალო ეგვიპტ. ꜥꜣꜣꜣꜣ [hbbt] – “jar” (Faulkner 1991:277, 187);

► პროტო-ალთ. *khapha – “vessel, container” (Bomhard 2018, II:491); პროტო-ალთ. *k^hap^h-a – “a kind of vessel, box”; პროტოიპონ. *kàpì – “scoop, ladle, spoon (черпак, ложка)”: ძველი იაპონ. kapji; საშუალო იაპონ. kàfi (Starostin, Dybo, and Mudrak 2003:763); საერთოთურქ. *k^hāb – “bag, sack”: ძვ. თურქ. qāb – “leather bag, wine-skin”; თურქ. kap – “earthenware, dishes, vessel” (Dolgopolsky 2008:934); შდრ. პროტოთურქ. *Kāp; თურქ. kap – “sack” (Starostin, Dybo, and Mudrak 2003:646);

¹ აქად. kappu > ნეთ.  [DUGkap-pí-], DUGgapis – “bowl” (Puhvel 1997, IV:63, Puhvel 2007, VII:42) > ურარტ.  [ka-pi] – “dry measure” > სომხ. կապին [kapij] – “measure de blé, d’orge, etc” (Sandalgian 1900:386).

► პროტო-ინდოევრო. *khaph- – “bowl, cup, jar, container; head” (Bomhard 2018, II:491); პროტო-ინდოევრო. *kap- – “vessel, box” (Dolgopolsky 2012:1026, 1980, 2927); ლათ. capis – “a one-handed vessel (used in sacrifices)” (Bomhard 2018, II:491); “bowl, cup” (De Vaan 2008:90); გერმანიკ. *kuppaz; საშუალო ზემოგერმ. kop – “cup, bowl”, ძვ. ზემოგერმ. kopf – “cup, skull, head” (Orel 2003:224); ხეთ. huppar- – “bowl, pot, keg, also a liquid or dry measure” (Puhvel 1991, III:387);

► წინაბერძნ. κύπελλον – “bulbous drinking vessel, beaker, goblet” (Beekes 2010, I:804) > მიკენ. ბერძნ. Β ხაზოვანი $\chi\iota\pi\epsilon\lambda\lambda\epsilon$ [χṷ-pe-ra] – κύπελλα, “drinking cups” (Ventris and Chadwick 1973:331, 558); წინაბერძნ. κάπετος – “digging” (Beekes 2010, I:638; Beekes 2010, II:1342); წინაბერძნ. κόβαθος – “a vessel” (Beekes 2010, I:727); წინაბერძნ. κόφυσος – “big basket” (Beekes 2010, I:765); წინაბერძნ. (?) γάβευα – “small vessel; cup, bowl” (Beekes 2010, I:253); შდრ. χαβίτια (ეტიმოლოგია უცნობია) – “name of unknown vessels” (Beekes, 2010, II:1605);

► ბასკ. kopor (Gipuzkoan, High Navarrese), gopor (Lapurdian, Lower Navarrese), gophor (Lower Navarrese), khopor (Zuberoan), opor (Gipuzkoan, High Navarrese, Lapurdian, Lower Navarrese), ophor (?) – “bowl, basin” (sometimes esp. “earthenware bowl”, but “cup” in Zuberoan) (Trask 2008:254);

► შუმერ. 𒌦 𒌧 [hubur] > აქად. hubūru(m) – “a beer jar” (PSD 2005:116; Black, George, and Postgate 2000:118); შუმერ. 𒌦 [hubhub], 𒌦 [hubhub₂] – “a container or tube” > აქად. huphuppu – “a container” (PSD 2005:116); შდრ. აქად. huppu(m) – “a kind of basket” (Black, George, and Postgate 2000:120, 121).

შეჯამება

ზემოთ წარმოდგენილია A კლასის ხაზოვანი წარწერებით შესრულებული HT 31 (HM 19) თიხის ფირფიტა, რომელიც კუნძულ კრეტაზე, ჰაგია ტრიადამი აღმოაჩინეს და LM IB პერიოდით (ძვ.წ. 1500-1450 წწ.) დათარიღეს;

1. ამ წარწერაში მოცემული 𒌦 A016+LA056 ნიშანთა მიმდევრობა qa-pa₃ ამოიკითხება როგორც [*kwa-paj] ფორმა;

2. qa-pa₃/*kwa-paj] მიმდევრობის სემანტიკური ინტერპრეტაცია წარმოდგენილია როგორც საერთოქართველური *კუაპ-აჲ [*kwap^h-aj] / *კუაფ-აჲ [*kwap^h-aj] არქეტიპი, რომლის მნიშვნელობაა „სასმისი, ჯამი, ჭურჭელი (ღვინის, წყლის, მარცვლეულისა და სხვათა ამოსაღებად)“. ეს არქეტიპი რეგულარულ ფონოლოგიურ და სემანტიკურ მიმართებაშია შესაბამის ქართველურ მასალასთან;

3. *კუაპ-აჲ [*kwap^h-aj] / *კუაფ-აჲ [*kwap^h-aj] არქეტიპი განეკუთვნება CVC-VS სტრუქტურულ ტიპს, რომელიც საერთოქართველურ ენაში ძირითად კანონიკურ ფორმას წარმოადგენს;

4. საერთოქართველური *კუაპ- [*kwap-] / *კუაფ- [*kwap^h-] არქეტიპი დაიყვანება *კაპ- [*kəp-] / *კაფ- [*kəp^h-] ფუძემდებ, რომელიც დასტურდება ქართველურსა და მსოფლიოს ენათა სხვადასხვა ოჯახისთვის;

5. ქართველური ენობრივი მასალის შესწავლა ადასტურებს A კლასის ზაზოვანი დამწერლობის **ჲ** qa-paჲ / [*kwa-paj] მიმდევრობის საერთოქართველურ ენაზე ამოკითხვის მართებულობას.

ლიტერატურა

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, *სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

თანდილავა 2013: ა. თანდილავა, *ლაზური ლექსიკონი (ლაზური ნენაფუნა)*, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი.

თოფურია, ქალდანი 2000: ვ. თოფურია, მ. ქალდანი, *სვანური ლექსიკონი*, თბილისი.

ორბელიანი 1991, I; 1993, II: სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, II ტ., გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.

ქაჯაია 2002, II; 2009, IV: ო. ქაჯაია, *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*, I-IV ტ., გამომცემლობა „ნეკერი“, ინოვაცია, თბილისი.

ქეგლი 1955, IV; 1962, VII, 1964, VIII: *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, არნ. ჩიქობავას რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

ქობალია 2010: ა. ქობალია, *მეგრული ლექსიკონი*, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი.

ღლონტი 1984: ა. ღლონტი, *ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა*, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.

ჩუხუა 2017: მ. ჩუხუა, *ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი (მასალები იბერიულ-კავკასიურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის)*, თბილისი.

Мартъ 1910: Н. Мартъ, *Грамматика чанскаго (лазскаго) языка съ хрестоматією и словаремъ*, Матеріалы по яфетическому языкознанію, II, Санкт-Петербургъ.

Bennett 1966: E. L. Bennett, Some Local Differences in the Linear B Script, *Hesperia*, 35 (4), pp. 295-309.

Best and Woudhuizen 1989: J. Best and F. Woudhuizen (Eds.), *Lost Languages from the Mediterranean*, Brill, Leiden.

Beekes 2010, I, II: R. Beekes, *Etymological Dictionary of Greek*, 1-2 Vol-s, Brill, Leiden.

Black, George, and Postgate 2000: J. A. Black, A. George, and N. Postgate, *A Concise Dictionary of Akkadian*, Otto Harrassowitz Verlag, Wiesbaden.

Bomhard 2018, II: A. R. Bomhard, *A Comprehensive Introduction to Nostratic Comparative Linguistics: With Special Reference to Indo-European*, 4 Vol-s. 3rd Ed. Florence, SC.

- De Vaan, M. 2008:** M. de Vaan, *Etymological Dictionary of Latin and the other Italic Languages*, Brill, Leiden.
- Dolgopolsky 2012, 2018:** A. B. Dolgopolsky, *Nostratic Dictionary*, McDonald Institute for Archaeological Research, Cambridge, <https://www.repository.cam.ac.uk/handle/1810/244080>
- Fähnrich 2007:** H. Fähnrich, *Kartwelisches Etymologisches Wörterbuch*, Brill, Leiden.
- Faulkner 1991:** R. O. Faulkner, *A Concise Dictionary of Middle Egyptian*, Griffith Institute, Oxford.
- Gamkrelidze 1966:** T. V. Gamkrelidze, A Typology of Common Kartvelian, *Language*, Journal of the Linguistic Society of America, 42 (1), Waverley Press, Baltimore, pp. 69-83.
- Gordon 1958:** C. H. Gordon, Minoan Linear A, *Journal of Near Eastern Studies*, 17 (4), The University of Chicago Press, Chicago, pp. 245-255.
- GORILA 1976, I; 1985, V:** L. Godart and J.-P. Olivier, *Recueil des Inscriptions en Linéaire A*, 5 Vol., Librairie Orientaliste P. Geuthner, Paris.
- Hockett 1958:** C. F. Hockett, *A Course in Modern Linguistics*, The Macmillan Company, New York.
- Klimov 1998:** G. A. Klimov, *Etymological Dictionary of the Kartvelian Languages*, Mouton de Gruyter, Berlin.
- Kvashilava 2017:** G. Kvashilava, On the Decipherment of Linear A Inscriptions in the Common Colchian Language: Mathematics, *International Science and Technology Conference (ISTEC 2017 America) Proceedings*, Harvard University, Cambridge, MA, USA, August 16-18, 2017, pp. 856-864.
- Nikolayev and Starostin 1994:** S. L. Nikolayev and S. A. Starostin, *A North Caucasian Etymological Dictionary*, Asterisk Publishers, Moscow.
- Orel and Stolbova 1995:** V. E. Orel and O. V. Stolbova, *Hamito-Semitic Etymological Dictionary: Materials for a Reconstruction*, Brill, Leiden.
- Orel 2003:** V. Orel, *A Handbook of Germanic Etymology*, Brill, Leiden.
- Packard 1974:** D. W. Packard, *Minoan Linear A*, University of California Press, Berkeley.
- Palmer 1957-1958:** F. R. Palmer, Linguistic hierarchy, *Lingua*, 7, pp. 225-241.
- Pope 1958:** M. Pope, On the Language of Linear A, *Minos*, 6, Universidad de Salamanca, Salamanca, pp. 16-23.
- PSD 2005:** *Pennsylvania Sumerian Dictionary*, University of Pennsylvania.
- Puhvel 1991, III; 1997, IV; 2007, VII:** J. Puhvel, *Hittite Etymological Dictionary*, Mouton de Gruyter, Berlin.
- Raison and Pope 1994:** J. Raison and M. Pope, *Corpus transnuméré du linéaire A*, 2ème édition, Peeters Publishers, Louvain-la-Neuve.
- Schmitt-Brandt 2003:** R. Schmitt-Brandt, Zur Frage der kartwelisch-anatolisch-ägäischen Sprachparallelen, *Caucasica*, 6, Tbilisi University Press, Tbilisi, pp. 188-191.
- Sandalgian 1900:** J. Sandalgian, *Les inscriptions cunéiformes urartiques: transcrites avec une triple traduction interlinéaire en arménien classique en latin et en français*,

- suivies d'un glossaire et d'une grammaire*, Imprimerie-librairie des PP, Mékhitharistes, Venise.
- Saussure 1879:** F. de Saussure, *Mémoire sur le système primitif des voyelles dans les langues indo-européennes*, B. G. Teubner Publishers, Leipsick.
- Starostin, Dybo, and Mudrak 2003:** S. A., Starostin, A. V. Dybo, and O. A. Mudrak, *Etymological Dictionary of Altaic Languages*, 3 Vol-s, Brill, Leiden.
- Starostin 2004-2005:** S. A. Starostin, A Concise Glossary of Sino-Caucasian. Available from: <http://starling.rinet.ru/Texts/glossary.pdf>
- Trask 2008:** R. L. Trask, *Etymological Dictionary of Basque*, University of Sussex.
- Ventris and Chadwick 1973:** M. Ventris and J. Chadwick, *Documents in Mycenaean Greek*, Cambridge University Press, Cambridge.
- Vogt 1939:** H. Vogt, Alternances vocaliques en géorgien, *Norsk Tidsskrift for Sprogvidenskap*, 11, Universitetsforlaget, Oslo, pp. 118-135.
- Wardrop 1911:** O. Wardrop, Svanetian Vocabulary, *Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland*, Cambridge University Press, Cambridge, pp. 589-634.

Gia Kvashilava

On the Decipherment of the Inscriptions of Linear a in the Common Kartvelian Language: QA-PA₃ – a Vessel for Liquid

Summary

1. The deciphering of Linear A (LA) inscription HT 31 (HM 19) found in Crete, Hagia Triada, dated it back to LM IB period, i.e., to 1500-1450 BC.
2. The sequence of  LA016+LA056 of this inscription is deciphered as qa-pa₃ / [*kwa-paj].
3. The semantic interpretation of qa-pa₃ / [*kwa-paj] is presented as the Common Kartvelian (CK) archetype [*kwaṗ-aj] / [*kwap^h-aj] meaning “*pot, vessel*”. The pattern of this archetype displays regular phonological and semantic correspondences to the Kartvelian data.
4. The archetype *kwaṗ-aj / *kwap^h-aj is of the CVC-VS structural type, which is the main canonical morphonological pattern of the CK language.
5. According to Th. Gamkrelidze and G. Machavariani’s CK theory, *kṵw and *k are functionally equal:

CK *kṵwaṗ- = *kaṗ-, *kwap^h- = *kaṗ^h- – “*vessel*”.

The root forms *kaṗ- / *kaṗ^h- are the variants of the basic CK root pattern *kṵwaṗ- / *kwap^h-. The pattern is also attested in the data of the languages other than Kartvelian.

6. The study of the data of Kartvelian languages verifies the decipherment of LA script  qa-pa₃ / [*kwa-paj] sequence in the CK language.

ქართული სალიტერატურო წარმოთქმის ინტონაციური თავისებურებანი

წინამდებარე ნაშრომში ქართული სალიტერატურო წარმოთქმის ინტონაციური თავისებურებების ზოგიერთი საკითხია შესწავლილი. კვლევა განიხილავს ენის პროსოდიულ მახასიათებლებს და მათ გავლენას წინადადების მნიშვნელობაზე. ინტონაციური ანალიზისთვის გამოყენებულია პროგრამა Praat-ი, ხოლო ანოტაცია შესრულებულია ToBI-სისტემის მიხედვით.

საკვლევ მასალად გამოყენებულია 500-სიტყვიანი ტექსტი. კვლევა ფოკუსირებულია ინტონაციის, სინტაქსური სტრუქტურისა და პაუზების ურთიერთმიმართების ანალიზზე, რაც წინადადების ტიპებისა და ინფორმაციული სტრუქტურის დასადგენად მნიშვნელოვანია.

ენის ბგერითი მხარე შედგება სეგმენტური და ზესეგმენტური ერთეულებისგან. სეგმენტური ერთეულებია ბგერები, ხოლო ზესეგმენტურ ერთეულებში იგულისხმება პროსოდიული ერთეულები. პროსოდია (*prosōdia*) ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „მახვილს, მისამღერს,“ თუმცა მასში ლინგვისტები მოიაზრებენ აგრეთვე წარმოთქმის სხვა მახასიათებლებსაც. ენის ერთ-ერთი უმთავრესი პროსოდიული მახასიათებელი ინტონაციაა, რომელიც განმსაზღვრელ როლს ასრულებს მნიშვნელობის, ემოციისა და კომუნიკაციური ნიუანსების გადმოცემისას. საწარმოთქმო მასალაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება პროსოდიული კომპონენტების ანოტირებას, რაც წარმოდგენილ სტატიაში გადაწყვეტილია სისტემა ToBI-ის საშუალებით.

გამონათქვამის ინტონაციის განმსაზღვრელი ძირითადი კომპონენტებია: ფუნდამენტური სიხშირის (f0, ძირითადი ტონი) ცვლილება, ინტენსივობა და გრძლივობა; ასევე, მნიშვნელოვანია პაუზა, მეტყველების ტემპი და ტემბრი (ძირითადი ტონისა და თანატონების ურთიერთმიმართება), როგორც ემოციის გამოხატვის საშუალებები. სხვადასხვა კომპონენტის გარკვეული ცვლილებების შედეგად შესაძლებელია ინტონაციური მრავალფეროვნების მიღწევა.

ტონის ცვლილება ერთი მარცვლის ან ერთი სინტაგმის ფარგლებში შესაძლოა იყოს მკვეთრად აღმავალი, მკვეთრად დამავალი, თანდათან აღმავალი ან თანდათან დამავალი.

ToBI თავდაპირველად შეიქმნა ამერიკული ინგლისურისთვის, თუმცა დღეს იგი ადაპტირებულია და გამოიყენება სხვადასხვა ენისათვის (მაგ.: ბრიტანული ინგლისურისათვის, გერმანულისათვის, იაპონურისათვის, ბერძნულისათვის, კორეული-სათვის, ბასკურისათვის, პორტუგალიურისათვის, კატალონიურისათვის და სხვ.).

ToBI-სისტემის საშუალებით შესაძლებელია ორი ძირითადი პროსოდიული კომპონენტის – ტონებისა (Tone Tier) და პაუზების (Break Indices Tier) – ანოტაცია.

ტონების ანოტაცია ითვალისწინებს როგორც კონკრეტული მარცვლის აქცენტუაციის (Pitch accents), ისე წინადადების ან სინტაგმის ტონური კონტურის (Boundary tones) ანოტაციას სპეციალური აღნიშვნების გამოყენებით.

სიტყვის ან სინტაგმის კონკრეტულ მარცვალზე ტონის ცვლილებების აღსაწერად სისტემა ToBI-ის მიხედვით გამოიყენება, ძირითადად, შემდეგი სიმბოლოები:

- H*: მაღალი ტონი (აღმავალი ტონი მარცვალზე)
- L*: დაბალი ტონი (დამავალი ტონი მარცვალზე).
- H+L*: დამავალი ტონი.
- L+H*: აღმავალი ტონი.

სასაზღვრო ტონის, ინტონაციური კონტურის აღსაწერად სისტემა ToBI-ის მიხედვით გამოიყენება, ძირითადად, შემდეგი სიმბოლოები:

- H%: ფრაზის დასასრულს ტონი აიწევს (ხშირია კითხვით წინადადებებში).
- L%: ფრაზის დასასრულს ტონი დაიწევს (თხრობითი წინადადებებისათვის დამახასიათებელი).
- H-; L-: აღნიშნავს შუალედური ფრაზის ტონს (Intermediate Phrase Boundary Tone), რომელიც გამოიყენება ინტონაციური ფრაზის დასასრულამდე ტონალური ცვლილების აღსაწერად.

Break Indices აღწერს პაუზებისა და საზღვრების რაგვარობას სიტყვებს, სინტაგმებსა და ფრაზებს შორის ციფრებით გამოხატული პირობითი აღნიშვნების საშუალებით:

- 0: სიტყვებს შორის არ რის საზღვარი (კლიტიკა).
- 1: ნორმალური სიტყვათშორისი ინტერვალი.
- 2: საზღვარი ინტონაციური ეფექტის გარეშე, ან ინტონაციური საზღვარი პაუზის გარეშე.
- 3: შუალედური ფრაზის საზღვარი.
- 4: სრული პაუზა/ფრაზის დასასრული.

სინტაქსური თვალსაზრისით, წინადადება არის გამონათქვამის დასრულებული აზრის გადმოცემის მინიმალური ერთეული. ფონეტიკური თვალსაზრისით წინადადება იყოფა უფრო მცირე მონაკვეთებად – სინტაგმებად, მათთვის დამახასიათებელი ინტონაციური კონტურებით.

წინადადების დანაწევრება სინტაგმებად ზორციელდება ორგვარად:

სინტაგმათშორისი პაუზის მეშვეობით და და სინტაგმის ინტონაციური სპეციფიკური სურათის მიხედვით.

ქართულ ენას აქვს ხუთი ტიპის სინტაგმური მახვილი:


1. პირველი ტიპის მახვილისთვის დამახასიათებელია თანდათან დამავალი ტონი და ინტენსივობის კლება ბოლო მარცვლებზე;

2. მეორე ტიპის სინტაგმური მახვილისთვის ტონის აწევა დამახასიათებელია სინტაგმის ბოლოდან მეორე ან მეორე და მესამე მარცვლებზე, ბოლო ხმოვანზე ხდება ტონის მკვეთრი დაწევა (აღმავალ-დამავალი);
3. მესამე ტიპის სინტაგმურ მახვილში ტონი მკვეთრად აიწევს სინტაგმის ბოლოდან პირველ ან პირველ და მეორე მარცვლებზე (აღმავალი);
4. მეოთხე ტიპის სინტაგმურ მახვილში ტონიც და ინტენსივობაც მზარდია (თანდათან აღმავალი);
5. მეხუთე ტიპის სინტაგმური მახვილი აღმავალ-დამავალ-აღმავალია.

საანალიზო მასალა წარმოადგენს 500-სიტყვიან ტექსტს, რომელიც შინაარსობრივად შეკრული ერთეულებისაგან შედგება. 18 დიქტორის მიერ წაკითხული ტექსტი ჩაწერილია სტუდიური წესით და ინახება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ს/ს ლაბორატორიის ფონოთეკაში. დიქტორთა ჯგუფში შედიოდნენ მსახიობები, რადიოსა და ტელევიზიის დიქტორები და აკადემიური წრის წარმომადგენლები. ჩაწერილი მასალის აუდიტორული შეფასების შედეგად შეირჩა სალიტერატურო წარმოთქმის თვალსაზრისით ინტონაციურად სწორი და არასწორი წინადადებები, ანუ სალიტერატურო წარმოთქმისათვის დასაშვები ან დაუშვებელი; რა თქმა უნდა, სწორ ვარიანტებშიც იჩენს თავს მეტნაკლები ინტონაციური განსხვავებები. ინტონაციური ანალიზისთვის გამოყენებულია მეტყველების ანალიზის ციფრული პროგრამა Praat-ი.

ერთ-ერთი მაგალითი ინტონაციურად გამართული წინადადებისა:

ლალოს საზოგადოდ მწარე ენა ჰქონდა, მაგრამ მამიდის მიმართ უიარაღოდ და უძლურად გრძნობდა თავს.



მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ თხრობით ინტონაციას, ჩვეულებრივ, ახასიათებს წინადადების დასრულება დამავალი კონტურით, მაგრამ წინადადების დანარჩენი სინტაგმები შესაძლოა წინადადებების ტიპის მიხედვით განსხვავებული ინტონაციური კონტურებითაც იყოს გაფორმებული.


ამ მხრივ საინტერესოა კავშირისა და პაუზის ადგილის მიმართება თხრობით წინადადებაში. თუ რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებს აერთებს მაპირისპირებული კავშირი „მაგრამ“, პაუზა შეიძლება უსწრებდეს ან მოსდევდეს კავშირს.

იმ შემთხვევაში, როდესაც რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებს აერთებს მაჯგუფებელი კავშირი – „და“, პაუზა უფრო ხშირად მოსდევს მას, მაგრამ დასაშვებია პაუზის არსებობა როგორც წინ, ისე ორივე მხრიდან.


თუ „და“ კავშირი აერთებს შერწყმული წინადადების ერთგვაროვან წევრებს, იგი შეიძლება არც გამოიყოს პაუზით ან რომელიმე სინტაგმური მახვილით.

ქვეწყობილ წინადადებაში, რომლის ნაწილები დაკავშირებულია მაქვემდებარებელი კავშირებით – „რომ“ და „რომელიც“, პაუზა პირველ შემთხვევაში იქნება კავშირის შემდეგ, ხოლო მეორე შემთხვევაში წინ.

ლადოს გაახსენდა მაშინ, რომელიც სკოლის მასწავლებელი იყო და გარეუბანში ცხოვრობდა.




ლადოს გაახსენდა მამიდა, რომელიც სკოლის მასწავლებელი იყო და გარეუბანში ცხოვრობდა.



ძახილის წინადადების ინტონაციური კონტური, ძირითადად, აღმავალ-დაღმავალია, მაგრამ არა ისეთი ღამავალი, როგორიც თხრობითისა. სხვადასხვა ემოციური ელფერით წარმოთქმული ძახილის წინადადებების პროსოდიული სურათი, შესაბამისად, მრავალფეროვანია ინტენსივობისა და ტემბრის თვალსაზრისით:


გიორგიმ ჩაბნელებულ ოთახში შეაპარა ბიჭი და დაარიგა, – ფრთხილად! კომბალს არ წამოეგო!



კითხვითი წინადადება სტრუქტურულად ორგვარი ტიპისაა: კითხვითი ნაწილაკით ან სიტყვით, და მათ გარეშე. კითხვითი სიტყვის ან ნაწილაკის გარეშე


წარმოდგენილი კითხვითი წინადადების ინტონაციური კონტური, როგორც წესი, აღმავალია, მაგრამ ინტონაციური კონტურის განსაზღვრისათვის გადამწყვეტია წინადადებაში შემასმენლის ადგილი, რადგან კითხვითობას განაპირობებს სწორედ შემასმენლის ბოლო ხმოვნის ტონის აწევა და დაგრძელება.

თეგზი ანკესს არ წამოეგო?




კითხვითი სიტყვით ან ნაწილაკით გაფორმებული კითხვითი წინადადება გამოხატულია სხვადასხვაგვარად, მაგრამ მთავარია ის, რომ ტონის აწევა და გრძლივობის ზრდა ხდება კითხვით სიტყვაზე (ნაწილაკზე) ან შემასმენელზე, ან კიდევ ერთდროულად – კითხვით სიტყვასა (ნაწილაკსა) და შემასმენელზე. თუ რომელი ვარიანტი იქნება რეალიზებული, ეს დამოკიდებულია კითხვითი სიტყვისა (ნაწილაკისა) და შემასმენლის მარცვლების რაოდენობაზე:

რას მივაწეროთ შენი მობრძანება?




საინტერესოა განმეორებითი შეკითხვის პროსოდიული სურათი ერთმარცვლიანი ზმნა-შემასმენლის შემთხვევაში (გყავთ ოჯახი?). კითხვითობის გასაძლიერებლად ხდება ხმოვნის საკმაო დაგრძელება (დაახლოებით 2,5 ჯერ) და ხმოვანი წარმოდგენილია სინტაგმის დამახასიათებელი აღმავალ-დაღმავალ-მკვეთრად აღმავალი ინტონაციური კონტურით, რაც, საბოლოო ჯამში, ორი ხმოვნის შთაბეჭდილებას ტოვებს:

ავადმყოფმა, ეტყობა, შეკითხვა ვერ გაიგონა და ექიმმა გაუძეორა – გყავთ ოჯახი?



კითხვითი წინადადება შესაძლოა იყოს სინტაქსურად არასრული (ზმნა-შემასმენლის გარეშე) მაგ.: თქვენი გვარი? – ამ წინადადებაში ტონი აიწევს ბოლოდან პირველ ხმოვანზე:

თქვენი გვარი?



პროსოდიული მახასიათებლების განმსაზღვრელი ფაქტორია წინადადების ტიპი, წინადადების აქცენტუალიზებული წევრის ადგილი და ინფორმაციული სტრუქტურა. ქართულში წინადადების რომელიმე წევრის გამოკვეთა-წარმოჩენაში, ტონის ცვლილებასთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი ეკისრება გრძლივობასა და პაუზების ადგილს.

ლიტერატურა

- ახვლედიანი 1999:** გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა 1, პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- გამყრელიძე და სხვ. 2003:** თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შაღური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- თევდორაძე 1978:** ი. თევდორაძე, ქართული ენის პროსოდიის საკითხები, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- კიზირია 1987:** ნ. კიზირია, სალიტერატურო ქართულის ინტონაციის საკითხები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- ლეჟავა 1981:** ი. ლეჟავა, კავშირები და პაუზის ადგილი ქართულ სალიტერატურო წარმოთქმაში, რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის – „ფონეტიკა და ნორმა“ – მასალები, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- ოქროპირიძე 2024:** ზ. ოქროპირიძე, ქართული ენის სალიტერატურო წარმოთქმის ინტონაციური თავისებურებების ანალიზი ToBI-sistemis საფუძველზე, ექსპერიმენტული ფონეტიკის სამეცნიერო ლაბორატორიის გამგის, ასოც. პროფესორ ივანე ლეჟავასადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, პროგრამა /თეზისები, 22 ნოემბერი, 2024 წელი, თსუ, თბილისი.
- ჟღენტი 1956:** ს. ჟღენტი, ქართული ენის ფონეტიკა, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- ჟღენტი 1963:** ს. ჟღენტი, ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი.
- ჟღენტი 1965:** ს. ჟღენტი, ქართული სალიტერატურო ენის აქცენტუაციის ძირითადი თავისებურებანი, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- ფუტყარაძე, მიქაუტაძე 2014:** ტ. ფუტყარაძე, მ. მიქაუტაძე, ქართული სამწიგნობრო ენის ფონეტიკა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
- შენგელაია და სხვ. 2020:** ე. შენგელაია, მ. მეშიშიში, ნ. ფონიავა, მეგრულ-ლაზურის ინტონაცია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

Intonational Features of Georgian Literary Pronunciation

Summary

The study examines the features of intonation of Georgian standard speech. It analyzes prosodic characteristics and their influence on sentence meaning, using the Praat software for intonational analysis and ToBI notation for annotation.

The research is based on a corpus of 500-word texts recorded by 18 professional speakers under studio conditions. The study focuses on the interaction of intonation, syntactic structures, and pauses, which are crucial for distinguishing sentence types and structuring information. The paper discusses the segmentation of speech into segmental and supra-segmental units, where intonation plays a crucial role in conveying meaning, emotions, and communicative nuances. It highlights the fundamental components of intonation: pitch (F0), intensity, duration, pauses, speech tempo, and timbre.

The study also examines different pitch movement patterns, including rising and falling contours. ToBI, originally developed for American English, has been adapted for various languages, including Georgian. It enables the annotation of tonal elements and break indices, marking pauses and phrase boundaries. The study identifies five types of prosodic phrasing in Georgian, characterized by specific tonal movements and intensity variations. The analysis is based on speech recordings from professional actors, radio and television presenters, and academic speakers. The findings reveal differences in intonational patterns even in grammatically correct sentences. The study also explores the impact of conjunctions on pause placement in complex sentences and examines interrogative structures with and without question words.

In conclusion, the research highlights the role of intonational features in shaping sentence meaning, emphasizing the importance of pitch variation, intensity, pause placement, and information structure in Georgian speech.

ქვეყნის ენის მორფოლოგიის შესახებ¹

ქართული ქვეყნის ენის მორფოლოგიის აღწერისას აღნიშნულია, რომ ქვეყნის ენებს მდიდარი მორფოლოგიური სტრუქტურა აქვთ როგორც ფლექსიური, ასევე დერივაციული თვალსაზრისით (მახაროვლიძე 2019).

უცხოელ მკვლევართა დიდი ნაწილი თვლის, რომ ქვეყნის ენებში, ძირითადად, გვაქვს არა აფიქსური მორფოლოგია, არამედ თანადროული ანუ სინქრონული მოცემულობა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყნის კინეტიკით ერთდროულად გადმოსცემს რამდენიმე გრამატიკულ მნიშვნელობას და, განსხვავებით სამეტყველო ენებისგან, ის არ მოიცავს თანმიმდევრულ აფიქსებს. თუმცა ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ქვეყნის ენებში სინქრონული მორფოლოგიასთან ერთად პარალელურ რეჟიმში ასევე მოცემული გვაქვს ზოგიერთი გრამატიკული კატეგორიის აფიქსური წარმოება. უკანასკნელ პერიოდში ამ მოსაზრებას გაცილებით ბევრი მომხრე გამოუჩნდა. მკვლევრებმა ასევე შენიშნეს, რომ ქვეყნის ენები ახალწარმოქმნილი კრეოლური ენების ბევრ მახასიათებელს იზიარებდნენ, თუმცა ქვეყნის ენები კრეოლური ენებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთი თვისებით – კერძოდ, თავისი რთული სინქრონული მორფოლოგიით. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ქართული ქვეყნის ენა არის დამოუკიდებელი, ბუნებრივი მოცემულობების ენა და ამით ის იმსახურებს მეცნიერთა ინტერესს საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში (მახაროვლიძე 2019). სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო პერიოდში განვითარებული გამაღებელი არაკადემიური აქტივობები დამაზიანებელი და სერიოზული საფრთხის შემცველია ამ ენისთვის.

რა თქმა უნდა, ქვეყნის ენების სინქრონული მორფოლოგია ასახულია სახელთა სისტემებშიც. თუმცა, ქართული ქვეყნის შემთხვევაში, აქაც გვაქვს გარკვეული აფიქსები, რომელთა ფუნქციურ-სემანტიკური ველი აშკარად მიუთითებს ქართული ქვეყნის სახელთა მორფოლოგიის კონკრეტულ ენობრივ კატეგორიებში სემანტიკური მორფოლოგიის სისტემურ ფუნქციონირებაზე. აღსანიშნავია, რომ ქართული ქვეყნის სახელთა მორფოლოგია უჩვენებს რიგს თავისებურებებისას, რაც ამ ენას განსაკუთრებით საინტერესოს ხდის მკვლევართათვის და, იმავდროულად, ეს მასალა უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს ტიპოლოგიური თვალსაზრისითაც.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [FR-22-254 ქართული ქვეყნის სახელთა მორფოლოგია].

ამ ტიპის უნიკალურ კატეგორიათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და განსაკუთრებულია ბრუნვათა სისტემა. ამ სისტემის არსებობა ქართულ ჟესტურ ენაში ანგრევს ჟესტური ენების შესახებ არსებულ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ეს ენები უბრუნველი სახელური სისტემების ენებია. ამრიგად, ვფიქრობ, რომ სახელთა მორფოლოგიის მიმდინარე კვლევები საინტერესო და მნიშვნელოვანი უნდა იყოს როგორც ერთი კონკრეტული ბუნებრივი ენის სახელთა მორფოლოგიის კვლევა და, იმავედროულად, თავისი უნიკალური კატეგორიების წყალობით, ეს კვლევა საკმაოდ ღირებული ჩანს ტიპოლოგიური თვალსაზრისითაც.


დღეისათვის აღიარებული მოცემულობაა, რომ ჟესტურ ენებს მდიდარი მორფოლოგიური სტრუქტურა აქვთ როგორც ფლექსიური, ასევე დერივაციული თვალსაზრისით. ჟესტური ენების მორფოლოგიისათვის ძირითადი პრობლემაა: მორფემა, როგორც ასეთი, ამ ენებში არის ჟესტით წარმოდგენილი, რამდენადაც ამ ტიპის ენებისთვის ეს ერთადერთი შესაძლებელი ფორმაა, თუმცა ზოგ ჟესტურ ენაში გვაქვს გრამატიკული მნიშვნელობის მქონე მიმიკაც. ჟესტით წარმოდგენილი მორფემა რომ მორფემად იქნეს გააზრებული, საჭიროა ზოგიერთი პარამეტრის გათვალისწინება. ერთ-ერთი დასტური იმისა, რომ ეს ფორმა აფიქსია და არა თავისუფალი სიტყვა, არის მისი მუდმივი ადგილი. ასეთი ჟესტი ყოველთვის თან მოჰყვება (ან წინ უძღვის) სახელის ფუძეს. ზოგ ენაში სიტყვათა რიგი თავისუფალია და ზმნასთან დაკავშირებული თავისუფალი სიტყვა-ჟესტი შეიძლება ზმნის წინაც იყოს და შემდეგაც, მაგრამ არსებობს ფიქსირებული მორფემული პოზიცია. თუმცა ჟესტურ ენათა უმეტეს ნაწილში, სტანდარტიზაციის არქონის გამო, დასაშვებია გარკვეული ვარიაციებიც.

უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იმისათვის, რომ ჟესტი იქნეს მიჩნეული მორფოლოგიურ აფიქსად, არის მისი გრამატიკალიზაციის პროცესი, რაც, უმეტესწილად, აისახება ჟესტის დელექსიკალიზაციითა და ეროზიით. მაგალითისთვის ავიღოთ სრული ასპექტის მორფემა, რომელიც მოცემულია ქვემოთ, პირველ სურათზე:




სურ. 1. სრული ასპექტის მორფემა

სურათზე გამოსახული სრული ასპექტის მორფემა მომდინარეობს ორხელიანი სიმეტრიული სიტყვა-ფესტიდან ‘უკვე’. აქ გვაქვს ფესტის ეროზია. კერძოდ, ორხელიანი ფესტი ხდება ერთხელიანი. ასევე გვაქვს მისი დელექსიკალიზაციის ფაქტიც. ეს მორფემა, როგორც წესი, უკან მოჰყვება ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის გამომხატველ სიტყვა-ფესტს. ამრიგად, მას აქვს მყარი ადგილიც. ამავე ტიპის მაგალითია ბენეფაქტივის გამომხატველი ფორმაც, რომელიც მომდინარეობს ორხელიანი ფესტიდან ‘პატივისცემა’ (იხ. სურათი 2.):



სურ. 2. სიტყვა-ფესტი ‘პატივისცემა’

სიტყვა-ფესტი ‘პატივისცემა’ ეროზირებული ფორმით გვაძლევს ერთხელიან ბენეფაქტივის სემანტიკის მქონე მორფემას, ანუ პატივისცემი ირიბი ობიექტის გამომხატველ ფესტს, რაც რეალურად დელექსიკალიზებულია და არის ზმნური მორფემა:




სურ. 3. ბენეფაქტიური ირიბი ობიექტის ნიშანი

ფესტურ ენებში მეტყველების ნაწილების გარჩევა განსხვავებულია სამეტყველო ენების შესაბამისი კლასიფიკაციისგან. ფესტურ ენაში არსებითი სახელი, შესაძლოა, გადმოცემული იყოს მისთვის დამახასიათებელი ნიშნით და, ამდენად, იგი ზედსართავს უფრო ჰგავდეს. ასევე, შესაძლოა, არსებითი სახელი გადმოცემული იყოს მისთვის დამახასიათებელი მოქმედების აღმნიშვნელი ფესტით და, ამრიგად, იგი ვეღარ განირჩევა ზმნისგან ასეთ შემთხვევებში. ასევე რთულია ზმნებისა და სახელების გარჩევა, რამდენადაც ერთი და იგივე ფესტი, შესაძლოა, სახელსაც აღნიშნავდეს და ზმნასაც. მაგალითად: ‘წერა’ და ‘კალამი’, ‘საჭმელი’ და ‘ჭამა’. ასეთივე დამოკიდებულებაა ფესტთა შორის: ‘გადაღება’ და ‘ფოტოაპარატი’, ‘სკამი’ / ‘დასაჯდომი’ და ‘დაჯდომა’ და ა.შ. ზოგ შემთხვევაში მცირედი სხვაობა არის

მოცემული ზმნისა და სახელების აღმნიშვნელ იდენტურ ჟესტთა შორის. ამერიკულ ჟესტურ ენაში სახელი უფრო მეტ ფაზას მოიცავს, ვიდრე ზმნა. ქართულ ჟესტურ ენაში კი – პირიქით: ზმნა უფრო დინამიკური და მრავალფაზიანია, ვიდრე შესაბამისი სახელი. ზოგ შემთხვევაში გვაქვს მცირედი კინეტიკური განმასხვავებელი ცვლილებებიც.

ზოგადად, ჟესტური ენები ახალგაზრდა ენებია და მაღალი დინამიკა ახასიათებთ. მაგალითად, როდესაც მე ვსწავლობდი ქცევის კატეგორიის საკითხებს ქართულ ჟესტურ ენაში 2012 წელს, მალეფაქტივის გამომხატველი მორფემული ჟესტი, რომელიც წარმოდგენილია მეოთხე სურათზე, იმ პერიოდისთვის არ იყო დეიქტიური, ახლა კი ეს ჟესტი უკვე მიემართება ირიბი ობიექტისკენ.



სურ. 4. მალეფაქტივის ჟესტი

ჟესტური ენების მორფოლოგიების კვლევების ზოგადი სურათი არ არის ერთგვაროვანი და, ცხადია, ბევრი რამ სხვაობს ამ ენებში, თუმცა ძირითადი მორფოლოგიური პარამეტრები მაინც არის საერთო. მაგალითად, ენის პოლიპერსონალური ანუ ე.წ. “შეთანხმებულ ზმნათა” განსაზღვრა. ჟესტურ ენებში ზმნის პირიანობას განსაზღვრავს არა ზმნის მორფოსემანტიკა, არამედ მისი კინეტიკური სემანტიკა, ანუ, თუ ზმნა კინეტიკურად მიუთითებს (ესე იგი მიემართება) ირიბი ობიექტისკენ, მაშინ ის ითვლება პოლიპერსონალურად, რადგანაც სინქრონულად შეუძლია ობიექტის ასახვა. ამრიგად, ერთი და იგივე ზმნა, შესაძლოა, ზოგ ენაში იყოს მარტივი, ზოგან კი შეთანხმებული (ანუ მრავალპირიანი). ჟესტური ენების მორფოლოგიის ერთ-ერთი თავისებურებაა ისიც, რომ ვინ-კატეგორიის აქტანტი, შესაძლოა, თავიდან გამოჩნდეს ჟესტური კომუნიკაციის პროცესში, მერე კი მას წარმოსახვით მითითებული ადგილი მიენიჭოს და ეს ფორმა, როგორც სრულყოფილი ლექსიკური სიტყვა-ჟესტი, უკვე აღარ განმეორდეს ჟესტურ ნარატივში და მას ექნება მხოლოდ დეიქტური ფორმატი, თუმცა, იმავდროულად, ის შეიძლება იყოს ზმნის სუბიექტი ან ობიექტი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევებისთვის ვიყენებ ჩემ მიერ სხვადასხვა პროექტით მოპოვებული ქართული ჟესტური ენის შვიდსაათიან ვიდეომასალას. ეს არის თავისუფალი ნარატივები, ასევე კონკრეტული საკითხების ძიებისას გამოყენებულია ელისიტირებული მასალებიც. ენის წყაროები არიან საქართველოს ყრუთა კავშირის წევრები, განსხვავებული ასაკისა და სქესის. მასალა მოპოვებულია

ეთიკის საერთაშორისო ნორმების სრული დაცვით. ქართული ეესტური ენის წყარობმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რითაც მათ გადმომცეს ამ მასალების აკადემიური მიზნებისათვის გამოყენების სრული უფლება.

ლიტერატურა

- არონოვი, პადენი 2011:** Mark Aronoff, Carol Padden, Sign language verb agreement and the ontology of morphosyntactic categories, *Theoretical Linguistics* 37-3/4, 143-151
DOI: 10.1515/thli.2011.010
- ბრენტარი 2010:** Diane Brentari (ed.), *Sign Languages (Cambridge Language Surveys)*, Cambridge University Press, Cambridge.
- ბრენტარი 2011:** Diane Brentari, Sign Language Phonology, In: John A. Goldsmith, Jason Riggle, Alan C. L. Yu (eds.), *The Handbook of Phonological Theory* (2nd Revised Edition) Blackwell, Oxford, 691-721.
- დრაიერი 2007:** Matthew S. Dryer, Word order, In: *Language typology and syntactic description*, Vol. I: Clause structure (2nd edition), ed. T. Shopen, 61-131, Cambridge University Press, Cambridge.
- კენდონი 1994:** Adam Kendon, "Human Gestures", In: K.R. Gibson and T. Ingold (ed.) *Tools, Language and Cognition in Human Evolution*, Cambridge University Press, Cambridge.
- მახარობლიძე 2012:** თამარ მახარობლიძე, *ქართული ეესტური ენა*, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, USAID, Save The Children International. თბილისი.
- მახარობლიძე 2015:** Tamar Makharoblidze, Indirect Object Markers in Georgian Sign Language, *Sign Language and Linguistics*, #18(2), John Benjamins Publishing Company, 238-250, DOI: <https://doi.org/10.1075/sll.18.2.03mak>
- მახარობლიძე 2015:** თამარ მახარობლიძე, *ქართული ეესტური ენის ლექსიკონი*, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ISBN 978-9941-16-225-5, თბილისი.
- მახარობლიძე 2019:** Tamar Makharoblidze, On GESL verb, *CODFREURCOR «Etudes interdisciplinaires en Sciences humaines» EISH*, Vol. 6, ISBN 1987-8753, Editions Université d'Etat Ilia, Tbilissi, Géorgie, pp.50-81
- მახარობლიძე 2019:** თამარ მახარობლიძე, *ქართული ეესტური ენის ზმნის მორფოლოგია*, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ISBN 978-9941-18-331-7, თბილისი.
- პადენი 1988(1983):** Carol A. Padden, Interaction of morphology and syntax in American Sign Language (*Outstanding Dissertations in Linguistics*, series IV), Garland Press, New York.
- ქერი, კერეტო, დონატი, გერასი, კელეპირი, პეაუ, სტიენბახი 2017:** Josep Quer, Carlo Cecchetto, Caterina Donati, Carlo Geraci, Meltem Kelepir, Roland Pfau, Markus Steinbach (eds), *SignGram Blueprint A Guide to Sign Language Grammar Writing*, De Gruyter Mouton, Berlin, Boston.

ჭუადროსი, ლილო-მარტინი 2010: Ronice Muller de Quadros, Diane Lillo-Martin, Clause structure, In: D. Brentari (ed.), *Sign languages*, 225-251, Cambridge University Press, Cambridge.

Tamar Makharoblidze

On the Morphology of Sign Languages¹

Summary

Georgian sign language (GESL) is an independent, natural language, and it deserves the interest of scientists in the international academic space.

Sign languages have a rich morphological structure from both inflectional and derivational points of view. A large number of researchers believe that sign languages mainly do not have affixal morphology, but a simultaneous or synchronous condition. Sign with its kinetics conveys several grammatical meanings at the same time; and, unlike spoken languages, it does not include sequential affixes. However, some researchers believe that in sign languages, along with synchronous morphology, we also have the affix production of a number of grammatical categories in a parallel mode. In the last period, many supporters of this opinion appeared.

The synchronic morphology of sign languages is reflected in nominal systems as well. We have certain affixes whose functional-semantic field clearly indicates the systematic functioning of segmental morphology in specific linguistic categories of the nominal morphology of GESL. The nominal morphology of GESL shows a number of peculiarities, which make this language particularly interesting for researchers. At the same time, this material acquires great significance from the typological point of view. Among the unique categories of this type, one of the most important and special is a case system. The existence of this system in the GESL destroys the widespread opinion about sign languages, which implies that they do not possess case systems. Thus, I think that the current research on GESL nominal morphology should be interesting and important as a study of morphology of one particular natural sign language. Thanks to its unique categories, this work seems quite valuable from a typological point of view as well.

¹ This work was supported by The Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFN) [FR-22-254. The Georgian Sign Language Nominal Morphology]

„ვეფხელ ყრმათა წამების“ კიმენური რედაქციის ქართული თარგმანის ენობრივი თავისებურებანი

„შვიდი ვეფხელი ყრმის წამება“ უაღრესად პოპულარული ძეგლია ქრისტიანულ სამყაროში. თხზულების მოკლე შინაარსი ასეთია: იმპერატორი დეკიოზი/დეციუსი (249-251 წწ.) წარმართობის აღსადგენად ჩავიდა ქალაქ ვეფხოში, სადაც დიდი რისხვა დაატეხა ქრისტიანებს. სამეფო სასახლეში მყოფმა შვიდმა ჭაბუკმა, რომელთა სახელებია: მაქსიმილიანე, იამბლიქე, მარტინე, იოანე, დიონისი, ანტონინე და ექსაკოსდადიანე, უარი განაცხადა კერპების თაყვანისცემაზე. იმპერატორმა მათ ქრისტიანობის უარყოფა მოსთხოვა და მოსაფიქრებლად მისცა მცირე დრო, რადგანაც თვითონ სხვა ქალაქებში აპირებდა წასვლას სალაშქროდ. ამასობაში ჭაბუკებმა დატოვეს ვეფხო და თავი შეაფარეს მახლობელ მთაზე მდებარე გამოქვაბულს, სადაც მხურვალე ღოცვის დროს ჩაეძინათ. დეკიოზმა დაბრუნებისთანავე დააპატიმრა მათი მშობლები და მოსთხოვა, გაემხილათ შვილების ადგილსამყოფელი, ხოლო როდესაც ყოველივე შეიტყო, ბრძანა გამოქვაბულის ამოქოლვა.

372 წლის შემდეგ, როდესაც ქრისტიანობა უკვე მყარად იყო სახელმწიფოში ფეხმოკიდებული, როგორც ოფიციალური რელიგია, იმ მიდამოებისა და მახლობელი საძოვრების პატრონმა მოინდომა თავისი ცხვრისათვის ფარეხის აშენება და მონებს უბრძანა, მთიდან ქვები დაეგორებინათ. სწორედ მაშინ გაიღო გამოქვაბულის კარი, ხოლო ღმერთმა გააღვიძა შვიდი ყრმა, რომელთაც ეგონათ, რომ მხოლოდ ერთი ღამე ეძინათ. მათ ვეფხოში გაგზავნეს იამბლიქე, მაგრამ მომხდარ ცვლილებათა გამო მან ქალაქი ვეფხო იცნო. ბოლოს, როდესაც პურით მოგატრეებს მიაწოდა სამი საუკუნის წინ დეკიოზის სახელზე მოჭრილი მონეტა, ჭაბუკი, როგორც „ძველი განძის მპოვნელი“, ქალაქის მსაჯულსა და ეპისკოპოსს მიჰგვარეს, სადაც ყოველივე გაცხადდა. არც იამბლიქეს, არც მის მეგობრებს გაღვიძების შემდგომ დიდხანს აღარ უცოცხლიათ. ხელმეორედ მიძინებამდე მათ მხოლოდ ისლა მოასწრეს, რომ დამოძღვრის მიზნით ხალხს თავიანთი ამბავი დაწვრილებით ამცნეს, ვინაიდან იმ პერიოდში მართლმადიდებლობა ებრძოდა ხორციელი აღდგომის უარყოფელ ორიგენისტულ მიმართულებას (კროსი 1958:1246). ეს კარგადაა ასახული თვით თხზულებაში: „...აღდგა თეოდოსი, სარწმუნოდ მეფე. და ოცდამეათრვაშეტეხა წელსა მეფობისა მისისასა აღმოსცენდეს მწვალებელნი, რომელთა უნდა გარდაქცეულ და დაფარვად აღდგომად იგი მკუდართად, რომელ-იგი ქრისტიმან მოანიჭა წმიდათა ეკლესიათა მისთა“. აგრეთვე: „...მწვალებელთა მათგანნი იტყოდეს, ვითარმედ: „არა არს ღვინებად მკუდართად“. და სხუანი იტყოდეს, ვითარმედ:

„ჯორცისა დაბუელებულისა და განრყუნილისა და განბნეულისაჲ არა-რად ღზინებაჲ არს, არამედ მარტოდ სული ზოლო და ესე მიიღებს სულიერებით საიდუმლოსა უზრუნელისა ცხორებისასა“. და ესრეთ შეცთეს ამადოთა სიტყვთა მათითა...“.

მწვალებელთა მიერ ატეხილი შფოთის გამო მართლმორწმუნე მმართველი, თეოდოსი II (408-450 წწ.), „გონებითა თჳსითა აღშფოთნდებოდა“, სწორედ ამიტომ მას სასწრაფოდ აცნობეს ზორციელი აღდგომის დამადასტურებელი სასწაული, რომელიც ეფესოში მოხდა. იმპერატორი თვითონ ჩავიდა კონსტანტინოპოლიდან მცირე აზიაში შეიდი ყრმის მოსანახულებლად. მან გაათავისუფლა პატიმრები და დიდძალი საბოძვარიც გასცა გლახაკებისათვის. წმინდანთა სახელზე ყოველწლიური დღესასწაული განაწესეს და მათ საფლავზე ბაზილიკა ააგეს.

ყველგან, სადაც ქრისტიანობა გავრცელდა, ცნობილი გახდა შეიდი მძინარე ყრმის ამბავი, რამაც საფუძველი მისცა მრავალენოვან ლიტერატურულ გადამუშავებებს სირიულად, ბერძნულად, ქართულად, სომხურად, ლათინურად, არაბულად, კოპტურად და ეთიოპიურად (დრეშერი 1907:32-47), მოგვიანებით – მრავალ ევროპულ ენაზე (კუბერი 1910:155-214).

„შეიდი ეფესელი ყრმის წამების“ კიმენური რედაქცია შემოგვინახა სამმა აღრეულმა ხელნაწერმა, ესენია: სინ. 62 (983 წლის შემდეგ),¹ ბოდლ. 1 (XI ს.) და H 341 (XI ს.), რომელთაც, შესაბამისად, A, B და C ლიტერებით აღვნიშნავთ.

ჩვენთვის საინტერესო ჰაგიოგრაფიული ძეგლი ერთადერთია, რომელიც საზიაროა სამივე ნუსხისათვის. შედგენილობის მხრივ მეტ სიახლოვეს იჩენენ ხელნაწერები: სინ. 62 და ბოდლ. 1. მათთვის საერთოა: 1) „წამებაჲ წმიდისა ქრისტეფორე მოწამისაჲ“; 2) „წამებაჲ წმიდისა მოწამისა ლეოტისი“; 3) „წამებაჲ კეთილად მძლეთა წმიდათა მოწამეთაჲ პავლე, ბილონ, თეონ, ირონ და მოყუასთა მათთაჲ“; 4) „წამებაჲ წმიდათა ორმოცდახუთთაჲ, რომელნი იწამნეს ნიკოპოლის ქალაქსა სომხითისასა“; 5) „წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა ათანასისი, რომელი იწამა ქალაქსა შინა კოლიზმას, რომელ არს ზღუასა მეწამულსა ზედა“; 6) „წამებაჲ წმიდისა პანტელეიმონისი“; 7) „წამებაჲ შჯდთა ყრმათა მაკაბელთა და დედისა მათისა, რომელნი იწამნეს ანტიოქიის ქალაქსა ანტიოხოს მეფისა ძმ უშჯულოდსა.“ აღსანიშნავია, რომ ამ თხზულებათა თანამიმდევრობა ერთნაირია ორივე კრებულში. დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთსა და იმავე წმინდანთან დაკავშირებული ჰაგიოგრაფიული ძეგლი სინ. 62-სა და ბოდლ. 1-ში განსხვავებული რედაქციითაა მოცემული, მაგალითად, „პროკოპის წამება“ პირველ მათგანში კიმენური რედაქციისაა, მეორეში კი – მეტაფრასული.

სინ. 62 და H 341 ხელნაწერებს საერთო აქვთ 1) „წამებაჲ წმიდისა თეოდორესი“; 2) „მარტვილობა წმიდათა კოზმან და დამიანეთა“.

¹ სწორედ სინური ხელნაწერის მიხედვით გამოაქვეყნა ტექსტი ივ. იმნაიშვილმა.

ბოდლ. 1-ისა და H 341-ის საზიარო თხზულებაა „წამებად წმიდისა კონონისი“.

სავსებით დასაშვებია, რომ „ეფესელ ყრმათა წამების“ შემცველი სამი ადრეული ხელნაწერიდან თითოეულის წყაროდ გამოყენებული იყო არა ერთი კონკრეტული, არამედ რამდენიმე ნუსხა, რადგანაც ლიტერატურული ძეგლების გადმოწერა სხვადასხვა ხელნაწერიდან და მათი ერთ კრებულში თავმოყრა ჩვეულებრივი მოვლენაა. ეს კარგად ირკვევა ხელნაწერებზე დართული ანდერძებიდანაც. არაიშვიათად კრებულის შედგენილობას შემთხვევითი მომენტებიც განსაზღვრავდა: დამკვეთის ნება-სურვილი, გადაწერის ჩანაფიქრი და გემოვნება, სასურველი მასალის უქონლობა თუ მისი მოგვიანებით მოპოვება და სხვა (გოგუაძე 1971:62). მაგალითად, პარხლის მრავალთავის ანდერძში გაბრიელ პატარა გვაუწყებს, რომ თავიდან განზრახული ჰქონია მხოლოდ დედათა შესახებ თხზულებები შეეტანა კრებულში, მაგრამ, ვინაიდან ასეთებს ბერს ვერ მიაკვლია, მამათა მარტვილობანი და ცხოვრებანიც გადაწერა.

ზემოთ აღნიშნულ სამ ხელნაწერში დაცულ „შვიდი ყრმის წამების“ ტექსტთა ურთიერთშედარებამ გვიჩვენა, რომ, თუმცა მათ შორის განსხვავება თავს იჩენს არა მარტო ფრაზოლოგიასა და ლექსიკაში, არამედ – გრამატიკულ ფორმათა გადმოცემის დროსაც, ისინი ერთმანეთის მიმართ მხოლოდ ვარიანტებს წარმოადგენენ. A და B შედარებით ხშირად გვიჩვენებენ ერთნაირ წაკითხვებს, C კი მათგან უფრო სხვაობს. შესაძლოა, გვეფიქრა, რომ A და B ერთი და იმავე ხელნაწერი ნუსხიდან მომდინარეობდნენ, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც B და C ერთნაირ წაკითხვებს გვიჩვენებენ, A კი მათგან სხვაობს. შედარებით იშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც A და C ერთნაირ წაკითხვას გვიჩვენებენ და B-ს უპირისპირდებიან.

ამდენად, ირკვევა, რომ ზემოთ წარმოდგენილი სამი ნუსხის ტექსტები ერთიმეორისაგან არ არის გადაწერილი. შესაძლებელია, სინ. 62 და ბოდლ. 1 ხელნაწერებს საზიარო თხზულებათათვის მსგავსი (მაგრამ არა საერთო) წყაროები ჰქონდათ, ვინაიდან ისინი, როგორც აღვნიშნეთ, ტექსტობრივად ახლოს დგანან ერთმანეთთან. გარდა ამისა, მათ შვიდი ძეგლი აქვთ საზიარო, თანაც ამ თხზულებათა თანამიმდევრობა ერთნაირია ორივე კრებულში.

რაც შეეხება „ეფესელ ყრმათა წამების“ კიმენური რედაქციის ქართული თარგმანის მომდინარეობის საკითხს, ამასთან დაკავშირებით არ ყოფილა გამოთქმული რაიმე მოსაზრება. თარგმანი იცავს სრულ არქაიზმს ლექსიკაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში, რაც გვავარაუდებინებს მის სიძველეს. ქართული ტექსტის შედარებამ შესაბამის ბერძნულ, სომხურ, არაბულ და სირიულ წყაროებთან გვიჩვენა, რომ თარგმანი შესრულებულია ბერძნულიდან.

ბერძნული ტექსტი გამოქვეყნებულია პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერისა (Graec. 1454, X ს.) და ვატიკანური ნუსხის (Vat. Graec. 1673, XI ს.) მიხედვით (დრეშერი 1907:32-66).

სომხური ტექსტი გამოიცა რომში დავრდომილთა სომხური ნაციონალური თავშესაფრის (Ospizio nazionale degli Armeni in Roma) ხელნაწერის მიხედვით, რომელიც თარიღდება 1239 წლით, მაგრამ, როგორც ი. გუიდი მიუთითებს, ამ ნუსხაში წარმოდგენილი ტექსტი გაცილებით უფრო ძველი დედნიდან მომდინარეობს, რასაც ცხადყოფს თხზულების ენის არქაულობა (გუიდი 1884:430-433).

არაბული მასალა გათვალისწინებული გვაქვს ორი ხელნაწერის მიხედვით. ერთი მათგანი დაცულია 1975 წელს აღმოჩენილ სინურ ხელნაწერში (Sin.Ar. 1, 868 წ.), (მიმარისი 1975:73-74). კატალოგში მოცემულია ფოტო კრებულის ორი გვერდისა, სადაც ასახულია ჩვენთვის საინტერესო თხზულების დასაწყისი. რაც შეეხება მეორე რედაქციას, ის წარმოდგენილია ბრიტანულ ხელნაწერში (Brit. Mus. Or. 5019), რომელიც X-XI საუკუნეებით თარიღდება. აღსანიშნავია, რომ ჩვენს ხელთ არსებული აღწერილობებისა თუ ბიბლიოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ეს ორი ხელნაწერი ყველაზე ძველია „ეფესელ ყრმათა წამების“ შემცველ ადრეულ ნუსხათა შორის. ლონდონის კრებული განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს იმითაც, რომ მასში წარმოდგენილია ორი ისეთი თხზულება, რომლებიც არაბულიდანაა ქართულად თარგმნილი („პანტელეიმონის წამება“ და „სინა-რაითის მამათა მოსრვა“) (გვარამია 1980:48, გვარამია 1973:047-058).

სირიული კრიტიკული ტექსტი გამოქვეყნებულია რამდენიმე ხელნაწერის მიხედვით, რომელთაგან უძველესია ბრიტანული ნუსხა – Cod. Syr. Add. №12 160, 584 წ. (ბეჯანი 1890:301-325).

ქართული კიმენური რედაქცია თითქმის სიტყვასიტყვით მიჰყვება ბერძნულ დედანს. ეს მთელ ტექსტს გასდევს. რაც შეეხება აღმოსავლურ ვერსიებს, ისინი სცდებიან ქართულს – განსხვავებულია ფრაზები, თხრობა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში – შინაარსობრივი დეტალებიც, მაგალითად, სირიული ტრადიციის მიხედვით, ეფესელი ჭაბუკები რვანი იყვნენ. რაც შეეხება სომხურ ვერსიას, მასში ნათლად ჩანს, რომ ჭაბუკები დეკოზ მეფის სამსახურში იყვნენ, როგორც კერპთაყვანისმცემლები, და მხოლოდ მოგვიანებით გაქრისტიანდნენ. თხზულების ბოლოს საგანგებოდაა მოთხრობილი ყრმათა საფლავზე ბაზილიკის აგების ამბავი. ეს დეტალები ქართულ ტექსტში არ ჩანს. გარდა ამისა, სომხური ტრადიციით, წმინდანთა სასწაულებრივი ძილი 144 წლის განმავლობაში გრძელდებოდა, ხოლო ქართულ ვერსიაში ფიგურირებს 372.

როგორც უკვე მიუთითეთ, ბერძნულ და ქართულ ტექსტებში გვხვდება სავსებით, ან თითქმის სავსებით ერთნაირი ადგილები. გარდა ამისა, ვლინდება სხვა სახის მასალაც, რომელიც ქართული ვერსიის ბერძნულიდან მომდინარეობას უჭერს მხარს. პირველ რიგში, ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს საკუთარი სახელები.

ეფესელი მოწამენი განსხვავებულ ვერსიებში სხვადასხვაგვარად მოიხსენიებიან. გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები: 1) აქილიდე-დიომედესი; 2) მაქსიმილიანე-კონსტანტინესი; 3) მაქსიმილიანე-ექსაკუსდადიანესი. პირველი მათგანი გვხვდება სი-

რიულ, კოპტურ და ეთიოპურ ტექსტებში მცირედი სახესხვაობებით – აქილიდე, დიომედე, ევგენი, სტეფანე, პრობატიუსი, საბატიუსი და კვირიაკე. ბერძნულ, სომხურ და არაბულ ტექსტებში ფიგურირებს მეორე ან მესამე ჯგუფი. უკანასკნელი მათგანია წარმოდგენილი ჩვენს ტექსტშიც: მაქსიმილიანე, იამბლიქე, მარტინე, დიონოსი, იოვანე, ექსაკოსდადიანე, ანტონინე.

ქართული ვერსია ბერძნულს მისდევს აგრეთვე მეფეთა, ეპისკოპოსთა თუ თხზულებაში მოხსენიებულ სხვა პირთა სახელების გადმოცემის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ იმ მთის სახელწოდებაც, რომელზეც გამოქცაული მღებარეობდა, მრავალრიცხოვან რედაქციებში სხვადასხვა სახით გვხვდება, ქართულ ტექსტში კი გადმოტანილია ის ტოპონიმი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო ბერძნულ ვერსიაშია, კერძოდ – ნოქლოსი (ვატიკანური ნუსხის მიხედვით).

დედნისეული ტექსტის უშუალო გავლენა ქართულ თარგმანზე ვლინდება ბერძნულ დაბოლოებათა ზუსტად გადმოღების შემთხვევებში: იამბლიქოზ/იამბლიქოს, დეონისიოს, იოანნეს. განსაკუთრებით ნიშანდობლივია უკანასკნელი მაგალითი, ვინაიდან ქართულისათვის, როგორც წესი, და კონკრეტულად ამ ტექსტისთვისაც ჩვეულებრივია „იოვანე“, ხოლო „იოანნეს“ აშკარად მექანიკური გადმოტანაა ბერძნული ფორმისა. საერთოდ, ქართულ ტექსტში გვხვდება ბერძნული კალკები. ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამაც, რომ მთარგმნელს ყოველთვის უცვლელად გადმოაქვს დედნისეული პარანომაზიული კონსტრუქციები.

ქართულ ვერსიაში ვხვდებით შემდეგ ბერძნულ სიტყვებს: „ეკლესია“, „სტრატეიოტი“, „ეპისკოპოსი“/„ეპისკოპოსი“, „ბალანტი“, „პალატი“, „ფაკელი“/„ფაკიალი“, „ანთიპატოსი“/„ანთიპატროსი“, „ლამპარი“, „მარტული“.

ამრიგად, ირკვევა, რომ „ეფესელ ყრმათა წამების“ კიმენური რედაქციის ქართული თარგმანი ბერძნულიდან მომდინარეობს, კერძოდ, იმ ვერსიასთან ახლოს მდგომი ტექსტიდან, რომელიც წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნულ პარიზულ და ვატიკანურ ხელნაწერებში (მდრ. BHG 1593). ბერძნული ნუსხები X-XI საუკუნეებით თარიღდება, მაგრამ ქართული თარგმანის არქაულობა აშკარად უჩვენებს თვით დედნის სიძველესაც. აქვე მივუთითებთ, რომ ჩვენი თხზულება ამავე ბერძნული რედაქციიდანაა თარგმნილი კოპტურ ენაზეც.¹

ივ. იმნაიშვილი „ქართული ენის ისტორიული ქრესტომათიის“ წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ ხელნაწერები სინ. 11, სინ. 62, სინ. 97 და „მათი ენა უადრესად მნიშვნელოვანი და თავისებურია. ისინი, უეჭველია, განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერენ ქართული ენის ისტორიის შესწავლის საქმეში“ (იმნაიშვილი 1963:VI). ავტორი ზედმიწევნით აღნუსხავს ამ კრებულებში შემავალ თხზულებათათვის ნი-

¹ კოპტური ტექსტი იმდენად ზედმიწევნით მისდევს ორიგინალს, რომ ჯ. დრეშერმა ის ბერძნული ვერსიის პარალელურად გამოაქვეყნა (დრეშერი 1907:32-66). ტექსტი მოცემულია Pierpont Morgan-ის №633 კოპტური ხელნაწერის მიხედვით, რომელიც 1014 წლით თარიღდება.

შანდოლივ ორთოგრაფიულ და ფონეტიკურ მოვლენებს, წარმოადგენს ვრცელ მასალას მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროდან. ამჯერად გვსურს, ამას გარკვეული ლექსიკური მიმოხილვაც დავუმატოთ.

„შვიდი ყრმის წამების“ ტექსტისათვის უცხოა ახალი სპარსული და არაბული სიტყვები, რომლებიც ქართულში VIII საუკუნის შემდეგ შემოდიან (აბულაძე 1964:17). მეტიც, თხზულებაში დასტურდება ზოგიერთი ისეთი ლექსიკური ერთეული, რომლის ნაცვლად გვიანდელ ძეგლებში გვხვდება ახალი სპარსული თუ არაბული ენებიდან შემოსული სიტყვები. ასეთია, მაგალითად, „საფასე“, რომლის შესაბამისად IX საუკუნისა და შემდეგდროინდელ თხზულებებში მოსალოდნელი იყო „განძი“. ი. აბულაძე მას ახალი სპარსულიდან შემოსულად თვლის, რადგან იგი IX საუკუნემდე ქართულ მწერლობაში არ გვხვდება (აბულაძე 1955:XVII).

ტექსტში არის ასევე სპარსიზმები: „ჰამბავი“ და „ზორვა“ (ანდრონიკაშვილი 1966:222, 243). როგორც ცნობილია, საშუალო სპარსულის ლექსიკური მარაგიდან ბევრმა სიტყვამ ქართული მაწარმოებლები შეითვისა და ასეთი ცხოველმყოფელობის გამო სალიტერატურო ენაში გაიკაფა გზა. ეს პროცესი ქართულში არაბების გამოჩენამდეა ნავარაუდევო.

ამრიგად, ჩვენი ძეგლის ორთოგრაფიული, გრამატიკული და ლექსიკური მონაცემები იცავენ სრულ არქაიზმს. „ეფესელთა წამების“ ქართული თარგმანის სიძველეს ხაზს უსვამს თვით ტექსტის ვარიანტული ცვლილებებიც, რაც მიგვითითებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წარმოქმნილ სხვაობებზე.

შესაძლოა, „შვიდი ყრმის წამება“ ამ ძეგლის შემცველ ადრეულ ქართულ ხელნაწერებში შემაგულ ზოგიერთ სხვა თხზულებასთან ერთად, მართლაც, IX საუკუნემდე იყოს თარგმნილი, როგორც ამას ივ. იმნაიშვილი და ილ. აბულაძე ვარაუდობდნენ (იმნაიშვილი 1963:VI, აბულაძე 1954:147), მით უმეტეს, რომ, ნ. მარის აზრით, სინ. 62-ს საფუძვლად უდევს მრგვლოვანით შესრულებული დედანი, ვინაიდან მასში სწორედ ამ ანბანითაა მოცემული ძეგლების სათაურები, ასევე – ცალკე ფურცლების ორივე სვეტის პირველი სტრიქონები (მარი 1940:147).

აქვე გვსურს, გამოვთქვათ მოსაზრება გადმოთარგმნის ადგილის შესახებ. როგორც ცნობილია, ქართული მწერლობის პირველი პერიოდის პირველ ნახევარში ქართველები აღმოსავლურ ქრისტიანულ ქვეყნებთან იყვნენ დაკავშირებული, კერძოდ, სირიასა და პალესტინასთან, სადაც ფართო ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდნენ იქაურ სამწიგნობრო კერებში – ლავრებსა და მონასტრებში (კეკელიძე 1951:89, ქურციკიძე 1985:34).

დასაშვებია, ვიფიქროთ, რომ „ეფესელ ყრმათა წამება“ ერთ-ერთია იმ თხზულებათაგან, რომლებიც პალესტინის რომელიმე სამწიგნობრო ცენტრში ითარგმნა.

ამგვარი ვარაუდის დაშვებისათვის გარკვეულ საფუძველს იძლევა ის ფაქტიც, რომ „შვიდი ყრმის წამების“ შემცველი ყველაზე ძველი ხელნაწერები პალესტინური წარმოშობისაა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ტექსტი კიმენურ მარტვილობა-ცხოვრება-თა ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს (კეკელიძე 1918:6). ნაწარმოებში იგრძნობა ტენდენცია, არ დამძიმდეს თხრობა ზედმეტი წვრილმანებით, წარიმართოს იგი ცხოვლად და დინამიკურად. თხზულებას ახასიათებს ლიტერატურული ფორმის სისადავე და ფრაზეოლოგიის სიმარტივე. თარგმანი მეტად მაღალმხატვრულია.

თხზულებაში განსაკუთრებულად გამოირჩევა მონაკვეთი, სადაც მორწმუნეთა მასობრივი ზოცვა-ჟღერის ამბავია მოთხრობილი. „შვიდი ყრმის წამების“ ეს პასაჟი ივ. იმნაიშვილს ლექსად მიაჩნია. იგი ხაზს უსვამს, რომ აქ თითქმის ყველა ზმნა მრავლობით რიცხვშია დასმული, უფრო ხშირად – უწყვეტელში, რომელსაც **დ. ოდ** მაწარმოებლები აქვს. ეს აფიქსები **ავ (> ვ), უბ** თემის ნიშნებთან და მესამე პირის სუბიექტის მრავლობითის დაბოლოებასთან ერთად რითმას ქმნიან (*ვიდე/ს/ებდეს*): **შესწირვიდეს – უზორვიდეს, დამდაბლდებოდეს – დაიმალდებოდეს, იქმნებოდეს – მიდრეკებოდეს, შეიწყნარებდეს – თავს-იდებდეს, მომედგრდებოდეს – ითრევებოდეს, იძრვოდეს – ივლტოდეს** და ა.შ. მკვლევარი ასევე ყურადღებას ამახვილებს ზოგიერთ ხელოვნურ ფორმასა და გამოთქმაზე, რომლებიც ჩვეულებრივ პროზაში იშვიათად გვხვდება, გამოყოფს ასონანსის გარკვეულ სახეებს და სხვ. (იმნაიშვილი 1963:216-217).

ივ. იმნაიშვილი ამ საკითხებს სხვა გამოკვლევებშიც ეხება (იმნაიშვილი 1960:135-146). იგი იმოწმებს პ. ინგოროყვას ნაშრომებს და აღნიშნავს, რომ ქართულ ჰიმნოგრაფიაში არჩევენ ორგვარ საგალობლებს, რომელთაგან ერთი, ე. წ. „იაბიკობი“, 12-მარცვლიან ლექსებს წარმოადგენს, „ხოლო მეორე აძლენ ხანს უბრალო პროზაული სახის ჰიმნებად ითვლებოდა და მასში ლექსის ელემენტებს ვერ ხედავდნენ“ (იმნაიშვილი 1960:137, ინგოროყვა 1954:557-558).

მსჯელობს რა 864 წლის სინურ მრავალთავზე, ივ. იმნაიშვილი მიუთითებს, რომ პოეტური ელემენტები უმთავრესად ისეთ თხზულებებში გვხვდება, რომელთა მთავარი მიზანიც არის ღარიგება-დამოძღვრა, სადაც მჭევრმეტყველებასა და გარეგან ფორმას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება (იმნაიშვილი 1960:136).

ვფიქრობთ, ტექსტის ამგვარი მონაკვეთების სახელდება ლექსად არ არის მიზანშეწონილი. რა თქმა უნდა, აქ ვხედავთ გარკვეული ფონოლოგიური და გრამატიკული ფორმების შერჩევას, საერთო კომპოზიციაში მათ ორგანულ განთავსებას, რაც, ბუნებრივია, არ შეიძლება აღვიქვათ როგორც უმნიშვნელო, მარტივი პროცესი, რომელიც შემთხვევითობის კანონით იმართება (იაკობსონი 1981:136), მაგრამ ლექსს, გარდა რითმისა და რიტმული ერთეულების პერიოდული განმეორებისა, რასაც ივ. იმნაიშვილი გამოყოფს, ახასიათებს სხვა თავისებურებებიც, კერძოდ, სტროფული შედგენილობა და სტრიქონებში მარცვალთა თანაბარი რაოდენობა, რომელსაც ჩვენთვის საინტერესო პასაჟებში ვერ ვხედავთ (ჭილაია 1971:316). ამ მონაკვეთების კვალიფიკაცია რიტმულ პროზად უფრო სწორი ჩანს, მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ ტექსტების რიტმული ორგანიზაციის ზოგად კლასიფიკაციას, რომლის მიხედვითაც გამოყოფილია ორი სახეობა (სილაგაძე 1987:9):

„1) რიტმული ორგანიზაცია, დაფუძნებული ენის გარკვეულ პროსოდიულ ელემენტზე, რომელიც, რიტმულ ელემენტად გარდაქმნილი, აფორმებს გარკვეული წესების მიხედვით რიტმულ ერთეულებს და რიტმულ მთლიანობას; ყოველივე ეს ქმნის მოცემული ლექსთწყობის სისტემას, რომლის ერთ-ერთი მახასიათებელია (გარკვეული პოზიციებიდან – მთავარი) რეპროდუქციის უნარი.

2) რიტმული ორგანიზაცია, რომელიც არ ემყარება მოცემული ლექსთწყობის სტრუქტურულ წესებს; მოქმედი ვერსიფიკაციის თვალსაზრისით, ასეთი ორგანიზაციის ამსახველი ტექსტი არ არის რიტმიანი, მაგრამ ადვილად შეიმჩნევა თავისებური რიტმი (ყველაზე გავრცელებული კვალიფიკაცია – რიტმიზებული პროზა), რომლის სტრუქტურის გამოვლენა სპეციალურ ანალიზს მოითხოვს; ამ შემთხვევაში არ მოქმედებს ლექსთწყობის სისტემა თავისი წესებით (თუმცა პროსოდიული ფაქტორი იგივეა) და არც რეპროდუქციის თვისება გვაქვს (ერთ-ერთ კარგ მაგალითს გვიჩვენებს ყურანის ტექსტი, ყოველ შემთხვევაში – მისი ე.წ. პოეტური სურები)“.

ვფიქრობთ, „შვიდი ყრმის წამების“ ის პასაჟიც, სადაც პათეტიკური ტონითაა მოთხრობილი ქრისტიანთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, დაწერილია რიტმული პროზით, რომლისთვისაც უცხო არ არის „ლექსის ელემენტები“, თუმცადა ტექსტის ეს მონაკვეთი ლექსს არ წარმოადგენს, ვინაიდან იგი, თვით ივ. იმნაიშვილის სიტყვებით, „რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებს იმ მკაცრ მოთხოვნებს, ჩვენ რომ ვუყენებთ ღღეს პოეზიას“ (იმნაიშვილი 1960:134). ჩვენთვის საინტერესო პასაჟი დგება „აბუკურას“ („წამებად წმიდისა მიქაელისი, რომელი იყო ლავრასა დიდსა წმიდისა მამისა ჩუენისა საბადსსა“) გვერდით. ის არ წარმოადგენს რიტმული სტრუქტურების შემცველ ლექსს, არამედ გარითმული პროზაა (სილაგაძე 1997:83).

დაბოლოს, „შვიდი ყრმის წამების“ კიმენური რედაქცია დაცულია აგრეთვე ორ გვიანდელ ხელნაწერში, ესენია: H 2386 (1813 წ.) და H 286 (1853 წ.) (მეფარიშვილი 1949:267-268, ქუთათელაძე, კასრაძე 1946:208-212). ორივე ეს ხელნაწერი მხედრული ხელითაა შესრულებული. აღსანიშნავია, რომ აქ ჩვენთვის საინტერესო თხზულება სახელდება როგორც „დაძინება შვიდთა ყრმათა ეფესოს დეკეოზ უსჯულოსა მეფისა ზე“. ბუნებრივია, გვიანდელი ნუსხები ადრინდელები-საგან სხვაობენ ორთოგრაფიული და ენობრივი თვალსაზრისით, არის მნიშვნელოვანი ტექსტოლოგიური დაცილებანიც, კერძოდ, მათში ვლინდება საკმაოდ ვრცელი ჩამატებები. გვიანდელ ნუსხებში დაცული ტექსტები ძველებთან მიმართებით მხოლოდ ვარიანტებს წარმოადგენენ, ხოლო ხსენებული ცვლილებები, როგორც ჩანს, გადამწერის ინიციატივითაა შეტანილი თხრობაში.

წარმოდგენილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ „ეფესელ ყრმათა წამების“ კიმენური რედაქციის ქართული თარგმანი, რომელიც ბერძნულიდან მომდინარეობს, თავისი არქაული ენობრივი და სტილისტური თავისებურებებით ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფიის ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია.

ლიტერატურა

- აბულაძე 1954:** ი. აბულაძე, *ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII-X საუკუნეთა ძეგლების მიხედვით, თსუ შრომები*, 53.
- აბულაძე 1955:** ი. აბულაძე, *მამათა სწავლანი X-XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, თბილისი*.
- აბულაძე 1964:** ი. აბულაძე, *უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის ექუსთა ღლე-თასა და გრიგოლ ნოსელის კაცისა აგებულებისათვის, თბილისი*.
- ანდრონიკაშვილი 1966:** მ. ანდრონიკაშვილი, *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*, I, თბილისი.
- ბეჯანი 1890:** P. Bedjan, *Acta Martyrum et Sanctorum, Tomus Primus, Lipsiae, Otto Harrassowitz*.
- გვარამია 1973:** „სინა-რაითის მამათა მოსრვის“ არაბულ-ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო რ. გვარამიამ, თბილისი.
- გვარამია 1980:** რ. გვარამია, „პანტელეიმონის წამების“ ქართული ვერსიები და მათი წყაროები, *მრავალთავი*, VII, თბილისი.
- გოგუაძე 1971:** ნ. გოგუაძე, *სეითი – მრავალთავის ერთ-ერთი მთარგმნელი, მაცნე (ელს)*, 4, თბილისი.
- გუიდი 1884:** I. Guidi, *Testi orientali inediti sopra i Sette Dormienti di Efesso*, Roma.
- დრეშერი 1907:** J. Drescher, *Three Coptic Legends*, Le Caire.
- იაკობსონი 1981:** R. Jacobson, *Selected Writings*, III, Paris-New York.
- იმნაიშვილი 1960:** ი. იმნაიშვილი, *მასალები ძველი ქართული ლექსის ისტორიისათვის, ცისკარი*, 7, თბილისი.
- იმნაიშვილი 1963:** ი. იმნაიშვილი, *ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია*, II, თბილისი.
- ინგოროყვა 1954:** პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, თბილისი.
- კეკელიძე 1918:** კ. კეკელიძე, *კიმენი*, I, ტფილისი.
- კეკელიძე 1951:** კ. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, თბილისი.
- კროსი 1958:** Seven Sleepers of Ephesus, *The Oxford Dictionary of the Christian Church*, ed. Cross, London.
- მარი 1940:** Н. Я. Марр, *Описание грузинских рукописей Синайского монастыря*, Москва-Ленинград.
- მეფარიშვილი 1949:** *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია)*, V, შეადგინა ლ. მეფარიშვილმა, თბილისი.
- მიმარისი 1975:** I. Meimaris, *Catalogue of the New Arabic Manuscripts Found at St. Catherine's Monastery, Mount Sinai, Athens*.
- სილაგაძე 1987:** ა. სილაგაძე, *ლექსთმცოდნეობითი ანალიზის პრინციპების შესახებ*, თბილისი.
- სილაგაძე 1997:** ა. სილაგაძე, *ძველი ქართული ლექსი და ქართული პოეზიის უძველესი საფეხურის პრობლემა*, თბილისი.

ქუთათელაძე, კასრაძე 1946: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), I, დასაბეჭდად მომზადებულია ლ. ქუთათელაძისა და ნ. კასრაძის მიერ, თბილისი.

ქურციკიძე 1985: ნიკოდიმოსის აპოკრიფული წიგნის ქართული ვერსია, ტექსტი გამო-საცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბილისი.

ჭილაია 1971: ა. ჭილაია, ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები, თბილისი.

ჰუბერი 1910: M. Huber, *Die Wanderlegende von den Siebenschläfern*, Leipzig.

Mariam Nanobashvili

Linguistic Peculiarities of the Georgian Translation of the Kimen Redaction of “The Martyrdom of the Youths of Ephesus”

Summary

“The Martyrdom of the Youths of Ephesus” is an early hagiographic work that narrates about the famous Martyrs of the 3rd century. Its Kimen redaction has been preserved in three ancient Georgian manuscripts, namely: Sin. 62 (after 983), Bodl. 1 (XI century) and H 341 (XI century). The present article provides a codicological analysis and comparison of these versions. The comparison of the texts of “Seven Sleepers” preserved in the mentioned three manuscripts showed us that, although the difference between them appears not only in phraseology and vocabulary, but also in the transmission of grammatical forms, they are only variants in relation to each other.

As for the issue of the origin of the Georgian translation of the Kimen version of “The Martyrdom of the Youths of Ephesus”, no opinion was expressed in this regard until now. The translation preserves complete archaism in vocabulary, morphology and syntax, which suggests its antiquity. The comparison of the Georgian text with the corresponding Greek, Armenian, Arabic and Syriac sources showed us that the translation was done from Greek.

New Persian and Arabic words, which entered Georgian after the 8th century, are absent in the text of “The Martyrdom of the Youths of Ephesus”. The orthographic, grammatical and lexical data of the monument preserve complete archaism. The antiquity of the Georgian translation of “The Martyrdom of the Youths of Ephesus” is emphasized by the variant changes of the text itself, which indicate the differences that arose over a long period of time.

It is possible that “The Martyrdom of the Youths of Ephesus” along with some other writings included in the early Georgian manuscripts containing this monument, were translated before the 9th century. It is also permissible to think that “The Martyrdom of the Youths of Ephesus” is one of those works that were translated in a Palestinian literary center. The fact that the oldest manuscripts containing “The Martyrdom of the Youths of Ephesus” are of Palestinian origin provides a certain basis for making such an assumption.

კონცეპტები, როგორც ლინგვოკულტურული მთლიანობა

სტატიაში განხილულია კონცეპტები, როგორც ლინგვოკულტურული მთლიანობა, რომლებსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ სამყაროს სურათის სტრუქტურულ ნაწილში. ეს არის კულტურით განპირობებული ბირთვული (საბაზისო) ერთეულები, რომელთაც ეგზისტენციალური მნიშვნელობა აქვთ როგორც ცალკეული ენობრივი პიროვნებისათვის, ასევე მთლიანად ლინგვოკულტურული ერთობისათვის. კულტურის საკვანძო კონცეპტებს მიეკუთვნება ისეთი აბსტრაქტული სახელები, როგორებიცაა: თავისუფლება, ბედი, სიკეთე, ბოროტება, სამშობლო, კანონი, სინდისი, ღალატი, სიყვარული და ა.შ.

კონცეპტები ადამიანის ცნობიერებაში წარმოიქმნება არა მარტო როგორც მინიშნებები შესაძლო, პოტენციურ მნიშვნელობებზე, არამედ, აგრეთვე, როგორც მთლიანად ადამიანის წინა ენობრივი გამოცდილების – პოეტურის, პროზაულის, სამეცნიერო, სოციალურის, ისტორიულის – გამოდახილი.

ადამიანის მიერ სამყაროს შეცნობა დინამიკურია; სამყაროს კონცეპტუალური სურათი იცვლება, ხოლო სამყაროს ენობრივი სურათი უფრო სტაბილურია, იგი დიდხანს ინარჩუნებს სამყაროს შემეცნების სხვადასხვა ეტაპზე არარსებულ სახეებს, წარმოდგენებს. ამიტომ ხშირად ადამიანი თავის მეტყველებაში იყენებს ისეთ ერთეულებს, რომელთა წარმოშობა მის წინაპართა განსხვავებულ მსოფლმხედველობას, მათ მიერ სამყაროს განსხვავებულ ხედვას ეფუძნებოდა.

სამყაროს ენობრივი სურათი აყალიბებს ადამიანის სამყაროსთან (ბუნებასთან, ცხოველებთან, საკუთარ თავთან, როგორც სამყაროს ელემენტთან) დამოკიდებულების ტიპს, იგი განსაზღვრავს ადამიანის ქცევის ნორმებს. ყველა ენა ასახავს სამყაროს აღქმისა და ორგანიზების („კონცეპტუალიზაციის“) გარკვეულ ხერხს. ენაში გადმოცემული მნიშვნელობები გაერთიანებულია შეხედულებათა ერთიან სისტემაში, თავისებურ კოლექტიურ ფილოსოფიაში, რომელსაც ენის ყველა მატარებელი იზიარებს.

სამყაროს სურათის ელემენტები ენის მატარებელთა ცნობიერებაში ორ ტიპად შეიძლება დაიყოს: ის, რაც რეალურად ან სავარაუდოდ არსებობს (არსებობდა, შეიძლება არსებობს ან არსებულებო და ა.შ.) და ის, რაც ზემოთ აღნიშნულიდან მიეკუთვნება ფასეულობებს, ანუ ისეთ ცნებებს, რომლებიც ხალხის, საზოგადოების ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს (მიწა, ოჯახი, სიყვარული, ბედნიერება, შვილები, სიკეთე, სიმამაცე, წარმატება და ა.შ.). თითოეული ფასეულობა ყალიბდება როგორც ადამიანის ინტერესის, დაინტერესების პროექტი.

ობიექტური სამყაროს ასახვის პროცესში ადამიანი სიტყვაში აფიქსირებს შემეცნების შედეგებს. ენობრივი ფორმით დაფიქსირებული ამ ცოდნის ერთობლიობა წარმოადგენს იმას, რასაც სხვადასხვა კონცეფციაში ეწოდება „ენობრივი შუალედური სამყარო“, ან „სამყაროს ენობრივი რეპრეზენტაცია“, „სამყაროს ენობრივი მოდელი“, ან „სამყაროს ენობრივი სურათი“. უმეტესად სწორედ ეს უკანასკნელი ტერმინი გამოიყენება. სამყაროს სურათის (მათ შორის ენობრივი) ცნება ეფუძნება სამყაროს შესახებ ადამიანის წარმოდგენათა შესწავლას. თუკი სამყარო მოიაზრება როგორც ადამიანი და გარემო მათ ურთიერთქმედებაში, სამყაროს სურათი გარემოსა და ადამიანზე არსებული ინფორმაციის გადამუშავების შედეგია. სამყაროს სურათი არის არა სამყაროს სარკისებური ასახვა, არამედ სამყაროს ერთგვარი ინტერპრეტაცია, რომელსაც განახორციელებს ცალკეული სუბიექტები, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამიტომ სამყაროს სურათი დინამიკური მოვლენაა, რომელიც გამუდმებით იცვლება (Карасик 2004:148). კოგნიტიური ლინგვისტიკის წარმომადგენლები სამართლიანად ამტკიცებენ, რომ ჩვენი კონცეპტუალური სისტემა, რომელიც სამყაროს ენობრივი სურათის სახით აისახება, დამოკიდებულია ფიზიკურ და კულტურულ გამოცდილებაზე და უშუალოდ კავშირშია მასთან.

სამყაროს სურათის სტრუქტურულ ნაწილში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კულტურულ, ძირითად საკვანძო კონცეპტებს. ეს არის კულტურით განპირობებული ბირთვული (საბაზისო) ერთეულები, რომელთაც აქვთ ეგზისტენციალური მნიშვნელობა, როგორც ცალკეული ენობრივი პიროვნებისათვის, ასევე მთლიანად ლინგვოკულტურული ერთიანობისთვის. კულტურის საკვანძო კონცეპტებს მიეკუთვნება ისეთი აბსტრაქტული სახელები, როგორებიცაა: თავისუფლება, ბედი, სიკეთე, ბოროტება, სამშობლო, კანონი, სინდისი, ღალატი, სიყვარული და ა.შ.

კონცეპტები ადამიანის ცნობიერებაში წარმოიქმნება არა მარტო როგორც მინიშნებები შესაძლო, პოტენციურ მნიშვნელობებზე, არამედ აგრეთვე როგორც მთლიანად ადამიანის წინაენობრივი გამოცდილების – პოეტურის, პროზაულის, სამეცნიეროს, სოციალურის, ისტორიულის – გამოძახილი.

კულტურის კონცეპტები, პ. ს. გურევიჩის მიხედვით, შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: კოსმოსური, ფილოსოფიური კატეგორიები, ანუ კულტურის უნივერსალური კატეგორიები (დრო, სივრცე, მიზეზი, ცვლილება, მოძრაობა) და სოციალური, ეგრეთ წოდებული კულტურული კატეგორიები (თავისუფლება, სამართალი, სამართლიანობა, შრომა, სიმდიდრე, საკუთრება). მიზანშეწონილია კიდევ ერთი ჯგუფის გამოყოფა, რომელიც უშუალო კავშირშია ჩვენს ნაშრომთან – ქართული კულტურისთვის ესენია, მაგალითად: სტუმართმოყვარეობა, კეთილშობილება, თავდადება და ა.შ.) უნდა განვასხვავოთ ცნებები: „კულტურის სტერეოტიპი“ და „კულტურის კონცეპტი“, კულტურის სტერეოტიპი შეიცავს სუბიექტურ შეფასებას, ხოლო კულტურის კონცეპტი გამოხატავს ობიექტურ დამოკიდებულებას სინამდვილისადმი. იმისათვის, რომ სიტყვა ჩაითვალოს კულტურის კონცეპტად, ის ზშირად უნდა გამოიყენებოდეს (Гуревич 2006:47).

გარესამყაროს მოვლენები და საგნები ადამიანის ცნობიერებაში წარმოდგენილია შინაგანი ფორმით. ა. ა. ლეონტიევის აზრით, არსებობს განსაკუთრებული „მეხუთე კვაზიგანზომილება“, რომელშიც ადამიანის წინაშე წარმოდგება მისი გარემომცველი სინამდვილე: ეს არის „აზრობრივი ველი“, მნიშვნელობათა სისტემა. მაშასადამე, სამყაროს სურათი შეიძლება განისაზღვროს როგორც სახეთა სისტემა (Леонтьев 2001:92).

სამყაროს სურათს, როგორც რეალური სამყაროს ასახვასა და სამყაროს ენობრივ სურათს, როგორც ამ ასახვის ფიქსაციას შორის რთული ურთიერთმომართებაა. სამყაროს სურათი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სივრცითი (მარჯვენა-მარცხენა, აღმოსავლეთი-დასავლეთი, შორს-ახლოს და ა.შ.), დროითი (დღე-ღამე, ზამთარი-ზაფხული, დილა-საღამო და ა.შ.), რაოდენობითი, ეთიკური და სხვა პარამეტრების მეშვეობით. მის ფორმირებაზე გავლენას ახდენს ენა, ტრადიციები, ბუნება და ლანდშაფტი, აღზრდა და სხვა სოციალური ფაქტორები.

ზმირად გამოიყენება ფრაზეოლოგიზმი „გულზე ხელი დაიდო და ისე თქვი“, რომლის მნიშვნელობაც განისაზღვრება როგორც „გულწრფელად სიმართლის თქმა“. ცხადია, მოსაუბრე ამ ფრაზეოლოგიზმის წარმოთქმისას არ აცნობიერებს, რომ ეს გამოთქმა სიმბოლურად უკავშირდება ჟესტს, რომელიც ძველად გამოიყენებოდა როგორც ფიცის, გულწრფელობაში დარწმუნების ნიშანი.

სწორედ ენის შინაარსობრივ მხარეში (ნაკლებად – გრამატიკაში) აისახება მოცემული ეთნოსის სამყაროს სურათი, რომელიც წარმოადგენს ყველა კულტურული სტერეოტიპის საფუძველს. მისი ანალიზი გვეხმარება, გამოვარკვიოთ, თუ რით განსხვავდებიან ნაციონალური კულტურები, როგორც ავსებენ ისინი ერთმანეთს მსოფლიო კულტურის დონეზე. ცხადია, ყველა სიტყვის მნიშვნელობა რომ კულტურულად სპეციფიკური იყოს, საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა კულტურულ სხვაობათა შესწავლა. ამიტომ კულტურულ-ნაციონალური ასპექტების შესწავლისას დასაყრდენი ენობრივ ერთეულთა უნივერსალური თვისებებია.

ამრიგად, სამყაროს კულტურული და ენობრივი სურათები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, მუდმივად ურთიერთქმედებენ და ორივე დაკავშირებულია სამყაროს რეალურ სურათთან, უფრო სწორად კი, რეალურ სამყაროსთან, რომელშიც ადამიანი არსებობს.

ლიტერატურა

გამყრელიძე და სხვ. 2003: თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ლებანიძე 2004: გ. ლებანიძე, კომუნიკაციური ლინგვისტიკა, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „ენა და კულტურა“, თბილისი.

ჭრელაშვილი 2001: კ. ჭრელაშვილი, *ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია*, თსუ გა-
მომცემლობა, თბილისი.

Гуревич 2006: П. С. Гуревич, *Культурология*, «Гардарики», Москва.

Карасик 2004: В. И. Карасик, *Языковой круг: личность, концепты, дискурс*, «ГНОЗИС», Москва.

Коул, Скрибнер 1977: М. Коул, С. Скрибнер, *Культура и мышление*, «Прогресс», Москва.

Леонтьев 2003: А. А. Леонтьев, *Психологические единицы и порождение речевого высказывания*, «Едиториал УРСС», Москва.

Kramsch 1998: C. Kramsch, *Language and Culture*, Oxford University Press, Oxford.

Smith 1966: A. Smith, *Communication and Culture*, Holt, Rinehart and Winston, New York.

Irma Rusadze

Concepts as Linguocultural Unity

Summary

The paper discusses concepts as linguocultural unity which occupies an important place in the structural part of the world view. These are culturally conditioned core (basic) units that have existential significance both for individual linguistic personalities and for the entire linguistic-cultural community. Key cultural concepts include such abstract nouns as: freedom, fate, goodness, evil, homeland, law, conscience, betrayal, love, etc.

Concepts in human consciousness emerge not only as references to possible, potential meanings but also as echoes of the entire previous linguistic experience – poetic, prosaic, scientific, social, historical.

Human cognition of the world is dynamic; the conceptual picture of the world changes, while the linguistic picture of the world is more stable, maintaining for a long time the images and representations that existed at different stages of world cognition. Therefore, in their speech people often use the units the origin of which was based on their ancestors' different worldview and their different vision of the world.

The linguistic picture of the world shapes the type of human relation to the world (to nature, animals, and to oneself as an element of the world). It determines human attitudes toward the world and norms of behavior. Every language reflects a certain way of perceiving and organizing (“conceptualizing”) the world. The meanings conveyed through language are integrated into a unified system of views, a kind of collective philosophy that is shared by all carriers of the language.

პირის ნიშანთა კომბინაციისათვის ქართულში

ქართულ ენაში ზმნაში აისახება სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები. სუბიექტური პირის ნიშნებია:

მხ. რ.	მრ. რ. ¹
I ვ--	I ვ---
II ხ--, 0--	II ხ--, --0
III -- ს, --ა, --ო	III --ეს, --ენ, --ენ, --ან, --ნ

ობიექტური პირის ნიშნებია:²

მხ. რ.	მრ. რ.
I მ--	I გვ--
II გ--	II გ--
III კ--, ს--	III კ--, ს--

ცნობილია რომ, ქართული ენის შემსწავლელებს უჭირთ პირის ნიშნების ხმა-რება.

დღეს პირთა კომბინაციებისათვის მიღებულია აკად. აკაკი შანიძის პირთა კომბინაციების ცხრილები.

აკაკი შანიძე პირთა კომბინაციების შესახებ წერს:

„რომ ნათელი იყოს, პირთა შესაძლებელი და შეუძლებელი კომბინაციები, შევადგინოთ ცხრილი. ვერტიკალურად სუბიექტური პირები ჩამოვწეროთ, ჰორიზონტალურად – ობიექტურები. ესეც და ისიც ორივე რიცხვის მიხედვით გავაკეთოთ. შეუძლებელ კომბინაციათა უჯრები გადავხაზოთ. შესაძლებელ კომბინაციათა უჯრებში თავ-თავის ადგილას ზმნების ფორმები ჩავწეროთ (ადგილს არკვევს ჰორიზონტალური და ვერტიკალური მიმართულების გადაჯვარედინება). თუ კი სადმე ფორმა მეორდება, მას ვარსკვლავი დავუსვამთ, რომ შესაძლებელი იყოს მისი გამოკლება საერთო რიცხვიდან. ერთ ცხრილში აწმყოს მწკრივი ჩავწეროთ გარდამავალი ზმნისა, მეორეში – იგივე აწმყო გარდაუვალი ზმნისა, მესამეში – წყვეტილი გარდამავალი ზმნისა. ამა თუ იმ ფორმის სათანადო უჯრედში ჩაწერის გადავიღების მიზნით და, საზოგადოდ, საქმის ვითარების უფრო ნათელსაყოფად პი-

¹ რადგან ჩვენ პირის ნიშნები გვანტერესებს, მრავლობითი რიცხვის ნიშნებს არ ვუთითებთ.

² პირველ და მეორე პირში პირდაპირ და ირიბ ობიექტებს ერთი და იგივე ნიშნები აქვს, მესამე პირში პირდაპირ ობიექტს ნიშანი არა აქვს.

რის რომლობის აღმნიშვნელ ციფრებს გვერდით ფრჩხილებში სათანადო ნაცვალ-
სახელები მივუწეროთ“ (შანიძე 1953: 234).

პირი		ობიექტური						სუბ. პირის რიცხვი
		1 (მე)	2 (შენ)	3 (მას)	1 (ჩვენ)	2 (თქვენ)	3 (მათ)	
სუბიექტური	1 (მე)		გაქებ	ვაქებ		*გაქებთ	*ვაქებ	მხოლოდითი
	2 (შენ)	მაქებ		აქებ	გვაქებ		*აქებ	
	3 (იგი)	მაქებს	გაქებს	აქებს	გვაქებს	*გაქებს	*აქებს	
	1 (ჩვენ)		გაქებთ	ვაქებთ		*გაქებთ	*ვაქებთ	მრავლობითი
	2 (თქვენ)	მაქებთ		აქებთ	გვაქებთ		*აქებთ	
	3 (ივინი)	მაქებენ	გაქებენ	აქებენ	გვაქებენ	*გაქებენ	*აქებენ	
სუბ. პირის რიცხვი		მხოლოდითი			მრავლობითი			

ორპირიანი გარდამავალი ზმნა აწმყოში (შანიძე 1953:234)

პირი		ობიექტური						სუბ. პირის რიცხვი
		1 (მე)	2 (შენ)	3 (იგი)	1 (ჩვენ)	2 (თქვენ)	3 (იგინი)	
სუბიექტური	1 (მე)		გაქე	ვაქე		*გაქე(თ)	*ვაქე	მსოფლობითი
	2 (შენ)	მაქე		აქე	გვაქე		*აქე	
	3 (მან)	მაქო	გაქო	აქო	გვაქო	გაქოთ	*აქო	
	1 (ჩვენ)		გაქეთ	ვაქეთ		*გაქეთ	*ვაქეთ	მრავლობითი
	2 (თქვენ)	მაქეთ		აქეთ	გვაქეთ		*აქეთ	
	3 (მათ)	მაქეს	გაქეს	აქეს	გვაქეს	გაქესთ	*აქეს	
სუბ. პირის რიცხვი		მსოფლობითი			მრავლობითი			

ორპირიანი გარდამავალი ზმნა წყვეტილში (შანიძე 1953:235)

პირი		ობიექტური						სუბ. პირის რიცხვი
		1 (მე)	2 (შენ)	3 (მას)	1 (ჩვენ)	2 (თქვენ)	3 (მათ)	
სუბიექტური	1 (მე)		გელი	ველი		*გელით	*ველი	მხოლოდითი
	2 (შენ)	მელი		ელი	გველი		*ელი	
	3 (იგი)	მელის	გელის	ელის	გველის	გელისთ	*ელის	
	1 (ჩვენ)		გელით	ველით		*გელით	*ველით	მრავლობითი
	2 (თქვენ)	მელით		ელით	გველით		*ელით	
	3 (იგინი)	მელიან	გელიან	ელიან	გველიან	გელიან	*ელიან	
სუბ. პირის რიცხვი		მხოლოდითი			მრავლობითი			

ორპირიანი გარდაუვალი ზმნა აწმყოში (შანიძე 1953:236)

პირი		ობიექტური						სუბპირის რიცხვი
		1.3 (მე იგი)	2.3 (შენ იგი)	3.3 (მას იგი)	1.3 (ჩვენ იგი)	2.3 (თქვენ იგი)	3.3 (მათ იგი)	
სუბიექტური	1 (მე)		გიქე	ვუქე		*გიქე(თ)	*ვუქე	მხოლოდითი
	2 (შენ)	მიქე		უქე	გვიქე		*უქე	
	3 (ის)	მიქო	გიქო	უქო	გვიქო	გიქო(თ)	*უქო	
	1 (ჩვენ)		გიქეთ	ვუქეთ		*გიქეთ	*ვუქეთ	მრავლობითი
	2 (თქვენ)	მიქეთ		უქეთ	გვიქეთ		*უქეთ	
	3 (ივინი)	მიქეს	გიქეს	უქეს	გვიქეს	გიქესთ	*უქეს	
ობ. პირის რიცხვი		მხოლოდითი			მრავლობითი			

სამპირიანი გარდამავალი ზმნა წყვეტილში (შანიძე 1953:237)

ჩვენ გთავაზობთ პირთა შემდეგ კომბინაციებს:¹

- S1O2 – გ-წერ მე შენ, გ-წერთ მე თქვენ, გ-წერთ ჩვენ შენ (თქვენ)
- S1O3 – ვ-წერ მე მას (მათ), ვ-წერთ ჩვენ მას (მათ)
- S2O1 – მ-წერ შენ მე, მ-წერთ თქვენ მე, გვ-წერ შენ ჩვენ, გვ-წერთ თქვენ ჩვენ
- S2O3 – ს-წერ შენ მას (მათ), ს-წერთ თქვენ მას (მათ)
- S3O1 – მ-წერს ის მე, მ-წერენ ისინი მე, გვ-წერს ის ჩვენ, გვ-წერენ ისინი ჩვენ
- S3O2 – გ-წერს ის შენ (თქვენ), გ-წერენ ისინი შენ (თქვენ)
- S3O3 – ს-წერს ის მას (მათ), ს-წერენ ისინი მას (მათ)

ეს კომბინაციები მოიცავს აკ. შანიძის ზემოთ მოყვანილი ცხრილების მონაცემებს, ასევე სასხვისო ქცევისა და შუალობითი კონტაქტის ფორმებს (მანიანი ზმნების გარდა); სერიებსა და მწკრივებს მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომ მაგალითები მოგვყავს აწმყოს მწკრივში.

მაგალითები სასხვისო ქცევისათვის:

- S1O2 – გ-იხატავ მე შენ, გ-იხატავთ მე თქვენ, გ-იხატავთ ჩვენ შენ (თქვენ);
- S1O3 – ვ-უხატავ მე მას (მათ), ვ-უხატავთ ჩვენ მას (მათ);
- S2O1 – მ-იხატავ შენ მე, მ-იხატავთ თქვენ მე, გვ-იხატავ შენ ჩვენ, გვ-იხატავთ თქვენ ჩვენ;
- S2O3 – უხატავ შენ მას (მათ), უხატავთ თქვენ მას (მათ)
- S3O1 – მ-იხატავს ის მე, გვ-იხატავს ის ჩვენ, მ-იხატავენ ისინი მე, გვ-იხატავენ ისინი ჩვენ
- S3O2 – გ-იხატავს ის შენ, გ-იხატავთ ის თქვენ, გ-იხატავენ ისინი შენ (თქვენ)
- S3O3 – უხატავს ის მას (მათ), უხატავენ ისინი მას (მათ).

მაგალითები შუალობითი კონტაქტისათვის:

- S1O2 – გ-ახატვინებ მე შენ, გ-ახატვინებთ მე თქვენ, გ-ახატვინებთ ჩვენ შენ (თქვენ)
- S1O3 – ვ-ახატვინებ მე მას (მათ), ვ-ახატვინებთ ჩვენ მას (მათ)
- S2O1 – მ-ახატვინებ შენ მე, მ-ახატვინებთ თქვენ მე, გვ-ახატვინებ შენ ჩვენ, გვ-ახატვინებთ თქვენ ჩვენ
- S2O3 – ახატვინებ შენ მას (მათ), ახატვინებთ თქვენ მას (მათ)
- S3O1 – მ-ახატვინებს ის მე, მ-ახატვინებენ ისინი მე, გვ-ახატვინებს ის ჩვენ, გვ-ახატვინებენ ისინი ჩვენ
- S3O2 – გ-ახატვინებს ის შენ (თქვენ), გ-ახატვინებენ ისინი შენ (თქვენ)

ამრიგად, გამოდის წესი: როდესაც სუბიექტი არის პირველი პირი და ობიექტი – მესამე პირი, სუბიექტის ნიშანი ობლიგატორულია; დანარჩენ შემთხვევებში იხმარება ობიექტის ნიშნები.

¹ მეტი სიცხადისათვის სამპირიან ზმნებში მესამე პირს, რომელიც პირის ნიშანს არ აჩენს, არ ვუთითებთ.

არაქართულენოვანები ამ წესის მიხედვით სწორად აუღლებენ ზმნებს და აწარმოებენ ამა თუ იმ პირისა და კატეგორიის ფორმებს. ეს დადასტურდა ინგლისურენოვანი სტუდენტებისათვის ქართული ენის სწავლებისას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიური ცენტრის საზაფხულო სკოლაში.

ლიტერატურა

შანიძე 1953: ა. შანიძე, *ქართული გრამატიკის საფუძვლები*, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

Nana Saganelidze

For the Combinations of Person Markers in Georgian

Summary

One of the difficulties learners of Georgian face is the subject and object person markers reflected in Georgian verbs.

Akaki Shanidze offers tables of person marker combinations: for bipersonal verbs transitive verbs in Present Indicative, bipersonal transitive verbs in Aorist Indicative, bipersonal intransitive verbs in Present Indicative and polypersonal transitive verbs in Aorist Indicative.

The author offers the following combinations:

S ₁ O ₂	<i>g-c'er me šen, g- c'ert me tkven, g- c'ert čven šen (tkven)</i>
S ₁ O ₃	<i>v- c'er me mas (mat), v- c'ert čven mas (mat)</i>
S ₂ O ₁	<i>m-c'er šen me, m-c'ert tkven me, gv-c'er šen čven, gv-c'ert tkven čven</i>
S ₂ O ₃	<i>s-c'er šen mas (mat), s-c'ert tkven mas (mat)</i>
S ₃ O ₁	<i>m-c'ers is me, m-c'eren isini me, gv-c'ers is čven, gv-c'eren isini čven</i>
S ₃ O ₂	<i>g-c'ers is šen/tkven, g-c'eren isini šen/tkven</i>

The offered structures embrace the tables of person marker combinations discussed by Akaki Shanidze, as well as those for the objective version and intermediary contact forms (except for verbs with 0-class markers). That is true for all series and screeves of conjugation: *g-ixat'av me šen, g-ixat'avdi me šen, da g-ixat'av me šen, v-uxat'av me mas, v-uxat'avdi me mas, da-v-uxat'e me mas...*; *g-aaxat'vineb me šen, g-aaxat'vinebdi me šen, da-g-aaxat'vineb me šen, v-aaxat'vineb me mas, v-aaxat'vinebdi me mas, da-v-aaxat'vine me mas...*

Thus, based on the above-mentioned, a rule can be determined: The subject person marker is only reflected when the subject is first person and the object is third person. In all other cases, object person markers are reflected in the verb.

სემანტიკური რეკონსტრუქციები: *ცხოჲ ძირთან დაკავშირებული ფუძეები

მონათესავე ენათა შედარებით-ისტორიული ანალიზი, უპირველესად, მიზნად ისახავს ფუძეების რეკონსტრუქციასა და მონათესავე ენათა ჩამოყალიბების გზის განსაზღვრას (ფუძეების დონიდან ვიდრე თანამედროვე მდგომარეობამდე). ფუძეების რეკონსტრუქცია გულისხმობს როგორც ლექსიკური ერთეულების, ისე გრამატიკული სტრუქტურების აღდგენას. ლექსიკურ ერთეულთა რეკონსტრუქციის საფუძველი რეგულარული ბგერითი/ფონემური შესატყვისობებია. მათზე დაყრდნობით ენობრივ ერთეულთა ფორმების რეკონსტრუქცია ფუძეების დონეზე ხშირ შემთხვევაში თითქმის დაუბრკოლებლად ხორციელდება, თუმცა რეკონსტრუქციის ფორმის სემანტიკის დახუსტება ჭირს. უმეტესად ეს მაშინ ხდება, როცა შესატყვის ფორმებში სემანტიკური განსხვავებანი დასტურდება. აღსანიშნავია, რომ ქართველურ რეკონსტრუქციულ ფუძეებში ამგვარი ვითარება საკმაოდ ხშირად აღინიშნება. შეიძლება ითქვას, რომ დაახლოებით ასეთია მდგომარეობა ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე რეკონსტრუქციულ *ცხოჲ ძირისა და მასთან დაკავშირებული ფუძეების შემთხვევაში.

როგორც ცნობილია, ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე *ცხოჲ ძირი რეკონსტრუქციაზე შემდეგი შესატყვისობის საფუძველზე (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000: 606):

ქართ. ცხოვ-

(ცხოვ-ელ-ი; ცხოვ-ნ-ებ-ა 'გადარჩენა'; ცხოვ-რ-ებ-ა; მა-ცხოვ-არ-ი 'მსხნელი'; ცხოვ-არ-ი; ცხვ-არ-ი (ახ. ქართ.); სა-ცხოვ-არ-ი 'საქონელი; ცხვარი'...);

მეგრ. ჩხო-/ჩხუ-/შხ-

(ჩხო-უ/ჩხუ-/ჩხუ-უ 'ძროხა'; ო-ჩხუ-უ-ლ-ე 'საძროხე'; ჩხო-ნ-აფ-ა 'გადარჩენა (სულისა); გადარჩენა'; ე-ო-ჩხო-ნ-უ-ან-ქ 'გადავარჩენ (ვისსნი) მას'; ე-ო-ჩხო-ნ-უ 'გადავარჩინე'; ე-ჩხო-ნ-დ-ქ 'გადავარჩევი'; ჩხო-ნ-აფ-ილი 'გადარჩენილი; [ო-ჩხარ-ი]; შხ-ურ-ი 'ცხვარი'...);

ლაზ. ძხ-/შჟ-

(ძხ-ურ-ი/შჟ-ურ-ი 'ცხვარი').

როგორც ვხედავთ, ის ფუძეები, რომლებშიც აღნიშნული ძირის რეფლექსები დასტურდება, სემანტიკურად განსხვავებულია და ეს სემანტიკური განსხვავებულობა უმეტესად სახელურ ფუძეებში დასტურდება; მეგრულ შხ-ურ-ი 'ცხვარი' და

ლაზურ *მზ-ურ-ი/მშქ-ურ-ი* 'ცხვარი' ფუძეებს განვიხილავთ ქვემოთ ბ. გიგინეიშვილის თვალსაზრისთან დაკავშირებით, (გიგინეიშვილი 1979).

ჩნდება შეკითხვა: რა შეიძლებოდა ყოფილიყო **ცხოჭ* ძირის საწყისი სემანტიკა და რა სემანტიკური ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა ქართულ-მეგრულ-ლაზური ფონოლოგიურად შესატყვისი სახელური ფუძეები თანამედროვე მნიშვნელობებით?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, უპირველესად, განვიხილოთ **ცხოჭ* ძირის სახელური დერივაციული ფუძე **ცხოჭელ-*, რომელიც რეკონსტრუირდება ქართულ-ზანური ერთიანობის ღონეზევე შემდეგი შესატყვისობის საფუძველზე (კლიმოვი 1964:231):

ქართ. *ცხოველ-* : მეგრ. *ჩხო-უ/ჩხუ-უ/ჩხუ* 'ძროხა'.

ქართული და მეგრული მასალა დააკავშირა ი. ყიფშიძემ (ყიფშიძე 1914: 368); მოცემულ ფუძეებში ცხადია შესატყვისობა ძირეულ მორფემებს შორის და ასევე შესატყვისია სუფიქსური მორფემებიც (შესატყვისობისათვის ქართ. *-ელ* : მეგრ. *-უ* : ლაზ. *-უ* იხ. Schmidt 1962:25-26; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:89-90).

ცხოველ- ფუძეს ძველ ქართულში აქვს მნიშვნელობა როგორც 'ცოცხალისა', ასევე 'ცხოველისა'. ვფიქრობთ, ქართულ-ზანური ერთიანობის ღონეზე რეკონსტრუირებულ **ცხოჭ*-ძირი აღნიშნავდა კონცეპტს, რომელშიც გაერთიანებული იყო 'სიცოცხლისა' და 'ცხოვრების' მნიშვნელობები. ამიტომაც მისგან ნაწარმოები სახელური დერივაციული **ცხოჭელ-* ფუძის სემანტიკა აერთიანებდა 'ცოცხალისა' და 'ცხოველის' მნიშვნელობებს (მით უფრო, რომ ცხოველი არის ცოცხალის ტიპური წარმომადგენელი). ეს სემანტიკა ძველ ქართულში შეინარჩუნა აღნიშნული ფუძის ქართულმა რეფლექსმა.

როგორც ჩანს, ქართულ-ზანური ერთიანობის ღონეზევე **ცხოჭ*-ძირის შესაბამისი რთული კონცეპტის გადაზრება მოხდა, ერთმანეთისგან გაიმიჯნა 'სიცოცხლისა' და 'ცხოვრების' კონცეპტები და, შედეგად, 'სიცოცხლე, ცოცხალი' კონცეპტისთვის ჩამოყალიბდა ძირი – **ცოცხ-*. ეს უკანასკნელი აღდგენილია შემდეგი შესატყვისობის საფუძველზე (ფენრიზი, სარჯველაძე 2000: 599):

ქართ. *ცოცხ-* (ცოცხალ-ი) : მეგრ. *ჩხონჩხ-* (ჩხონჩხ-ი „ღვიძლი“).

მეგრ. *ჩხონჩხ-* უნდა მომდინარეობდეს **ჩოჩხ-* ფორმიდან, რომელიც *ცოცხ-* ძირის კანონზომიერად შეესატყვისება; თავკიდური კომპლექსი ასიმილაციურად არის ჩამოყალიბებული (ამ მოვლენის შესახებ იხ. Кипшидзе 1914: 07), ხოლო *ჩ* განვითარებულია *ჩ*-ს წინ (წინაენისმიერთა წინ *ჩ*-ს განვითარების შესახებ მეგრულსა და ლაზურში იხ. ჟღენტი 1953:92-98); ქართული და მეგრული ენების მასალა შეაპირისპირა ი. კორტავამ.

ძველ ქართულში მოხდა *ცხოველ-* ფუძის ორიგინალური მნიშვნელობის გადაზრება (რომ ცოცხალი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ცხოველი, არამედ, მაგა-

ლითად, ხე), რასაც ხელი შეუწყო ***ცოცხ-** ძირის ქართული რეფლექსების დამკვიდრებამ. შედეგად **ცხოველ-** ფუძის მნიშვნელობა დავიწროვდა, უფრო კონკრეტული გახდა.

***ცხოველ-** ფუძის მეგრულ რეფლექსთან (**ჩხოუ**) დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელობის დავიწროება-დაკონკრეტების პროცესს ისიც დაეკვემდებარა (ქართული რეფლექსის ანალოგიურად), თუმცა მეგრულში ეს პროცესი უფრო შორს წავიდა, რის შედეგადაც **ჩხოუ** ფუძემ შეიძინა 'ძროხის მნიშვნელობა, რაც გვაფიქრებინებს, რომ მოცემული ენობრივი კოლექტივისთვის „ძროხა“ იყო ტიპური, მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ცხოველთა კლასისა.

საინტერესო ფუძეა ძველ ქართულში დადასტურებული **სა-ცხოველ-არ-** მნიშვნელობით 'საქონელი; ცხვარი'. ბ. გიგინეიშვილის აზრით (გიგინეიშვილი 1979), ზანურში უნდა არსებულიყო მისი შესატყვისი ფუძე. ამ ვარაუდს მხარს უჭერს სომხური **ოჩხარ-/ვოჩხარ-** 'ცხვარი', რომელიც ზანურ ნასესხობად არის მიჩნეული. ქართულ-მეგრული ბევრათშესატყვისობის წესების მიხედვით, ქართული **სა-ცხოველ-არ-** ფუძის შესატყვისი ფუძე ზანურში უნდა ყოფილიყო ***ო-ჩხოველ-ორ-**, საიდანაც გ-ს ჩავარდნით მიიღება **ო-ჩხო-ორ-**, ამ უკანასკნელისაგან კი ორი ო-ს შეხვედრის შედეგად, მეგრული ხმოვანთშეერთების წესების მიხედვით, მიიღება ჯერ **ოჩხარ-**, ხოლო შემდგომში **ოჩხარ-**. ამგვარად, ქართული **სა-ცხოველ-არ-** და ზანური სავარაუდო ***ო-ჩხოველ-ორ-** შესატყვისი ფორმების საფუძველზე ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე შესაძლებელია აღვადგინოთ ***ცხოვე-** ძირიდან ნაწარმოები კიდევ ერთი დერივაციული ***სა-ცხოველ-არ-** ფუძე.

რაც შეეხება მოცემული ფუძის მნიშვნელობას, აქაც (ისევე, როგორც ***ცხოველ-** ფუძის შემთხვევაში) შეთავსებული იყო ორი მნიშვნელობა: 'საქონლისა' და 'ცხვრისა'. ეს ვითარება შეიძლება იმით აიხსნას, რომ ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე საქონელში, უპირველეს ყოვლისა, 'ცხვარი' მოიაზრებოდა. შემდგომში მოხდა „საქონლის“ კატეგორიის გადააზრება, თუმცა ძველი ფუძე კვლავ განაგრძობდა ფუნქციონირებას და გამოიყენებოდა ხან 'საქონლის', ხან კი 'ცხვრის' მნიშვნელობით. როგორც ჩანს, **სა-ცხოველ-არ-** აქტუალური ფუძე უკვე საკუთრივ ქართულში, ჩნდება მისი გამარტივებული ფორმა **ცხვარ-**, უპირატესად, თანამედროვე მნიშვნელობით ('ცხვარი').

ცხვარ- ფუძის **სა-ცხოველ-არ-** ფორმიდან მომდინარეობას, ბ. გიგინეიშვილის აზრით (გიგინეიშვილი 1979), ადასტურებს ის ფაქტი, რომ ქართულში **-არ** ოდენ-სუფიქსური წარმოება არა გვაქვს (გვხვდება მხოლოდ ეთნიკურ-გეოგრაფიულ დერივატებში), სხვა შემთხვევაში **-არ** ცირკუმფიქსის ელემენტად გვევლინება (**ძ-არ**, **მა-არ**, **სა-არ**, **ნა-არ**).

მიუხედავად მეგრულ **შხ-ურ-** ('ცხვარი') და ლაზურ **მჩხ-ურ-/მშქ-ურ-** ('ცხვარი') ფუძეებს. ბ. გიგინეიშვილი მათ უძველეს ქართულ მრავალთავეებში (ხანძრებსა და სინურში) დადასტურებული **მხხორ-/მხხოვრ-** ფორმების კანონზომიერ

შესატყვისად მიიჩნევს, რაც სავსებით მართებულია. ამ უკანასკნელისთვის მეცნიერი ვარაუდობს ‘ცხვრის’ ან ‘კრავის’ მნიშვნელობას. ამგვარად, შესაძლებელი ზდება ზანურ-ქართული ერთიანობის დონეზე ***მსიხორ-** ფუძის აღდგენა.

***მსიხორ-** ფუძის სავარაუდო მნიშვნელობის განსაზღვრისათვის ალბათ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე რეკონსტრუირდება ***ქერძი-** ფუძე (ქართული *კერძ* : მეგრული *ერჟ*- შესატყვისობის საფუძველზე) ‘მამალი ცხვრის, კერძის’ მნიშვნელობით; ასევე, რეკონსტრუირდება ***კრაჟ-** ფუძე (ქართული *კრავ* : მეგრული *კირიბ*- შესატყვისობის საფუძველზე) ‘კრავის’ მნიშვნელობით. ამდენად, სავსებით ბუნებრივია, რომ ამ უკანასკნელი ორი ლექსიკური ერთეულის გვერდით ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე გვქონდეს ლექსიკური ერთეული ‘დედალი ცხვრის, ნერბის’ ან ზოგადად ‘ცხვრის’ მნიშვნელობით. შეიძლება ეს მნიშვნელობა გვევარაუდა ***მსიხორ-** ფუძისთვის, მაგრამ რამდენადაც აღნიშნული ფუძე ხელნაწერებში ქრისტეს ეპითეტად იხმარება, მისთვის ‘ცხვრის’ მნიშვნელობა უფრო დასაშვებია.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე ცხვარი მოცემული ენობრივი კოლექტივისათვის იმდენად მნიშვნელოვანი ცხოველი იყო (ალბათ, საკრალურიც კი), რომ ***სა-ციხოჟ-არ-** ფუძის გვერდით, რომლის სემანტიკა ‘ცხვრის’ მნიშვნელობასაც მოიცავს, ცალკე ფუძე ჩამოყალიბდა ***მსიხორ-** ფორმით.

დაბოლოს, ***ციხოჟ-** ძირის სახელური დერივაციული ფუძეების ანალიზი და წარმოდგენილი სემანტიკური რეკონსტრუქციები სხვა ენობრივ, ეთნოგრაფიულ თუ ისტორიულ-არქეოლოგიურ მონაცემებთან ერთად დაგვეხმარება გავიგოთ ზანურ-ქართული არეალის მკვიდრთა წარმოდგენები ცოცხალი სამყაროს კლასიფიკაციაზე თუ მათი ყოფის გარკვეულ ასპექტებზე.

ლიტერატურა

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, *სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

გიგინეიშვილი 1979: ბ. გიგინეიშვილი, ც ხ ვ რ ი ს აღმნიშვნელი უძველესი ქართული სიტყვა, *საენათმეცნიერო კრებული*, გვ. 52-61, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

კლიმოვი 1964: Г. А. Климов, *Этимологический словарь картвельских языков*, “Издательство АН СССР”, Москва.

ჟღენტი 1953: ს. ჟღენტი, *ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა*, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ფენრიზი, სარჯველაძე 2000: პ. ფენრიზი, ზ. სარჯველაძე, *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

გეოგრაფიკი 1914: И. Кипшидзе, *Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем*, Типография Императорской Академии Наук, С.-Петербург.

შეფუთი 1962: К. Н. Schmidt, *Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprachen*, Steiner, Wiesbaden.

Ether Soselia

Semantic Reconstructions: Some Stems Related to the Root **c₁xow-*

Summary

In historical-comparative linguistics the problem of semantic reconstruction is important. A linguistic form can often be reconstructed without any problems, but the corresponding semantics cannot be unambiguously restored. The situation is similar for the root **c₁xow-*, which is reconstructed at the Zan-Georgian level. The stems derived from the reflexes of the mentioned root are semantically quite diverse, for example:

Georgian:

cxov-el-i ‘animal’; *cxov-n-eb-a* ‘survive’; *cxov-r-eb-a* ‘life, to live’; *ma-cxoc-ar-i* ‘saviour’; *cxov-ar-i*; *cxv-ar-i* ‘sheep’; *sa-cxov-ar-i* ‘cattle, sheep’...

Megrelian:

čxo-u/ čxu-/ čxu-u ‘cow’; *o-čxu-u-le* ‘a stall for cows’, *čxo-n-ap-a* ‘save (the soul); survive’; *v-o-čxo-n-u-an-k* ‘I will save (him/her)’; *v-o-čxo-n-e* ‘I have saved (him/her)’; *v-čxo-n-d-ək* ‘I will survive’; *čxo-n-ap-il-i* ‘saved’, [*o- čxar-i*]; *šx-ur-i* ‘sheep’...

Laz: *mč x-ur-i* ‘sheep’.

The question arises: what semantic changes resulted in the formation of phonologically corresponding Georgian-Megrelian-Laz nominal stems with such different modern meanings?

According to our assumption, the initial semantics of the root **c₁xow-* at the Zan-Georgian level was defined as a concept that included the meanings of ‘life’ and ‘living’ together. Further rethinking of the above-mentioned initial semantics at Zan-Georgian level, namely, the formation of separate concepts for ‘life’ and ‘living’, determined the semantic diversity of the corresponding Kartvelian forms.

The following Zan-Georgian nominal derivatives of the root **c₁xow-* are thoroughly considered in the article: **c₁xow-el-* (‘living, animal’) and **sa-c₁xow-ar-* (‘cattle, sheep’). Semantic changes, starting from the original meanings of those Zan-Georgian derivatives to the modern semantics of the Georgian, Megrelian, and Laz phonologically corresponding forms respectively, have been determined as well.

ოჯახი, როგორც ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტი სვანურ ანდაზებში

სვანური ანდაზების ჩაწერა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულს დაიწყო (იხ. Сборник материалов по описанию местностей и племён Кавказа, 1890, 1902; ბ. ნიჟარაძის „სვანური ენის მოკლე გრამატიკა“, 1913 წ.), თუმცა პირველი წიგნად გამოცემული ნაშრომი სვანური ანდაზების შესახებ დაიბეჭდა შედარებით გვიან, კერძოდ 1973 წელს, ალი დავითიანის მიერ, სადაც თავმოყრილია ბალსქვემოური დიალექტის ნიმუშები. უფრო მოგვიანებით (2000 წელს) კი გამოიცა არსენ კორძაიას სვანური ანდაზების მეორე კრებული (**ლაჰრაჰ პრი**) ბალსხემოური დიალექტის მიხედვით. სამწუხაროდ, დღემდე არ მოგვეპოვება ქვემოსვანური დიალექტების მიხედვით შედგენილი ანდაზების კრებულები, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ სტატიებსა თუ ნაშრომებს, სადაც ქვემოსვანურის მასალაც იქნება გათვალისწინებული.

ანდაზებში, ძირითადად, არეკლილია კონკრეტული სოციუმისთვის დამახასიათებელი ყოფა-ცხოვრება, მათი ყოველდღიურობა, ინტერესთა სფერო და ფსიქოლოგიური პორტრეტი. მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსიკური ფონდის გამოყენებით ანდაზებში ხატოვნადაა გადმოცემული ზანგრძლივი დაკვირვების შედეგად მიღებული ცოდნა-გამოცდილება, შთაბეჭდილებები, ზოგადი სიბრძნე-შეგონებანი, რომლებიც საზოგადოებისათვის ანგარიშგასაწევია.

სვანური ანდაზები ლექსიკური თვალსაზრისით რამდენიმე თემატურ ჯგუფად შეიძლება დაიყოს; ძალიან საინტერესოა ოჯახის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შეფასების შემცველი, ასევე ოჯახის წევრთა ურთიერთობის ამსახველი ანდაზები, სადაც ხაზგასასმელია დედის განსაკუთრებული გრძნობა-დამოკიდებულება შვილების მიმართ და მნიშვნელოვანი როლი შვილების აღზრდა-განვითარებაში. ოჯახის დანარჩენ წევრებს შორის ემოციური კავშირი (ღამასა „**ჯუმილ-დაჩურა**“ და ძმებს „**ლახუბა**“ შორის) და თაობათა თანაცხოვრების ასახვა.

ოჯახის შესახებ არსებული კვლევები და განმარტებები ცხადყოფს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანია ოჯახის, როგორც სისტემის, აღქმა-დახასიათება. ამ ვარიაციებს აერთიანებს საერთო მახასიათებლები: *ოჯახისთვის დამახასიათებელი ყოველდღიურობა, ოჯახის წევრებს შორის ემოციური კომუნიკაცია და ოჯახის წევრებს შორის გადანაწილებული ოჯახური ცხოვრების პასუხისმგებლობა*. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ოჯახი არის ერთი მთლიანობა და ამ მთლიანობის სრულყოფილებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა

აქვს ოჯახის წევრთა როლებსა და ფუნქცია-მოვალეობებს, რაც ნათლად გამოჩნდა მრავალფეროვან სვანურ ანდაზებშიც, სადაც პირდაპირი მნიშვნელობითაა დახასიათებული ოჯახის ფუნდამენტური მნიშვნელობა, სიძლიერე თუ სისუსტე. მაგ.:

მეზგემი გამშა-მაბაცს თგმი-წგზი ლოქ ათნე (ჩოლ.) „ოჯახის სიძლიერეს გაჭირვება {გამო}ავლენსო (ზედმიწ. – მოსახლი{ს} სიძლიერე-შეძლებას **თმენა-წუხ-ილ-ი-ო** აჩენს)“, შდრ: **მეზგემ მაბაც თგმიჟი ესერ იწ{ტ}ენი** (ბქ.) „ოჯახის შეძლება გასაჭირში გამოჩნდებო (ზედმიწ. – მოსახლის შეძლება **თმენა-ზე-ო** ჩნდება)“.

ისგუი-მიშგუიოზ ერ ჟ'იბნი, ევჯი ოჯახს მამ ხაყა (ლშხ.) „შენჩემობა რომ დაიწყება, იმ ოჯახის საქმე უკვე წასულია (ზედმიწ. – შენჩემობა რომ დაიწყება, იმ ოჯახ-ს არ ვარგა)“, შდრ. ლშხ. **ლიჟიბალ ერ ჟ'იბნი, მან ხეფსი ემწუ ლიჟორ-ლიმარ** „ოჯახში არეულობა რომ დაიწყება, იქ უკვე ოჯახის ერთიანობა გამო-რიცხულია (ზედმიწ. – ზემოდან ყურება/ამპარტავენება რომ დაიწყება, არ გამოდის იქ სახლობა-კაცობა)“, ბქ. **ქორლისგაშ ლიჟუმურაღს ლითალ ესერ ახფასა** (ბქ.) „ოჯახში არეულობამ გაყრა გამოიწვიაო (ზედმიწ. – ოჯახში არეულობას განაწი-ლებო მოჰყოლია)“, ბქ. **ქორლისგაშ ფათრეკ კადუისგაშ ჭინჭლარე ლირხენალ ესერ ლი** (ბქ.) „ოჯახში კამათი/ჩხუბი ივითვაო, რაც მუცელში ნაწლავების გრუხუ-ნიო (ზედმიწ. – ოჯახში ფათერაკი-ი მუცელში ნაწლავები{ს} **რაზუნ-ი-ო** არის)“, ჩოლ. **ქორისა ისგუი-მიშგუიოზს ლითალ ლოქ ახჭემა** „ოჯახში შენჩემობას გაყრა მოჰყოლიაო“...

ყარყაშიან მეზგა მუშგურ'ესერ მამა ხანია (ბზ.) „იმ ოჯახს, სადაც მუდმივად ჩხუბია, არავინ სტუმრობსო (ზედმიწ. – ყარყაშიან მოსახლეს სტუმარიო არ დასტ-რიალებს)“, შდრ. ჩოლ. **ზაჟგინა მემარი მუშგური, ამახუნსი ლოქ ლახჯერენა** „აყალმაყალის/ჩხუბის მსმენელი სტუმარი, მტერსაც შეეცოდაო (ზედმიწ. – ჩხუბი{ს} მსმენელი სტუმარი, მტერსაცო *შენაცოდა)“, ასევე ჩოლ. **ახშომოზს ი ყალაჩუბას ჭიშკარ ლოქ ოხდუმა** „ჩხუბმა და აყალმაყალმა ჭიშკარი გამოკეტაო (ზედმიწ. – შენჩემობას და აყალმაყალს **ჭიშკარ-ი-ო** ამოუქოლია)“...

მეზგა მაჯონ მუშგურალ ესერ ახაზი (ბზ.) „ოჯახს მისი მსგავსი სტუმრები მოსდისო (ზედმიწ. – მოსახლე{ს} მსგავსი სტუმრებიო მოსდის)“.

ლგკაშ მეზგე სოფლი სანჯის ესერ ლი (ბზ.) „ძლიერი ოჯახი სოფლის წურბელა არისო (ზედმიწ. – ღონიერი მოსახლე **სოფლ-ი{ს}** არის)“, შდრ. ბქ. **ლგკაშ მეზგემ ფედილს საბრალ დემ ესერ იგმაში** „ძლიერი ოჯახის ახლოს ღარიბი ვერ გაძლიერდებაო (ზედმიწ. – ღონიერი მოსახლე{ს} ახლოს **საბრალ**ო არო ღონიერდება)“, შდრ: ჩოლ. **საპრისპირო მნიშვნელობის ანდაზა – ლგკაშ მეზგე სოფლი ლამედ ლოქ ლი** „ძლიერი ოჯახი სოფლის იმედიაო (ზედმიწ. – ღონიერი მოსახლე **სა-იმედ-ო-ო** არის)“ და, ასევე, ჩოლ. **გუეში მეზგემი მეზუბელს მაძღ ლოქ ლენთურალ ხარ** „ძლიერი ოჯახის მეზობელი მშვიდი არასდროს იქნებაო (ზედმიწ. – სავსე მოსახლე{ს} **მეზობელ-ს** შიმშილიო გასაც-ნობი აქვს)“.

ლგჰემ/ლუჰტემ მეზგე მალჷანს ლჷთელიდ ესერ დემ ჳდისგ (ბქ.) „საიდუმ-
ლოს შემნახავი ოჯახი თავის ქონებას საქვეყნოდ არ გამოფენსო (ზედმიწ. – გამ-
საიდუმლოებელი მოსახლე ქონებას საქვეყნოდ არ დ-ებს)“...

სვანურ ანდაზებში ასევე ნათლად ჩანს ოჯახების დიფერენცირება, რაც პირო-
ბითად ასეთ სურათს იძლევა:

- **უშვილო** (ან როცა მემკვიდრე ვაჟი არ ჰყავთ):

ბეფშურ ქორ ყურითჷ ესერ ლი (ბზ.) „უბავშვო ოჯახი ყრუაო (ზედმიწ. – უ-
ბავშვო-ოდ ოჯახი/სახლი ყვრივ-ი-ო არის)“, შდრ. ჩოლ. **უგზელა მეზგემი ჭჷადუარ
ემშჷნარ ლოქ ზამბჷნლნახ** „უშვილო ოჯახის კედლები ერთმანეთს ესაუბრებოდ-
ნენო (ზედმიწ. – უშვილო მოსახლი{ს} კედლები ერთმანეთსო *ნაამბობან)“.

ჰყინტურ მეზგემი ლაკუნამა ლოქ ღნებე (ჩოლ.) „ვაჟიშვილის გარეშე ოჯა-
ხის საკვამური ზრჩოლავსო (ზედმიწ. – უვაჟოდ მოსახლი{ს} სა-კვამლ-ე-ო
ზრჩოლავს)“, შდრ. ბქ. **მუკუნამი ლახ ჩუ სიდ, მეზგე უხჷიტჷესერ ლი** „სანამ ცეც-
ხლის დამნთები არის ოჯახში, ოჯახი ამოწყვეტილად არ ითვლებაო (ზედმიწ. –
მო-კვამლ-ე თუ ქე *რჩენილა, მოსახლე ამოუწყვეტავიო არის)“

ჰადურდ ჟი ლიხჷეტს დინაგეზ ლირდჷესერ ხოჩა (ბქ.) „სულ უშვილობას
ქალიშვილის გაზრდა სჯობიაო (ზედმიწ. – მთლად ამოწყვეტას გოგონიშვილი{ს}
ზრდაო სჯობს)“.

ჰედურდ მამაგუეშს ემშუ მჲ კლი დინჷესერ ხოჩა (ბქ.) „სულ უშვილობას ერთი
კოჭლი გოგოს ყოლა სჯობსო (ზედმიწ. – მთლად/სრულად არასაქმეს ერთი კოჭლი
გოგოო სჯობს)“.

უმსგუეიშჷდ დინაჷ მერ ესერი ხოჩა ლი (ბქ.) „უშვილოსათვის გოგონას
მსგავსიც კარგიაო (ზედმიწ. – უძეოსათვის გოგოს მსგავსიმცაო კარგი არის)“.

ხოჩა დინა ნალჷჷურიშ ესერ გოჷნარ ლი (ბქ.) „კარგი გოგო ვაჟის თანასწო-
რიაო (ზედმიწ. – კარგი გოგო *ნა-ვაჟ-ე-ის-ო გვარ-ი არის)“...

- **შვილიანი** (როცა ბიჭის დაბადებაჲა აქცენტი გადატანილი)

ნალჷჷურიშ ლათაჷა ლეთ მეზგე მახად ესერ იზგი (ბქ.) „ვაჟის დაბადების
ლამეს ოჯახი ხელმეორედ დასახლდებო (ზედმიწ. – ნა-ვაჟ-ე-ის საჩენ ლამე{ს}
მოსახლე ახლადო სახლდება)“, შდრ. ჩოლ. **ლილგმალს ჰყინტგეზლა ლითნალს
ლოქ ხალღენახ** „მშენებლობის დაწყებას ვაჟიშვილის დაბადებას ელოდებოდნენო
(ზედმიწ. – და-დგ-მ-ა-ს ვაჟიშვილი{ს} დაბადებას/გაჩენასო *ნალოდებან)“, ასევე
ბქ. **ნალჷჷურიშ ლითაჷნალ ქორაჷ ხუნიშ ესერ ლიდისგალ ლი** „ვაჟის დაბადება
სახლის საძირკვლის დადებაო (ზედმიწ. – *ნა-ვაჟ-ე-ის გაჩენა/დაბადება სახლის
საძირკვლისო და-დ-ებ-ა არის)“.

ნალჷჷურიშ ლითაჷნალს თეფიშ ჰერ ესერ აბჷინალი (ბქ.) „ვაჟის დაბადებას
თოფის ხმა იტყობინებო (ზედმიწ. – *ნა-ვაჟ-ე-ის გაჩენას/დაბადებას თოფ-ის ხმაო
იტყობინება)“.

ნაღუჟურიშ ლითუნლჟი მეზგემ კეცოჲ ატყიც (ბქ.) „ვაჟიშვილის გაჩენისას ოჯახმა ქვეერი გახსნასო (ზედმიწ. – *ნა-ვაჟ-ე-ის გაჩენაზე/დაბადებაზე მოსახლემ ქვეერიმცა გახსნა)“...

- **მრავალშვილიანი** (როცა ერთი სქესის, ან ორივე ერთად ჰყავთ)

დიტუნლე მუ ტიტუნელ ესერ ლი, ჭყენტრემ – მანდარ (ბზ.) „გოგოების მამა შიშველიაო, ბიჭების კი – მშიერიო (ზედმიწ. – გოგოებიქს მამა ტიტუნელ-იო არის, ვაჟების – მშიერი)“.

სგეიმ მოწოხიშუ დინა ი ნაღუჟურ მანგ ესერ ლანთილარ ლი (ბქ.) „შვილის მონატრულისათვის გოგონაც და ვაჟიც ორივე სიხარულის მომტანიო (ზედმიწ. – ძ-ის მონატრულისთვის გოგო და ნა-ვაჟ-ე-ი ყველაო სა-კეთილ-ო არის)“.

დინა ი ჭყინტ ეშხუნაირდ ხეზგი მეზგას (ჩოლ.) „გოგოც და ბიჭიც ერთნაირი სატკივარია ოჯახისათვის (ზედმიწ. – გოგო და ბიჭი ერთნაირად სტკივა ოჯახს)“...

- **მრავალწვერიანი** (რამდენიმე თაობიანი)

ბაბან გუნდმი ყორ გეზლანგეზალს ესერ ოთკარა (ბზ.) „ბაბის გულის კარი შვილიშვილს გაუღიაო (ზედმიწ. – ბაბ-უ-იქს გულ-იქს კარი შვილიშვილსო გაუღია)“.

ბაბან შგურირ ნიბანშილს ლოქ ათსადა (უშგ.) „ბაბუის სირცხვილი შვილიშვილს დარჩაო (ზედმიწ. – ბაბ-უ-იქს სირცხვილი ბადიშსო *რჩენია)“, შდრ. ქართული ანდაზა: „ბაბუის ნაჭამი ტყემალი, შვილიშვილს მოჰკვეთს კბილსაო“.

დადას ნიბანშლა მენჩლი თერღაჲ ლოქ ჟი ლოხკენა (ჩოლ.) „ბებიაშ შვილიშვილზე აუგის მოქმელი რძალიც კი მოიძულაო (ზედმიწ. – ბებიას ბადიშიქს მომჩივანი რძალიცო მოუძულებია)“.

ნიბანშლა ნალერთენ დადას კალთაჲთესა ლოქ ლოხშხუნა (ჩოლ.) „შვილიშვილის გაფუჭებული საქმე ბებიაშ კალთაში შეინახაო (ზედმიწ. – ბადიშიქს *ნამარცხენები ბებიას კალთ-იქს-კენ-ში-ო შეუნახავს)“.

ნიბანშნაშ მგრდი ლანჩინრჟილს ესერ ლახტეხა (ბქ.) „შვილიშვილის გამზრდელი ჩვილობას დაუბრუნდაო (ზედმიწ. – ბადიშის მზრდელი სა-ჩვილ-ო-ს-ო დაბრუნებია)“.

გეზლა უმკახას ნიბანშლან ყიაჲსა ლოქ ხოგ ქუინ (ჩოლ.) „ვისაც შვილის იმედი არა აქვს, ის შვილიშვილის იმედად ცოცხლობსო (ზედმიწ. – შვილიქს უიმედოს ბადიშიქს ყია-ში-ო უ-დგ-ა-ს სული)“...

- **ოჯახური ურთიერთობების მიხედვით** (ცოლ-ქმარი, რძალ-დედამთილი)

მალტარ ძეხუნ-ჭამ უღუნ ნამგუმის დემ ლოქ ითნეხ (ჩოლ.) „მოსიყვარულე ცოლ-ქმარი ცხოვრების სიმძიმეს არ იმჩნევენო (ზედმიწ. – მოსიყვარულე ცოლ-ქმარი უღლ-იქს სიმძიმეს არ იმჩნევენ)“.

ხოჩა თელღერა გიგას დინაგეზალდ ესერ ხესპი (ბქ.) „კარგი რძალი დედამთილისთვის იგივე {საკუთარი} ქალიშვილიაო (ზედმიწ. – კარგი რძალი დედამთილს გოგოშვილადო *ექცევა)“.

დიმითილ თელღერას აშხუინ ესერ ახლაგცენა ი ეჩქაჲ ციცუ ოთკუნარა კალთაჲთესგა (ბზ.) „დედამითილი რძალს ერთხელ გაესუმრაო და მაშინაც კატა ჩაუგლო კალთაშიო (ზედმიწ. – დედამითილ-ი რძალს ერთხელო *განახუმრება და მაშინაც კატა ჩაუგდია კალთ-ის-კენ-ში)“.

მალტარ ლამყერუა აშუ ქინზიმ ბალაჟი ესერ ოლსენელიზ (ბქ.) „მოყვარულმა რძლებმა ქინძის ერთ ფოთოლზე მოშარდესო (ზედმიწ. – მოსიყვარულე რძლები ერთ ქინძ-ის ფოთოლზეო *მონაფსამან)“...

- მყარი/მტკიცე ან კონფლიქტური ოჯახები

ჭაშ როქ თხუიმ ლი ი ხეხუ – კინჩხ (ბქ.) „ქმარი თავიაო და ცოლი – კისერი (ზედმიწ. – ქმარიო თავი არის და ცოლი – კინჩხ-ი)“.

ხეხუცახან ლიცუალს ლაშგარცახან ლიშიალ როქ ხოჩა! (ბქ.) „ცოლთან ჩხუბს ლაშქართან ჩხუბი სჯობსო (ზედმიწ. – ცოლთან ცილ-ა-ობ-ა-ს ლაშქართან ომიო სჯობს!)!“.

ეხუ-ჭა შიმ ლიბურდალს შართქუილ ესერ აწენე (ბქ.) „ცოლ-ქმრის არეულობას საბანი გასცემსო (ზედმიწ. – ცოლ-ქმრის არეულობას საბანიო აჩენს).

მასსგარ ლამყარს ლახუბა უშხუარ ესერ ლოხხუიტახ (ბქ.) „ერთმანეთის მოძულე რძლებმა ძმები ერთმანეთს გადაამტერესო (ზედმიწ. – მოძულე რძლებს/მოყვრებს ძმები ერთმანეთსო მიუწყვეტიათ)“.

ჯუმილ-დაჩურა ნესკა მეზლალს, ლაზლალ დურეჲ ლოქ ახნახუწენა (ჩოლ.) „და-ძმას შორის შუღლის ჩამომგდებმა დიდხანს ვერ იცოცხლაო (ზედმიწ. – ძმა-დიქს შუა მოსიარულეს, სასიარულო დრო-ო *დანავიწროვა)“...

წარმოდგენილი ანდაზები პირობითად ოჯახის განვითარების ეტაპებსაც ასახავს, როგორებიცაა, მაგალითად: ოჯახის შექმნა, შვილების გაჩენა/აღზრდა, თაობათა თანაცხოვრება და ურთიერთკომუნიკაცია.

ოჯახის ერთ-ერთი მთავარი წევრი, რომელსაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა და შეფასება აქვს ანდაზებშიც, არის დედა. საინტერესოა, რომ სვანური ენის დიალექტოლოგიური მასალა ერთნაირ სურათს გვიჩვენებს და მრავალფეროვან ემპირიულ მასალაში ნათლად ჩანს დედის მზრუნველი დამოკიდებულება და თავდადება შვილების მიმართ, ასევე მისი მნიშვნელოვანი როლი მათ აღზრდასა თუ განვითარებაში. მაგ.:

გეზალთე ლგმწუინა თეფს დი მგჭედუმ ესერ ხალფარალა (ბქ.) „შვილისკენ დამიზნებულ თოფს დედა მკერდით ეფარებოდაო (ზედმიწ. – შვილისაკენ მიმართულ თოფ-ს დედა მკერდითო *ნა-ფარ-ებ-ა)“.

დი გეზლამ ბედჟი ლემასგუ ესერ ჟი ეშიიდი, ე, გუი დემის ხეხუი (ბქ.) „დედა შვილის გულისათვის ცეცხლში რომ დაიწვას, მაინც უკან არ დაიხევსო (ზედმიწ. – დედა შვილის ბედ-ზე ცეცხლსო შეუკეთდება, ე, გულ-ი არ გაუძლება)“.

გეზლამ ლეჭირ გეზალდ ხოშა დის ესერ ხოჭირ (ბქ.) „შვილის გასაჭირს შვილზე მეტად დედა განიცდისო (ზედმიწ. – შვილის *სა-ჭირ-ე შვილად უფრო

დე-და-ს-ო უ-ჭირ-ს)“, შდრ. ლშხ. გეზლა გარჯ გეზალდ ზომა დედეს ლოქ ზოგდე თემის „შვილის გასაჭირი შვილზე მეტად დედას აწუხებსო (ზედმიწ. – შვილი{ს} გარჯა შვილად უფრო დე-და-ს-ო მოუტანს თმენა-ს)“.

გეზლან შამდ დის ლუსუარს ესერ ზორხენე (ბქ.) „შვილის შიმშილი დედას ძუძუებს უყინავსო (ზედმიწ. – შვილის შიმშილი დე-და-ს ძუძუებსო უყინავს)“.

დის ლირდე გეზლირჟი ესერ ზოხალ (ბქ.) „დედას სიცოცხლე შვილებში ჰკონიო (ზედმიწ. – დე-და-ს ცხოვრება/ყოფნა შვილებზეო იცის)“.

გეზალ დიემ ესერ გუმი ნაბიჭუ ლი (ბქ.) „შვილი დედის გულის ნაწილიაო (ზედმიწ. – შვილი დე-დ-ის-ო გულ-ი{ს} ნახლენი არის)“.

აშუ გეზლან შუფუსდი დის დეც ესერ ე ლადმერი, გეზლან მაჟინ ზახლენა (ბქ.) „ერთი შვილის პატრონ დედას ცა რომ მოიღრუბლება, ისიც კი შვილის სა-ზიანო ჰკონიო (ზედმიწ. – ერთ შვილის პატრონ დე-და-ს ცა-ო ე მოიღრუბლება, შვილის მავნე სცოდნია)“.

დიემ ლიმზურ გეზალს თუი-ლექტუმიდ ესერ ხესპი (ბქ.) „დედის ლოცვა შვილს თაფლად გადაექცევაო (ზედმიწ. – დე-დ-ი{ს} ზორ-ვა შვილს თაფლ-ცმელ-ად-ო ექცევა)“.

გეზლან ლაწუანალ დია ესერ ლი (ბქ.) „შვილის იმედი დედა არისო (ზედ-მიწ. – შვილის საშველი დე-და-ო არის)“.

დედემდ გეზლინ ჩიგარ თუთქენილარ ლოქ ლიხ (ჩოლ.) „დედისათვის შვი-ლები ყოველთვის ბავშვები არიანო (ზედმიწ. – დე-დ-ის-{ა}-თვის შვილები ყოველ-თვის ჩვილებიო არიან)“.

ზოლა ი ზოჩა გეზალ დის ეშხუ ტაფანსა ლოქ ოხტყაბა (ჩოლ.) „დედა კარგ და ცუდ შვილს არ არჩევსო (ზედმიწ. – ცუდი და კარგი შვილი დე-და-ს ერთ ტაფა-ში შეუწვია)“, შდრ. ბქ. ზოლა ი ზოჩა გეზალ დიემუ მან ესერ ზოჩა ლი „ცუდი და კარგი შვილი დედისთვის ყველა კარგიაო (ზედმიწ. – ცუდი და კარგი შვილი დე-დ-ის-თვის ყველაო კარგი არის)“.

დი ლოქ მეგამ ლ'ი გეზალ – ნაფოტ (ჩოლ.) „დედა ხეაო და შვილი – ნაფოტო (ზედმიწ. – დე-და-ი მ-დგ-ომ-ი არის და შვილი – ნაფოტ-ი)“.

შენიშვნა: ქვემო სვანებმა იციან თქმა: ეშა ნაფოტ ლოქ ლი?! „ვისი ნაფოტიაო?!“, შდრ. ქართ. „დიდ ხეს დიდი ნაფოტი დასცვივაო“, „რაც ხეა, ნაფოტიც ისაა“, „დედა იკითხეთ და კვიცი ისე იყიდეთო“, „მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამოჩნაზე“ და მრავ. სხვ.

სვანურ ანდაზებში ხშირად მოცემულია შეფასებითი ანალიზი დედის ამაგისა, სადაც საზოგადოება მიანიშნებს პირუკუ კომუნიკაციის აუცილებლობაზე შვილის მხრიდანაც. მაგ.:

გეზლირიშ მერდი ზურალს ლირდე-ბედ ჟი ესერ ზოშხუნა (ბქ.) „შვილების გამზრდელ დედას ცხოვრება წინა აქვსო (ზედმიწ. – შვილების გამზრდელ ქალს ცხოვრება-ბედ-ი შეუნახავსო)“.

დიემ ლუსუ ზოჩა გეზალს გარ ესერ ზოფსა (ბქ.) „დედის ამაგი მხოლოდ კარგმა შვილმა დააფასაო (ზედმიწ. – დე-დ-ის ბუბუ კარგ შვილს მხოლოდო უგემია)“.

გეზალს ესერ მანგ ლიმჩუ ლანდიშდ იმკახე (ბქ.) „შვილს ყველა სიბერის დღისთვის ნატრობსო (ზედმიწ. – შვილსო ყველა სიბერე დღ-ის-თვის *იმედებს)“.

ურდა გეზალ უმკახა ლემკახე ლოქ ლი (ჩოლ.) „გაუზრდელი შვილი უიმედო საიმედოო არის“.

გეზალს ლახჭედნახ: დის ესერ იმნოშუ ათტიხე? – ი: ჯი ესერი გეზალს ნანგრდინე (ბქ.) „შვილისთვის უკითხავთ: დედას ამაგს რითი გადაუხდით? – და: მეც შვილს გავზრდიო (ზედმიწ. – შვილს *შენაკითხან: დე-და-ს-ო რითი დაუბრუნებს? – და: თვითონომცა შვილს გავზრდის)“.

დიემ გადანს გეზალ მიჩა იჟას დემ ესერ ილიესგ (ბქ.) „დედის ვალს შვილი ვერასოდეს გადაიხდისო (ზედმიწ. – დე-დ-ის ვალს შვილი მის ევა-ს ვერო ამთავრებს)“, შდრ. ქართ. „შვილმა რომ დედის გულისთვის ხელის გულზე ერბო-კვერცხი მოიწვას, მაინც დედის ამაგს ვერ გადაიხდის“...

დედის როლი მომავალი თაობის აღზრდაში იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ სოციუმში ანდაზებშიც კი ასახავს ისეთ შემთხვევებს, როცა დედამ შეიძლება ამ მოვალეობას სრულყოფილად ვერ გაართვას თავი, უმართავი ემოციების გამო, და გვხვდება ზოგადი მითითება, თუ როგორ უნდა აღიზარდოს მოზარდი. მაგ.:

დიემ შილისგა გარ გეზალ წეფილ ესერ უდა ლი (ბქ.) „მარტო დედის ხელში შვილი არ გაიწვრთნებაო (ზედმიწ. – დე-დ-ის ხელში მხოლოდ შვილი გა-წაფ-ვ-ა-ო და-უ-დ-ებ-ი არის)“.

გეზალ ესერ იმ ოთდაუშა ი მიჩა დიემ ნანკალს (ბქ.) „შვილი რამ გააფუჭაო და დედის მოფერებამო (ზედმიწ. – შვილიო რას და-უ-შავ-ებ-ი-ა და მისი დე-დ-ის ნაფერებს)“.

ბეფშს ქამასარ მალატ ი ლიკბანლ ესერ აცუდე (ბქ.) „ბავშვს გადამეტებული სიყვარული და მოფერება აფუჭებსო (ზედმიწ. – ბავშვ-ს გამეტებული სიყვარული და მოფერებაო *ა-ცუდ-ებ-ს)“.

სურუ მალატს გეზალ უმთქუათ'ესერ ოთმითქუა (ბზ.) „ზედმეტმა სიყვარულმა შვილი გააფუჭაო (ზედმიწ. – მეტისმეტ სიყვარულს შვილი შეუჩვევლისკენო მიუჩვევია)“.

გეზლანშ ლითაუე ჩი დის ესერ აშ ხოხალ, ლირდი – მერხალდს გარ (ბქ.) „შვილის გაჩენა ყველა ქალს შეუძლიაო, აღზრდა კი – მხოლოდ ზოგიერთსო (ზედმიწ. – შვილის გაჩენა ყველა დე-და-ს-ო ასე იცის, გაზრდა – ზოგიერთს მხოლოდ)“, შდრ. ასევე ბქ. **გეზალს ლითაუე გარ დერი, ლირდი ესერი ხაკუ** „შვილს მარტო გაჩენა კი არა, აღზრდაც უნდაო (ზედმიწ. – შვილს გაჩენა მხოლოდ კი არა, გაზრდაცო ე-ნუკ-ვ-ი-ს)“.

დედე ლიზურალ მიჩა ნარდაუ გეზალს ლოქ ხეთერე (ლნტ.) „დედის ქალობა თავის გაზრდილ შვილს ეტყობაო (ზედმიწ. – დე-დ-ი{ს} ქალობა მის ნაზრდეშ შვილისო ეტყობა)“.

გეზალ ესერ აწირდ მგმასჲერ, აწმარგი ესერ მგმკეთერ (ბქ.) „შვილი გაზარ-
დელ მტრულად, გამოგადგებაო მოყვრად (ზედმიწ. – შვილიო გაზარდა მტრულად,
გამოადგებაო მოკეთ-ე-დ)“; შდრ: (ჩოლ.) ლგამასჲდ ლგრდ მოკეთ ლოქ აზ ედა
„მტრულად გაზრდილი მოკეთე გაუხდაო“...

საინტერესოა, ასევე, შვილის დაბადებასთან დაკავშირებული/ჩვილზე ზრუნვის
გამომხატველი პარემიები, სადაც ნათლად ჩანს, რომ, სანამ განვითარების სხვა
ეტაპები დადგება, ბავშვის კომუნიკაციის პირველწყარო დედაა და აკვნის ენაც
დედის ნანასთან თანაზიარი, რისი მეშვეობითაც შეიცნობს სამყაროს, რაც გარკვე-
ულწილად განაპირობებს შემდგომში ბავშვის მომავალსა და ფსიქიკურ მდგრადო-
ბას. მაგ.:

აკაჲანი გუიჲუმ მტანას, მგრდიდ ხენსკა გუემ ლოქ ოხსყა (ჩოლ.) „აკვნის
გულით გამკეთებელს, გამზრდელის ნახევარი საქმე გაუკეთებიაო (ზედმიწ. – აკვნ-ის
გულ-ით მთლელს, მზრდელად ნახევარი საქმეო უკეთებია)“.

ბეფუმ ლგთაჲე დეგეგ ლგმარ ი ჰენწს ლგმმარინ (ბქ.) „ბავშვი დაბადებული
არ ყოფილა და აკვანს ამზადებდაო (ზედმიწ. – ბავშვ-ი დაბადებული არ ყოფილა
და აკვანს *ნამზადება)“, შდრ. ჩოლ. ბოფში ლითნლდ აკაჲანს ლოქ ესჭერლენა
„ბავშვის დაბადებამდე აკვანზე გადაირაო (ზედმიწ. – ბავშვ-ის} გაჩენამდე აკვან-ს-ო
*გადანარევა)“, ასევე ბქ. უთაჲა გეზალს კადთჲელისგ'ესერ ხაშდროუნახ „ჯერ
კიდეგ გაუჩენელ შვილს მუცელში ეთამაშებოდნენო (ზედმიწ. – გაუჩენელ შვილს
მუცლ-ის}კენშიო *განართობან)“, ამ გამოთქმას, ცხადია, სულსწრაფ ადამიანებზე
ამბობდნენ, შდრ. ქართ: „ბავშვი არ დაბადებულიყო და აბრამს არქმევდნენო“...

ღანაჲ ზურალა ზოჩა ჰაბს სგეი ლითნ'ესერ ზოხა (ბზ.) „ორსული ქალის კარგ
ფერზე ყოფნამ ვაჟის გაჩენა იცისო (ზედმიწ. – ორსული ქალი-ის} კარგ ფერს/ჰაბი-
ტუსს ძ-ის} გაჩენაო იცის)“.

მეჰენწ ზურალს ი ჰენწიშ ჩინჩჲილს თეფ დემ ესერ ხემწჲინიზ (ბქ.) „მეაკ-
ენე ქალსა და აკვნის ბავშვს თოფი არ დაემიზნებაო (ზედმიწ. – მეაკენე ქალს და
აკვნის ჩვილ-ს თოფ-ი არო ემიზნებათ)“.

აკაჲანთეისა დედე ნარნალ, ლერდიანქს ლოქ სგობინ ზოჲოლჲე (ჩოლ.) „აკ-
ვანში დედის ნამღერი გასაზრდელს წინ მიუძღვისო (ზედმიწ. – აკვნ-ის}-კენ-ში
დე-დ-ის} ნა-მღერ-ი, გასაზრდელსო წინ უ-ძღვ-ის)“.

დეე ნარნალ-ნაფრებალ აკაჲანს ლოქ ლოხშხუნა (ჩოლ.) „დედის ნამღერ-ნა-
ფერები აკვანს შემოუნახავსო (ზედმიწ. – დე-დ-ის} ნა-მღერ-ნა-ფერ-ები აკვან-ს-ო
შეუნახავს)“.

დედე შიე გუგჲულ აკაჲანსი ლოქ ლგმტებდინ (ჩოლ.) „დედის ხელის გული
აკვანსაც ათბობდაო (ზედმიწ. – დე-დ-ის} ხელი-ის} გულ-ი აკვან-ს-აც-ო *ნათბობა)“.

ჰაკჲანისგა ნათონს კუბისგ'ესერ გარ ნშდნეხ (ბზ.) „აკვანში ნასწავლს მხო-
ლოდ კუბოში ივიწყებენო (ზედმიწ. – აკვან-ში ნასწავლს კუბო-ში-ო მხოლოდ
ივიწყებენ)“, შდრ. ჩოლ. ლაჲენაჲი ნარნალ-ნაფრებალს, გეზალ ლიმანუნ ლოქ

ოთტება „{აკენის} რწევისას ნამღერ-ნაფერებს, შვილი სიბერემდე გაუთბიაო (ზედმიწ. – რწვაზე ნა-მღერ-ნა-ფერ-ებ-ს, შვილი სიბერემდეო გაუთბია)“

ბეფშს ლოქ დედე ნატეჟ იაუნანად ლოქ ხეკჟეს ხესმოდეს (ჩოლ.) „ბავშვს დედის გაწყრომა იაუნანად უნდა ესმოდესო (ზედმიწ. – ბავშვ-ს-ო დე-დ-ი{ს} ნაჩხუბარი იაუნანა-დ-ო უნდა ე-სმ-ოდ-ეს)“ ...

სვანური ანდაზების მაგალითზეც ნათლად ჩანს, რომ ოჯახის ძირითადი ფუნქცია არის რეპროდუქციული, აღმზრდელობითი და ემოციური ფუნქცია, რაც გამოიხატება ანდაზათა დიდ ნაწილში, რომლებიც დაკავშირებულია შვილის ყოლა-არყოლასთან, ბავშვის მსოფლმხედველობისა და ზნეობრივი ნორმების ჩამოყალიბებასა და საზოგადოების წევრების ემოციურ სტაბილურობასთან.

როგორც ცნობილია, ანდაზის/პარემიის შესწავლა უკავშირდება მეცნიერების სხვადასხვა დარგს, კერძოდ: ფოლკლორისტიკას, ლინგვისტიკას, ლიტერატურის-მცოდნეობას, ფსიქოლოგიას, ფილოსოფიას, ეთნოგრაფიას... ჩამოთვლილ დისციპლინებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლინგვისტიკას, ვინაიდან ანდაზა იქმნება იმ ძირითადი ენობრივი საშუალებებისა და მოდელების გამოყენებით, რაც ენას, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, მოეპოვება: ფორმა – *მორფოლოგიური ინვენტარი*, *სინტაქსური კონსტრუქცია* და *ლექსიკური შემადგენლობა*.

სამეცნიერო საზოგადოებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ქართველური ენების ანდაზებს ახასიათებს უპრევერბო წარმოების სიჭარბე... ამ თვალსაზრისით ანდაზების ენა რაიმე განსაკუთრებულ სპეციფიკას კი არ ამჟღავნებს, არამედ იგი პარალელს პოულობს ხალხური სიტყვიერების სხვა ჟანრებთან. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ძველ ფოლკლორულ სიმღერათა ტექსტები ყველა ქართველურ ენაზე...“ (ჩანტლაძე, გულელანი 1997:283).

განხილული მასალა ცხადყოფს, რომ მარტივი წინადადებების გვერდით გვხვდება რთული სინტაქსური კონსტრუქციების ანდაზები, სადაც ზმნა-შემასმენელი მონაწილეობს და სხვათა სიტყვის ნაწილაკებიც – **ლოქ, როქ, ესერ** – ინტენსიურად გამოიყენება, ხოლო სემანტიკური თვალსაზრისით, ძირითადად, წარმოდგენილია პირდაპირი მნიშვნელობით გამოყენებული ანდაზები, მიუხედავად იმისა, რომ სვანურ ანდაზებსაც ახასიათებს გადატანითი/არაპირდაპირი მნიშვნელობით აზრის გადმოცემა, როცა საჭირო ხდება შინაარსის ახსნა-განმარტება, თუ ანდაზის გამოყენების სიტუაციის მითითება.

ლიტერატურა

დავითიანი 1973: ალ. დავითიანი, *სვანური ანდაზები*, თბილისი.

კორძია 2000: ა. კორძია, *ლაპრაქდ პრი, სვანური ანდაზები*, თბილისი.

ჩანტლაძე, გულელანი 1997: ი. ჩანტლაძე, ლ. გულელანი, *ქართველური მეშველობა*, თბილისი.

Family as Linguoculturological Concept in Svan Proverbs

Summary

From the lexical point of view, Svan proverbs can be divided into several thematic groups. It includes very interesting proverbs containing both positive and negative evaluations of the family, as well as proverbs depicting the relationship of family members, where the mother's particular attitude towards her children and her important role in upbringing them are emphasized, the emotional connection between the rest of the family members and the reflection of the coexistence of generations.

A family is a unity, and for the perfection of this unity, the roles and functions of the family members are of crucial importance, which was clearly seen in various Svan proverbs, where the fundamental importance, strength or weakness of the family is characterized in a literal meaning. The mother is one of the most important members of the family, with unique responsibilities and importance in proverbs. Remarkably, Svan's dialectological material reflects the same picture, and the diverse empirical material clearly reveals the mother's devotion to her children and her crucial role in their upbringing.

THE SOUND SYMBOLISM OF THE /X/ SOUND IN THE GEORGIAN LANGUAGE

Introduction

Throughout the history of language, there have been different theories about the connection between a word and its meaning. One of the first was from the Greek philosopher Plato who wrote the dialogue named “Cratylus”. There is a discussion in the dialogue about whether the connection between the name of a thing and a thing itself is conventional or whether they have any intrinsic relation. Intrinsic relation means that the connection between a word and an object it expresses is symbolic – names for objects are chosen by their properties (Demos 1964). The most popular theory about a bond between a signifier and a signified was developed by Saussure (1916) and has been known as the theory of arbitrariness, or as the arbitrariness of the sign.

There is a concept in linguistics and semiotics that examines the relationship between linguistic signs and their meaning.

According to this theory, a linguistic sign is a continuity of two components: the signifier and the signified. A signifier refers to a physical form, such as a sound pattern or a written symbol. A signified is a concept or meaning associated with that form. According to Saussure, the relationship between the signifier and the signified is arbitrary, meaning that there is no inherent connection between the two.

Arbitrariness means that there is no predetermined or agreed-upon relationship between the signifier and the signified. And their bond is also not based on any logical association.

Instead, it is a product of convention and social agreement within a particular language community. For example, in English, the word *tree* is an arbitrary signifier used to represent the concept of a tall object with branches, roots and trunk, and there is no inherent reason why this particular combination of sounds would denote this meaning.

Arbitrariness theory assumes that linguistic features are arbitrary and rely on shared conventions within a language community, rather than that language and logic are related in any systematic way. This theory has greatly influenced the fields of linguistics, semiotics, and the understanding of how language functions (Saussure 1959).

There is much research in linguistics about onomatopoeia, iconicity, and sound symbolism. One of them is about *takete/maluma* effect (Köhler 1929).

This is a classic experiment. Participants in the experiment are shown two abstract shapes. One shape is more rounded, while the other is angular. And there are two made-up words: *takete* and *maluma*. Participants are given the task of matching these two words to abstract shapes. It is interesting to note that the majority of participants associate the round shape with *maluma* and the angular one with *takete*.

According to the *takete/maluma* effect, we can say that there is non-arbitrariness and there can be a universal association between sound and visual form. Because rounded sounds are mostly perceived as rounder, gentler and softer; in contrast, sounds like *takete* are perceived as more angular, harsh, and pointed. (Köhler 1929).

Sapir (1929) did the experimental work “A Study in Phonetic Symbolism”. According to it, for English speakers /a/ sound is associated with large things and /i/ with smaller ones. The study was very important and it became the inspiration for later research.

I aim to investigate the sound symbolism associated with the /x/ sound in the Georgian language. My interest in this topic was sparked by the research conducted by Winter, Sóskuthy, Perlman, and Dingemanse (2022), titled “*Trilled /r/ is associated with roughness, linking sound and touch across spoken languages.*” This study explored the connection between the trilled /r/ sound and the concept of roughness through four investigations conducted in diverse linguistic contexts.

Their research encompassed English, Hungarian, 133 languages from 84 different language families, 38 modern Indo-European languages, and reconstructed Proto-Indo-European roots. The findings consistently demonstrated a symbolic association between the trilled /r/ and roughness, providing a compelling basis for exploring similar phenomena in other sounds and languages, such as the /x/ sound in Georgian.

In addition, Kawahara (2018) investigates the role of sound symbolism in the naming of Pokémon, focusing on how phonetic patterns in their names correspond to their characteristics or attributes. The study examines the idea that certain sounds or phonemes in Pokémon names evoke specific meanings or associations, such as the use of harsh, sharp sounds for aggressive creatures and softer sounds for more gentle or friendly ones. Kawahara’s analysis suggests that sound symbolism plays a significant role in how players perceive and relate to the Pokémon, contributing to the overall design and branding of the franchise. The research highlights the relationship between phonetic choices and the creatures’ visual, behavioural, and thematic traits.

Background of the Study

Georgian, a member of the Kartvelian language family, is spoken by approximately 3.5 million individuals in Georgia. The language exhibits considerable dialectal variation, both within and beyond the country’s borders. A notable feature of Geor-

gian is the one-to-one correspondence between phonemic sounds and graphemic symbols in its script. Standard Georgian comprises 28 consonants and 5 vowels.

The /x/ sound is a voiceless velar fricative. Intriguingly, this sound frequently appears in words associated with rough textures or sounds. For instance, words such as *xmauri* ('noise'), *xvrinva* ('snoring'), and *uxeshi* ('rough') all include the /x/ sound.

The research by Winter et al. (2022), titled “*Trilled /r/ is associated with roughness, linking sound and touch across spoken languages*,” investigates the connection between the trilled /r/ sound and the concept of roughness. Through a series of studies across multiple languages, including English, Hungarian, 133 languages from 84 different language families, and 38 modern Indo-European languages, the authors identify a consistent pattern of sound symbolism linking the /r/ sound to roughness.

The study reveals that the association between the trilled /r/ and roughness is one of the most robust and cross-linguistically consistent patterns of iconicity observed in spoken language. The authors argue that this phenomenon represents a “new statistical universal” of spoken language, the one that connects speech and touch, shaping not only how we perceive sounds but also the very texture of the lexicon in various languages.

The research suggests that the /r/ sound, particularly in its trilled form, is widely recognized across languages as symbolizing roughness, with this association being evolutionarily stable over time. Winter et al. propose that this iconicity may have roots in the physical sensations of roughness, where the articulation of the /r/ sound – characterized by rapid, repetitive movements of the tongue – could metaphorically mirror the tactile experience of rough textures.

This study provides a compelling framework for exploring sound symbolism, offering insights into how certain sounds, such as /r/, might have a universal, iconic association with specific concepts (e.g., roughness). The findings invite further examination into whether similar associations can be found in different languages for other sounds, such as the /x/ sound in Georgian.

This realization prompted the development of a hypothesis: the /x/ sound in Georgian may be associated with roughness. This preliminary finding provided the basis for further investigation into the phono-semantic relationship between /x/ and the concept of roughness in Georgian.

Method and the Experiment

The study employed an experimental method, specifically a forced-choice picture selection task. A set of stimuli was designed, comprising pairs of pictures and Georgian nonsense words containing the sound /x/. The nonsense words were two-syllable constructions, with both consonants being /x/, while the vowels were not controlled, as they were not critical for the research focus.

Participants completed a total of 20 trials, each consisting of a question and two accompanying images. The questions followed the format: *Which picture is asso-*

ciated with the word *khukha* /xuxa/? For each question, one image depicted a rough surface, while the other illustrated a relatively soft one.

The nonsense words were presented in phonetic transcription, though this detail was not essential for the Georgian language due to its one-to-one correspondence between phonemes and graphemes. This feature ensures that even without phonetic transcription, the alphabetical representation in Georgian would convey the phonemic structure accurately.

Participants were instructed to select the picture they felt best matched the given word in the question. Instructions were delivered in Georgian, with English translations provided for the benefit of non-Georgian-speaking readers. A demonstration of the experimental procedure is included for reference:

https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSfmKD55kAhnjcbw_ISagTaR7KtxClpl-gvUk1qI6GbneybGuQ/viewform?usp=sf_link

The sample ($n = 25$) comprised native Georgian speakers of varying ages, as age was not a relevant factor for this research. All participants were confirmed native speakers of the Georgian language, and care was taken to include individuals who had not extensively mastered other languages to minimize external linguistic influences. This precaution was taken because sound perception can sometimes shift with the acquisition of additional languages.

To ensure that participants met the language criterion, the questionnaire included a specific question asking whether Georgian was their native language. All participants responded affirmatively, confirming their suitability for the study.

In total, the study generated 500 data points ($25 \text{ participants} \times 20 \text{ trials}$). The forced-choice picture selection method offered both strengths and limitations. On the positive side, it provided objective and clear quantitative data, enabling straightforward comparisons across responses since all participants were presented with identical options.

Participants were recruited online via various social media platforms and received a link to the experiment. Participation was anonymous, and no identifiable data were collected or stored. The experiment was conducted using Google Forms, with each trial comprising one question and two multiple-choice answers represented by images – one depicting a rough surface or object and the other a non-rough counterpart.

Given the research question – whether the /x/ sound in Georgian is associated with roughness – the selection of the rough surface or object was of particular interest. Responses selecting the rough image were assigned a score of 1. To minimize positional bias, the placement of images in each trial was randomized, ensuring that participants could not anticipate the location of the rough image.

The hypothesis underlying the study posited that Georgian speakers would associate nonsense words containing the /x/ sound with roughness, as reflected in their selection of rough images during the task.

Materials

For the experiment, images were sourced from the following websites: Unsplash and Pexels. The experimental setup was implemented using Google Forms, which also facilitated initial data collection and analysis. The built-in tools of the platform were used to generate basic data visualizations and summaries.

To organize and store the collected data, Microsoft Excel was employed, and the dataset was subsequently uploaded to OSF for long-term storage and accessibility. This approach ensured efficient data management and transparency throughout the research process.


Results

The experiment was designed so that a score of 1 was assigned to responses aligning with the expected answer: the selection of a picture depicting a rough surface or object. This scoring method enabled straightforward identification of whether participants associated the /x/ sound with roughness based on their choices.

The results revealed an average score of 13.8 out of 20, indicating that participants tended to associate the /x/ sound with roughness more often than not.

Graph 1 illustrates the distribution of the participants’ scores. Over 10 participants achieved scores between 13 and 17, 6 participants scored between 9 and 13, another 6 participants scored between 17 and 20, and 2 participants scored between 5 and 9.


Additionally, 5 questions were identified where the majority of participants selected “incorrect” answers, opting for pictures with non-rough surfaces or objects. These findings suggest that certain stimuli did not align with the participants’ perceptions of roughness. Two of these questions are visualized in Graphs 2 and 3 for further analysis.



Graph 1. The table shows the distribution of scores gathered from the participants’ responses.

რომელი სურათი ასოცირდება სიტყვასთან "ხოხი" /xɔxi/? Which picture is associated with a word "khokhi" /xɔxi/?


25 responses



Graph 2. The table shows that most of the participants chose a picture with a non-rough surface or object.

რომელი სურათი ასოცირდება სიტყვასთან "ხუხუ" /xuxu/? Which picture is associated with a word "khukhu" /xuxu/?

25 responses



Graph 3. The table shows that most of the participants chose a picture with a non-rough surface or object.

Discussion

The findings of this study suggest that, in most cases, the participants associated the /x/ sound with rough surfaces and objects. However, this association does not unequivocally indicate that the /x/ sound is consistently linked to roughness in the Georgian language. While the results align with the principles of sound symbolism to some extent, they do not provide definitive evidence of this connection. The limited scope of the study likely constrains its capacity to establish a robust argument regarding the sound symbolism of the /x/ sound.

The most comparable research is the study by Winter et al. (2022), "*Trilled /r/ is associated with roughness, linking sound and touch across spoken languages.*" That study examines the association between the trilled /r/ sound and roughness across various languages. Winter et al. (2022) conclude that the association between /r/ and

roughness is “one of the most robust, cross-linguistically consistent, and evolutionarily stable patterns of iconicity discovered to date,” presenting a statistical universal linking speech and touch. While my research is more limited in scope and cannot match the breadth or depth of Winter et al.’s findings, it does suggest a potential pattern of sound-symbolic association for the /x/ sound in Georgian. The results indicate that /x/ may appear in words expressing rough textures or objects, supporting the hypothesis.

The results partially address the research question: “*Is the /x/ sound related to roughness in the Georgian language?*” The experiment provides evidence supporting this hypothesis, as the participants frequently associated nonsense words containing the /x/ sound with pictures of rough surfaces or objects (see the appendix, for example).

Nevertheless, there were five questions in which the majority of participants selected the unexpected option – pictures with non-rough surfaces or objects. Several factors might explain this outcome:

1. *Poorly Selected Stimuli:* Some stimuli may not have clearly represented the concept of roughness.
2. *Participant Fatigue:* Repeating a similar trial 20 times with nonsense words containing the /x/ sound may have caused the participants to lose focus or interest.
3. *Conceptual Misalignment:* The participants may not consistently associate the /x/ sound with roughness, or the association may not be as strong as hypothesized.

These limitations suggest that future research should refine the stimuli, explore alternative methodologies, and expand the sample size to provide a more comprehensive analysis of the symbolism of the /x/ sound in Georgian.

Conclusion

In conclusion, this study suggests that the /x/ sound in the Georgian language exhibits a degree of sound symbolism, as evidenced by its association with rough surfaces or objects more frequently than with non-rough ones. Despite the limitations, the findings open avenues for future research and development in this field.

There are several potential directions for further study. First, it is crucial to consider that Georgian is part of the Kartvelian language family, which includes languages such as Svan, Megrelian, and Laz. During this study, I did not account for whether the participants spoke other Kartvelian languages, nor did I explore the potential influence of these languages on the perception of the /x/ sound. It would be valuable to investigate whether similar patterns of sound symbolism can be observed across other Kartvelian languages and whether the /x/ sound is perceived differently in these languages.

Additionally, exploring the cultural and social significance of the /x/ sound in Georgia could provide further insights. For instance, if the /x/ sound is perceived as rough by the public, it may be associated with certain social functions, such as swearing or cursing. A broader investigation into the use of /x/ in different contexts could deepen our understanding of its role in Georgian speech.

Another area for future research would involve examining words containing the /x/ sound within the Georgian National Corpus (GNC). This corpus includes subcorpora spanning all stages of the development of the Georgian language, along with dialectal variations, offering a rich resource for analyzing the distribution of the /x/ sound across different contexts. Moreover, exploring its presence in Georgian literature, particularly in poetry, could provide insights into how the sound is used to evoke emotions or convey specific literary expressions, as sounds in poetry often carry symbolic significance.

The lexical analysis of the Georgian language's basic vocabulary is another important avenue. Investigating whether words containing the /x/ sound are associated with rough surfaces or objects could offer further evidence of its symbolism. Special attention should be given to adjectives and interjections, as they often express emotions and impressions, and are therefore likely to be the most direct representation of how sounds are symbolically perceived.

Finally, the experimental design could be expanded. Rather than relying on nonsense words with the /x/ sound, a modified version of the experiment could involve auditory presentation of the /x/ sound itself, with participants being asked to judge whether it is associated with roughness. This approach could provide a different perspective on the perceived symbolism of the sound, complementing the visual-based method used in this study.

In sum, while this study provides some initial evidence for the symbolism of the /x/ sound in Georgian, there are many opportunities for further exploration, both within the Georgian language and in comparison with other Kartvelian languages, to more fully understand the relationship between sound and meaning.

Presented by Professor Rusudan Asatiani

Data availability

All the used data and materials can be found here:

https://osf.io/cgdpr/?view_only=226b0177aa57488e8ccf210e3b05f3e6

References

- Demos 1964:** R. Demos, Plato's Philosophy of Language, *The Journal of Philosophy* 61(20), 595–610.
<https://www.jstor.org/stable/2023441>
- GNC :: Home:** The Georgian National Corpus (n.d.). <http://gnc.gov.ge/gnc/page>
- Kawahara et. al. 2018:** S. Kawahara, A. Noto, G. Kumagai, Sound Symbolic Patterns in Pokémon Names, *Phonetica* 75(3), 219–24.
<https://www.degruyter.com/document/doi/10.1159/000484938/html>
- Köhler 1929:** W. Köhler, *Gestalt Psychology*, Liverlight.

Plato 2003: Plato, Cratylus (Trans. C. D. C. Reeve). In *Plato: Complete Works* (Ed. J. M. Cooper, D. S. Hutchinson, pp. 397-448), Hackett Publishing Company.

Sapir 1929: E. Sapir, A study in phonetic symbolism, *Journal of Experimental Psychology*, 12(3), 225–239.

<https://psycnet.apa.org/doi/10.1037/h0070931>

Saussure 1916: F. de Saussure, *Cours de linguistique générale*, Payot, Paris.

Winter et al. 2022: B. Winter, M. Sóskuthy, M. Perlman, M. Dingemanse, Trilled /r/ is associated with roughness, linking sound and touch across spoken languages, *Scientific Reports*, 12(1).

<https://doi.org/10.1038/s41598-021-04311-7>

Appendix

Image 1. Shows one of the examples of a rough surface/object from the picture selection task.



Image 2. Shows one of the examples of a non-rough surface/object from the picture selection task.

/ხ/ ბგერის სიმბოლიზმი ქართულ ენაში

ტრადიციულად, მეცნიერებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ სამეტყველო ბგერებსა და მნიშვნელობებს შორის კავშირზე. ერთ-ერთი ლინგვისტური თეორია, რომელიც განავითარა ფერდინანდ დე სოსიურმა (1916), ამტკიცებს, რომ ენაში ნიშნის ბგერით ფორმასა (resp. აღმნიშვნელსა) და მის მნიშვნელობას (resp. აღსანიშნს) შორის კავშირი სრულიად პირობითია. თუმცა, ამის საპირისპიროდ, არსებობს ფსიქოლოგთა მიერ ჩამოყალიბებული თეორია, რომლის მიხედვითაც კავშირი ბგერასა და მნიშვნელობას შორის, გარკვეულწილად, მოტივირებულია. 1929 წელს ვოლფგანგ კიოლერმა წამოაყენა ფონეტიკური (resp. ბგერითი) სიმბოლიზმის იდეა, რომელიც ეყრდნობოდა ე.წ. *takete /maluma* ეფექტს და ეფუძნებოდა დიმიტრი უზნაძის მოსაზრებებს (დ. უზნაძე, სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები, 1923), გამოთქმულს გერმანიაში, საერთაშორისო კონფერენციაზე. მოგვიანებით ამ სახის კვლევები მომრავლდა. მაგალითად, ბოდო უიტერის მიხედვით, მთრთოლი (trilled) /r/ გარკვეულ ასოციაციას ავლენს სიხისტიისა და უხეშობის მახასიათებელ თვისებებთან ინგლისურში, უნგრულში. ამგვარი კავშირის გამოსავლენად ჩატარდა ექსპერიმენტული კვლევა 133 ენაში 84 ენათა სხვადასხვა ოჯახიდან, ასევე, როგორც 38 თანამედროვე ინდოევროპულ ენათაგან უმეტესში, ისე რეკონსტრუირებული ინდოევროპული სათავის (Winter et al., 2022).

ფონეტიკური სიმბოლიზმის თეორიის ჩარჩოში გავანალიზებთ ქართული ენის /ხ/ ბგერა. საბილოტე კვლევის ფარგლებში დაფიქსირდა მისი ხშირი გამოყენება ისეთ სიტყვებში, რომელთა აღმნიშვნელი შეესაბამება უხეში ზედაპირის მქონე და/ან უხეში ხმიანობით გამოირჩეულ აღსანიშნებს, მაგალითად, *ხავსი* და *ხვრინვა*.

საკვლევი მასალის მოსაპოვებლად შემუშავდა სპეციალური, /ხ/-ს ფონეტიკურ-სიმბოლური ხასიათის გამოვლენაზე ორიენტირებული პასუხების მასტიმულირებელი კითხვარი: *ექსპერიმენტის მონაწილეებს უნდა დაეკავშირებინათ /ხ/ ბგერით შეთხზული, მნიშვნელობის არმქონე სიტყვები მიწოდებული ორი სურათიდან ერთ-ერთთან, რომელთაგან ერთს უხეში ზედაპირი ჰქონდა, მეორეს კი არა. ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო ოცდასუთმა ინფორმანტმა.*

კითხვარი მოიცავდა 20 კითხვას.

ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ, უმეტეს შემთხვევაში, მონაწილეები /ხ/ ბგერით შედგენილ სიტყვებს უხეში ზედაპირის გამოხატველ სურათებს უკავშირებდნენ, კერძოდ, 20-იდან საშუალოდ 13,8 შემთხვევაში. უნდა შევნიშნოთ, რომ ექსპერიმენტის ხუთ კითხვაზე პასუხები აღმოჩნდა მოლოდინის საპირისპირო: ექსპერიმენტში მონაწილეთა უმრავლესობამ „არასწორი“ არჩევანი გააკეთა და შეთხზული სიტყვები შეუსაბამა ისეთ სურათს, რომელზეც უხეში ზედაპირი ან საგანი არ იყო აღბეჭდილი. ეს შეიძლება აიხსნას ამ კონკრეტულ კითხვებთან დაკავშირებით მიწოდებულ ფოტოებს შორის „უხეშობის“ ნიშნით არამკვეთრად გამოხატული ვიზუალური დაპირისპირებით, რამაც, შესაძლოა, გავლენა მოახდინა გამოკითხვაში მონაწილეთა არჩევანზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: *წინასწარმა საბილოტე კვლევამ აჩვენა, რომ ბგერა /ხ/ ქართულში გამოხატავს გარკვეულ „ხატოვანებას“ იმ აზრით, რომ უკანაენისმიერი ველარული ბგერა ასოციაციურად „უხეშ, ხისტ“ საგნებსა თუ მოვლენებს უკავშირდება.*

წარმოადგინა ასოცირებულმა პროფესორმა რუსუდან ასათიანმა

ქართული მასალა თურქული ფონოტაქტიკის ჭრილში

თურქული ენების ფონოტაქტიკურ პროცესებზე დაკვირვებისას რამდენიმე სვლა აღმოჩნდა ბმაში ქართულ მასალასთან. ამ თვალსაზრისით ზოგიერთი მომენტი ქართველ თურქოლოგებს – ცისანა აბულაძეს, მურმან ბელთაძეს, ელისაბედ გუდიაშვილს, ნუნუ გურგენიძეს, გაიანე თუშმალიშვილს, ლუიზა რუხაძეს, გიორგი შაყულაშვილს, კენერა ჯანგიძეს, სერგი ჯიქიას – არა მხოლოდ შენიშნული, არამედ ბეჯითად აქვთ კვალიფიცირებული.

მე შევეცადე, ფონოლოგიური წესების რაკურსში შევეხო წინამორბედთა კვლევების შედეგებს და ერთობლიობაში წარმოვადგინო თურქული ენების ფონოტაქტიკური სტრატეგიის ნაჭდევეები და დანაშრევი ქართულ ენობრივ სივრცეში.

(1) სიტყვის ბოლო მარცვალში ფართო ბაგისმიერ ხმოვანს /o/ ვიწრო ბაგისმიერი /u/ ხმოვანი ენაცვლება.

უძველესი თურქული დამწერლობის სახელწოდება უკავშირდება ორი მდინარის – ორჰონისა და ენისეის – სახელს და მას ორჰონ-ენისეის დამწერლობა ეწოდება, სწორედ ამ $-/o/ \rightarrow /u/$ ჩანაცვლების კვალობაზე თურქებმა ორჰონი **Orhun**-ად გადააკეთეს, ასე წერენ და ასევე წარმოთქვამენ.

დღეს თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქედის ქართული დასახელება **თორ-თობი** თურქმა **Tortum**-ად გარდათქვა;

ჭოროხი თურქულად **Çoruh**-ია.

სავარაუდოდ, **ბათობი** იყო (გურულ დიალექტში დღესაც ბათომია), **ბათუმი** კი თურქული ყაიდით დამკვიდრდა.

(2) ანატოლიური თურქულის დიალექტებში სიტყვის ბოლო მარცვლისეულ ვიწრო არაბაგისმიერ **i** და **ı** ხმოვნებს ვიწრო ბაგისმიერი **u** ხმოვანი ენაცვლება: **ıyık – ıyuk** ‘შუქი, სინათლე’; ამ უძველესი თურქული ნასესხობის ქართულში დამკვიდრებული ფორმის გზა ასეთია: ქართველი ადვილად შეეღია თავკიდურ პოზიციაში **/ı/** ბერას, ხოლო სიტყვა ლაბიალური ხმოვნით სალიტერატურო თურქულიდან კი არა, დიალექტიდან შეითვისა (შდრ. „ვეფხისტყაოსანში“ კომპოზიტების – **შუქმფინარი**, **შუქმკრთალი** – პირველი სეგმენტი). ეს სიტყვა მაანთროპონიმებული ფორმანტის დართვით საკუთარ სახელადაც კი იქცა – **შუქია**.

აი რას წერს ცისანა აბულაძე ამ მოვლენაზე: „ქართული ვოკალიზმისათვის უცხო **/ı/** ხმოვანი ძირითადად გადმოცემულია **/i/** ნიშნით, ხოლო სიტყვის ბოლოს, როგორც ღია, ასევე დახურულ მარცვალში იგი „**უ**“ ასოთია გამოხატული: ფალუთ < палыд, არშენ < аршин, დემურ < дөмир, უზანგუ < үзәнки. თანამედ-

როვე სალიტერატურო „ი“-ს ადგილზე ბაგისმიერი ხმოვნის „უ“-ს არსებობა თურქული ენის ჰარმონიამდელი პერიოდის გადმონაშთი ჩანს. გარდა იმისა, რომ ეს მდგომარეობა დასტურდება ძველი თურქულის ტექსტებში, თურქული ენის დიალექტებშიც (ტრაპიზონი, რიზე, ორდუ, გირესუნტი, კასტამუნია) საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა: ჩამაშურ чамашыр, ღადუნ гадын და ა.შ. (აბულაძე 1960:18).

ოსმალური ენის ისტორიაში აღსანიშნავია ხანგრძლივი პერიოდი, რომლის განმავლობაში მრავალ სიტყვასა და აფიქსში ბოლოკიდურ როგორც ღია, ასევე დახურულ მარცვალში, ძირითადად, იხმარებოდა ვიწრო ბაგისმიერი /u/, ნაცვლად არაბაგისმიერი /i/-სა. მაგ., altun ‘ოქრო’ ნაცვლად დღევანდელი altın-ისა. ზოგიერთი მკვლევარი ამას მიიჩნევს ძველი სალიტერატურო თურქულის წარმოთქმის დამახასიათებელ ნიშნად (სეგორთიანი 1964:83). ბოლოკიდურ მარცვალში ხმოვნის ლაბიალობას არა აქვს დისტინქციური ფუნქცია. ამგვარი ფორმები ხშირია დიალექტებში. სალიტერატურო altın-ის გვერდით განმარტებით ლექსიკონში მოცემულიც კია altun, რომელიც ქართულში დიალექტური altun ფორმით დასტურდება: 1) უხალთუნი, 2) ფუბე გვარისა აღთუნაშვილი.

(3)კავკასიის თურქული ენების კონსონანტიზმის თავისებურებათა ჩამონათვალში – მჟღერი/ყრუ ანლაუტი, სპირანტიზაცია, /k/-ს სონორიზაცია, წინარიგისმიერ ხმოვნებთან /g/→/ǵ/ და /k/→/č/, ბოლოკიდური -/n/-სა და -/r/-ს არამდგრადობა, /j ~ z ~ ž ~ ž/ მონაცვლეობა, дзекание, цокание და სხვ. (გაჯიევა 1979:34-75) – არ არის ე.წ. деканье – /d/-სა და /j/-ის მონაცვლეობა: kadın და kayın ‘ქალი’ (კლოსონი 1972:602a), რომელიც თანამედროვე თურქულსეული თხზული სიტყვების – kaynana, kayınvalide ‘დედამთილი; სიდედრი’ – პირველი კომპონენტია (აქ რომ ნამდვილად /d/-სა და /j/-ის მონაცვლე kadın ~ kayın სიტყვაა, ადასტურებს სინონიმი hanımanne, რომლის სიტყვასიტყვითი თარგმანია ‘ქალი (ქალბატონი) დედა’. ეგევე მონაცვლეობაა ayak/adak ‘ფეხი’ სიტყვის შემთხვევაშიც. შდრ. აგრეთვე ძვ. თურქ. /bedük/, დიალექტებისეული /böyük/, ახ. თურქ. büyük ‘დიდი’. თურქულ ენათა ამ „წიაღისეული“, შედარებით იშვიათი მოვლენის /d/-იან მანიფესტანტს გადავაწყდით ქართველი კაცის სახელად – ბელუკა [ჯიმითელი, იგი, თავისი სახლით, ალექსანდრე მეფემ შესწირა სვეტიცხოველს 1601 წელს] (პირ.ანოტ.ლექ. 1991:498). იგივე სიტყვა „ჩაქვითკირებული“ აღმოჩნდა ქართული გვარის – ბელუკაძის – ფუძეში.

(4) თურქული მოღმის ადამიანთათვის გადაულახავი არტიკულაციური მომენტია მარცვლის დასაწყისში ორი ან მეტი თანხმოვნის წარმოთქმა. ამის გამოა, რომ ოდენ თურქული წარმომავლობის სიტყვები მარცვალს CCV(C) შემადგენლობით არ შეიცავენ.

არაეროვნული სიტყვები განიცდიან ფონოლოგიურ დამუშავებას, კერძოდ კი ჩაირთავენ ვიწრო (დაბალი აწეულობის) ხმოვანს თავკიდურ თანხმოვნებს შორის. თურქთათვის უცხოენოვანი ლექსიკური ერთეულების სიზუსტით გადმოცემისა თუ გათავისების პროცესი განაპირობებს არაერთ ლინგვისტურ სვლას.

თანხმოვანთკომპლექსებით (ორი ან მეტი თანხმოვნით) დაწყებული ნასესხები სიტყვების ადაპტაცია თურქულ ენებში ორი გზით ხორციელდება – პროთეზითა და ეპენტეზით.

I. პროთეზა < ბერძნ. prothesis ‘წინ დაყენება’ – ესაა დამატებითი ბგერის (როგორც თანხმოვნის, ასევე ხმოვნის) გაჩენა სიტყვის აბსოლუტურ დასაწყისში. თურქული ენების შემთხვევაში დამატებითი ბგერა ერთ-ერთი ვიწრო ხმოვანია (i, i, u, ü). მარცვლის დასაწყისში ორთანხმოვნიან სიტყვას წინ ემატება ვიწრო ხმოვანი და ახალ მარცვალს წარმოქმნის კომპლექსის პირველ თანხმოვანთან. მაგ.; რუს. стакан – აზერბ. istakan ‘ჭიქა’; ფრანგ. station – თურქ. istasyon ‘სადგური’; ინგლ. stop – თურქ. istop ‘სდექ’; იტალ. spirito – თურქ. ispirito ‘სპირტი’. ეთნონიმები, გეოგრაფიული სახელები: İskit სკითი, İslav სლავი, İsloven სლოვენი; İskoç ‘შოტლანდიელი’; İsveç ‘შვედეთი’, İskandinav სკანდინავია, İsviçre ‘შვეიცარია’, İsparta სპარტა და სხვ.

ამ ფონეტიკური პროცესის – პროთეზის – მოქმედების არე წარმოვაჩინეთ ევროპულ ენათაგან ნასესხობების ადაპტაციის კვალობაზე.

მაგალითები ქართული სინამდვილიდანაც დაიძებნა:

(ა) **სპერი** – მხარე ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ამჟამად თურქეთის პროვინცია İşper – თურქეთის ერთ-ერთი რაიონი ერზურუმის რეგიონში. სპერი – მესხეთის ნაწილი, ბაგრატიონთა საგვარეულოს სამშობლო, მოიცავდა მდინარეების – ჭოროხის, არაქსისა და მტკვრის – სათავეებს, ხოლო ჩრდილოეთიდან პონტოს მთებით იყო გარშემორტყმული.

ბ) 1595 წელს შედგენილ ფისკალურ დოკუმენტში, გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში, შეგვხვდა: **სტეფანწმინდა** استيفانزمنده **İstfanzmnda**. გამომცემელი ს. ჯიქია წერს: /სტ/ თანხმოვნებით დაწყებულ სიტყვას თურქულ წარმოთქმაში ჩვეულებრივად პროთეზული ხმოვანი უჩნდება, რაც არაბიკისეული ელფერით არის გადმოცემული (ჯიქია 1958:449). სტეფანწმინდა ფოცხოვის ერთ-ერთი დიდი – 25-კომლიანი – სოფელთაგანია. 1878 წელს კი მასში უკვე მხოლოდ 8 კომლი ირიცხება. სტეფანწმინდა მდებარეობს ღვიმესა და ჭილვანას მიმდებარედ.

(გ) ამავე დოკუმენტში ქართული ტოპონიმი **სკარები** ოსმალ დევთერდარის მიერ ასე იქნა ჩაწერილი: اسكارب **İskarab** (ჯიქია 1958:539).

(დ) აქვე შევჩერდებით პროთეზის ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ვიწრო ხმოვანი წინ დაემატება ძირს, ახალი მარცვალი წარმოიქმნება, თუმცა სიტყვა იწყება არა ორი თანხმოვნით, არამედ – ერთით, კერძოდ კი – /r/ თანხმოვნით. საკუთრივ თურქული წარმომავლობის სიტყვა /r/-თი არ იწყება.

სპ. ruspi – თურქ. orospu ‘მეძავი’. ეს სიტყვა ქართულში როსკიპის ფორმით დამკვიდრებული უძველესი სპარსული ნასესხობაა.

ჩემი კარის მეზობელი გორელების მეტყველებაში – არჟანო პურს ცყიდულობდითო – „დავიჭირე“ ანალოგიური ბიოგრაფიის სიტყვაა: რუს. рожа ‘ჭკავი’

> ржаной ‘ჭვავისა’; რადგან სიტყვა /r/-თი იწყება, რომელიდაც ეტაპზე წინ ხმოვანი დაერთო და მივიღეთ არჟანოი (აქვე უნდა დასახელდეს ძველი ქართული-სეული ჰრომი და ჰრიფსიმე).

1991 წელს ბილალ დინდარისა და ზეინელაბიდინ მაკასის თურქულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ სამსუნში იქნა გამოცემული (რუსთაველი 1991). ბილალ დინდარი წარმოშობით ქართველია. პერსონაჟთა სახელების თურქულად გადმოცემისას ჩემი ყურადღება მიიპყრო ასეთმა ფაქტმა: თავის – ამბავი როსტევან არაბთა მეფისა – დასათაურებისას და იქვე მიჯრით სეგმენტში – იყო არაბეთს **როსტევან...** – თურქულ თარგმანში წერია: **Erestevan** (ანუ /r/-ს წინ გაჩნდა ხმოვანი), მე-12 გვერდზე, მე-13 გვერდზეც... შემდეგ თავებში კი როსტევანი მოიხსენიება სიტყვებით şah ან sultan და სახელით პროთეტული ხმოვნის გარეშე – Restevan. ოთხგზის დადასტურებული ფორმა ზემოგანხილული პროთეზული ფაქტის მანიფესტაციაა.

II. ეპენტეზა < ბერძნ. epenthesis ‘ – მარცვლის დასაწყისში თანხმოვანთკომპლექსის განხშვა ხდება ვიწრო ხმოვნით. ქართული ტოპონიმების ეპენტეტური ტრანსლიტერაციები წარმოვაჩინეთ გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთრის მიხედვით:

ბლორძა – **Bulurza**,
დგვარი – **Dugar**,
ზრესკი – **Zirsk**,
თმოგვი – **Tumk**,
ტყისთავი – **Diğstav**,
ფრუტი – **Purud**,
წრე – **Zire**,
წრიოხი – **Ziriox**,
წყორძა – **Zuğurza**,
წყრუთი – **Zuğurt**.

შედარებით კარგად არის გადმოცემული ღრტილა – /γirdla/, მარცვლის თავში თანხმოვანთკომპლექსი განიხშო ვიწრო ხმოვნით; თუმცა შემდგომში თურქულსა და სომხურ მეტყველებასში იგი იხტილა-იხტალად იქცა – ეპენტეზა პროთეზამ „დაჯაბნა“.

თურქმა ვერ წარმოთქვა /თბი/-მარცვლისეული /თბ/ კომპლექსი, განაზო იგი და მხოლოდ ვიწრო /i/ ხმოვნის ჩასმის შემდეგ „გაიმართა წელში“.

სწორედ ამის გამო უხმობდნენ ჩვენს დედაქალაქს **ტიფლისს**.

ჩვენებურებზე ისეთი ძლიერია თურქულის გავლენა, რომ მათ მეტყველებაშიც **თიბლიზი** დადასტურდა (ფუტკარაძე 1993:24).

ბუნებრივია, რომ ჩვენი დედამდინარის სახელი – **მტკვარი** – ანლაუტისეული ოთხი თანხმოვნით, აგრეთვე, ძნელი წარმოსათქმელი შეიქნა იმ ქვეყნის მკვიდრთა-

თვის, დღესდღეობით რომელთა ქვეყანაში მდებარე ერუშეთის ქედიდან იღებს სათავეს (ანუ ანატოლიელი თურქებისათვის) და იმ ქვეყნის მცხოვრებთათვის, რომელთა ტერიტორიულ ფარგლებშიც კასპიის ზღვას უერთდება (ანუ აზერბაიჯანელთათვის). თუმცა მისი გათავისება განსხვავებული ტაქტიკით წარიმართა: /მტკ/ თანხმოვანთკომპლექსი ჯერ კიდევ ბერძნებმა გაამარტივეს და /k/-ზე დაიყვანეს (გამყრელიძე 2002:25), ხოლო /ვა/>/უ/; აზერბაიჯანელები, ისევე როგორც თურქები, მტკვარს **Kur**-ს უწოდებდნენ, ევროპელები კი **Kura**-ს, რუსულის გავლენით.

საკვლევი, ქართველთა დედაქალაქისა და დედამდინარის სახელი რატომ მაინცდამაინც თურქული არტიკულაციით შევიდა ისეთ ენაში, როგორიც, მაგ., რუსულია, რომელშიც ხშირია მარცვლის თავში სამი და ოთხკომპონენტიანი თანხმოვანთკომპლექსების შემცველი ლექსიკური ერთეულები.

ლიტერატურა

აბულაძე 1960: ც. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის თურქული შესატყვისების შესახებ, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე*, II, თბილისი.

გამყრელიძე 2002: თ. გამყრელიძე, „მტკვარი“ ჰიდრონიმის ეტიმოლოგიისათვის, *ენათმეცნიერების საკითხები*, 4 (16), თსუ გამომცემლობა, თბილისი.

გაჯიგვა 1979: Н. З. Гаджиева, *Тюркоязычные ареалы Кавказа*, “Наука”, Москва.

კლოსონი 1972: Sir Gerard Clauson, *An Etimological Dictionary of Pre-Thiteenth-Century Turkish*, Oxford.

პირანოტ.ლექ. 1991: *პირთა ანოტირებული ლექსიკონი*, XI-XVII სს, ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, I, გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, [ტომის რედ.: მ. სურგულაძე, ჯ. ოდიშელი], „მეცნიერება“, თბილისი.

რუსთაველი 1991: Şota Rustaveli, *Kaplan Postlu Şövalye*, Çevirenler: Bilal Dindar, Zeynelabidin Makas, Eser Matbaası, Samsun.

სეგორტიანი 1964: Э. В. Севортян, *Примечания к книге Н. К. Дмитриева – Турецкий язык*, Издательство Восточной Литературы, Москва.

ფუტყარაძე 1993: შ. ფუტყარაძე, *ჩვენებურების ქართული, წიგნი I*, აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი.

ჯიქია 1958: ს. ჯიქია, *გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III*, გამოკვლევა, 1. ხელნაწერის აღწერილობა, 2. შენიშვნები ტექსტის გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

Georgian Material in Terms of Turkish Phonotactics

Summary

When observing the phonotactic processes of Turkic languages, several trends were found to be related to Georgian material.

(1) In the final syllable of a word, the wide labial vowel /o/ is replaced by a narrow labial /u/: the Georgian name of the mountain range located in today's Turkey, Tortomi, was transliterated by the Turks as Tortum; Chorokhi became Çoruh in Turkish. It was probably Batomi (in the Gurian dialect it is still Batomi today), and Batumi was established according to the Turkic rule.

(2) In the dialects of Anatolian Turkish, the narrow non-labial /ɪ, i / vowels in the final syllable of a word are replaced by a narrow labial /u/ vowel: ışı́k-ışuk 'light'; the way this extremely strong Turkic borrowing became established in Georgian is as follows: Georgians easily absorbed the sound /ɪ/, which was foreign to them, in a stubborn position, and the word was adopted not from Turkish standard language, but from the dialect with a labial sound.

(3) The list of features of the consonantism of Turkic languages includes the alternation of /d/ and /y/: *kadı́n/kayın* 'woman', *ayak/adak* 'leg', *büyük/bedük* 'big'. We came across a representative of this relatively rare phenomenon in the name of a Georgian man – Beduka. The same word appeared in the root of the Georgian surname – Bedukadze.

(4) Words of Turkic origin do not contain the syllable CCV(C). The adaptation of borrowed words beginning with consonant complexes in Turkic languages is carried out in two ways – by prothesis and epenthesis.

During prothesis, a narrow vowel is added to the beginning of a syllable with two consonants and a new syllable is formed with the first consonant of the complex. Examples from Georgian toponyms: *Speri* → *Isp̄er*, *Stepantsminda* → *Istefanzminda*, *Skarebi* → *Iskarb* (The places of historical southwestern Georgia indicated by these toponyms are today in the territory of Turkey).

In cases of epenthesis, the consonant complex at the beginning of the syllable is opened with a narrow vowel. The Turkish epenthetic transliterations of Georgian toponyms are: *Blordza* → *Bulurza*, *Dgvari* → *Dugar*, *Tmogvi* → *Tumk*, *Tsriokhi* → *Ziriokh*, *Tskhordza* → *Zugurza*, *Tskhrut i* → *Zugurt*, etc.

Tbilisi → *Tiflis* is also a phenomenon of this order.

თარგმანი

მაიკლ პერკინზი, სარა ჰაუარდი

კლინიკური ლინგვისტიკა¹

შესავალი

კლინიკური ლინგვისტიკა მოიცავს ენისა და კომუნიკაციის დარღვევათა შესწავლას. თავისი ყველაზე ვიწრო და ყველაზე ხშირად ხმარებული გაგებით, იგი კონცენტრირდება ენათმეცნიერების გამოყენებაზე კომუნიკაციის დარღვევების აღსაწერად, გასაანალიზებლად, შესაფასებლად, დიაგნოსტიკისთვის და სამკურნალოდ (მაგ., კრისტალი 1981). მიუხედავად ამისა, ასევე ხშირადაა მიღებული კლინიკური ენის მონაცემების შესწავლის ჩართვა, რათა ნათელი მოეფინოს ნორმალური ენის ბუნებას, განვითარებასა და მოხმარებას (use) და, ამგვარად, წვლილი შეიტანოს ენის თეორიაში (ბოლი და სხვ. 2008). მართლაც, ზოგჯერ მხოლოდ ენის მოშლილობის (breakdown) ანალიზის მეშვეობით ვაცნობიერებთ ენის სტრუქტურისა და ფუნქციის აქამდე უცნობ თავისებურებებს და ეს იმ მიზეზის ნაწილია, რის გამოც დისციპლინა ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში საგრძნობლად გაფართოვდა.

კლინიკური ლინგვისტიკის ფარგლები, რბილად რომ ვთქვათ, ფართოა. ენობრივი დალაგებების (organisation) არცერთი დონე, ფონეტიკიდან დისკურსამდე, არ არის დაზღვეული დარღვევებისგან, პრობლემებისგან, რომლებიც გამოიხატება ადამიანის სიცოცხლის განმავლობაში ზეპირი, წერილობითი და ჟესტების ენის როგორც წარმოქმნით (production), ისე გააზრებით (comprehension). კლინიკური ლინგვისტიკის თემა, ამგვარად, ექვემდებარება შესწავლას ენათმეცნიერების პრაქტიკულად ყველა დარგის მეშვეობით, ხოლო სხვადასხვა ვიწრო სპეციალიზაციამ შეიძინა საკუთარი განსაკუთრებული ტერმინები (label), როგორებიცაა: „კლინიკური ფონოლოგია“, „კლინიკური პრაგმატიკა“ და „კლინიკური სოციოლინგვისტიკა“. ის ფაქტი, რომ კომუნიკაციური დარღვევები, შესაძლოა, ენობრივად გამოვლინდეს, სულაც არ ნიშნავს, რომ მათ ყოველთვის ექნებათ კონკრეტულად ენობრივი მიზეზი და, ამდენად, თუ მათი სრული ახსნით დავინტერესდებით, ენათმეცნიერების მიღმა

¹ Michael Perkins and Sara Howard. 2011. Clinical linguistics. *Routledge Handbooks in Applied Linguistics*, Edited by James Simpson. London and New York: Taylor & Francis, pp. 111-123.

ჩაკვიტრევს მაკავშირებელ რგოლებში (interface) ისეთ სფეროებთან, როგორებიცაა: ფიზიოლოგია, ნევროლოგია, კოგნიცია და სოციალური ინტერაქცია. ამგვარად, კლინიკური ლინგვისტიკა შეიძლება განისაზღვროს როგორც „კომუნიკაციის დარღვევების შესწავლა, მათი ენობრივი ასპექტების განსაკუთრებული ზაზგასმით (იმავდროულად, არ დაგვავიწყდეს, როგორ ურთიერთქმედებენ ესენი სხვა სფეროებთან)“. ეს დისციპლინათაშორისი პერსპექტივა კლინიკური ლინგვისტიკის საკვანძო მახასიათებელია. ასეთი ფართო ყურადღების მიუხედავად, ქცევით სიმპტომებსა და სიღრმისეულ დეფიციტს შორის მკაფიო მიზეზობრივი კავშირის დადგენა ყოველთვის ადვილი არ არის. მაგალითად, ვერ თანხმდებიან იმასთან დაკავშირებით, უმჯობესია თუ არა, მეტყველების სპეციფიკური დარღვევა (შემდეგში – მსდ)¹ მიაკუთვნონ სმენითი აღქმის, კოგნიტიური დამუშავების, ერთდანიშნულებიანი ენობრივი მოდულის ან ამ ყველაფრის ზოგიერთ კომბინაციის სიღრმისეულ დეფიციტებს (underlying deficits) (იხ. ქვემოთ შემდგომი განხილვისთვის). მიუხედავად ამისა, მაინც შესაძლებელია მსდ-ის ენობრივი თავისებურებების დახასიათება იმდენად ზუსტად, რომ შემუშავდეს შეფასებები და მკორექტირებელი (remedial) პროგრამები. სწორედ ეს საკვანძო საბუთი ენათმეცნიერებაში, – და, კერძოდ, ენობრივ ქცევაზე ყურადღების გამახვილება, – რაც განასხვავებს კლინიკურ ლინგვისტიკას ისეთი მონათესავე სფეროებისგან, როგორებიცაა ნევროლინგვისტიკა (იხ. ალსენი, Elisabeth Ahlsén, 2011, Neurolinguistics.) და მეტყველებისა და ენის პათოლოგია, რომლებიც უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებენ კომუნიკაციის დარღვევათა სიღრმისეულ მიზეზებს. ეს მნიშვნელოვანი განსხვავება პირველად კრისტალმა (1980) მოკლედ აღწერა „ქცევითი“ მოდელის თვალსაზრისით, ენობრივი პათოლოგიის „სამედიცინო“ მოდელის საპირისპიროდ.

კლინიკური ლინგვისტიკის მოკლე ისტორია

კომუნიკაციის დარღვევის ჩვენეულმა გაგებამ ბოლო ასი წლის განმავლობაში დიდი გზა გაიარა. 1920-იან წლებშიც კი სკრიფჩერი (1923) ჯერ კიდევ ჩლიფინის კონკრეტულ ნაირსახეობას ნევროზს მიაწერდა იმ რეკომენდაციით, რომ მისი მკურნალობა შესაძლებელი ყოფილიყო „დარიშხანის, ქინაქინის, სტრიქინისა და სხვა სატონიზებელი საშუალების, ცივი დაზელის, ნელთბილი ან ცივი წყლით მხოლოდ სხეულის აბაზანების (ჰალფ-ბატჰ), აეროზოლის, დამატენიანებელი კომპრესების, ელექტროთერაპიის, მასაჟის, კლიმატის შეცვლის და ზღვის აბაზანების ...“ გამოყენებით (1923:185). კომუნიკაციის დარღვევათა შესწავლისა და მკურნალობის უფრო მეცნიერულ დონეზე დაყენების მთავარი ეტაპი, ენათმეცნიერებაზე დაყრდნობით, იყო რომან იაკობსონის Kindersprache, Aphasie und allgemeine Lautge-

¹ მსდ – specific language impairment (SLI) – მდგომარეობა, რომელიც გვხვდება სხვაგვარად ჯანმრთელ ბავშვებში, რომლებსაც პრობლემები აქვთ სინტაქსსა და/ან ფონოლოგიასთან.

setze (იაკობსონი 1941),¹ რომელიც ხაზს უსვამდა მსგავსებისა და განსხვავებულობის სისტემური ყალიბების შესწავლის მნიშვნელობას კლინიკურ ენათა მონაცემებში და ენობრივ თეორიასთან დაკავშირებას. ვარაუდი, რომ ატიპური მეტყველება ან ენა, ნორმიდან როგორი გადახრილიც არ უნდა იყოს, მაინც უნდა იყოს სისტემური და წესებით მართული – და, ამგვარად, ანალიზს დაქვემდებარებული, – კლინიკურ ლინგვისტთა შორის მრწამსის სტატიად დარჩა მას შემდეგ, რაც 1970-იან წლებში იაკობსონის ნაშრომი უფრო ფართოდ გახდა ცნობილი.

იაკობსონის გავლენა აშკარაა 1970-იანი წლების დასაწყისის პუბლიკაციებში, კერძოდ, აშშ-ში, გაერთიანებულ სამეფოსა და სკანდინავიაში, მიუხედავად იმისა, რომ კლინიკური ლინგვისტიკის, როგორც გამოყენებითი ლინგვისტიკის განშტოების, განვითარებას გაერთიანებულ სამეფოში, კერძოდ, სტიმული მისცა კვირკის მოხსენების (1972) გამოქვეყნებამ, რომელიც გვიჩვენებს, რომ ლოგოპედების (speech therapist) მომზადება, – რომლებზეც ენათმეცნიერების გავლენა აქამდე დიდწილად შეზღუდული იყო ფონეტიკით, – უნდა გაგრძელებულიყო და მოეცვა ენის აგებულების ყველა დონის ათვისება და რომ „თერაპიის პოტენციურმა პრაქტიკოსებმა, იქნება ეს მეტყველებისა თუ სმენისა, კითხვისა თუ წერისა, მომავალში აუცილებლად უნდა მიიჩნიონ ენა მათი ძირითადი დისციპლინის ცენტრალურ ბირთვად“ (1972:6.60). თანდათანობით, XX საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებიდან მოყოლებული, ორწლიანი სადიპლომო კურსები დიდი ბრიტანეთის მთელ ტერიტორიაზე არსებულ არაერთ უნივერსიტეტში ჩაანაცვლა 3-4-წლიანმა ბაკალავრის ხარისხმა მეტყველებისა და ენის თერაპიაში, რის შედეგადაც გაჩნდა თერაპევტთა ახალი თაობა, რომლებმაც არა მარტო ენათმეცნიერება იცოდნენ წინამორბედებზე უკეთესად, არამედ შეეძლოთ შეფასება, დიაგნოზირება და რეაბილიტაცია (remediation) ენათმეცნიერული საშუალებებით. თავის მხრივ, ენათმეცნიერები, რომლებმაც ეს მოსწავლეები სწავლების მიზნით აიყვანეს, კომუნიკაციის დარღვევების შესახებ უფრო გათვითცნობიერებულნი გახდნენ, რამაც ხშირ შემთხვევაში გავლენა მოახდინა მათი ლინგვისტური კვლევის შემდგომ მიმართულებაზე. ამ განვითარებათა ძირითადი მამოძრავებელი ძალა 1970-1980-იან წლებში დევიდ კრისტალი იყო, რომელმაც რედინგის უნივერსიტეტში (University of Reading, GB) ენათმეცნიერებისა და ენის პათოლოგიის პირველი აკადემიური ხარისხის კურსი 1976 წელს დააფუძნა. კრისტალმა თავის კოლეგებთან ერთად შეიმუშავა ანალიტიკური პროცედურების დიდი მნიშვნელობის მქონე მთელი წყება „აღწერილობის შედგენისათვის“ (profiling), განვითარებასთან დაკავშირებული და შეძენილი კომუნიკაციის დარღვევების ფონოლოგიური, გრამატიკული, სემანტიკური და პროსოდიული მახასიათებლებისთვის (კრისტალი და სხვ. 1976; კრისტალი 1982). ყველაზე ფარ-

¹ მოგვიანებით ინგლისურად გამოქვეყნდა როგორც „ბავშვთა მეტყველება, აფაზია და ფონოლოგიური უნივერსალები“ (Child Language, Aphasia and Phonological Universals [იაკობსონი 1968]).

თოდ გამოყენებული LARSP-ის კერძები (ენის შეფასება, რეაბილიტაცია და სკრინინგის პროცედურა – Language Assessment, Remediation and Screening Procedure) ახლა ბევრ ენაზე ხელმისაწვდომი (ბოლი და სხვ., მზადდება გამოსაცემად). შემდგომი ეტაპი იყო კლინიკური ლინგვისტიკის (კრისტალი 1981) გამოცემა, რომელმაც შეაჯამა (consolidated) და განსაზღვრა დარგი. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „კლინიკური ლინგვისტიკა“ უფრო ადრე გამოჩნდა ნაშრომებში (მაგ., ბალტაქსე 1976), შეიძლება ითქვას, რომ კრისტალის წიგნმა, ტერმინის ოფიციალური სტატუსის მიხედვით, მოახდინა გავლენა, თითქოსდა იმ შედეგით, რომ კლინიკური ლინგვისტიკა სულ უფრო და უფრო ფართოდ იქნა მიღებული, როგორც ენათმეცნიერების აშკარა ქვედისციპლინა. ჟურნალ კლინიკური ლინგვისტიკისა და ფონეტიკის (journal Clinical Linguistics and Phonetics (CLP)) პირველი ნომერი 1987 წელს გამოჩნდა, იღებდნენ სტატიებს ან გამოყენებითი ენათმეცნიერების/ფონეტიკის ანალიტიკურ პროცედურებზე კლინიკური ლინგვისტიკისთვის, ან იმის ჩვენებით, თუ როგორ შეაქვს წვლილი კლინიკურ მონაცემებს ენათმეცნიერების/ფონეტიკის თეორიულ საკითხებში (ბოლი და კენტი 1987:2). ამგვარად, ცნობდნენ ორმხრივ ურთიერთობას ენის პათოლოგიასა და ენათმეცნიერების თეორიას შორის. მიუხედავად იმისა, რომ ფონეტიკა ხშირად მიეკუთვნება „კლინიკურ ლინგვისტიკას“ და ორგანიზაციის ფარგლებშია მოქცეული, ტერმინის ჩართვამ ჟურნალის სათაურში შეგნებულად ცნო, რომ 1987 წლამდე კომუნიკაციური დარღვევების შესახებ კვლევების უმეტესობა კონცენტრირებული იყო მეტყველების წარმოებასა და სტრუქტურაზე, რაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, დღემდე ასეა. დარღვეულ მეტყველებაში (impaired speech) არტიკულაციური განსხვავებების მთელი დიაპაზონის დასაფარავად საერთაშორისო ფონეტიკური ანბანის (IPA) უუნარობის ზრდამ გამოიწვია განვითარება ფონეტიკური სიმბოლოების დამატებითი სიმრავლისა, რომელთაც ეწოდება ExtIPA (გაფართოებული IPA) (დაკუორთი და სხვ. 1990). ისინი ოფიციალურად აღიარა ფონეტიკის საერთაშორისო ასოციაციამ და ჩართო თავის *ენციკლოპედიურ ცნობარში* (ფონეტიკის საერთაშორისო ასოციაცია 1999). კლინიკური ლინგვისტიკისა და ფონეტიკის ჟურნალი იქცა საერთაშორისო კლინიკური ფონეტიკისა და ენათმეცნიერების ასოციაციის (International Clinical Phonetics and Linguistics Association (ICPLA)) ოფიციალურ ჟურნალად, რომელიც 1990 წელს დაარსდა და მას შემდეგ კლინიკური ლინგვისტიკის გლობალური გამორჩეულობა მთელ მსოფლიოში თავისი კონფერენციების მეშვეობით აამაღლა.

კვლევის მეთოდები კლინიკურ ლინგვისტიკაში

საენათმეცნიერო ტრადიცია

თანდაყოლილი ინტერდისციპლინურობის გამო კლინიკური ლინგვისტიკა კვლევის მეთოდების ფართო დიაპაზონით სარგებლობს, მაგრამ დისციპლინის ბირთვი, იაკობსონისა და კრისტალის ადრეული ნაშრომზე დაფუძნებით, წამყვანი ენა-

თმეცნიერების თვისებრივი კვლევითი პარადიგმებისკენ ისწრაფვის. ერთ-ერთი ძლიერი ტრადიცია, რომელიც კრისტალის ენობრივი პროფილებისთვის არის ტიპური (კრისტალი 1982), ენობრივი სავსე საშუალებისა და ენის აღწერის ტრადიციაა. კლინიკური ლინგვისტიკის შემთხვევაში „ველი“, ჩვეულებრივ, არის მეტყველებისა და ენის თერაპიის კლინიკა, მაგრამ ენის ბუნებრივი მონაცემების (naturalistic language data) გამოკვეთით, როდესაც კი ეს შესაძლებელია, და რომელიც არის აუდიო- ან ვიდეო- და ტრანსკრიბირებული ჩანაწერი. ანალიზი მოიცავს მონაცემებში სისტემური ყალიბების იდენტიფიკაციას, შესაბამისად, იყენებს ან წინასწარ განსაზღვრულ, ან ad hoc კატეგორიებს. ორივე შემთხვევაში, მაგრამ განსაკუთრებით ამ უკანასკნელში, ჰიპოთეზებს, ჩვეულებრივ, ინდუქციურად აღწევენ, შემდეგ ამოწმებენ და გადასინჯავენ მონაცემებთან მრავალგზის დაბრუნებით. რადგანაც კლინიკური ჩარევა, ჩვეულებრივ, ინდივიდზე ამახვილებს ყურადღებას, არსებობს ინდივიდუალური შემთხვევების კვლევების ძლიერი ტრადიცია (მაგ., პერკინზი და ჰაუარდი 1995). მიუხედავად ამისა, უფრო დიდი დიაგნოსტიკური ჯგუფების იდენტიფიცირება მათი ენობრივი მახასიათებლების მიხედვითაც შეიძლება, ხოლო კლინიკური ენობრივი კორპუსების მზარდი რაოდენობა ხელმისაწვდომია ისეთ საცავებში, როგორებიცაა: CHILDES და TalkBank (<http://talkbank.org/>), ასევე, მათი ანალიზისთვის სულ უფრო დახვეწილი კომპიუტერული ხელსაწყოები, მაგალითად, CLAN (მაკუინი 2000).

გარდა მონაცემებით მართული, ბუნებრივი კორპუსული მიდგომისა, რომელიც ენობრივ ქცევასა და მის პროდუქტებზე ამახვილებს ყურადღებას, თეორიით მართული გენერაციული პერსპექტივა ენაზე, როგორც ცოდნაზე, კლინიკურ ლინგვისტიკაშიც საკმაოდ კარგად არის წარმოდგენილი (მიმოხილვისთვის იხ. კლასენი 2008). წლების განმავლობაში გენერაციული გრამატიკის სხვადასხვა კატეგორია და ცნება გამოიყენებოდა ანომალიური ენობრივი ყალიბების გასაანალიზებლად. მაგალითად, ბროკას არაერთი აფატიკოსის მიერ პასიური წინადადებებისა და სხვა კონსტრუქციების გაგებისას განცდილი სირთულეები აღწერილია მოძრაობის კვალის წაშლის (deletion of movement traces) განვითარების ეტაპის თვალსაზრისით (გროდინსკი 2000). ზოგიერთი ცდილობდა, აღერიცხათ ის პრობლემები, რომლებსაც მეტყველების სპეციფიკური დარღვევის მქონე ბავშვები ავლენდნენ ღრრის მარკირებისას „გაფართოებული ფაკულტატიური ინფინიტივის“ (extended optional infinitive) განვითარების ეტაპის თვალსაზრისით (რაისი და სხვ. 1995); კლინიკური მონაცემების ფაქტები, – კერძოდ ფლექსიები, – თავის მხრივ, გამოიყენება თეორიული დებატების ფორმირებისათვის.

სოციალური მეცნიერებები

იმისათვის, რათა ფოკუსირდნენ ინდივიდების მკურნალობაზე, კლინიკისტებს ასევე უნდა შეეძლოთ თითოეული ინდივიდის ლოკალიზება ერთ ან მეტ უფრო დიდ დიაგნოსტიკურ ჯგუფში, რომელთა ბუნება და მახასიათებლები დადგენილია

სოციალურ მეცნიერებათა და, კერძოდ, ფსიქოლოგიის მეთოდების გამოყენებით. ეს, ჩვეულებრივ, მოიცავს ან მცირე, ან დიდი ჯგუფის კვლევებს როგორც კლინიკური პოპულაციების, ისე ჯანსაღთა კონტროლის (healthy controls) გამოყენებით, რომლებშიც პათოთეზების შემოწმება ხდება ექსპერიმენტებისა და სტატისტიკურ ანალიზზე წარდგენილი შედეგების მეშვეობით. ასეთ კვლევებში, ჩვეულებრივ, ვარაუდობენ მოდულურ შეხედულებას ენასა და კოგნიციაზე იმის მიხედვით, რომლის თანახმადაც, ენობრივი კომპეტენცია (language capacity) დანახულია როგორც დისკრეტული ურთიერთქმედი კომპონენტების გაერთიანება, რომლებიც, შესაძლოა, განსხვავებულად იყოს დარღვეული. ექსპერიმენტული პარადიგმის ფარგლებში ლინგვისტური კომპეტენცია ჩვეულებრივ ფასდება მეტყველების (performance) ერთი ან რამდენიმე ტესტით.

ფსიქოლოგიური მიდგომის ალტერნატივა, რომელიც ბოლო წლებში ფეხს იკიდებს კლინიკურ ლინგვისტიკაში, არის ეთნოგრაფია, რომელიც კომუნიკაციას კონტექსტუალიზებული სოციალური ქმედების განუყოფელ დამახასიათებელ თვისებად აღიქვამს. ნაცვლად სიღრმისეული (underlying) ენობრივი და კოგნიტიური დანაკლისების მიკუთვნებისა, ისეთი ანალიტიკური მეთოდი, როგორიცაა საუბრის ანალიზი (უილინსონი 2008), კომუნიკაციის დარღვევას განიხილავს როგორც ფუნქციას, თუ როგორ ახდენენ ინდივიდები ერთმანეთზე ორიენტირებას და ეს მეთოდები ეფუძნება ინტერაქციის წვრილ-წვრილ ანალიზს, რიგრიგობით, ჩვეულებრივ, არაკონვერტულ პარამეტრებში.

სამედიცინო მეცნიერებები

კრისტალის ადრინდელი მკაცრი კრიტიკის მიუხედავად (იხ. ზემოთ), „სამედიცინო მოდელი“ ჯერ კიდევ ცოცხალია და კარგადაა ჩართული კლინიკური ლინგვისტიკის უფრო ფართო დისციპლინაში. ის კომუნიკაციის დარღვევის არსებითად რედუქციონისტულ თვალსაზრისს იძლევა სიღრმისეული ანატომიური, ფიზიოლოგიური და ნევროლოგიური „წარმოშობის მიზეზების“ საფუძველზე, რომლებიც სულ უფრო ექვემდებარება ანალიზს ისეთი კვლევითი მეთოდების ტექნოლოგიური მიღწევების მეშვეობით, როგორებიცაა ნევროვიზუალიზაცია (neuroimaging) და გენეტიკური პროფილირება (მაგ., მონაკო 2007).

მიუხედავად იმისა, რომ კლინიკურ ლინგვისტიკაში დიდი რაოდენობით კვლევა გრძელდება კონკრეტული მეთოდოლოგიური პარადიგმის ფარგლებში, საგნის არეალის თანდაყოლილი ინტერდისციპლინურობა წარმოშობს ალტერნატიული მიდგომების გაცნობიერებას. დისციპლინის ყველაზე გამოყენებითი მხარით – მაგ., კლინიკური პრაქტიკით – მეტყველებისა და ენის თერაპევტები სარგებლობენ იმით, რომ იწვრთნებიან, რათა ყოველ ზემოაღნიშნულ სფეროში მაინც იცნობდნენ კვლევის მეთოდებს და, იმედია, ახერხებენ მნიშვნელოვანწილად შემოქმედებით ეკლექტიზმს იმ კვლევაში, რომელსაც ისინი ნებისმიერი საკვლევი კლიენტის მკურნალობისას ეწევიან.

საკვანძო საკითხები კლინიკურ ლინგვისტიკაში

ფონეტიკა და ფონოლოგია

ატიპური მეტყველების ფონეტიკური მახასიათებლები შესაძლოა, აღიბეჭდოს სამეტყველო ინსტრუმენტებისა და ფონეტიკური ტრანსკრიფციის გამოყენების გზით, როგორც ცალ-ცალკე, ისე კომბინაციით. ინსტრუმენტული მეთოდები გამოიყენეს, რათა დაეკავშირებინათ მეტყველების წარმოების (speech production) ყველა ქვესისტემა. ელექტროპალატოგრაფია, ელექტრომაგნიტური არტიკულოგრაფია და ულტრაბგერა – თითოეული გამოყენებულია არტიკულაციური აქტივობის ასპექტების: ენის, ბაგისა და ყბის მოძრაობებისა და კოორდინაციის შესასწავლად (ჩენგი და სხვ. 2007; გიბონი 2008). ნაზალური რეზონანსის, ჰაერნაკადისა და წნევის ატიპურ ყალბებს, როგორებიც გვხვდება დიზართრიასთან დაკავშირებული ნერვკუნთოვანი გართულებების მქონე ინდივიდებსა და სასის ნაპრალის (cleft palate – ე.წ. მგლის ხახა) ისტორიასთან დაკავშირებული სტრუქტურული ანომალიების (abnormalities) მქონე მოლაპარაკებში, იკვლევენ ნაზომეტრიული და აეროდინამიკური ტექნიკის გამოყენებით (უაიტჰილი და ლი 2008). ლარინგოგრაფიამ და ვიდეორენტგენოსკოპიამ (videofluoroscopy) დეტალური და მრავალფეროვანი ინფორმაციის მოპოვების მეთოდები უზრუნველყვეს სახმო სიმების აქტივობის შესახებ (აბერტონი და ფურსენი 1997), ხოლო სპექტროგრაფიას ატიპური მეტყველების წარმოების ასპექტების ვრცელ დიაპაზონში გამოყენების ხანგრძლივი ისტორია აქვს აკუსტიკური თვალსაზრისით (კენტი 2003).

კლინიკური ფონეტიკური ტრანსკრიფცია მერყეობს ვრცელი ფონემური მიდგომებიდან, რათა დახასიათდეს მოლაპარაკის სეგმენტური ან ფონემური ბგერითი სისტემა, ვინც ვიწრო ფონეტიკურ ტრანსკრიფციას იყენებს, რათა გადაფაროს მეტყველების გამომავალი მონაცემების (speech output) ფაქიზი ფონეტიკური დეტალი სეგმენტურ და პროსოდიულ სფეროებში, ზოგჯერ, დამატებით ინფორმაციასთან ერთად, ხმის თვისებასა (voice quality) და იმ გზებზე, რომლებითაც ჟესტი და მზერა სამეტყველო სიგნალთან ურთიერთქმედებს (იხილეთ მიულერი 2006 ამ ტიპის „მრავალშრიანი“ ტრანსკრიფციის აღწერისათვის). ცხადია, გამოწვევებისა და საფრთხეების სპექტრს აწყდება ყველა, ვინც ცდილობს რადიკალურად არატიპური სამეტყველო წარმოების ფონეტიკური ტრანსკრიფციის გაკეთებას (ჰაუარდი და ჰეზელვუდი 2002) და ხშირად გამოუთქვამთ უკმაყოფილება მის საფუძვლიანობასა და სანდობასთან დაკავშირებით. ამ უკმაყოფილებათაგან ზოგიერთს კონსენსუსის მეთოდების განვითარებით შეხვდნენ, სადაც საბოლოო ვერსია მიღწეულია დისკუსიის გზით ორ ან მეტ ტრანსკრიპტის მომზადებელს შორის (შრიბერგი და სხვ. 1984) და იმ ნაკლოვანი მეთოდოლოგიური მიდგომების გულმოდგინე კრიტიკის მეშვეობით, რომლებსაც ზოგჯერ იყენებენ ტრანსკრიფციის ღირებულებაში ეჭვის შესატანად (მაგ., კუჩიარინი 1996).

აღქმითი და ინსტრუმენტული მეთოდების კომბინირებით მკვლევრებმა ასევე შეძლეს, გამოეკვლიათ ხარვეზი მოლაპარაკის განზრახვასა და მსმენელის აღქმას

შორის. კვლევების მნიშვნელოვნად დიდი რაოდენობისთვის გამოუყენებიათ აკუსტიკური და ელექტროპალატოგრაფიული ანალიზი, რათა ეჩვენებინათ მოლაპარაკისთვის დამახასიათებელი მკაფიო და თანმიმდევრული არტიკულაციური განსხვავებები სხვადასხვა სეგმენტური ამოცანისათვის, რომლებითაც მსმენელი არ ახდენს იდენტიფიკაციას (მაგ., ჰაუარდი 1994; კაისმერი და სხვ. 1981).

კლინიკურ ფონეტიკასთან შედარებით, რომელიც ისტორიულად, სულ მცირე, არისტოტელეს დროიდან არსებობს (ელდრიჯი 1967), კლინიკური ფონოლოგია არის გვიან შემოღებული, იგი გაჩნდა 1960-იან და 1970-იან წლებში, იმ დროს, როდესაც ენობრივი მიდგომების გამოყენება საერთოდ იწყებოდა კომუნიკაციის დარღვევების მიმართ. მიუხედავად ამისა, კლინიკურ ლინგვისტიკაში ის უაღრესად გავლენიანი და შემოქმედებითი ძალა აღმოჩნდა. ადრეულმა ფონემათა და მახასიათებლებზე (feature) დაფუძნებულმა აღწერამ ატიპურ ბგერათა სისტემების შესახებ 1980-იან წლებში ადგილი დაუთმო ბუნებრივი ფონოლოგიური პროცესების ანალიზის გამოყენებას ატიპურ სამეტყველო წარმოებაში, კერძოდ, მეტყველების განვითარების სირთულეებში ინგრამის (1976) ნაშრომმა აშშ-ში და გრანუელის (1981) ნაშრომმა გაერთიანებულ სამეფოში უზარმაზარი გავლენა მოახდინა ფონოლოგიურ ანალიზზე კლინიკურ კონტექსტში, რომელიც დღესაც აგრძელებს არსებობას (იხ., მაგალითად, დოდი 2005). ამჟამინდელი კლინიკური ფონოლოგიური მიდგომები გამოდინარეობს თეორიული პერსპექტივების ჯანსაღი სპექტრიდან, მათ შორის: ოპტიმალურობის თეორიიდან (გერუტი და მორისეტი 2005), არაწრფივი მიდგომებიდან (ბერნჰარდტი და შტემბერგერი 1998), ჟესტების ფონოლოგიიდან (ჰოდსონი და ჟარდენი 2009) და კოგნიტიური // (ენის) მოხმარებაზე დაფუძნებული ფონოლოგიიდან (სოსა და ბაიბი 2008), რასაც ახლავს დებატები ატიპური მეტყველების მონაცემთა ფონოლოგიური აღწერის სტატუსის შესახებ: უბრალოდ, უაღრესად სასარგებლო აღწერითი ხერხებია, თუ ასახავენ არსებულ ფსიქოლინგვისტურ პროცესებს? მეტყველების დარღვევების ფონოლოგიურმა აღწერებმა გამორჩეულად აჩვენა, რომ ისინი, სავალდებულო არაა, არტიკულაციური შეზღუდვების პროდუქტი იყოს, არამედ ასახავენ სირთულეებს სიტყვებში ბგერითი სეგმენტების ორგანიზებითა და გამოყენებით, როგორც ეს ნაჩვენებია ფონოლოგიური სირთულეების მქონე ოთხი წლის ბავშვის მონაცემებში (მაგალითი 1). აქ შეგვიძლია დავინახოთ, რომ, მიუხედავად იმისა, ბავშვს აშკარად შეუძლია ინგლისურის ყველა ალვეოლარული და ველარული ხშულის ([t], [d], [k] და [g]) არტიკულაცია, მათ ჯერ კიდევ სათანადოდ არ იყენებს რეალურ სიტყვებში: პირიქით, მათ აქვთ ატიპური, თუმცა კონტექსტურად შეპირობებული და არაშემთხვევითი განაწილება.

მაგალითი 1

DOG	[ɡɒɡ]	DAD	[dæd]	CAT	[tæt]
CAKE	[keik]	GOAT	[dɔʊt]	TAKE	[keik]

მეორე მხრივ, მეორე მაგალითში ბავშვს აქვს მეტყველების გამოსავალი (speech output), რაც მგლის ხახის ისტორიას უკავშირდება. იგი სარგებლობს დახვეწილი და საზრიანი არტიკულაციური სტრატეგიებით, რათა მაქსიმალურად გაზარდოს ფონოლოგიური კონტრასტები, მიუხედავად რთული არტიკულაციური შეზღუდვებისა, რომლებიც მისთვის განსაკუთრებით პრობლემურია ორალური ხშულებისა და ნაპრალოვნების წარმოქმნისას.

მაგალითი 2

PIG [Oɪʔ^h] CHAIR [ʔjɛə] DOWN [ʔaʊN]
BIG [miʔ^h] JAM [ʔjæm] CUP [ʔɪʔ^h]

(ჰაუარდი 1993)

ეს მაგალითები რასაც გვიჩვენებს, არის ის, თუ რამდენად სისტემური და მოდელირებულია (patterned) ატიპური მეტყველების გამოსავალი (output). კლინიკური ფონეტიკური და ფონოლოგიური ანალიზი ამის დამაჯერებელ დემონსტრირებას ახდენს და შეუძლია, გამოავლინოს დაკვირვებადი სტრატეგიების დიაპაზონი მოსაუბრე ინდივიდებში, რომლებიც ცდილობენ, საკუთარი მეტყველება გასაგები გახადონ. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ანალიზები ტრადიციულად ყურადღებას ამახვილებდნენ ერთი სიტყვის წარმოებაზე, ბოლოდროინდელი კვლევები მიუთითებდნენ უფრო გრძელი გამონათქვამების ფონეტიკისა და ფონოლოგიის შესწავლის ღირებულებაზე, კერძოდ კი იმაზე, თუ როგორ არის გაბმული მეტყველების (connected speech) პროცესები და სიტყვების დალაგებები უფრო გრძელ პროსოდიულ სფეროებად და ასევე თვალსაჩინოდ აჩვენებს თანმიმდევრულ მოდელებსა და სტრატეგიებს, რომლებიც, შეიძლება, უშუალოდ უკავშირდებოდეს მოლაპარაკის გაგებას; ამ შემთხვევაში მოლაპარაკის გაგება ცალკეული სიტყვით შეიძლება, რადიკალურად განსხვავდებოდეს მათი გაგებისგან უფრო გრძელ გამონათქვამებში (ჰაუარდი 2007). კლინიკურ ფონეტიკურ და ფონოლოგიურ გამოკვლევებზე ყურადღების გაფართოებას ერთმანეთთან გაბმული მეტყველების ქცევის რეალურ სასაუბრო ურთიერთქმედებაში გასათვალისწინებლად, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ღირებულება ჰქონდეს როგორც მეტყველების დარღვევის ჩვენეული გაგებისთვის, ისე მეტყველებისა და ენის პათოლოგიებში ჩარევისთვის.

გრამატიკა და სემანტიკა

ჯერ კიდევ არსებობს საკმაო უთანხმოება იმის შესახებ, მოჰყვება თუ არა გრამატიკული დარღვევის შედეგი თვითმყოფი გრამატიკული სისტემის შიგნით გაუმართაობას, რაც ენათმეცნიერების წამყვანი მიმართულების ყურადღების ცენტრშია; ან ასევე არის შედეგი იმისა, თუ როგორ ხდება ენის დამუშავება (process) მისი წარმოებისა და გაგების დროს და, მაშასადამე, განუყოფლად უკავშირდება ფიზიოლოგიასა და კოგნიტიურ პროცესებს, როგორებიცაა მენსიერება და

ყურადღება. ამგვარად, ერთგვარი სტრუქტურული ანომალიები, გამოვლენილი მაგალით 3-ში (მაგ., ობლიგატორული წინადადების (clause) და ფრაზის ელემენტებისა და პრობლემების გამოტოვება შეთანხმებისა და ნაცვალსახელური ბრუნვის მარკირებით) 51 წლის მამაკაცის წარმოთქმით, რომელსაც აგრამატული აფაზია აქვს, ზოგიერთის მიერ განიხილება როგორც ენობრივი მოდულის დაზიანების უშუალო შედეგი, მაშინ, როდესაც სხვები ცდილობენ, ახსნან როგორც დამუშავების შეზღუდვების მეორეული შედეგი. ამ უკანასკნელმა შეზღუდვებამ შეიძლება დაუშვას კომპიუტერული სისტემის ნაწილად რაიმე სახის გრამატიკული მოდულის არსებობა, ან კიდევ გრამატიკა დაინახოს მთლიანად მეორეულ პათოლოგიურ მოვლენად – „ლექსიკური შერჩევისა და დალაგების“ (selection and arrangement) გამოვლენილ თანაპროდუქტად (ვან ლანკერი 2001).

მაგალითი 3

and then yeah . well . waste of time . cos mother . here everyday . sit down you know . mm . go and . clean . forget about it . and then er . me said well rubbish that . rubbish . er . doctor come for me [‘.’ = მოკლე პაუზა]

(პერკინზი და ვარლი 1996)

იგივე დისკუსია ფართოდ გავრცელებულია სპეციფიკური ენობრივი დარღვევის კვლევის დროსაც ბავშვებში, რომლებიც იმთავითვე განიხილება როგორც შედეგი ენობრივ კომპეტენციაში არსებული დეფიციტისა ან კონკრეტულ არეში დამუშავების დეფიციტისა, ან, კიდევ, ზოგადი დამუშავების შესაძლებლობის შეზღუდვისა (ლეონარდი 1998). შემდგომი განზომილება მომდინარეობს ავადმყოფობის (disorder) განვითარების ბუნებიდან – მაგ., რამდენად სპეციფიკურია ენობრივი დარღვევის თანდათანობითი აღმოცენება ან მხოლოდ ენობრივი, ან არაენობრივი ფაქტორების გავლენით და რა როლს ასრულებს თვითგანვითარების პროცესი? ზოგი ამტკიცებს, მაგალითად, რომ ჩვილ ბავშვებში არ არსებობს ზრდასრულ ადამიანებში აღმოჩენილი ენობრივი და კოგნიტიური ფუნქციების ყალბი მოდულური დამოუკიდებლობა, ყოველ შემთხვევაში, ასეთი დიდი ოდენობით, და იგი მნიშვნელოვანწილად მომწიფების შედეგია. ამგვარად, ენობრივი ბუნების ნებისმიერი ადრეული პრობლემა გავლენას მოახდენს დამუშავების სხვა არეებზე, დაიწყებს კომპენსატორულ ადაპტაციათა კომპლექსურ ჯაჭვს მთელი ორგანიზმისთვის ირიბი ეფექტით (კარმილოვ-სმითი 1998).

საწყისი ამამუშავებელი მექანიზმი შესაძლოა, სრულიადაც არ უკავშირდებოდეს ენას – მაგალითად, სმენითი დამუშავების ან პროცედურული მეხსიერების პრობლემას (ტალალი და პირსი 1973; ულმანი და პიერპონტი 2005).

მოუხედავად იმისა, რომ კლინიკური ენათმეცნიერების მხრიდან აფაზიამ და სპეციფიკურმა ენობრივმა დარღვევამ ყველაზე მეტი ყურადღება მიიპყრო ორგანიზმის კითხვად სპეციფიკურად ენობრივი ბუნების გამო, სინამდვილეში, მათ ზში-

რად ახლავს არაენობრივი პრობლემები და, ალბათ, უფრო ზუსტი იქნებოდა მათი მიჩნევა ენობრივ-კოგნიტიური დარღვევების კონტინუუმის ერთ ბოლოდ. მეორე ბოლოში გვხვდება ისეთი მდგომარეობები, როგორიცაა უილიამსის სინდრომი (Williams syndrome) (ზოგჯერ აღწერილი, როგორც სპეციფიკური ენობრივი დარღვევის „საპირისპირო“ ფორმა (პინკერი 1999)), რომლისთვისაც ტიპური მახასიათებელია კოგნიტიური დარღვევები, მაგრამ შენარჩუნებულია ენობრივი უნარი. თუმცა აქაც კვლევამ აჩვენა, რომ როგორც გამომსახველობითი, ისე აღქმითი (receptive) გრამატიკული უნარი უილიამსის სინდრომში დაზიანებულია და, გარკვეული თვალსაზრისით, წააგავს მეორე ენის შემსწავლელების სირთულეებს ან სიძნელეებს (კარმილოვ-სმითი და სხვ. 1997; სტოიანოვიკი და სხვ. 2006).

სემანტიკასთან მიმართებით კლინიკურმა ინტერესმა ამ სფეროს მიმართ, ძირითადად, ლექსიკის ხარვეზებზე, ლექსიკური წვდომის (ანუ „სიტყვის პოვნის“) პრობლემებსა და თემატურ როლებზე გაამახვილა ყურადღება. პირველის ილუსტრირება ხდება იმ ფაქტით, რომ არცთუ იშვიათად გვხვდებიან აფაზიით დაავადებული ინდივიდები, რომლებიც ვერ ახერხებენ, დაასახელონ ისეთი სპეციფიკური სემანტიკური კატეგორიების წევრები, როგორებიცაა: ბოსტნეული, ხილი, სხეულის ნაწილები და ხელსაწყოები (კარამაცა 2000). ეს ზოგჯერ განიხილება როგორც ცნებითი ცოდნის ნაკლებობის უშუალო შედეგი, და არა როგორც წმინდად სემანტიკური პრობლემა, რაც ცხადია იქიდან, რომ უილიამსის სინდრომიან ადამიანებს, რომელთაც მწირი ვიზუალურ-სივრცობრივი შესაძლებლობები აქვთ, მაგალითად, შეიძლება გაუჭირდეთ სივრცითი გამოთქმების გაგება (ფილიფსი და სხვ. 2004). თუმცა ხშირ შემთხვევაში არსებობს მკაფიო ცნებითი გაგება, მაგრამ უუნარობა სიტყვის პოვნისა და მის რეფერენტთან მიბმისა, როგორც მაგალით 4-ში საუბრიდან, რომელშიც მონაწილეობს P, ანომიური აფაზიის (Anomic aphasia) მქონე.

მაგალითი 4

- T can you tell me what you are wearing on your wrist? [*მიუთითა თავის მავჯის საათზე*]
- P it's er – [*ამოსუნთქვა*] what I put on my hair on . er not my hair . er – [ნწ] put it right er . [*ამოსუნთქვა*] dear dear dear get it . I'll get it in a minute [*უყურებს საათს და თავს აჩნევს*] it's not going through

სინტაქსისა და სემანტიკის მაკავშირებელ რგოლზე (interface) კლინიკურად ორიენტირებული მუშაობა, – ხშირად განხილული აქტანტური (argument) სტრუქტურის, თემატური როლებისა და სემანტიკური ფუნქციების თვალსაზრისით, – შეიძლება, განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდეს სემანტიკის ცოდნის განვრცობისათვის. განვითარებისა და შეძენილი ენობრივი დარღვევების დროს, ენის გამოსავლის (output) ანალიზის საფუძველზე, ბლეკი და ჩიატი (2008) მხარს უჭერენ სემანტიკური დალაგების დონეს „მოვლენათა სტრუქტურის“ თვალსაზრისით, რო-

მელიც უნდა მოიცავდეს ასპექტურ მახასიათებელ ნიშნებს, მიზეზობრივ და დროით მიმართებებს „ქვემოვლენებს“ და მონაწილეთა ისეთ ღირებულ მახასიათებელ ნიშნებს შორის, როგორებიცაა მგრძნობელობა (sentience) და სულიერობა (animacy).

პრაგმატიკა და დისკურსი

კლინიკურ სფეროში პრაგმატიკა და დისკურსის ანალიზი განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდა ისეთ პირობებში გამოვლენილი კომუნიკაციური სირთულეების დახასიათებისას, როგორებიცაა: აუტიზმი, ქალა-ტვინის ტრავმა (traumatic brain injury (TBI)) და ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს დაზიანება (right hemisphere brain damage (RHD)), რომელთა გამომწვევი მიზეზები, ჩვეულებრივ, განიხილება, როგორც, ძირითადად, ნევროლოგიური და კოგნიტიური, და არა ენობრივი. აუტიზმის მქონე ადამიანებს, მაგალითად, შეიძლება გაუჭირდეთ ზუსტად გარკვევა, რას გულისხმობენ სხვები თავიანთ ნათქვამში, როგორიცაა:

მაგალითი 5

ზრდასრული: can you turn the page over?

აუტისტი ბავშვი: yes [არ მოძრაობს, რომ გვერდი გადაშალოს]

ხოლო ქალა-ტვინის ტრავმის მქონე ინდივიდები ცნობილი არიან თემიდან გადახვევით – მაგალითად:

მაგალითი 6

I have got faults and . my biggest fault is . I do enjoy sport . it's something that I've always done . I've done it all my life . I've nothing but respect for my mother and father and . my sister . and basically sir . I've only come to this conclusion this last two months . and . as far as I'm concerned . my sister doesn't exist

(პერკინზი და სხვ. 1995:305)

კლინიციკოს-ლინგვისტებისთვის გამოწვევა არის ამგვარი ქცევების ახსნა იმ გზებით, რომლებიც თეორიულადაც თანმიმდევრულია და პრაქტიკულადაც სასარგებლო. ფართოდ გამოიყენება პრაგმატიკული თეორიების კონსტრუქტები და ცნებები, ისეთები, როგორებიცაა: მეტყველების აქტთა თეორია, გრაისის დიალოგური (conversational) იმპლიკატურა და რელევანტურობის თეორია (relevance theory), რათა დაახასიათოს პრაგმატიკულად ანომალიური კომუნიკაციები, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს იძლევა აღწერითი ტერმინების (label) სასარგებლო ნაკრებს შეფასების მიზნით, განმარტებითი თვალსაზრისით, ჩვენ ჯერ კიდევ მხოლოდ ზედაპირზე ვართ¹ – მაგალითად, როგორ განვასხვავებთ სიმპტომებსა და მიზეზებს მაკორექტირებელი მიზნებისთვის?

¹ მაგალით 5-ში შეგვეძლო აღგვეწერა როგორც ბავშვისთვის ილოკუციური საზრიანობის არარსებობის ან ზრდასრული ადამიანის განზრახვითი იმპლიკატურის (intended implicature) ვერწარმოქმნის თვალსაზრისით).

პრაგმატიკული დარღვევის ნევროლოგიური საფუძვლების ძიებამ წარმოშვა „ნევროპრაგმატიკის“ შედარებით ახალი ქვედისციპლინა (შტემერი 2008), რომელიც, დაზიანების კვლევების (lesion studies) საფუძველზე, ცდილობს, ამოიცნოს ტვინის სპეციფიკური უბნები, რომლებიც პასუხისმგებელია პრაგმატიკულად ღირებულ კოგნიტიურ აქტივობებზე. მაგალითად, ჩვენი ცნობიერება სხვების მენტალური მდგომარეობების შესახებ (ხშირად მოიხსენიებენ როგორც „გონების თეორიას“) დაუკავშირდა მარჯვენა ფრონტალურ წილს, სოციალური მსჯელობა და ემპათია – ვენტრომედიულ ფრონტალურ წილს (ventromedial frontal lobe) და მეტამეხსიერების განსჯა – პრეფრონტალურ ქერქს.

ალტერნატიული, არარედუქციონისტული მიდგომა არის პრაგმატიკული და დისკურსული დარღვევის დანახვა, როგორც დიადეზისა (მოსაუბრე წყვილების) და ჯგუფების კომუნიკაციით შექმნილ სოციალურ სივრცეში მდებარეობა, და არამხოლოდ ინდივიდის შიგნით სიღრმისეული დეფიციტისთვის მიკუთვნება. საუბრის ანალიზის გამოყენებით ჩატარებულმა არაერთმა კვლევამ, მაგალითად, აჩვენა, რომ ნევროლოგიური და/ან კოგნიტიური დეფიციტის მქონე ადამიანებს, რომლებსაც ლაბორატორიულ პირობებში ფორმალური შეფასებების საფუძველზე პრაგმატიკული დარღვევის დიაგნოზი დაუსვეს, მაგრამ ჯერ კიდევ შესწევთ მნიშვნელოვანი პრაგმატიკული დახვეწილობის უნარი შემოწმების სიტუაციის შეზღუდვების მიღმა (მაგ., შეგლოფი 2003). კვლევის მონათესავე ხაზმა, რომელიც მოსაუბრე პარტნიორის წვლილს თანაბარ წონას ანიჭებს, ცხადყო, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ინდივიდში რომელიმე სავარაუდო დეფიციტის ეფექტი, შესაძლოა, კიდევ უფრო გამწვავდეს – ან, ალტერნატივის სახით, „ნეიტრალიზებული“ იყოს – მოსაუბრე წყვილის დონეზე თანამოსაუბრის ქმედებებით (მასკიტი და სხვ. 2010).

ამ სხვადასხვა პერსპექტივის ინტეგრირების ერთ-ერთი გზაა, დავინახოთ პრაგმატიკული/დისკურსული დარღვევა არა როგორც რაღაც უნიტარული მდგომარეობა, რომელიც უნიკალურად ინდივიდში არსებულმა ნევროლოგიურმა თუ კოგნიტიურმა დეფიციტმა გამოიწვია და არა როგორც წმინდა სოციალურად კონსტრუირებული, არამედ როგორც ამ ყველაფრის მეორეული პათოლოგიური მოვლენის (epiphenomenal) შედეგი. ე.წ. „ემერჯენტისტული“ (emergentist) ფსიქონალიტიკური ანგარიში პრაგმატიკულ და დისკურსულ პრობლემებს იმ გზის თანაპროდუქტად აღიქვამს, რომლითაც ნევროლოგიური, კოგნიტიური, ენობრივი და თვით სენსორულ-მოტორული სირთულეები თამაშდება დიადურ ან ჯგუფურ ურთიერთქმედებაში (პერკინზი 2008). ასეთი მიდგომა იმ ფაქტსაც აღიარებს, რომ პრაგმატიკული დარღვევა უნიტარული მდგომარეობა არ არის. მართლაც, ეტიკეტი გამოყენებულია არსებითად განსხვავებული ქცევების ფართო მასივზე, უკვე ილუსტრირებულთან ერთად, როგორებიცაა: პრობლემები გამართული მეტყველებით, პროსოდიით, ლექსიკური შერჩევით, კოჰეზიით, თვალებით კონტაქტით, რიგრიგობით ლაპარაკით (turn-taking), სტილისტიკური ვარიაციითა და სოციოლინგვისტური გრძნობიერებით (პერკინზი 2007). ყველაფერი კიდევ უფრო რომ გავართუ-

ლოთ, სხვადასხვა ინდივიდის მიერ პრაგმატიკულად შეუფერებელი ქცევები შეიძლება ზედაპირულად მსგავსი მოგვეჩვენოს – და, მაშასადამე, ერთნაირად აღიწეროს და კატეგორიზდეს – მაშინ, როცა ძალიან განსხვავებული სიღრმისეული მიზეზები აქვთ.

შემდგომი გართულების ფაქტორია ის, რომ ქცევასა და სიღრმისეულ მიზეზს შორის შეიძლება სულაც არ არსებობდეს უშუალო დამოკიდებულება. მაგალითად, სიმონზ-მაკი და დამიკო (1996) აღწერენ, თუ როგორ განიხილავდნენ თანამოსაუბრეები აფაზიით დაავადებული ადამიანების მიერ ნეოლოგიზმების, სტერეოტიპული ფრაზებისა და სხვა ატიპური საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებას, როგორც ტვინის დაზიანებით (lesion) უშუალოდ გამოწვეულ სიმპტომებს, რომლებმაც აფაზია წარმოშვა. სინამდვილეში კი ისინი დისკურსის ისეთი ფუნქციების მისანიშნებლად გამოიყენებოდა, როგორებიცაა შემობრუნების ინიციატა (turn initiation) და შეწყვეტა (termination) – და, როგორც ჩანს, თანამოსაუბრეები არაცნობიერად ამოიცნობდნენ, როგორც ასეთს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი არაპირდაპირი შემოქმედებითი პრაგმატიკული გადაწყვეტა აღმოჩნდა აფაზიით გამოწვეული ენობრივი პრობლემებისა, და არა პირდაპირი შედეგი.

დასკვნის სახით, კლინიკურ პრაგმატიკაში ამჟამინდელი კვლევა გვთავაზობს, რომ პრაგმატიკული და დისკურსული დარღვევა რთული მოვლენაა, რომელთაც განსხვავებული და მრავალი მიზეზი აქვთ – როგორც წესი, მაკომპენსირებელ ადაპტაციას მოიცავს და ყველაზე უკეთ შეიძლება განვიხილოთ როგორც ინდივიდებში, ისე ერთმანეთთან მოსაუბრეებში ენობრივ და კოგნიტიურ დამუშავებას შორის ურთიერთქმედების მოულოდნელი წარმოქმნის შედეგად.

ბოლოდროინდელი, მიმდინარე და მომავალი ტენდენციები

მიუხედავად იმისა, რომ კლინიკური ლინგვისტიკის ფართო რუბრიკის (ჰეა-დინგ) ქვეშ არსებული სტატიები ჟურნალების ფართო სპექტრშია გამოქვეყნებული, დისციპლინის განვითარების ბოლოდროინდელი და მიმდინარე ტენდენციების გასაცნობად კარგი გზაა საბაზო ჟურნალში – „კლინიკური ლინგვისტიკა და ფონეტიკა“ (Clinical Linguistics and Phonetics (CLP)) – გამოქვეყნებული ნაშრომების განხილვა.

2002 წელს დევიდ კრისტალმა გამოაქვეყნა მოკლე მიმოხილვა ყველა სტატიისა, რომლებიც გამოქვეყნების პირველი თხუთმეტი წლის განმავლობაში CLP-ში გამოქვეყნდა (კრისტალი 2002). ამ თავისთვის ჩვენ მიმოვიხილეთ მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში, 2002 წლიდან 2008 წლამდე, გამოქვეყნებული სტატიები, იმავე კატეგორიებისა და ანალიტიკური მეთოდის გამოყენებით, რომელთაც კრისტალი იყენებს, რათა პირდაპირი შედარების შესაძლებლობა არსებობდეს. 1987-2001 წლებს მოვიხსენიებთ როგორც A პერიოდს, ხოლო 2002-2008 წლებს როგორც B პერიოდს. ერთ-ერთი ყველაზე თვალშისაცემი განვითარების მაუწყებელი არის გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობის ზრდა: წელიწადში საშუალოდ

ოცდაოთხი A პერიოდში, წელიწადში ორმოცდაშვიდთან შედარებით B პერიოდში. ეს ნაწილობრივ წელიწადში ნომრის გამოშვების რაოდენობის თანდათანობით ზრდის ანარეკლია (1987:2; 1988-96:4; 1997-99:6; 2000-05: 8; 2005-07:10; 2007-08:12) და კიდევ იმიტომ, რომ ამ ნომრების მეტი წილი ახლა უფრო მოკლე სტატიების შემცველ საკონფერენციო შრომებს ეთმობა. 8.1 ცხრილში სტატიები ჩაშლილია „ლინგვისტური თემების“ მიხედვით.

ცხრილი 8.1 „კლინიკურ ლინგვისტიკასა და ფონეტიკაში“ დაბეჭდილი სტატიები ენათმეცნიერული თემების მიხედვით

ენათმეცნიერული თემა	სტატიების % 1987-2001	სტატიების % 2002-2008
ფონეტიკა	38	43
ფონოლოგია	29	19
გრაფოლოგია	1	1
გრამატიკა	9	13
სემანტიკა	2	4
დისკურსი	8	6
პრაგმატიკა	2	7
სოციოლინგვისტიკა	1	2
ენობრივი თეორია	1	0
მეთოდოლოგია	7	4

დისციპლინის უპირატესი ყურადღება აშკარად ფონეტიკასა და ფონოლოგიას ეთმობა, რომლებიც მხოლოდ ოდნავ შემცირდა A და B პერიოდებს შორის, 67%-იდან 62%-ამდე, ხოლო ფონოლოგიიდან ფონეტიკამდე მოხდა მცირე გადაწევა, რაც, შესაძლოა, უფრო ფონეტიკაზე დამყარებული ფონოლოგიური მიდგომებისადმი მზარდ ინტერესს ასახავდეს. სხვა სფეროებში პროცენტული მონაცემები შედარებით მცირეა, მაგრამ პრაგმატიკის შესახებ სტატიების რაოდენობის შესამჩნევი ზრდაა, ხოლო გრამატიკისადმი მიძღვნილი სტატიების მცირედი მატებაა. სემანტიკა (რომელსაც კრისტალი [2002: 489] აღწერს როგორც „კლინიკური ლინგვისტიკის კონიკას“) შედარებით ნაკლებად შესწავლილი რჩება, რაც, ალბათ, გასაკვირია, თუ გავითვალისწინებთ ძლიერ ყურადღებას ლექსიკაზე აფაზიოლოგიურ კვლევაში.

უმთავრესი ყურადღება მეტყველებაზე კლინიკურ ლინგვისტიკაში დაარსების დღიდანვე აშკარაა. მაგალითად, ოთხმოცდაცხრა ფუძემდებლური სტატიის რეტროსპექტიული კრებულიდან დისციპლინაში (პაუელი და ბოლი 2010) ნახევარზე მეტი (55%) არის ფონეტიკაზე ან ფონოლოგიაზე. ფონეტიკისა და ფონოლოგიისადმი მიკერძოების თავიდან აცილება კლინიკური ლინგვისტიკის ბოლოდროინდელ ენციკლოპედიურ ცნობარშიც კი რთული აღმოჩნდა (ბოლი და სხვ. 2008), რომელშიც რედაქტორები შეგნებულად შეეცადნენ, თანაბრად მოეცვათ მთელი დისციპლინა. წიგნის 50% ეთმობა ფონეტიკასა და ფონოლოგიას, დანარჩენი კი

მთელ სინტაქსს, სემანტიკას, პრაგმატიკას, დისკურსსა და სოციოლინგვისტიკას. ეს, მნიშვნელოვანწილად, იმას მიეწერება, რომ კლინიკური ფონეტიკისა და ფონოლოგიის ამდენი აქტიური ქვესფერო არსებობს მაშინ, როდესაც სხვა სფეროები ნაკლებად კარგად არის გამოკვლეული.

A პერიოდიდან B-მდე მცირედ მოიმატა იმ სტატიების რაოდენობამ, რომლებშიც უმთავრესი ყურადღება ეთმობა სხვა ენებს, ინგლისურის გარდა (12%-იდან 15%-ამდე), რაც ასახავს მრავალენოვანი და კროსლინგვისტური ხასიათის საკითხების ჯანსაღ გაცნობიერებას. მიუხედავად ამისა, იმ სტატიებიდან, რომლებიც ან განვითარების, ან შეძენილი კომუნიკაციის დარღვევებს ეხება, ამ ორს შორის განაწილება იგივე რჩება (60/40 A პერიოდში და 61/39 B პერიოდში). ერთი საბოლოო თვალსაჩინო სტატისტიკა B პერიოდში (მაგრამ არა A პერიოდისთვის კრიტიკის გაანალიზებული) არის ის, რომ სტატიების 25% იყო ნორმალური და არა კლინიკური პოპულაციის კვლევები, რომლებიც, შესაძლოა, ასახავს ტიპური ენობრივი ქცევის უკეთესი დახასიათების ძლიერ საჭიროებას, რათა უკეთ გავიგოთ ატიპური ენობრივი ქცევები.

სავარაუდოდ, მომავლის გათვალისწინებით, კლინიკური ლინგვისტიკის არაერთი ქვესფერო წლების შემდეგ განსაკუთრებით აღმოჩნდება გავლენიანი.

სამუშაოები გენეტიკისა და ნეირომეცნიერების სფეროებში, რომელთაც ტვინის ვიზუალიზაციის ტექნოლოგიური მიღწევები უწყობს ხელს, ამჟამად ცვლის კომუნიკაციის განვითარების დარღვევათა ჩვენეულ გაგებას და იმას, თუ როგორ არის ენა წარმოდგენილი ტვინში.

ამასთან დაკავშირებულია მზარდი ინტერესი ყურადღების გამახვილებაზე ენობრივი და კოგნიტიური ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროს შორის არსებულ მაკავშირებელ რგოლებზე და არა მათ თავისებურებებზე იზოლირებულად – ე. ი. მათ შეკავშირებაზე (associations) და არა განცალკევებაზე (dissociations). კლინიკური პოპულაციების შესწავლის მონათესავე ზრდად სფეროს წარმოადგენს გზა, რომლითაც სალაპარაკო ენა ფუნქციონირებს მულტიმოდალური სასიგნალო სისტემის ინტეგრალურ კომპონენტად სხვა ისეთ კომპონენტებთან ერთად, როგორებიცაა: ჟესტი, პოზა და თვალის მზერა, და გადამწყვეტი როლი, რომელსაც თანამოსაუბრეები და სოციალური კონტექსტი ასრულებენ. შესწავლის კიდევ ერთი ზრდადი სფერო, რომელიც ხელს უწყობს ენის უნივერსალურ და კერძო თავისებურებებს შორის განსხვავების გაუმჯობესებას, არის გზა, რომლითაც კომუნიკაციური დარღვევები სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეთა მიხედვით განსხვავდება და როგორ შეიძლება ისინი განსხვავებულად გამოვლინდეს ერთზე მეტ ენაზე მოლაპარაკებებში. დაბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ დარღვეული ენის კორპუსები პაწაწინა რჩება იმასთან შედარებით, რაც ენათმეცნიერების სხვა სფეროებში ანალიზისთვისაა ხელმისაწვდომი, მათ აქვთ პოტენციალი, საკვანძო როლი შეასრულონ კომუნიკაციის დარღვევათა ჩვენეულ გაგებაში, როგორც ერთ ენაში, ისე ენებს შორის.

შეჯამება

კლინიკური ლინგვისტიკა, როგორც დისციპლინა, ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. კომუნიკაციის დარღვევათა ენობრივ და ფონეტიკურ მახასიათებლებზე, უპირველესად, ყურადღების გამახვილებისას მისი ტიპური თავისებურებაა დამუშავების (processing) ისეთი სხვა ურთიერთდაკავშირებული სფეროების გაცნობიერება, როგორებიცაა: ნევროლოგია, კოგნიცია და სოციალური ურთიერთქმედება. ეს თანდაყოლილი მულტიდისციპლინურობა აშკარაა გამოყენებული კვლევის მეთოდების მრავალფეროვნებაში, მათ შორის, არა მხოლოდ ენათმეცნიერებიდან, არამედ სოციალური და სამედიცინო მეცნიერებებიდან. იმის გამო, რომ ის პრაქტიკულად დაფუძნებულია კომუნიკაციის დარღვევების მქონე ინდივიდთა პრობლემების გაგებისა და დამუშავების აუცილებლობაზე, კლინიკური ლინგვისტიკა მიდრეკილი იყო, ნაკლებად გამოეყენებინა ისეთი სახის ვიწროდ ფოკუსირებული, უფრო იდეალურად ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც ენათმეცნიერების ძირითად მიმდინარეობებში გვხვდება, და მის ნაცვლად უფრო ფუნქციურად ორიენტირებული მიდგომებისთვის დაეჭირა მხარი, რომლებიც უკეთაა მორგებული კლინიკისათა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. თავისი მრავალი მიღწევიდან კლინიკურმა ლინგვისტიკამ ცხადყო, რომ შესაძლებელია ენობრივი სტრუქტურისა და მოხმარების (use) ჩვენებული გაგების გაუმჯობესება იმის გაცნობიერების გზით, თუ როგორ შეიძლება, რაღაც არასწორად წარიმართოს.

დაკავშირებული თემა

ნევროლინგვისტიკა

რეკომენდებული ლიტერატურა

ბოლი და სხვ. 2008: Ball, M. J., Perkins, M. R., Müller, N. and Howard, S. (eds) (2008) *Handbook of Clinical Linguistics*, Oxford: Blackwell (კლინიკური ლინგვისტიკის დღემდე ყველაზე ამომწურავი ზოგადი მიმოხილვა წამყვან მეცნიერთა ავტორიტეტული წვლილით ამ დარგში).

დამიკო და სხვ. 2010: Damico, J. S., Ball, M. J. and Müller, N. (eds) (2010) *The Handbook of Language and Speech Disorders*, Oxford: Wiley-Blackwell (კომუნიკაციურ დარღვევათა ამომწურავი დიაპაზონის ენათმეცნიერულად ინფორმირებული ზოგადი მიმოხილვა).

კრისტალი 1981: Crystal, D. (1981) *Clinical Linguistics*, London: Whurr (ხნოვნების მიუხედავად, ადვილად გასაგები და პრაქტიკაზე ორიენტირებული ენათმეცნიერების გამოყენების აღწერა მეტყველებისა და ენისა დარღვევის მიმართ).

პაუელი და ბოლი 2010: Powell, T. W. and Ball, M. J. (eds) (2010) *Clinical Linguistics: Critical Concepts in Linguistics*, London: Routledge (უმნიშვნელოვანესი კვლევითი სტატიების ყველაზე დიდი კრებული კლინიკურ ლინგვისტიკაში დაახლოებით ბოლო 50 წლის განმავლობაში).

პერკინზი და ჰაუარდი 1995: Perkins, M. R. and Howard, S. J. (eds) (1995) *Case Studies in Clinical Linguistics*, London: Whurr. (საკომუნიკაციო დრღვევათა ფართო დიაგნოზის ცალკეულ შემთხვევათა კვლევა აჩვენებს, თუ როგორ შეუძლია ენათმეცნიერულ ანალიზს, წვლილი შეიტანოს შეფასებაში, დიაგნოზსა და მკურნალობაში).

ლიტერატურა

- აბერთონი და ფურსენი 1997:** Abberton, E. and Fourcin, A. (1997) 'Electrolaryngography', in M. J. Ball and C. Code (eds) *Instrumental Clinical Phonetics*, London: Whurr.
- ბალტაქსე 1976:** Baltaxe, C. A. M. (1976) 'Clinical linguistics', *Sixth California Linguistics Association Conference Proceedings*, San Diego, CA: San Diego State University.
- ბერნჰარდტი და სტემბერგერი 1998:** Bernhardt, B. and Stemberger, J. (1998) *The Handbook of Phonological Development*, New York: Academic Press.
- ბლეკი და ჩიატი 2008:** Black, M. and Chiat, S. (2008) 'Interfaces between cognition, semantics and syntax', in M. J. Ball, M. R. Perkins, N. Müller and S. Howard (eds) *Handbook of Clinical Linguistics*, Oxford: Blackwell.
- ბოლი 2008:** Ball, M. J., Perkins, M. R., Müller, N. and Howard, S. (eds) (2008) *Handbook of Clinical Linguistics*, Oxford: Blackwell.
- ბოლი და კენტი 1987:** Ball, M. J. and Kent, R. D. (1987) 'Editorial', *Clinical Linguistics and Phonetics* 1: 1-5.
- ბოლი და სხვ. 2011:** Ball, M. J., Crystal, D. and Fletcher, P. (eds) (2011) *Assessing Grammar: The Languages of LARSP*, Abingdon: Multilingual Matters.
- ჩენგი და სხვ. 2007:** Cheng, H. Y., Murdoch, B. E., Goozee, J. V. and Scott, D. (2007) 'Physiologic development of tongue-jaw coordination from childhood to adulthood', *Journal of Speech, Language, and Hearing Research* 50: 352.
- დაკუორთი და სხვ. 1990:** Duckworth, M., Allen, G., Hardcastle, W. and Ball, M. (1990) 'Extensions to the international phonetic alphabet', *Clinical Linguistics and Phonetics* 4: 273-83.
- დოდი 2005:** Dodd, B. (2005) *The Differential Diagnosis and Treatment of Children with Speech Disorders*, London: Whurr.
- ელდრიჯი 1967:** Eldridge, M. (1967) *A History of the Treatment of Speech Disorders*, Edinburgh: Livingstone.
- ფილიფსი და სხვ. 2004:** Phillips, C. E., Jarrold, C., Baddeley, A. D., Grant, J. and Karmiloff-Smith, A. (2004) 'Comprehension of spatial language terms in Williams syndrome: evidence for an interaction between domains of strength and weakness', *Cortex* 40: 85-101.
- ფონეტიკის საერთაშორისო ასოციაცია 1999:** International Phonetic Association (1999) *Handbook of the International Phonetic Association: A Guide to the Use of the International Phonetic Alphabet*, Cambridge: Cambridge University Press.
- გერუტი და მორისეტი 2005:** Gierut, J. and Morrisette, M. (2005) 'The clinical significance of optimality theory for phonological disorders', *Topics in Language Disorders* 25: 266-80.
- გიბონი 2008:** Gibbon, F. E. (2008) 'Instrumental analysis of articulation', in M. J. Ball, M. R. Perkins, N. Müller and S. Howard (eds) *The Handbook of Clinical Linguistics*, Oxford: Blackwell.

- გრანუელი 1981:** Grunwell, P. (1981) *The Nature of Phonological Disability in Children*, London: Academic Press.
- გროძინსკი 2000:** Grodzinsky, Y. (2000) 'The neurology of syntax: language use without Broca's area', *Behavioral and Brain Sciences* 23: 1-71.
- ჰაუარდი 1993:** Howard, S. J. (1993) 'Articulatory constraints on a phonological system: a case study of cleft palate speech', *Clinical Linguistics and Phonetics* 7: 299-317.
- ჰაუარდი 1994:** Howard, S. J. (1994) 'Spontaneous phonetic reorganisation following articulation therapy: an electropalatographic study', in R. Aulanko and A. M. Korpi-jaakko-Huuhka (eds) *Proceedings of the 3rd Congress of the International Clinical Phonetics and Linguistics Association*, 1993, Helsinki, Department of Phonetics, University of Helsinki.
- ჰაუარდი 2007:** Howard, S. J. (2007) 'The interplay between articulation and prosody in children with impaired speech: observations from electropalatographic and perceptual analysis', *Advances in Speech-Language Pathology* 9: 20-35.
- ჰაუარდი და ჰესელვუდი 2002:** Howard, S. J. and Heselwood, B. C. (2002) 'Learning and teaching phonetic transcription for clinical purposes', *Clinical Linguistics and Phonetics* 16: 371-401.
- ჰოდსონი და ჯარდინი 2009:** Hodson, S. and Jardine, B. (2009) 'Revisiting Jarrod: application of gestural phonological theory to the assessment and remediation of speech sound disorder', *International Journal of Speech-Language Pathology* 11: 122-34.
- იაკობსონი 1941:** Jakobson, R. (1941) *Kindersprache, Aphasie und allgemeine Lautgesetze*, Uppsala, Sweden: Almqvist and Wiksell.
- იაკობსონი 1968:** Jakobson, R. (1968) *Child Language, Aphasia and Phonological Universals*, The Hague: Mouton.
- ინგრამი 1976:** Ingram, D. (1976) *Phonological Disability in Children*, London: Edward Arnold.
- კარამაჯა 2000:** Caramazza, A. (2000) 'The organization of conceptual knowledge in the brain', in M. S. Gazzaniga (ed.) *The New Cognitive Neurosciences*, 2nd edn, Cambridge, MA: MIT Press.
- კარმილოვ-სმიტი 1998:** Karmiloff-Smith, A. (1998) 'Development itself is the key to understanding developmental disorders', *Trends in Cognitive Sciences* 2: 389-98.
- კარმილოვ-სმიტი და სხვ. 1997:** Karmiloff-Smith, A., Grant, J., Berthoud, I., Davies, M., Howlin, P. and Udwin, O. (1997) 'Language and Williams syndrome: how intact is "intact"?', *Child Development* 68: 246-62.
- კენტი 2003:** Kent, R. (ed.) (2003) *MIT Encyclopedia of Communication Disorders*, Cambridge, MA: MIT Press.
- კლასენი 2008:** Clahsen, H. (2008) 'Chomskyan syntactic theory and language disorders', in M. J. Ball, M.R. Perkins, N. Müller and S. Howard (eds) *Handbook of Clinical Linguistics*, Oxford: Blackwell.
- კრისტალი 1980:** Crystal, D. (1980) *Introduction to Language Pathology*, London: Edward Arnold.
- კრისტალი 1981:** Crystal, D. (1981) *Clinical Linguistics*, London: Whurr.
- კრისტალი 1982:** Crystal, D. (1982) *Profiling Linguistic Disability*, London: Edward Arnold.

- კრისტალი 2002:** Crystal, D. (2002) 'Clinical Linguistics and Phonetics' first 15 years: an introductory comment', *Clinical Linguistics and Phonetics* 16: 487-9.
- კრისტალი და სხვ. 1976:** Crystal, D., Fletcher, P. and Garman, M. (1976) *Grammatical Analysis of Language Disability*, London: Arnold.
- კუჩიარინი 1996:** Cucchiari, C. (1996) 'Assessing transcription agreement: methodological aspects', *Clinical Linguistics and Phonetics* 10: 131-56.
- კვირკის მოხსენება 1972:** Quirk Report (1972) *Speech Therapy Services*, London: HMSO.
- ლენარდი 1998:** Leonard, L. B. (1998) *Children with Specific Language Impairments*, Cambridge, MA: MIT Press.
- მაკუინი 2000:** MacWhinney, B. (2000) *The CHILDES Project: Tools for Analyzing Talk*, 3rd edn, vol. 2: *The Database*, Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum Associates.
- მასკეტი და სხვ. 2010:** Muskett, T., Perkins, M. R., Clegg, J. and Body, R. (2010) 'Inflexibility as an interactional phenomenon: using conversation analysis to re-examine a symptom of autism', *Clinical Linguistics and Phonetics* 19: 379-92.
- მიულერი 2006:** Müller, N. (ed.) (2006) *Multilayered Transcription*, San Diego, CA: Plural Publishing.
- მონაკო 2007:** Monaco, A. P. (2007) 'Multivariate linkage analysis of specific language impairment (SLI)', *Annals of Human Genetics* 71: 660-73.
- პაუელი და ბოლი 2010:** Powell, T. W. and Ball, M. J. (eds) (2010) *Clinical Linguistics: Critical Concepts in Linguistics*, London: Routledge.
- პერკინზი 2007:** Perkins, M. R. (2007) *Pragmatic Impairment*, Cambridge: Cambridge University Press.
- პერკინზი 2008:** Perkins, M. R. (2008) 'Pragmatic impairment as an emergent phenomenon', in M. J. Ball, M. R. Perkins, N. Müller and S. Howard (eds) *Handbook of Clinical Linguistics*, Oxford: Blackwell.
- პერკინზი და ჰაუარდი 1995:** Perkins, M. R. and Howard, S. J. (eds) (1995) *Case Studies in Clinical Linguistics*, London: Whurr.
- პერკინზი და სხვ. 1995:** Perkins, M. R., Body, R. and Parker, M. (1995) 'Closed head injury: assessment and remediation of topic bias and repetitiveness', in M. R. Perkins and S. J. Howard (eds) *Case Studies in Clinical Linguistics*, London: Whurr.
- პერკინზი და ვარლი 1996:** Perkins, M. R. and Varley, R. (1996) *A Machine-Readable Corpus of Aphasic Discourse*, University of Sheffield, Department of Human Communication Sciences/Institute for Language, Speech and Hearing (ILASH).
- პინკერი 1999:** Pinker, S. (1999) *Words and Rules: The Ingredients of Language*, London: Weidenfeld and Nicolson.
- რაისი და სხვ. 1995:** Rice, M. L., Wexler, K. and Cleave, P. (1995) 'Specific language impairment as a period of extended optional infinitive', *Journal of Speech and Hearing Research* 38: 850-63.
- შეგლოფი 2003:** Schegloff, E. A. (2003) 'Conversation analysis and communication disorders', in C. Goodwin (ed.) *Conversation and Brain Damage*, New York: Oxford University Press.
- სიმონზ-მაკი და დამიკო 1996:** Simmons-Mackie, N. and Damico, J. (1996) 'The contribution of discourse markers to communicative competence in aphasia', *American Journal of Speech-Language Pathology* 5: 37-43.

- სკრიფტური 1923:** Scripture, E. W. (1923) *Stuttering, Lispings and Correction of the Speech of the Deaf*, New York: Macmillan.
- სოსა და ბაიბი 2008:** Sosa, A. V. and Bybee, J. (2008) 'A cognitive approach to clinical phonology', in M. J. Ball, M. R. Perkins, N. Müller and S. Howard (eds) *The Handbook of Clinical Phonetics*, Oxford: Blackwell.
- შრიბერგი და სხვ. 1984:** Shriberg, L. D., Kwiatkowski, J. and Hoffman, K. (1984) 'A procedure for phonetic transcription by consensus', *Journal of Speech and Hearing Research* 27: 456-65.
- შტემერი 2008:** Stemmer, B. (2008) 'Neuropragmatics', in M. J. Ball, M. R. Perkins, N. Müller and S. Howard (eds) *Handbook of Clinical Linguistics*, Oxford: Blackwell.
- სტოიანოვიკი და სხვ. 2006:** Stojanovik, V., Perkins, M. R. and Howard, S. (2006) 'Linguistic heterogeneity in Williams syndrome', *Clinical Linguistics and Phonetics* 20: 547-52.
- ტალალი და პირსი 1973:** Tallal, P. and Piercy, M. (1973) 'Developmental aphasia: impaired rate of non-verbal processing as a function of sensory modality', *Neuropsychologia* 12: 83-93.
- უაიტჰილი და ლი 2008:** Whitehill, T. L. and Lee, A. (2008) 'Instrumental analysis of resonance in speech impairment', in M. J. Ball, M. R. Perkins, N. Müller and S. Howard (eds) *The Handbook of Clinical Linguistics*, Oxford: Blackwell.
- უილკინსონი 2008:** Wilkinson, R. (2008) 'Conversation analysis and communication disorders', in M. J. Ball, M. R. Perkins, N. Müller and S. Howard (eds) *Handbook of Clinical Linguistics*, Oxford: Blackwell.
- ულმანი და პიერპონტი 2005:** Ullman, M. T. and Pierpont, E. I. (2005) 'Specific language impairment is not specific to language: the procedural deficit hypothesis', *Cortex* 41: 399-433.
- ვაისმერი და სხვ. 1981:** Weismer, G., Dinnsen, D. and Elbert, M. (1981) 'A study of the voicing distinction associated with omitted, word-final stops', *Journal of Speech and Hearing Disorders* 46: 320-7.
- ვან ლანკერი 2001:** van Lancker, D. (2001) 'Is your syntactic component really necessary?' *Aphasiology* 15: 343-60.

თარგმნა ზურაბ ბარათაშვილმა

თარგმანი იბეჭდება ივანე ლეჟავას რედაქციით

რეცენზიები

რუსუდან ასათიანი, ქართული როგორც მეორე ენა, სახელმძღვანელო, მეორე, გადამუშავებული გამოცემა, (1996), ISBN: 978-9941-8-5554-2, საზოგადოებრივი გამოცემლობა „სა.გა.“, თბილისი 2023, 240 გვ.

რუსუდან ასათიანი უცხოელთათვის განკუთვნილი ქართული ენის სახელმძღვანელოს მეორე, გადამუშავებული ვარიანტის წინასიტყვაობაში მკითხველს ქართულ და ინგლისურ ენებზე აწვდის მოკლე ინფორმაციას ქართული და ქართველური ენების გენეტიკის, გეოგრაფიის, სამწერლობო სისტემის, ლიტერატურისა და ენობრივი სისტემის სპეციფიკურობის შესახებ.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ სახელმძღვანელო მოხმარების თვალსაზრისით სტრუქტურირებულია უნაკლოდ: შემოკლებათა სიას მოსდევს ქართული ასოების დაწერილობისა და მათი წარმოთქმის წესები, წერისა და კითხვის გაკვეთილები, გამდიდრებული თ. ხვადაგიანის გონებამახვილური ილუსტრაციებით. საერთოდ, მთლიანი სახელმძღვანელო გახსენებს ჩ. ე. ეკერსლის ცნობილ, ყველასთვის საყვარელ სასწავლო წიგნების კრებულს (Ch. E. Eckersley, Essential English for Foreign Students, I, II, III, IV), რომლებზეც არაერთი თაობა აღიზარდა ჩვენთანაც და სხვა ქვეყნებშიც, და რომლებმაც შეასწავლა და შეაყვარა ინგლისური ენა.

ყოველი გაკვეთილი ბოლოვდება საინტერესო და სასარგებლო სავარჯიშოებით, რაც ახალისებს სწავლის რუტინას, ადვილად დასაძლევს ხდის სწავლის პროცესს. თემების სათაურების ჩამოთვლაც კი წარმოდგენას გვიქმნის ავტორის გზასა და მეთოდზე, რომლებსაც მკითხველი თანდათანობით შეჰყავს ქართული ენის ლექსიკის წიაღში და გამარტივებული ხერხებით უხსნის გრამატიკის რთულ წესებს: გაცნობა, მისამართი, ოჯახი, გარეგნობა, ფერები, მგზავრობა, დღის განრიგი, საათი, ავადმყოფობა და სხვ. შეიძლება ვინმემ იფიქროს, ქართული ენის სასწავლო სხვა სახელმძღვანელოებიც ხომ ამავე თემებზეა აგებულიო, მაგრამ თუ გაეცნობით რუსუდან ასათიანის წიგნს, დარწმუნდებით, რომ, მიდგომის თვალსაზრისით, არსებითად განსხვავდება დღემდე არსებული სხვა სახელმძღვანელოებისგან. გემოვნებით შერჩეული თემატიკის შესაფერისი ქართული ფოლკლორის მარგალიტები, კლასიკოსი და თანამედროვე ავტორების ლექსები და მოთხრობები ასწავლის მკითხველს არა მარტო ენობრივი სისტემის პარადიგმებს, არამედ აცნობს და აყვარებს ქართულ კულტურას, საქართველოს.

სახელმძღვანელო ბოლოვდება ქართული ენის გრამატიკის მოკლე კურსით, რომელიც, ზაზგასმით მინდა აღვნიშნო, ნათლად წარმოაჩენს რუსუდან ასათიანის შემოქმედების სტილს – მოკლედ, კონკრეტულად, გასაგებად გადმოსცეს აზრი. ასე რომ, ქართული ენის (და არამართო) შესწავლით დაინტერესებულ მკითხველს ეულოცავ ამ მშვენიერი სახელმძღვანელოს გამოსვლას და დარწმუნებული ვარ, არაერთხელ გახდება საჭირო მისი ხელახლა გამოცემა.

მარინე ივანიშვილი

ანტუან მეიე, წერილები ტიფლისიდან და სომხეთიდან, წიგნი ფრანგულიდან თარგმნა ნანა მირაშვილმა, წინათქმა და რედაქტირება მარინე ივანიშვილისა, ISBN: 978-9941-8-9762-8-5, გამომცემლობა „აკადემიური წიგნი“, თბილისი 2023, 169 გვ.

დიდი ფრანგი ენათმეცნიერი ანტუან მეიე (1866-1936), ფერდინანდ დე სოსიურის, მიშელ ბრეალის, ლუი ავესა და სხვათა ღირსეული მოწაფე, ისტორიულ-შედარებითი გრამატიკისა და სოციოლინგვისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების მუდმივი ხელმძღვანელი და მისი ბიულეტენის რედაქტორი, ცნობილი არმენოლოგი, სლავისტი, ავტორი უმნიშვნელოვანესი შრომებისა ზოგად ენათმეცნიერებაში, გამოკვლევებისა გერმანიკულ, ლათინურ, ძველ სპარსულ, ტოქარულ ენათა სისტემების შესახებ 1891 წლის 29 აპრილიდან 3 აგვისტომდე იმყოფებოდა საქართველოსა და სომხეთში. ა. მეიეს წერილებს ტიფლისიდან და სომხეთიდან თავი მოუყარა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო და 1987 წელს კენაში გამოაქვეყნა ჟენევის უნივერსიტეტის მკვლევარმა მარტიროს მინასიანმა (Antoine Meillet, Lettres De Tiflis Et D'Arménie, Du 29 avril au 3 août 1891, Présentées, annotées et publiées par Martiros Minassian, Chargé de recherche à l'Université de Genève, Vienne 1987).

ანტუან მეიეს საქართველოსა და შემდეგ სომხეთში ჩასვლის მიზანი ძველი და ახალი სომხურის შესწავლა და ერმიადინის ბიბლიოთეკაში ხელნაწერებზე მუშაობა იყო.

ა. მეიეს წერილები, ფაქტობრივად, დღიურებია, საიდანაც დაინტერესებული მკითხველი გაიგებს მრავალ საგულისხმო ფაქტს XIX საუკუნის ბოლოს კავკასიის, კერძოდ, თბილისისა და ერევნის სოციალური, პოლიტიკური, კულტურული ყოფის, ადამიანთა ურთიერთობის, ტრადიციებისა და სხვ. შესახებ.

ანა ჩუტკერაშვილი

გიორგი ლომთათიძე, გამდიდრებისათვის ქართულისა ჩემისა, შემდგენელი გურამ ბედოშვილი, რედაქტორები: გუჩა კვარაცხელია, ოთარ ლორთქიფანიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, „ქართული ენა“, თბილისი 1999, 140 გვ.

გამომცემლობა „ქართულმა ენამ“ გამოსცა არქეოლოგ გიორგი ლომთათიძის საყურადღებო ნაშრომი სათაურით „გამდიდრებისათვის ქართულისა ჩემისა“. ამ სათაურის უკან დგას ქართული ენის მოჭირნახულე მკვლევარი, რომელიც ფრიად ორიგინალური დაკვირვებებით გვმოდვრავს და ყველას ენის სიყვარულისკენ მოგვიწოდებს. თავის დროზე ზემოხსენებული მასალა ნაშრომის სახით შეადგინა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ონომასტიკური ლაბორატორიის გამგემ, პროფესორმა გურამ ბედოშვილმა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩანაწერებში კარგად ჩანს მკვლევრის დიდი სიყვარული თავისი მშობლიური ცხინვალქალაქისადმი, სადაც დაიბადა და ბავშვობის

დაუვიწყარი წლები გაატარა. ეს ადგილია პატარა ბაზრის გვერდით სახლი, რომელიც ამჟამად სეპარატისტების მიერ არის ოკუპირებული.

ნაშრომის გაცნობისთანავე ხვდებით, რომ დიდი შთაბეჭდილების ქვეშ ექცევით, გრძნობთ, რომ ავტორი ფრიად ორიგინალურად მსჯელობს მშობლიური ენის ბევრ საკითხზე და თქვენც მისი თანამოზიარე ხდებით. ავტორი გვთავაზობს თანამედროვე ქართული ენის ფაქტებს, რომლებიც ადვილად არის მისაწვდომი შესწავლისათვის, ოღონდ უნდა გაითვალისწინოთ, რომ ის არქეოლოგიური და ისტორიული ფაქტებით არის შეჯერებული. რეალურ ურთიერთკავშირს ის მოახერხებს, ვინც ქართულ ენას პრაქტიკულად ფლობს. სწორედ ეს ძალუძს მკვლევარს, რომ ახსნას ამა თუ იმ სიტყვის ეტიმოლოგია, სხვა ლექსიკურ ერთეულთან კავშირით.

მეცნიერის ჩანაწერებში მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენი მხარე ფეხით შემოუვლია. დავლილი აქვს ცხინვალი, დიდი და პატარა ლიახვის ხეობები, გვერდისძირის სოფლები და სრული სიზუსტით გვაძლევს ჩვენთვის საინტერესო მასალას.

იგი აჯგუფებს დიალექტურ, ტოპონიმურ სიტყვებს, მათ შორის პრესიდან ამოწერილს. აქ ორი მომენტი, ერთი, როდესაც ჩაწერილ მასალას აქვს შემეცნებითი ღირებულება და მეორე, როდესაც ეს მასალა უნდა იქნეს კიდევ შესწავლილი და შეუპირისპირდეს სხვადასხვა კუთხის ანალოგიურ მონაცემს.

რაჭაში არის ჩაწერილი სიტყვა „წამოვსევიყო“, ხოლო ქართლის სოფელ დისევში ისეთი ერთეულები, როგორებიცაა: „ჰოლდე“, „დალიდე“, „შენახული მააქ“, „იმითანადა“ და სხვ. საერთო ნორმიდან გადახვევა ჩანს ყველა ერთეულში და ავტორი სიამაყეს განიცდის, ეძებს დიალექტურ სიტყვებს, მათ ფონეტიკურ-გრამატიკულ თვისებებს და შესაძლებლად მიაჩნია, რომ საყოველთაო გავრცელებისათვის მათი დროც დადგება.

ბატონ გიორგის (გვ. 101) ნიშანდობლივ გარემოებად მიაჩნია „რეხ“ ფუძის შემცველი ტოპონიმიკური ერთეულების არსებობა ქართულ ტოპონიმიკაში, ასეთეზია: წინარეხი, გუდარეხი, რეხი (გორის სიახლოვეს). იგი სამართლიანად შენიშნავს, რომ მდინარე „ლესურა“ კი არა, ის „რესულააო“.

დღევანდელ ეტაპზე, მართალია, ზოგი სიტყვის ეტიმოლოგიზება ეჭვს არ იწვევს, მაგრამ, ეთნოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, სეხნია ტოპონიმიზის ან ჰიდრონიმიზის დაჯგუფება მოგვცემს სათანადო კულტურული წრის სურათს.

ტოპონიმი „რეხი“ მთაში პატარა ლიახვის მარცხენა მხარეს, მთიან ადგილს ეწოდება, იგი დღეს ნასოფლარია. სოფელი დატანილია ივანე ჯავახიშვილის მიერ 1923 წელს შედგენილ რუკაზე. მოხუცი აბელ ნუკრადის (ცხოვრობდა სოფელ ქსუისში) თქმით, წინაპრები იქ ცხოვრობდნენ, „რეხის მთაც“ მათი საქონლის საძოვარი იყო. მისივე ჩაწერილი მასალებით ირკვევა, რომ „რეხი“ პატარა, მაგრამ დაუდგრომელ ღელეს ჰქვია, რომელიც ადიდებისას ირგვლივ ყველაფერს ანგრევდა.

ბატონი გიორგი საინტერესო დაკვირვებებს გვთავაზობს შემდეგ ტოპონიმებზე: ქსანი – უნდა უკავშირდებოდეს ჩრდილო კავკასიის ბაქსანს, ბრუტი – ბრუტსაბძელს, კოდი – წყაროს, ვანი – ვანათს, ანუ დავანებას, სავანეს და სხვ.

მეცნიერს არაერთი საყურადღებო ჩანაწერი აქვს ქართულ გვარებზე, მისი შედარებები და დაკვირვებები ფასეულია და სამომავლო კვლევისათვის პერსპექტიუ-

ლი. ანთროპონიმი – მემფვილდიშვილი, რომელიც დღეს ფონეტიკური გავლენით შეცვლილია და გვხვდება როგორც მეშვილდიშვილი და ცხინვალში ლოკალიზდება. ამ გვარის ხალხი პატარა ლიახვის ხეობის სოფელ გერში ცხოვრობდნენ და იქ დარჩენილი ტოპონიმიც ამისი დასტურია. ანთროპონიმი „ჯირკველიშვილი“ XVIII საუკუნის დიდი ლიახვის ხეობის დავთარში სოფელ სვერშია ლოკალიზებული და დღეს საერთოდ აღარ გვხვდება რეგიონში, მაგრამ დარჩენილია ტოპონიმი „ჯირკვალიენთი“, რომელიც სოფელ სვერის ჩრდილოეთით ერთი კილომეტრის მოშორებით სახნავ-საძოვარს ეწოდება. არის ნასახლარებიც.

წიგნის 119-ე გვერდზე საერთო სათაურით – „სხვა ქვეყნიდან თუ საქართველოსაკენ სხვა კუთხიდან მოსულთა შთამომავალნი“, რამდენიმე გვარი გვხვდება, ხოლო ზოგი მათგანი ჩვენს რეგიონშიც დასტურდება. მკვლევარს მახვილგონივრულად აქვს შენიშნული, რომ დვალი, დვალიშვილი, რომლებიც ცხინვალის რაიონის სოფელ დვალიანთკარში ცხოვრობენ, დვალეთიდან არიან მიგრირებული, ხოლო გვარი მანაბელი ანაბეთიდან არის ნაწარმოები. გვარი ფავლენიშვილი, რომელიც ძველი დროიდან ნიქოზში გვხვდებოდა, შემდეგ ერედვში არის გადასული, ისინი დიდი მამულების მფლობელები იყვნენ. საერთოდ კი სოფელ ფავნისიდან არიან, რაც ავტორს არც გამოორჩენია. ყოველივე ამაზე არსებობს ანტონ კათალიკოსის საბუთი. ჩანს, რომ ბატონი გიორგი მას იცნობდა.

ქემერტელიძე – ეს გვარი წარჩინებული ჩანს სოფელ ქემერტში XVII-XVIII საუკუნეებში და მათ სოფელში სასახლეს კი ჰქონიათ. ჩანაწერებში ეს გვარი გვხვდება, მაგრამ კომენტარების გარეშე. XVIII საუკუნის ბოლოს ეს გვარი იმერეთის სოფელ მერჯევში გადასახლდა, მათი მამული ებოძათ დვალეთიდან მიგრირებულ კასრაძეთა ერთ შტოს. თვით კასრაძეთა შესახებ კი მკვლევარი მიუთითებს, რომ ისინი კასრისკარიდან არიან ლიახვის ხეობაში მოსულები.

ეს ჩანაწერები, რომლებიც შესრულებულია გზაში, ავტობუსით ან ფეხით მგზავრობის დროს, დასაბუჯდად გამზადებული მასალა არ არის, მაგრამ აქ ძალიან ბევრი საყურადღებო დაკვირვებაა წარმოდგენილი ქართული სიტყვის აგებულების საკითხებზე, როგორც აღენიშნეთ, ძირითადად, ეტიმოლოგიური ხასიათის დაკვირვებისა.

არის ჯგუფი, სადაც კომპოზიციის მეორე კომპონენტად არის სიტყვა „წყარო“ – კოდისწყარო, ცხრაწყარო, წინწყარო, დედოფლისწყარო, ასმათწყარო, გვერდისწყარო და სხვ., ავტორი გვთავაზობს, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი შესწავლა ხეობების, სოფლების მიხედვით, რათა გამოვლინდეს ამ ჰიდრონიმის როგორც დარქმევის საფუძველი, ისე წარმოშობის ისტორია.

წარმოდგენილია გვარების ერთი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის ფუძე ბერ- (ბერი, როგორც ძველ ქართულ ენაში საკუთარი სახელი, ასევე გვარები): ბერიძე, ბერიძიაშვილი, ლოსაბერიძე, ლოლობერიძე, გოგბერიძე, გოგბერიძე, ბერიანიძე; სხვა მხარეებიდან მოსული გვარები, რომელთა ფუძეში ჩარჩენილია ძირი, სადაც ქართველობა სახლობდა, ასეთებია: ლაზიშვილი, მესხიშვილი, აჭარაძე, გურული, თუშიშვილი, ჩერქეზიშვილი, ჩერქეზია, ლეკიშვილი, კაკკასიძე, ჭანიშვილი, თურქია, დვალი, რაჭველიშვილი, სვანიშვილი, იმერელი, დვალიშვილი, მაჩხა-

ნელი, ოცხელი, წერეთელი; ტოტემისტური (ცხოველთა და მცენარეთა სახელწოდებისაგან ნაწარმოები გვარები: ხარაძე, ლომაძე, ფოცხვერაშვილი, ქურციკიძე, ქორიძე, ბზიკაძე, ფუტყარაძე, კაკაბაძე, ქათამაძე, წეროძე, ტყემალაძე, ნიორაძე, მუხაძე, რცხილაძე, მსხალაძე და ბევრი სხვა.

აღნიშნულ კრებულში შეტანილია ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ნიმუშები, დიალოგები, დიალექტოლოგიის ფაქტები. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ავტორის მიერ ჩაწერილი მასალა არსად გასწორებული არ არის. მაგალითად, ქართლური, გურული, იმერული, რაჭული, როგორც გაიგონა ავტორმა, იმავე სახით არის ჩაწერილი, რაც დიალექტოლოგიისათვის ძვირფასი ფაქტია.

მასალის შევსებისას გიორგი ლომთათიძეს დაცული აქვს სრული სიზუსტე, სიტყვას მოსდევს ვრცელი განმარტება, ფრაზა, რაც დამაჯერებელს ხდის განმარტებას. განმარტებაში მთქმელის თავისებურებები ყოველთვის დაცულია. მაგალითად, რაჭული ლექსიკონის ფრაზეოლოგიური მასალა, რამდენიმე ნიმუში:

„მელული – ძნის გაღეწვის დროს მერე ამ ნიჩაბით ანიავებენ, ოღონდ მელული ფიწალი არ არის, ის არის ოთხი თითი აქვს ამოჭრილი.

მუწუხი – როდესაც მუშაობა გაჩაღდება ამ მოვლენას ეს სიტყვა გამოხატავს.

სიპა – არის ვაკე ადგილი, რომელიც ცხენს აქვს თემოზე.

ამ ხაჭაპურში ყველს გზად გაუვლია – ყველი ცოტა აქვს.

ქართლური: ერთი წყლის ხალხი ვართ, ერთი ხეობის მცხოვრებნი – ეგენი დიდი ლიახვის ხალხნი არიან.

წიაღიანი ფქვილი: ისეთი ფქვილია, რომლისგანაც მოზეოლი ცომი კარგად იწელება.

ავდარი: წვიმა-წყალი, როცა ქარაშოტის დროს ავდარი გადმოვიდა ფანჯრიდან, გადმოვჯექით აქეთა.

მთაბარობს: ნიშნავს, რომ ხან ბარშია და ხან მთაში, ცხვარი მთაბარობს, ისე ორაგული მთაბარობს.

იმერული: დღისულ – ნიშნავს დღისით შევიდნენ სოფელში.

ბომბიერა: კარგად რომ ისხამს, იმისთანა ვენახი არ მინახავს.“

დიალექტოლოგიური მასალის ჩაწერისას ავტორი ყურადღებას აქცევდა იმას, რომ მას შეძლებოდა გარკვეული ჩვენების მოცემა, ესაა, პირველ ყოვლისა, მოსახლეობის ადგილმონაცვლეობის საკითხები. მაგალითად მოყვანილია ასეთი ფაქტი: ჭერათხევის სოფლებში – ფლევში, წაღვლში, ტკოცაში, ფცაში, ატოცში თითქმის ყველა გადმოსახლებულია ზემო იმერეთიდან, ზოგი რაჭიდან, რაც ასევე დაფიქსირებულია ბევრ ისტორიულ დოკუმენტში, მეფეთა, თავადთა, სასულიერო პირთა სიგელ-გუჯრებში, რის შესახებაც მომავალში კვლევა უნდა გაგრძელდეს.

გიორგი ლომთათიძის დამოკიდებულება ქართული სალიტერატურო ენისადმი მისაბამია, მისი დაუღალავი ქომაგი და ერთგული დამცველი იყო. ის ყველას, ვინც გადაუხვევდა ენის ნორმებს და ამახინჯებდა, პირუთვნელად, მკაცრად, თან დიდი ზომიერებითა და ტაქტით მიუთითებდა.

გიორგი ლომთათიძის დედა სოფელ დისევიდან იყო, გვარად ოქროპირიძე. ამიტომ ის კარგად იცნობდა ამ სოფელს და სხვა ადგილებსაც. მის ჩანაწერებში,

ბუნებრივია, ჩანს იქაური მეტყველების ნიმუშები, რომლებიც მის კრებულშია მოთავსებული. მოვიყვანო რამდენიმეს:

- ეხლა ივანე მახარობელში ვაართ სასახლეს უმზადებთ ძალოსა.
- სამხართუკან წამოვიდნენ ისინი ჯერ არაა სამხრობაი.
- სანდრა მოიტა ეი წყალი ჩამაცეცხლე.
- ალალი იყო ძალუაზედ რაც რო მოუხადილა.
- მეე გენაცვალე შეპერანგებული ვაარ, მარა ჭკუა არ დამკარგვია.
- გარეგნობა კარქი გვქონდა ოქროპირიძეებსა, გაუმარჯოს იმ გარეგნობასა.
- ერთი ერედვი იყო და მეორე დისევი ამისთანა ღონიერი გლეხობა არსად ყოფილა.

ატენური მეტყველება:

- მეე საურ ნიკოს დედა ვაარ.
- კურკამძვრალაა ჭანჭურის ჯიშია.
- საყდრის დღებასა უნდა მახვიდეთ და ნახოთ ლუდობაი (ლუდი).
- ჰოო ცოტა მოთავისე ადამიანია განა?
- ნეტა გარდიგარდმო არა ლაპარაკობდე რო დადისარ გაზმორებული.

როგორც ქალბატონი ნუნუ ოქროპირიძე მოგვითხრობს, გიორგიმ დიდი რუღუნებით შეადგინა „გეოლოგიის ტერმინოლოგია“, რომელიც 1944 წელს გამოცა. ეს ტერმინოლოგია დღემდე ერთადერთია გეოლოგიასა და მის მონათესავე და მოსაზღვრე სამეცნიერო დისციპლინებში, მასზე იზრდებიან ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. გიორგი ქართული ენის ტრფიალი იყო, სალიტერატურო ენის საფუძვლიანი მცოდნე. მისი ცოდნა მშვენივრად გამოჩნდა ზემოხსენებულ ნაშრომში. იგი მუდამ იჩენდა ქართული ენისადმი პატივისცემას, იყო არქეოლოგი, ისტორიკოსი, მაგრამ ქართული იცოდა როგორც სპეციალისტმა, რომელიც ენის ცოდნას ავლენდა მუდამ სამეცნიერო ნაშრომებში.

გიორგი ლომთათიძის „გამდიდრებისათვის ქართულისა ჩემისა“ დიდ საფიქრალს გვიტოვებს, უპირველეს ყოვლისა, მისი დამსახურებით შეიძლება იმ მრავალფეროვანი მასალის კვალზე გასვლა, რასაც ის ასე მაღალკვალიფიციური ოსტატობით ახერხებს. მუდამ გვახსოვს ზემოხსენებული ავტორის ნაშრომი, რომლითაც ადამიანები არა მარტო ენით ვართ დაკავშირებული, არამედ გვეერთიანებს საერთო საქმიანობაც, ცხოვრება და ენა.

ნიკოლოზ ოთინაშვილი

გამომცემლობის რედაქტორები:

გარეკანის დიზაინერი

დამკაბადონებელი

გამოცემის მენეჯერი

თამარ გაბელაია

ნანა კაჭაბავა

მარიამ ებრალიძე

ლალი კურდღელაშვილი

მარიკა ერქომაიშვილი

TSU Press Editors:

Cover Designer

Typesetter

Edition Manager

Tamar Gabelaia

Nana Katchabava

Mariam Ebralidze

Lali Kurdghelashvili

Marika Erkomaishvili

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1

1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128

Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279

<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>

